საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

3 · 1976

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

# СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი

ТБИЛИСИ

3 · 1976

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე),
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*),
Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე
*Ответственный секретарь* Э. **Вашакидзе**

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37—95—50 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.X.76; შეკვ. 2482; ანაწყობის ზომა 7×12;
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 17.85; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 16.40; უე 00865; ტირაჟი 1500
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

# ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

## ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ


Დ. ᲡᲢᲣᲠᲣᲐ. უდიდესი მნიშვნელობის საერთო პარტიული დოკუმენტი 5

Ე. ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔ, სკკპ XXV ყრილობა და ცვალებადი სამყარო 12

Ე. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ, ფულადი და ნატურალური გადასახადები და ფეოდალური რენტის ფორმები რეფორმამდელი ხანის საქართველოში 23

Ა. ᲑᲝᲚᲢᲣᲜᲝᲕᲐ, არგონავტები და კოლხეთი 37

Გ. ᲓᲣᲜᲓᲣᲐ, ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები 45


## ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ


Ვ. ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ, პორტო-ფრანკოს როლი რუსეთ-საქართველოს ვაჭრობის განვითარებაში 54

Თ. ᲑᲔᲠᲐᲫᲔ, ლეჩხუმის ისტორიული გეოგრაფიიდან 63

Ა. ᲐᲑᲓᲐᲚᲐᲫᲔ, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან 75

Გ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ, ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI—XIII საუკუნეების საქართველოში 84

Ლ. ᲡᲐᲮᲐᲠᲝᲕᲐ, ლეჩხუმის 1970-71 წწ არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები 96

Გ. ᲦᲣᲓᲣᲨᲐᲣᲠᲘ, ათონის მთის ქართველთა მონასტრის დაარსების თარიღისათვის 105

Ნ. ᲢᲔᲠ-ᲝᲒᲐᲜᲝᲕᲘ, მირზა თაყი-ხანი ამირე ნეზამის სამხედრო რეფორმა და მისი შედეგები 110


## ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐ


Ჯ. ᲨᲐᲠᲐᲨᲔᲜᲘᲫᲔ, ურის III დინასტიის ეპოქის დროინდელი ერთი ლურსმული ფირფიტა 124

Გ. ᲞᲐᲘᲭᲐᲫᲔ, ერთი საარქივო დოკუმენტი იოსებ ქართველის შესახებ 139


## ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ


Ჯ. ᲒᲘᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Გ. ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ, შაჰ-აბასი (ისტორიული დოკუმენტებისა და მიმოწერის კრებული) 149

Გ. ᲤᲘᲤᲘᲐ, მეორე მსოფლიო ომის დამახინჯების წინააღმდეგ 156

Ნ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ, ᲔᲓ. ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔ, Გ. ᲡᲐᲠᲥᲘᲡᲘᲐᲜᲘ, მ. დანდამაევის „მონობა ბაბილონში VII—IV სს. ჩვ. წ. აღ-მდე (626—331 წწ.)" 160


## ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

### ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავი


საიუბილეო სხდომა 169

გაერთიანებული სამეცნიერო სესია 169

ᲘᲚ. ᲐᲜᲗᲔᲚᲐᲕᲐ, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია 171

სამეცნიერო სესია ერევანში 171

Ნ. ᲙᲘᲚᲣᲠᲐᲫᲔ, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია 172

სახლ-მუზეუმის გახსნა 179

Ნ. ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ, საიუბილეო გამოცემები 180

Მ. ᲛᲐᲠᲡᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ვარლამ დონდუას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა 181

Კ. ᲙᲐᲮᲐᲫᲔ, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა სამეცნიერო სესია 183

Ნ. ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔ, ეთნოლოგთა VIII საერთაშორისო სემინარი 184

აკადემიკოსი ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილი (ნეკროლოგი) 187

პროფესორი ილია მირცხულავა (ნეკროლოგი) 191

## СОДЕРЖАНИЕ

### СТАТЬИ

Д. СТУРУА, Общепартийный документ большого значения 5
Э. МЕНАБДЕ, XXV съезд КПСС и меняющийся мир . . . 12
Э. ОРДЖОНИКИДЗЕ, Денежные и натуральные налоги и формы феодальной ренты в дореформенной Грузии 23
А. БОЛТУНОВА, Аргонавты и Колхида . . . . 37
Г. ДУНДУА, Проблема так называемых грузинско-сасанидских монет и вопросы истории раннефеодальной Грузии 45

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Б. СИЧИНАВА, Роль порто-франко в развитии русско-грузинской торговли 54
Т. БЕРАДЗЕ, Из исторической географии Лечхуми . 63
А. АБДАЛАДЗЕ, Из истории Грузии первой половины XV в. . 75
Г. ДЖАПАРИДЗЕ, Терминология золотой монеты в Грузии XI—XIII вв. 84
Л. САХАРОВА, Итоги работы Лечхумской археологической экспедиции за 1970—71 гг. . . . . . . . . . 96
Г. ГУДУШАУРИ, К вопросу о датировке основания грузинского монастыря на Афоне . . . . . . . . . . . . . 105
Н. ТЕР-ОГАНОВ, Военная реформа Мирза Таки-хана Амире Незама и ее результаты 110

### ПУБЛИКАЦИИ

Дж. ШАРАШЕНИДЗЕ, Клинописная табличка эпохи III династии Ура 124
Г. ПАЙЧАДЗЕ, Один архивный документ об Иосифе Грузине 139

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Дж. ГИУНАШВИЛИ, М. СВАНИДЗЕ, Шах-Аббас (сборник исторических документов и переписки) . . . . . . . . 149
Г. ПИПИЯ, Против искажения истории второй мировой войны . . 156
Г. ГИОРГАДЗЕ, Э. МЕНАБДЕ, Г. САРКИСЯН, М. А. Дандамаев, «Рабство в Вавилонии VII—IV вв. до н. э. (626—331 гг.)» 160

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

К столетию со дня рождения И. А. Джавахишвили

Юбилейное заседание 169
Объединенная научная сессия . . . . . . . 169
Ил. АНТЕЛАВА, Научная сессия Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили 171
Научная сессия в Ереване . . . . . . . . . . . . . 171
Н. КИГУРАДЗЕ, Научная сессия, посвященная полевым археологическим исследованиям 172
Открытие дома-музея . 179
Н. КАВТАРАДЗЕ, Юбилейные издания . . . . . . . . 180
М. МАРСАГИШВИЛИ, Заседание, посвященное 80-летию со дня рождения В. Дондуа . . . . . . . . . . . . . . 181
К. КАХАДЗЕ, Научная сессия молодых научных работников и аспирантов 183
Н. БРЕГАДЗЕ, VIII Международный семинар этнологов 184
Академик Н. И. Мусхелишвили (некролог) 187
Профессор И. И. Мирцхулава (некролог) 191

# წ ე რ ი ლ ე ბ ი

**დევი სტურუა**

## უდიდესი მნიშვნელობის საერთო პარტიული დოკუმენტი

თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს კომპარტიის — დიდი ლენინის მიერ შექმნილი და გამობრძმედილი პარტიის ერთ-ერთ უძველეს მებრძოლ რაზმს — არაერთი უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუპოვებია სოციალისტური რევოლუციის განხორციელების, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების სხვადასხვა ეტაპზე.

ამ გამარჯვებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს კომპარტიის, მისი ახალი ხელმძღვანელობის თანმიმდევრული, უკომპრომისო, ვაჟკაცური ბრძოლის საყოველთაო-სახალხო და საერთო პარტიულ აღიარებას, ბრძოლისა, რომელიც ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში გაჩაღდა პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენის, დამკვიდრებისა და შემდგომი განვითარებისათვის და რომლის პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი დაგვირგვინდა *საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის ისტორიული დადგენილებით.*

გამარჯვების სიხარულს არაფერი აქვს საერთო თვითდამშვიდებასთან, მით უმეტეს, ყოყოჩობასთან. საქართველოსა და მთელი ჩვენი ქვეყნის ყოველ ჭეშმარიტ პატრიოტს, მოქალაქესა და კომუნისტს უსაზღვროდ ახარებს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი ხმით, ლენინური პრინციპულობითა და მეცნიერული სიღრმით დასტური მისცა საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ბრძოლას რესპუბლიკის საერთო პოლიტიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოო გაჯანსაღებისათვის. ამ აღიარებაშია, გარდა სხვა დანარჩენი მხარეებისა, რომლებზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, 1976 წლის ივნისის დადგენილების ისტორიული მნიშვნელობა.

სხვათა შორის, ჩვენი აშკარა მტრები, ანტიკომუნისტები და ზოგიერთი ეგ-რეთწოდებული მეგობარი ირონიზებენ იმის გამო, რომ კომუნისტები, ჩვენი სამშობლოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ყრილობებს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და დადგენილებებს ისტორიულს უწოდებენ. უბადრუკი ირონიაა! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი ფორუმები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები საეტაპო მოვლენებია პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ისინი, გარდა იმისა, რომ ასახავენ კომუნიზმის მშენებლობის გარკვეულ ეტაპებს, შემოქმედებითად ავითარებენ მარქსიზმ-ლენინიზმს, მათ ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ჩვენი პარტიისა და ქვეყნისათვის, არამედ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვისაც, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვისაც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო დადგენილების ღრმა, მარქსისტულ-ლენინური ანალიზი მოცემულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებაში, გაზეთ „პრავდის“ ამა წლის 6 ივლისის მოწინავე სტატიაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის სიტყვაში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის კრებაზე 7 ივლისს და მისსავე მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-3 პლენუმზე 23 ივლისს.

ყველა ამ დოკუმენტში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება, რომელიც მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ინიციატივითა და რჩევით, წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის ს ა ე რ თ ო პ ა რ ტ ი უ ლ დ ო კ უ მ ე ნ ტ ს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება მიღებულია პარტიის XXV ყრილობის შემდეგ და იგი აკონკრეტებს, აზუსტებს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის მიერ იმ ამოცანების განხორციელების გზებსა და საბოლოო მიზნებს, რომლებიც ყრილობამ დასახა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივლისის პლენუმზე ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ „ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილება იმითაც გამოირჩევა, რომ მას ყოვლისმომცველი, მასშტაბური ხასიათი აქვს, საფუძვლიანად აანალიზებს რესპუბლიკის პარტორგანიზაციის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა მხარეს და იმ მეცნიერულად შემუშავებულ ღონისძიებათა კომპლექსია, რომელიც მიზნად ისახავს რესპუბლიკის ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, მთელი ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომ სრულყოფას პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“[1].

ეს მეტად საყურადღებო დებულებაა მისი ისტორიული ასპექტითაც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო არაერთი დადგენილება საქართველოს კომპარტიისა და საერთოდ საქართველოს შესახებ. ეს დადგენილებები მკაფიოდ გამოხატავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ლენინურ ზრუნვას საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის აღორძინებისა და განვითარებისადმი, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცებისადმი; ისინი განასახიერებენ კომუნისტური პარტიის ბრძნულ ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო ადრე დაჩაგრულ ერთა მატერიალური კეთილდღეობისა და სულიერი კულტურის მაქსიმალური ზრდისა და განვითარებისაკენ.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ სხვადასხვა დროს მიიღეს დადგენილებები საქართველოს საზღვაო პორტების, ჭიათურის მარგანეცის მოპოვების, საქართველოში მევენახეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობისა და ხარისხიანი მეღვინეობის განვითარების შესახებ.

თავისი მრავალი დადგენილებით სკკპ ცენტრალური კომიტეტი ბრძნულად ხელმძღვანელობდა და ქმედითად ეხმარებოდა საქართველოს კომუნისტებს პარტიის რიგების ერთიანობისთვის ბრძოლაში, ნაციონალ-უკლონიზმის, ტროცკიზმისა და მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

[1] გაზ. „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი“ 1976 წლის 25 ივლისი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 10 თებერვლის დადგენილება საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილება, მოიცავენ, როგორც ეს აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე, ეკონომიური პრობლემებისა და პარტიული მშენებლობის საკითხების მთელ კომპლექსს, დიალექტიკურად ავითარებენ ჩვენი პარტიის XXIV და XXV ისტორიული ყრილობების თეორიულ და პრაქტიკულ დებულებებს.

ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენენ პოლიტიკისა და მეცნიერების სინთეზს, განასახიერებენ კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ახალ, უმაღლეს ეტაპს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაუცხრომელ ზრუნვას საქართველოსთვის, ქართველი ხალხისათვის, რესპუბლიკის ყველა მშრომელთათვის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის.

ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებების უნივერსალობა, მასშტაბურობა, პერსპექტიულობა და მეცნიერული სიღრმე შეესაბამებიან და გამოხატავენ განვითარებული სოციალიზმის თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდას. ამაშიცაა ამ დადგენილებათა თავისებურება და სპეციფიკა.

თავის გამოსვლაში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის კრებაზე ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ გააანალიზა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ასპექტები.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მიუთითა, რომ პოლიტიკური ასპექტით დადგენილება ნიშნავს რესპუბლიკის პოლიტიკური ორგანიზაციის, მთელი პოლიტიკური სისტემის შემდგომ განმტკიცებას, ოპტიმალურ პირობებს უქმნის თანამედროვე კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კურსის ეფექტიან განხორციელებას.

ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი დადგენილება წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი პოლიტიკური განმტკიცების გარანტიას განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში, როცა საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფო მტკიცედ ახორციელებს სოციალისტური სახალხო ხელისუფლების, სოციალისტური დემოკრატიისა და დისციპლინის განმტკიცების კურსს.

„ეს დადგენილება, — აღნიშნა ამხანაგმა შევარდნაძემ, — ყველა პირობას უქმნის ჩვენი სახელმწიფოებრიობის, კანონიერების, წესრიგის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის — ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძვლის შემდგომ განმტკიცებას, ხალხთა ლენინური მეგობრობის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განვითარებას, ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის ძირითადი განსხვავების აღმოფხვრას, სოციალისტუ-

რი და კომუნისტური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას“[2].

ეკონომიური ასპექტით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილება ყველაზე უფრო ხელშემწყობ პირობებს უქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის მუშაობის შემდგომ სრულყოფას, საქართველოს სსრ ეკონომიკის განმტკიცებასა და განვითარებას, სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესებას მყარ მეცნიერულ საფუძველზე.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა ისიც, რომ სოციალური ასპექტით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებას ისეთივე ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკაში კომუნისტური მშენებლობის სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტა ნიშნავს სოციალური სიკეთისა და ფასეულობათა შემდგომ გამრავლებას, კომუნიზმის მშენებელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების კიდევ უფრო ეფექტიან დაკმაყოფილებას, თითოეული პიროვნების სოციალური ორიენტაციის გაუმჯობესებას, შრომის, სწავლისა და დამსახურებული დასვენების კონსტიტუციური უფლებების უკეთ რეალიზაციას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამა წლის ივლისის პლენუმზე ითქვა დადგენილების სოციალურ-ეთიკურ ასპექტზეც.

„იგი მარტო იმით კი არ გამოიხატება, — თქვა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ თავის მოხსენებაში პლენუმზე, — რომ ამ დოკუმენტში მაღალი შეფასება ეძლევა ჩვენი პარტორგანიზაციის მუშაობას რესპუბლიკაში ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, და არც იმით, რომ აქ ხაზგასმულია ამ მუშაობის შემდგომი გაძლიერების საჭიროება. ეს ასპექტი მკაფიოდ ვლინდება თვით ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სულისკვეთებაში, მის მაღალ პრინციპულობასა და ამავე დროს დიდ კეთილმოსურნეობაში, მომთხოვნელობასა და ამასთანავე სრულ ნდობაში, იმაში, რომ იგი მიმართავს რესპუბლიკის თვითოეული კომუნისტის, თვითოეული მშრომელის პატიოსნებასა და შეგნებას, რწმენას გამოხატავს, რომ მათ შეუძლიათ ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლის ღირსეული მშენებლები იყვნენ, ოპტიმისტურია მისი განწყობილება და მტკიცედ სჯერა, რომ მუშაობამ, რომელიც ჩვენ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე გავწიეთ, რესპუბლიკური პარტორგანიზაცია გამოაწრთო, ახალ სოციალურ-ეთიკურ და მორალურ-პოლიტიკურ დონეზე აიყვანა ჩვენი ხალხი“[3].

ამრიგად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილება წარმოადგენს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ღრმა მეცნიერულ დოკუმენტსაც, რომლის ხორცშესხმა შეუძლებელია მისი შემოქმედებითი შესწავლისა და დაუფლების გარეშე. ეს კი განაპირობებს ამ დოკუმენტის პროპაგანდის თავისებურებას და სპეციფიკურობას, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი მეცნიერების როლის შემდგომ ამაღლებაში პარტიის პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში.

---

[2] გაზ. „კომუნისტი“ 1976 წლის 9 ივლისი.
[3] გაზ. „კომუნისტი“ 1976 წლის 25 ივლისი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილება, ერთის მხრივ, აანალიზებს და ამკვიდრებს საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ წლებში გაწეულ მუშაობას, გამოყოფს ამ რთული, კომპლექსური საქმიანობის ყველაზე უფრო მოწინავე ტენდენციებს, ხოლო მეორე მხრივ, უსახავს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას ახალ გაზრდილ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა ორგანულ კავშირშია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მიერ წამოყენებულ წინასწარდასახულობათა ხორცშესხმასთან.

*ის ძირეული გარდატეხა, რაც მოხდა ჩვენს რესპუბლიკაში ნამდვილად ისტორიულია ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით და ღრმა მნიშვნელობით.* ახლო წარსულის მძიმე კოშმარად გვაწევს საქმოსნებისა და მექრთამეების თავაწყვეტილი თარეში, პროტექციონიზმისა და კარიერიზმის გაფურჩქვნა, პატიოსანი კომუნისტებისა და მშრომელების აბუჩად აგდება, ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის მორალურ-ეთიკური გახრწნა და გადაგვარება. ამ მოვლენების სოციალური საფრთხე განპირობებული იყო იმითაც, რომ ამ სენით დაავადებული აღმოჩნდა ბევრი იმათგანი, ვინც თავისი მდგომარეობით ვალდებული იყო წინ აღდგომოდა ამ ნეგატიურ, სოციალიზმისათვის ანტიპოდურ მოვლენებს. ეს, რა თქმა უნდა, ართულებდა პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების დაცვას მათ ხელმყოფთაგან.

მაგრამ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში, რომელსაც ბრძოლისა და შრომის სასახელო ტრადიციები გააჩნია, აღმოჩნდნენ ძალები, რომლებიც აქტიურად შეებრძოლნენ ამ მანკიერ მოვლენებს. საქართველოს კომპარტიის უკანასკნელი მიღწევები და გამარჯვებები, რაც აღიარებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში, დაკავშირებულია ამ ძალების ლენინურ პრინციპულობასთან, კომუნისტურ შემართებასთან, პარტიულ სიბრძნესთან. ეს ის ძალებია, რომლებიც შეადგენენ სამოცდაათიანი წლების კომუნისტთა სიამაყესა და სახელს. ისტორია არ დაივიწყებს მათ მეცადინეობას, მიმართულს ჩვენი რესპუბლიკის პრესტიჟის აღდგენისა და განმტკიცებისაკენ.

საქართველოს კომპარტიის ახალმა ხელმძღვანელობამ გამოიჩინა უდიდესი სულგრძელობა იმათ მიმართ, ვინც პასიურად შესცქეროდა ნეგატიური მოვლენების გაღვივებას საქართველოში, ვინც იმ მძიმე და რთულ წლებში ვერ გამოიჩინა პრინციპულობა და ვაჟკაცობა, ვინც ამოეფარა პირადი პატიოსნების ჯავშანს.

ახლა კი დროა უმაღლესი აქტივობით, თავდადებული ბრძოლით პარტიის XXV ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის დავუმტკიცოთ პარტიას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ გაკეთდა სათანადო დასკვნები წარსულიდან, რომ ხელმძღვანელობის ნდობა უნდა გავიგოთ, როგორც მოთხოვნა ვიმუშაოთ თავდადებით, ვიმუშაოთ ისე, როგორც ამას გვასწავლიდა დიდი ლენინი, როგორც ამას გვასწავლის მის მიერ შექმნილი და ბრძოლებში გამობრძმედილი კომუნისტური პარტია.

*სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების პროპაგანდაში დიდი როლი უნდა შეასრულონ საზოგადოებრივი მეცნიერებების წარ-*

მომადგენლებმა, რომელთა მუშაობაში ბოლო წლების მანძილზე შეიმჩნევა ძირეული გარდატეხა.

რა ძირითადი ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მათ შორის ისტორიულ-პარტიული მეცნიერების განვითარება ახლო წარსულში? ჩვენი აზრით, ასეთი ნაკლოვანება, სულ ცოტა, სამი მაინც იყო:

პირველი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ერთგვარი მოწყვეტა დღევანდელობისაგან, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის აქტუალური პრობლემებისაგან. მეორე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სრული პასიურობა სოციალიზმისათვის ანტიპოდური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში; მესამე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტებში არ იყო გამეფებული ჭეშმარიტად შემოქმედებითი ატმოსფერო.

უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების შემდგომი განვითარებისადმი მიძღვნილი 1967 წლის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შედეგადაც რესპუბლიკაში, თუმცა განხორციელდა ზოგიერთი ღონისძიება, მაგრამ ვითარება არსებითად არ შეცვლილა.

საქართველოში მომხდარმა ძირეულმა, პრინციპული ხასიათის ცვლილებებმა კეთილმყოფელი გავლენა მოახდინეს საზოგადოებრივი მეცნიერების დარგის მუშაკების საქმიანობაზეც. მაგრამ ეს თავისთავად, ავტომატურად როდი მოხდა. ამაში უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ.

დადგენილებებით გამოიკვეთა ამ უმნიშვნელოვანესი იდეოლოგიური ინსტიტუტების როლი საქართველოს კომპარტიის ბრძოლაში პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენის, დამკვიდრებისა და განვითარებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივლისის პლენუმზე აღინიშნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა პირველი მიღწევები ამ მიმართულებით. თავის მოხსენებაში პლენუმზე ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა:

„დღეს ჯეროვანი პატივისცემით უნდა მოვიხსენიოთ და ღრმა კმაყოფილების გრძნობით აღვნიშნოთ დიდი წვლილი, რომელიც შეიტანეს და შეაქვთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, რესპუბლიკის მორალურ-პოლიტიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაში მთლიანად ჩვენს მეცნიერებას, მეცნიერებათა აკადემიას, ჩვენს საზოგადოებრივ მეცნიერებათა პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, კერძოდ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტს, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტს. საინტერესო და სასარგებლო მუშაობას ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭო და ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი.

ფილოსოფიის ინსტიტუტის, პარტიის ისტორიის ინსტიტუტის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგე-

ნილებებს პრინციპულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მთელი ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერების დონის ამაღლებისათვის“[4].

საზოგადოებრივი მეცნიერებების წარმომადგენლებს კარგად აქვთ შეგნებული, ეს მაღალი შეფასება რომ გაამართლონ, კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რომ მთავარი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მათ საქმიანობაში ჯერ კიდევ წინაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში ნათქვამია: „უნდა ამაღლდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობა, განმტკიცდეს მეცნიერებისა და ცხოვრების კავშირი, დროული და პრინციპული შეფასება მიეცეს იდეურ შეცდომებსა და ხარვეზებს სამეცნიერო შრომებში, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში“[5].

საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ თავიანთი საპატიო წვლილი შეიტანონ კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ხორცშესხმაში, იმ ამოცანების სასახელოდ გადაწყვეტაში, რომლებსაც აყენებს ქართველი ხალხისა და რესპუბლიკის ყოველი მშრომელის წინაშე საქართველოს კომპარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი.

---

[4] გაზ. „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი“ 1976 წლის 25 ივლისი.
[5] გაზ. „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი“ 1976 წლის 27 ივლისი

ედუარდ მენაბდე

# სკკპ XXV ყრილობა და ცვალებადი სამყარო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობებისა და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა განისაზღვრება პირველ რიგში საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონითა და გავლენით თანამედროვე მსოფლიოში, იმ როლით რომელსაც ასრულებს პირველი სოციალისტური სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე. ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობა მიზნად ისახავს არა მარტო ვიწრო ეროვნულ ინტერესებს, არამედ ისეთი გლობალური პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა გამალებული შეიარაღების შეჩერება, უშიშროების სისტემის შექმნა, ეკოლოგიური საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტა, მსოფლიო ენერგორესურსების რაციონალური გამოყენება, შიმშილისა და განსაკუთრებით საშიშ სნეულებათა დაძლევა და ა. შ. ამავე დროს კომუნისტები მოითხოვენ ამ პრობლემების სისტემურ გადაჭრას და იმ მთავარი ფაქტორის გათვალისწინებას, რომ თანამედროვე მსოფლიო შეუჩერებლივ ვითარდება ერთიანი მაგისტრალური გზით სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ.

ყოველივე ამან უზრუნველყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაღალი ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში. თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე 1972 წლის 21 დეკემბერს სკკპ ცკ გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ამბობდა: „ნახევარი საუკუნე, რაც სსრ კავშირი არსებობს, მსოფლიოში თავისი გაქანებითა და სიღრმით უმაგალითო სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებით აღინიშნა... ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე მსოფლიო სხვაგვარი გახდა; და უდავოა,... რომ მთელ ამ ისტორიულ ცვლილებებში დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა — თვით მისი არსებობის ფაქტმა, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების მაგალითის ძალამ, ჩვენი სახელმწიფოს აქტიურმა საერთაშორისო პოლიტიკამ"[1]. სკკპ XXV ყრილობის მსვლელობაში სავსებით სამართლიანად აღინიშნა, რომ დღეს „საბჭოეთის საგარეო პოლიტიკას პატივს სცემენ და მხარს უჭერენ მთელი მსოფლიოს ხალხთა მრავალმილიონიანი მასები"[2].

საბჭოთა კავშირის და მისი ხელმძღვანელი ძალის — კომუნისტური პარტიის გავლენის მნიშვნელობა დღეს აღიარებულია მთელ მსოფლიოში, როგორც ჩვენდამი მეგობრულად, ისე მტრულად განწყობილ წრეებში. ასე მაგალითად, ჟურნალ „დოიჩე აუსენპოლიტიკში" (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) აღნიშნული იყო: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობები წარმოადგენენ კულმინაციურ წერტილს არა მარტო საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც, მსოფლიო ბრძო-

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, ლენინური კურსით, სიტყვები და სტატიები, ტ. 4, თბ.. 1974, გვ. 70.
[2] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბ., 1976, გვ. 5.

ლაში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. ლენინური პარტიის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ავანგარდის, ყრილობებიდან მომდინარეობს გადამწყვეტი იმპულსი კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის სოციალური პროგრესის გზით"[3].

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ყრილობის მნიშვნელობის აღიარება აშკარა ანტიკომუნისტების მხრიდან. ზოგიერთი მათგანი ვერ მალავს თავის სიძულვილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, მაგრამ ამავე დროს იძულებულია აღიაროს: „არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებული იქნება ყრილობაზე (წერილი დაიწერა XXV ყრილობის გახსნამდე. — ე. მ.), ღრმა გავლენას მოახდენენ როგორც რუსების, ისე ამერიკელების ცხოვრებაზე" და შემდეგ: „გარკვეული გაგებით ისინი (ლაპარაკია სკკპ ყრილობაზე. — ე. მ.) უფრო სერიოზულია, ვიდრე პოლიტიკური კონვენტები (ამერიკის წამყვანი ბურჟუაზიული პარტიების ყრილობები. — ე. მ.) შეერთებულ შტატებში"[4].

ამრიგად, დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მასალები, გადაწყვეტილებანი, დასკვნები და განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება, რომელიც ეყრდნობა თანამედროვე საერთაშორისო ვითარების მეცნიერულ მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს, კიდევ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოახდენენ მძლავრ ზემოქმედებას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე და კაცობრიობის შემდგომ განვითარებაზე, რაც აიხსნება შემდეგი ფაქტორებით:

— სკკპ XXV ყრილობა იყო არა მარტო საბჭოთა, არამედ მთელი მსოფლიოს კომუნისტებისა და პროგრესული ძალების ჯერ კიდევ არნახული ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 103 დელეგაციამ 96 ქვეყნიდან, ე. ი. მეტმა, ვიდრე მონაწილეობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირში მოსკოვში 1969 წელს;

— ყრილობამ განსაზღვრა კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული გეგმები არა მარტო მომავალ ხუთწლედში (ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი), არამედ უფრო შორეული პერსპექტივის გათვალისწინებით (1990 წლამდე);

— ყრილობა მიმდინარეობდა ორი სოციალ[ურ]ური სისტემის (სოციალიზმისა და კაპიტალიზმის) ჭიდილის იმ სტადიაზე, როდესაც მსოფლიოში მოხდა გადამწყვეტი ძვრა ახალი საზოგადოებრივი სისტემის სასარგებლოდ; იმპერიალიზმმა თითქმის ყველგან დაკარგა დომინირებული მდგომარეობა და იძულებული გახდა ეღიარებინა არსებული რეალობანი, რამაც შესაძლებელი გახადა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი;

— ყრილობა ჩატარდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრსახელმწიფოთა მიერ 1971 წელს მიღებული სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის გრძელვადიანი პროგრამის განხორციელების ახალი ეტაპის დასაწყისში, როდესაც აღნიშნულ ეკონომიურ გაერთიანებაში შემავალი სოციალისტური ქვეყნები შეუდგნენ გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;

[3] B. Mahlow, Die internationale Bedeutung des XXV Parteitages der KPdSU, „Deutsche Aussenpolitik", 1976, H. S, გვ. 645.

[4] D. Seligman, Communist Ideology and Soviet Power, „Fortune", Jan. 1976, გვ. 113.

— ყრილობას ჰქონდა ადგილი კაცობრიობის განვითარების იმ ისტორიულ მონაკვეთში, როდესაც მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში (იტალია, საფრანგეთი, პორტუგალია და. შ.) მკვეთრად გაიზარდა კომუნისტური პარტიების გავლენა და დაისვა საკითხი ქვეყნის ხელმძღვანელობაში მათი უშუალო მონაწილეობის შესახებ უახლოეს მომავალში; მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ღრმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა დააჩქარა სოციალურ გარდაქმნათა პროცესი;

— ყრილობა მიმდინარეობდა ისეთ საერთაშორისო ვითარებაში, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა განთავისუფლებულ ხალხთა (პირველ რიგში სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნების) ზეგავლენა მთელ მსოფლიოში და მსხვილი იმპერიალისტური ქვეყნებიც კი იძულებული გახდნენ დაეხიათ უკან პროგრესული და განვითარებადი ძალების შემოტევის შედეგად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, ანგოლასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარება გამოირჩევა უკიდურესი სირთულით, სიჭრელითა და აღსავსეა მრავალგვარი წინააღმდეგობებით, ყველა ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა მოგვცეს საშუალება წარმატებით შეგვესრულებინა სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამა და შეგვემუშავებინა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის ახალი პროგრამა, რომელიც მოწოდებულია გააღრმავოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი, გააფართოოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიურ, პოლიტიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ სფეროებში, შექმნას ნორმალური და ხელსაყრელი ვითარება კაცობრიობის შემდგომი სოციალური პროგრესისათვის.

კომუნისტები ყოველთვის უსვამდნენ ხაზს იმ გარემოებას, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე აგებული საერთაშორისო თანამშრომლობა ქმნის ხელსაყრელ პირობებს კლასობრივი ბრძოლის სწორი და წარმატებითი წარმართვისათვის. ბრძოლა მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის უდავოდ გულისხმობს კომპრომისს პოლიტიკურ სფეროში, მაგრამ ეს კომპრომისი, სკკპ ხელმძღვანელობის აზრით, არ შეიძლება მიღწეულ იქნას სოციალურ და იდეოლოგიურ სფეროში რაიმე დათმობის ხარჯზე. ამავე დროს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს კლასობრივ პოლიტიკას და მიზნად ისახავს თანამედროვე საზოგადოების გარდაქმნას სოციალისტურ საწყისებზე, ყველა იმ ძალებისადმი ხელშეწყობას, რომლებიც იბრძვიან სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის[5]. საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების ერთ-ერთ ურღვევ პრინციპად (რაც სავსებით ნათლად აისახა ჰელსინკის თათბირზე მიღებულ დოკუმენტებში გასული წლის ზაფხულში) აღიარებულია საზღვრების ურღვევი ხასიათი და შინაგან საქმეებში ჩაურევლობა, ე. ი. ტერიტორიული და პოლიტიკური status quo, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმავე status quo-ს აღიარებას სოციალურ სფეროში. პირველ შემთხვევაში ჩვენ ხალხთა ცხოვრებიდან გამოვრიცხავთ ომს, ძალადობას, მუქარას, რაც უდავოდ წარმოადგენს დადებით ფაქტორს თანამედროვე, ორ ნაწილად განხეთქილი მსოფლიოსათვის; ხოლო მეორე შემთხვევაში ფაქტიუ-

---

[5] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, ლენინური კურსით, ტ. 4, გვ. 71—72.

რად მივდივართ ყოველგვარი საზოგადოებრივი განვითარების უარყოფამდე. სკკპ XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა: „ჩვენ არ ვმალავთ, რომ დაძაბულობის შენელება მიგვაჩნია მშვიდობიანი სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის უფრო ხელშემწყობი პირობების შექმნის გზად. ეს მხოლოდ ადასტურებს, რომ სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია... რაც შეეხება ცრუმემარცხენული ყაიდის მტკიცებებს, თითქოს მშვიდობიანი თანაარსებობა ლამის „კაპიტალიზმისათვის დახმარებას“, „სოციალურ-პოლიტიკური სტატუს-კვოს“ გაყინვას ნიშნავს, ჩვენ ვუპასუხებთ: ყოველგვარი რევოლუცია უწინარეს ყოვლისა მოცემული საზოგადოების საშინაო განვითარების კანონზომიერი შედეგია, თვით ცხოვრებაც უარყოფს მონაჩმახებს „გაყინვის“ შესახებ. საკმარისია გავიხსენოთ დიდი რევოლუციური ცვლილებანი, რომლებიც მსოფლიოში მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე“[6].

ცხადია, მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემდგომი განვითარების პირობებში საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ქვეყნები, მთელი კომუნისტური მოძრაობა ვერ დარჩება გულგრილი გარეშე მაყურებლის როლში. სოციალისტური სამყარო არ ერევა სხვა ხალხების საშინაო საქმეებში, უარყოფს რა „რევოლუციის ექსპორტს“, მაგრამ ისეთ ვითარებაში, როდესაც რევოლუციურ ძვრებს უკვე აქვს ადგილი, ჩვენი პოზიცია ნათელი და არაორაზროვანია. ომის შემდგომ ისტორიაში ამის დამადასტურებლად საკმარისია დავასახელოთ კუბა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია და ანგოლა. საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ ქვეყნების მიმართ საყოველთაოდაა ცნობილი და არ მოითხოვს დამატებით კომენტარს. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ მთავარ ზეგავლენას რევოლუციურ პროცესზე საბჭოთა კავშირი ახდენს თავისი წარმატებებით სოციალურ-ეკონომიურ დარგში. ცნობილი ბულგარელი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ვ. ტოპენჩაროვი წერს: „სოციალიზმის მშენებლობამ სსრ კავშირში შექმნა ნიმუში, რომლის მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს განვლილი ეტაპები, მიღწეული პროგრესი და სიძნელენი, რომელნიც დაძლეული უნდა იყოს“[7], და შემდეგ: „საბჭოთა კავშირი დგას მოძრაობის ცენტრში და მსოფლიოს ყურადღების ცენტრში, როგორც სოციალიზმის დიადი განსახიერება და კაცობრიობის განვითარების კრიტერიუმი. სწორება საბჭოთა კავშირზე ნიშნავს სწორებას ისტორიის პროგრესზე. სწორდით სსრ კავშირზე! ასეთია ჩვენი დროის ბუნებრივი და კატეგორიული იმპერატივი“[8].

მშვიდობიანი თანაარსებობისა და მის საფუძველზე აღმოცენებული საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იდეოლოგიურ ბრძოლას, რადგანაც კონტაქტების გაფართოება სხვადასხვა არხებით ობიექტურად ზრდის საბჭოთა კავშირისათვის მტრული პროპაგანდის გავრცელების შესაძლებლობებს. მეტიც: დაძაბულობის განმუხტვის პირობებში ბრძოლა ორ დაპირისპირებულ სისტემას შორის განსაკუთრებით მწვავდება იდეოლოგიურ სფეროში. ამის შესახებ ნათლად ითქვა სკკპ XXV ყრილობაზე, მოძმე სოციალისტური ქვეყნების მმართველი პარტიების ყრილობებზე, ევროპის კომუნისტური პარტიების ბერლინის თათბირზე. ამ

---

[6] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გვ. 46.

[7] В. Т о п е н ч а р о в, Равнис на СССР, Хроника за триумфата на историята над историята, София, 1974, გვ. 160.

[8] იქვე, გვ. 252.

თეზისის დაცვა დღეს ნიშნავს კლასობრივი პოზიციების პრინციპულ დაცვას. „მარქსიზმ-ლენინიზმის თანამიმდევრული ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა ფორმის წინააღმდეგ წარმოადგენს სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების წინაპირობას და ამ გზით მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების წარმატებით განხორციელებას“[9].

აფასებდა რა კაცობრიობის განვითარებას ისტორიის თანამედროვე ეტაპზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ამბობდა პარტიის XXV ყრილობის ტრიბუნიდან: „ჩვენ ვცხოვრობთ ღრმა სოციალური ცვლილებების ეპოქაში. კიდევ უფრო მტკიცდება და ფართოვდება სოციალიზმის პოზიციები. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებები ახალ ჰორიზონტებს უსახავენ ქვეყნებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ძლიერდება მშრომელთა კლასობრივი ბრძოლა მონოპოლიათა მხრივ ჩაგვრის წინააღმდეგ, ექსპლუატატორული წესების წინააღმდეგ, სულ უფრო დიდი მასშტაბით ვითარდება რევოლუციურ-დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური მოძრაობა. ყოველივე ეს მთლიანად ნიშნავს მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებას“[10].

თუ მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარების ასპექტში გადავხედავთ კაცობრიობის განვითარების ტენდენციებს თუნდაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, დავინახავთ, რომ ძალთა თანაფარდობა შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ. ჩამოვთვლით მხოლოდ უმნიშვნელოვანეს ფაქტებს.

ვიეტნამელმა ხალხმა დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა არა მარტო ჩრდილოეთში, არამედ მთლიანად გაანთავისუფლა სამშობლო და გადამწყვეტი როლი შეასრულა ლაოსისა და კამპუჩიის (კამბოჯის) განთავისუფლებაში, რამაც მთლიანად მოშალა ამერიკის პოზიციები მსოფლიოს ამ რეგიონში. ამას თუ დავუმატებთ ახალ, საკმაოდ მნიშვნელოვან, მოვლენებს ინდოეთის, ტაილანდის ფილიპინებისა და აზიის ზოგიერთი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, დავინახავთ, რომ შეერთებული შტატების გავლენა აქ ისევე სწრაფად დაინგრა, როგორც დომინოს ქვებისაგან აგებული შენობა (პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის ე. წ. „დომინოს თეორია“). ამიერიდან ვაშინგტონის ახალი სტრატეგია აგებულია საკუთარი პოზიციების შენარჩუნებაზე იაპონია-ტაივანის ხაზის გასწვრივ. რაც შეეხება აზიის კონტინენტს, აქ უკვე არ არსებობს პირდაპირი ზემოქმედების არავითარი საშუალება. ამიტომ ამერიკის საგარეო პოლიტიკაში სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ჩინეთი — სახელმწიფო, რომელიც მოითხოვს შეერთებული შტატების სამხედრო ძალის შენარჩუნებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში. ამასთან დაკავშირებით ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული, თუ როგორ უყურებენ თანამედროვე ჩინეთს ამერიკის გარკვეული წრეების წარმომადგენლები. რესპუბლიკელთა მემარჯვენე ფრთის ლიდერი, ცნობილი რეაქციონერი რ. რიგანი წერდა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ფურცლებზე: „ახლა ჩინელები, როგორც ჩანს, გვაგრძნობინებენ, რომ მათ სურთ ჩვენთან და იაპონიასთან ერთად შეისწავლონ ურთიერთობათა გაფართოების შესაძლებლობანი.

---

[9] K. Frauke, O. Reinhold, Friedliche Koexistenz und Klassenkampf, Berlin, 1974, გვ. 48.

[10] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გვ. 37—38.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვაღიარებთ იმ იდეოლოგიურ უფსკრულს, რომელიც ჩვენსა და ჩინელებს შორის არსებობს (და ჩვენ უნდა შემდგომშიც გვესმოდეს, რომ ისინი მომავალშიც უარყოფითად მიუდგებიან ჩვენს თავისუფალ საზოგადოებას), მათ ჩვენთან და იაპონიასთან აქვთ ზოგიერთი საერთო და ურთიერთშემვსები მიზნები წყნარი ოკეანის აუზში"[11]. ამჯერად საკმაოდ დაძაბული შინაპოლიტიკური ვითარება შეიქმნა ორივე სახელმწიფოში (ხელისუფლებისათვის ბრძოლის გამწვავება ჩინეთში და წინასაარჩევნო კამპანია შეერთებულ შტატებში), რაც, როგორც ფიქრობენ, ერთგვარ დამბლას იწვევს საგარეო-პოლიტიკურ სფეროში, როგორც პეკინში, ისე ვაშინგტონში. მიუხედავად ამისა ამერიკის პრესის ფურცლებზე ინტერესი ჩინეთისადმი არ შენელებულა. ოკეანეს გაღმა ძირითადად აწუხებთ საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაცია მას შემდეგ, რაც მაო ძე-დუნი საბოლოოდ ჩამოშორდება (ეს პროცესი, როგორც ჩანს, უკვე დაიწყო) პოლიტიკურ მოღვაწეობას[12].

როგორც ცნობილია, თავისებური „ჩინეთ-ამერიკის ალიანსის" მოქმედება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობოდა ანგოლელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის უკანასკნელ ეტაპზე, როდესაც აფრიკაში სოციალისტური სახელმწიფოს აღმოცენების შესაძლებლობა განსაკუთრებით აშკარად გამოიკვეთა. სწორედ ამან განაპირობა ძალთა პოლარიზაცია ანგოლას საკითხში როგორც მსოფლიო ასპარეზზე, ისე თვით აფრიკის კონტინენტზე. გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. სეკუ ტურე ჟურნალ „ჟენ აფრიკის" ფურცლებზე ამ წლის დასაწყისში წერდა: „დღეს ანგოლაში აფრიკის ბრძოლა მიმდინარეობს. ეს არის გამოცდა ყოველი ჩვენთაგანისათვის. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა განვსაზღვროთ ჩვენი პოზიცია, და ჩვენ ასეც მოვიქეცით... ვაცხადებთ, რომ, რამდენადაც საქმე აფრიკის პრობლემებს ეხება, არ შეგვიძლია ვიყოთ ერთ ბანაკში იან სმიტსა და ფორსტერთან, აფრიკაში აპარტჰეიდისა და კოლონიალისტური იმპერიალიზმის ამ დამცველებთან ერთად. ეს ბრძოლა, შესაძლოა, იყოს ხანგრძლივი და მძიმე, მაგრამ აფრიკა გაიმარჯვებს, რა საშუალებებსაც არ უნდა მიმართონ მის წინააღმდეგ"[13].

ანგოლელი ხალხის ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა და ამრიგად კიდევ უფრო შეიზღუდა კაპიტალისტური ქვეყნების ზეგავლენა აფრიკის კონტინენტზე, გაღრმავდა წინააღმდეგობანი დასავლეთის წამყვან ქვეყნებსა და განვითარებად სამყაროს შორის. ბურჟუაზიულ სამეცნიერო ლიტერატურაში და პრესაში ეს წინააღმდეგობანი წარმოდგენილია, როგორც **კონფრონტაცია** „ჩრდილოეთისა" (განვითარებული ქვეყნები) და „სამხრეთს" (განვითარებადი სახელმწიფოები) შორის, რასაც, სხვათა შორის, სავსებით შეესატყვისება ოპორტუნისტული თეორია „დიდ ქალაქსა" და „დიდ სოფელს" შორის. ამრიგად, ორივე ეს თვალსაზრისი უპირისპირდება მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებას და ჩქმალავს თანამედროვე მსოფლიოში არსებულ კლასობრივ წინააღმდეგობებს სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. არავითარი სოციალურ-ეკონომიურად ერთიანი „ჩრდილოეთი", „სამხრეთი" ან ე. წ. „მესამე სამყა-

---

[11] „The New York Times", 28.VII.1976.

[12] იხ. მაგალითად, რ. ჰ ო ლ ბ რ უ კ ი ს წერილი ჟურნალ „The Neusweek"-ში (1976 წლის 7 ივნისი).

[13] „La jeune Afrique", 22.XII.1975—11.I.1976.

რო“, ცხადია არ არსებობს[14]. ყოველი ამ ტერმინის ხმარება შეიძლება მხოლოდ პირობითად, გარკვეული პოლიტიკური სიტუაციის გააზრებისა და ახსნისათვის.

თუ მოვეშვებით იმპერიალისტური წრეების ტაქტიკურ მოსაზრებებსა და პროპაგანდისტულ ხერხებს, დავინახავთ, რომ დღეს განვითარებადი სამყარო, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის კონტინენტები გადაიქცა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ძალთა ჭიდილის უზარმაზარ ასპარეზად. უდავოა, აქ წყდება კაცობრიობის შემდგომი სოციალური პროგრესის ბედი. თუ ეს ასეა, კომუნისტებს აქვთ საფუძველი კმაყოფილებითა და იმედით შეხედონ მომავალს: სულ უფრო მეტი ხალხი ირჩევს სოციალისტური განვითარების გზას. სოციალისტურ ქვეყნებს ვვერდში ამოუდგა სოციალისტური ორიენტაციის სახელმწიფოები, ანტიკოლონიალისტური ძალები.

ამასთან დაკავშირებით, ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული შეერთებული შტატების გაღიზიანებული რეაქცია ძალთა თანაფარდობის შეცლაზე გაერთიანებული ერების შიგნითაც. იყო დრო, როდესაც ვაშინგტონი ნებისმიერ ვითარებაში იყენებდა „კენჭისყრის მანქანას“ საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად (მოვიგონოთ თუნდაც „ცისფერი კასკების“ შეჭრა კორეაში). ახლა ვითარება მკვეთრად შეიცვალა: ასზე მეტი სახელმწიფო (ძირითადად განვითარებადი) არა მარტო არ ემორჩილება ვაშინგტონს, არამედ წინააღმდეგობას უწევს მის პოლიტიკურ აქციებს. შეერთებული შტატების ოფიციალურ წრეებში ამას უწოდებენ „უმრავლესობის დიქტატურას“ (!), „მცირე სახელმწიფოთა თავხედობას“ და ა. შ. ვაშინგტონიდან და დასავლეთის ზოგიერთი სხვა დედაქალაქიდან იმუქრებიან, რომ ახალგაზრდა სახელმწიფოთა პოლიტიკა გამოიწვევს ეკონომიურ ქაოსს, დამღუპველი იქნება მსოფლიოსათვის. ცნობილ ფრანგ ეკონომისტს ედმონ დე კლერმონს მოჰყავს, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლის სიტყვები იმის შესახებ, რომ განვითარებად სახელმწი-

---

14 ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ თვით ბურჟუაზიულ სამყაროში ყოველთვის როდი ჯერდებიან მსოფლიოში ძალთა განლაგების ამ თავისებურ „ტრიადას“ („პირველი სამყარო“ — „მეორე სამყარო“ — „მესამე სამყარო“) ხშირად ლაპარაკობენ აგრეთვე ძალთა განლაგების „პენტაგონურ (ხუთქიმიან) სისტემაზე“. ასე მაგალითად, ამერიკულ ჟურნალ „ტაიმში“ („The Time“ 22.XII. 1975) დაიბეჭდა წერილი, რომლის ავტორი განვითარებად ქვეყნებს ყოფდა სამ ნაწილად (პირველ ორ სამყაროში, მისი აზრით, შედიან კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნები): ბუნებრივი რესურსებით მდიდარი, შედარებით განვითარებული ქვეყნები (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები; ზამბია, მაროკო, მალაიზია, ტაივანი, სინგაპური, სამხრეთ კორეა, მექსიკა და ბრაზილია). ქვეყნები, რომლებშიც უკვე ჩაისახა თანამედროვე ეკონომიური ინფრასტრუქტურა, მაგრამ დახმარების გარეშე არ შეუძლიათ შემდგომი განვითარება (პერუ, დომინიკანის რესპუბლიკა, ლიბერია, იორდანია, ეგვიპტე, ტაილანდი, გვინეა-ბისაუ); მუდმივ სიღატაკეზე განწირული, ბუნებრივი რესურსებითა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ღარიბი ქვეყნები (მალი, ჩადი, ეთიოპია, სომალი, რუანდა და ბანგლადეში). როგორც ვხედავთ, არავითარი ერთიანი კრიტერიუმი სახელმწიფოთა ამგვარი დანაწევრებისათვის არ არსებობს: თუ პირველი ორი სამყარო გამოყოფილია მათ შორის არსებული სოციალური სხვაობის მიხედვით, სამი დანარჩენის კლასიფიცირება ეყრდნობა ძირითადად ბუნებრივ სიმდიდრეებსა და ტექნიკურ აღჭურვილობას. ამას გარდა, თვით კაპიტალისტურ სამყაროში როდი არსებობს სრული ერთფეროვნება. სკკპ XXIV ყრილობაზე აღინიშნა, კაპიტალისტურ სამყაროში არსებულ წინააღმდეგობათა „სამკუთხედი“: აშშ — დასავლეთ ევროპა — იაპონია (იხ. ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, თბ., 1971 გვ. 20).

ფოებს (თუ, ცხადია, ისინი არ მიიღებენ დასავლეთის ფორმულას „თავისუფალი ვაჭრობის“ შესახებ) და მთელ მსოფლიოს „დირიჟისტული ექსპერიმენტების შედეგად ემუქრება ეკონომიური დაბლა“[15].

ამ მუქარას დღეისათვის არავითარი ეფექტი არ მოჰყოლია. ამიტომ ახლა მიმართავენ „ხელების ღრძობინების“ ახალ მეთოდს: ამერიკაში ისმის ხმები დახმარების შემცირებისა და შეწყვეტის შესაძლებლობის, იზოლაციონალიზმის აღორძინებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან გასვლის შესახებ, მაგრამ არც ამ ხერხმა გასჭრა. სამყარო საკმაოდ გულგრილად შეჰყურებს ამგვარ პოლიტიკურ ფსიქოზს.

უკანასკნელ წლებში ჩვენ გავხდით კიდევ ერთი ბურჟუაზიული მითის გაქარწყლების მოწმენი. მრავალი ათეული წლის მანძილზე დასავლეთში ამტკიცებდნენ, რომ კომუნისტური მოძრაობა ისახება, ვითარდება და წარმატებას აღწევს მხოლოდ იქ, სადაც არსებობს ჩამორჩენილობა და სიღატაკე. ამიტომ საკმარისია შეუქმნათ ხალხს ცხოვრების მეტ-ნაკლებად ნორმალური პირობები, რომ კომუნისტების გავლენა ნულამდე დავიდეს.

დასავლეთ ევროპაში დღეს მიმდინარე სოციალურმა ცვლილებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ამგვარ მტკიცებათა უსაფუძვლობა. როგორც ვიცით, მსოფლიოს ამ რაიონში საბოლოოდ წაიშალა ფაშიზმისა და ტოტალიტარიზმის უკანასკნელი ლაქები (საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი), დაიწყო სამხედრო ბლოკების ღრმა კრიზისი (რაც, სხვათა შორის, „ჩრდილოეთ-ატლანტიკის პაქტის სამხრეთი ფლანგის მოშლაში“ გამოიხატა), გაძლიერდა კლასობრივი ბრძოლები და არნახულად გაიზარდა კომუნისტების გავლენა, განსაკუთრებით იტალიაში, საფრანგეთსა და პორტუგალიაში. დღის წესრიგში დგას საკითხი კომუნისტების ქვეყნის ხელმძღვანელობაში უშუალოდ მონაწილეობის შესახებ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იტალიის დღევანდელი მთავრობა პრემიერ-მინისტრი ჯ. ანდრეოტის ხელმძღვანელობით არსებობს მხოლოდ კომუნისტების „ჩუმი თანხმობის“ შედეგად. შეიცვალა იტალიის კომპარტიის არა მარტო გავლენა და პარლამენტში მანდატების რიცხვი, არამედ დამოკიდებულება მისდამი იმ წრეებშიც კი, რომლებიც უშუალოდ მხარს არ უჭერენ კომუნისტებს. ასე მაგალითად, იტალიის მშრომელთა ქრისტიანული ასოციაციის თავმჯდომარემ დომენიკო როზატიმ არჩევნების შემდეგ განაცხადა: „...იტალიის კომპარტიის წარმატებანი აყენებენ ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას აუცილებლობის წინაშე — მეტად, ვიდრე წარსულში გაუწიონ ანგარიში კომუნისტებს როგორც საპარლამენტო, ისე საკანონმდებლო სფეროში“[16].

მაგრამ სხვაგვარად ფიქრობენ დასავლეთის ზოგიერთ დედაქალაქში. ვაშინგტონში ჟურნალისტებთან საუბრის დროს მიმდინარე წლის 17 ივლისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰელმუტ შმიდტმა განაცხადა, რომ დასავლეთის შვიდი ინდუსტრიული სახელმწიფოს ახლახან დამთავრებულ კონფერენციაზე პუერტო-რიკოში შეერთებულმა შტატებმა, დასავლეთ გერმანიამ, საფრანგეთმა და ინგლისმა მიაღწიეს არაოფიციალურ შეთანხმებას, უარი უთხრან იტალიას შემდგომ სესხებზე, თუ კომუნისტები უშუალოდ შევლენ მთავრობის შემადგენლობაში. ამერიკის ოფიციალურმა წრეებმა,

---

[15] იხ. Le monde diplomatique“, Dec. 1975.

[16] „Rinascita“, 2.VII.1976.

მართალია, არ დაადასტურეს შმიდტის განცხადების სისწორე, მაგრამ თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯ. კარლსონმა საკმაოდ არაორაზროვნად აღნიშნა: „მე არ დავიწყებ იმის უარყოფას, რაც თქვა კანცლერმა“[17].

სავსებით უდავოა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შინაგან საქმეებში უხეში ჩარევის ისეთ ფაქტთან, რომელმაც საზოგადოებრიობის ფართო წრეების უკმაყოფილება და პროტესტები გამოიწვია. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჟორჟ მარშემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „არსებითად ეს ნიშნავს ხელისუფლების შეცვლის პრინციპზე უარის თქმას. ეს არის უარის თქმა საყოველთაო კენჭისყრის პრინციპზე, ჟისკარ დ' ესტენმა კანცლერ ჰელმუტ შმიდტან და ინგლისელებთან ერთად, ამერიკის იმპერიალიზმის ეგიდით, მოაწყვეს შეთქმულება იტალიელი ხალხის წინააღმდეგ. მე ვიმეორებ, ეს დაუშვებელია. პატივი უნდა ვცეთ ხალხთა ნებასურვილს... ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში შეიცვალა. მშრომელები, დემოკრატები არ შეუშინდებიან შანტაჟის ცდებს. 1936 წელს საფრანგეთის ბურჟუაზიამ უკვე განაცხადა: სახალხო ფრონტს ჰიტლერი გვირჩევნიაო. მაგრამ ეს პერიოდი სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს“[18].

ცხადია, რომ იტალიის საშინაო საქმეებში ჩარევის ეს უხეში ცდა გასულ წელს ჰელსინკში მიღწეული შეთანხმების დარღვევაა, იგი აიხსნება იმით, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს, თვით პრეზიდენტ ჯ. ფორდისა და ჰ. კისინჯერის აღიარებით, წარმოადგენს ჩრდილოეთ-ატლანტიკის პაქტი, ის ვალდებულებანი, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა იკისრეს მოკავშირეების მიმართ. სულ ახლახან, 1976 წლის 21 ივლისს, თავის გამოსვლაში ცენტრალური კლუბის „როტარისა“ და სავაჭრო პალატის წევრთა წინაშე სიეტლში სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა განაცხადა, რომ „ამერიკის სიძლიერე მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და ჩვენი დიპლომატიის წარმატების აუცილებელი პირობაა“, ხოლო „ჩვენი კავშირები დასავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებთან წარმოადგენენ ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველსა და პირველხარისხოვან ამოცანას“[19].

ამრიგად, „იტალიის ინციდენტი“ ერთხელ კიდევ მოწმობს იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ დასავლეთში ადამიანთა უფლებებს, დემოკრატიასა და თავისუფლებაზე ლაპარაკი სჭირდებათ მხოლოდ მანამდე, სანამ საქმე უშუალოდ არ ეხება ბურჟუაზიის ბატონობას, მაგრამ საკმარისია ოდნავ მაინც შეეხოს დასავლეთის ქვეყნების სოციალურ საფუძვლებს, რომ ამოქმედდეს ბურჟუაზიის დიქტატურის სახელმწიფოებრივი მექანიზმი, რაც ნაკარნახევია კლასობრივი ინტერესებით.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის ნამდვილად „ჯვაროსნული ლაშქრობა“, რომელიც წამოიწყო ბურჟუაზიულმა პროპაგანდამ პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპის წინააღმდეგ. ამტკიცებენ, თითქოს პროლეტარიატის დიქტატურა ზღუდავს ადამიანთა უფლებებს, სპობს პოლიტიკურ თავისუფლებას, ქმნის ხელსაყრელ პირობებს დიქტატურის ჩამოყალიბებისათვის.

---

17 მასალები ჰ. შმიდტის ამ განცხადებისა და მასზე რეაქციის შესახებ იხ. „За рубежом“, № 30, 1976, გვ. 6.

18 „L'Humanité“, 30.VII.1976.

19 The New York Times“, 22.VII.1976.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს შეხედულება გაიზიარეს ზოგიერთ პროგრესულ წრეშიც[20].

ამ შეხედულების გამართლება იმით, თითქოს ბურჟუაზიის ბატონობის ამა თუ იმ პერიოდში წარმოიქმნება პირსისხლიანი პოლიტიკური დიქტატურა, რაც ამცირებს ტერმინ „დიქტატურის“ მნიშვნელობას, ვფიქრობთ, გაუმართლებელია, რადგანაც ცნება „პროლეტარიატის დიქტატურა“ — მეცნიერული ტერმინია, და იგი ასახავს პრინციპულად განსხვავებულ ვითარებას, პირველ რიგში ახლად წარმოქმნილი სოციალისტური საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების შეუქცევად ხასიათს და არა პოლიტიკურ სისტემას, კონსტიტუციურ რეჟიმსა და სახელმწიფოებრივ სტრუქტურას, რომელიც შეიძლება იყოს მეტ-ნაკლებად განსხვავებული. პროლეტარიატის დიქტატურის სისტემის შიგნით არსებობის პირველ პერიოდში, როდესაც კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებულად მწვავე ხასიათს ატარებს, შეიძლება ჰქონდეს ადგილი გარკვეულ პოლიტიკურ შეზღუდვებს ექსპლუატატორული კლასების მიმართ, მაგრამ მდგომარეობის სტაბილირების შემდეგ იხსნება ეს შეზღუდვანი და იქმნება შესაძლებლობა საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოზე გადასვლისათვის. ამავე დროს სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის ორივე ეტაპზე (პროლეტარიატის დიქტატურა — საყოველთაო-სახალხო სახელმწიფო) პოლიტიკური თავისუფლება მშრომელთა მასებისათვის აგებულია ეკონომიურ თანასწორობაზე (ყველა წევრის თანაბარი დამოკიდებულება საწარმოო ძალებისადმი) და ექსპლუატაციისაგან განთავისუფლებაზე.

ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან განსხვავებით, სადაც პოლიტიკური თავისუფლება ეყრდნობა კერძო საკუთრების უფლებას, სოციალისტურ საზოგადოებაში იგი წარმოადგენს საწარმოო ძალების სახალხო საკუთრებაში გადასვლის შედეგს. ამიტომ სრულ ეკონომიურ თავისუფლებასა და თანასწორობას სოციალიზმის დროს შეესატყვისება სოციალისტური დემოკრატიის განვითარების დონე, რომელიც არ შეიძლება უცვლელი რჩებოდეს დროთა განმავლობაში. იგი თანდათანობით ფართოვდება, უფრო სრულყოფილი ხდება ახალი საზოგადოების, მისი საწარმოო ძალების განვითარებასა და ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებასთან ერთად, ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოება. პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „კომუნისტური მშენებლობისათვის მთელი ჩვენი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყოველმხრივი განვითარება. საქმე ეხება სოციალისტური სახელმწიფოს სრულყოფას, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის გააქტიურებას“[21].

[20] იხ. „Cahiers du communism“, № 2—3, 1976, გვ. 44.

[21] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გვ. 112.

ყოველი კომუნისტური პარტია, ბუნებრივია, ითვალისწინებს საბჭოთა სახელმწიფოს თითქმის სამოცწლიან გამოცდილებას; ამავე დროს ეყრდნობა საკუთარი ქვეყნის ტრადიციებს, ისტორიასა და კულტურულ განვითარებას. მაგრამ, როგორც ევროპის კომუნისტური პარტიების ბერლინის თათბირზე აღინიშნა, ეს სხვაობანი სრულიადაც არ ჩრდილავენ იმ საერთო მიზანს, რომლისკენაც მიისწრაფვიან კომუნისტები და მათთან ერთად მთელი პროგრესული კაცობრიობა. ეს მიზანი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინ შორეული და მიუწვდომელი ჩანდა, ახლა, მთელ მსოფლიოში მომხდარი სოციალური ძვრების შედეგად, საკმაოდ მკაფიოდ გამოიხატა ჰორიზონტზე.

ეთერ ორჯონიკიძე

# ფულადი და ნატურალური გადასახადები და ფეოდალური რენტის ფორმები რეფორმამდელი ხანის საქართველოში

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ფეოდალური რენტის ფორმების შესახებ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ ცალკეული ფორმების ხვედრითი წონა საბოლოოდ დადგენილად ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს. ჯერჯერობით მკვლევართა უმრავლესობა რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობაში გადამწყვეტ მნიშვნელობას პროდუქტად და შრომით რენტას ანიჭებს, ფულადი რენტის როლს კი უმნიშვნელოდ მიიჩნევს. მაგალითად, მ. დუმბაძეს XIX ს-ის დამდეგისათვის დასავლეთ საქართველოს ფეოდალური რენტის საერთო მოცულობაში ფულადი რენტის ხვედრითი წონა 4%-მდე მიაჩნია, 30—40-იანი წლებისათვის მის ზრდას 11%-მდე ვარაუდობს[1]. მას სავსებით ეთანხმება ო. სოსელია, რომელსაც ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში, XIX ს-ის I ნახევარიც აქვს განხილული[2]. ფეოდალური რენტის ცალკეულ ფორმათა ხვედრითი წონის განსაზღვრას დიდი ყურადღება დაუთმო დ. გოგოლაძემ და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ XIX ს-ის ბატონყმური ხანის საქართველოს მთელ საადგილმამულო ურთიერთობაში გაბატონებული იყო შრომამიგებითი რენტა, მეორე ადგილზე იყო პროდუქტადი, ფულადი რენტას კი დიდად გაზრდის მიუხედავად იგი მესამე ადგილზე აყენებს[3]. უმნიშვნელოდ მიაჩნიათ ფულადი რენტის ხვედრითი წონა გ. აკოფაშვილსა[4] და ზ. ანჩაბაძეს[5]. მათგან განსხვავებულ შეხედულებას გამოთქვამს ა. ფანცხავა, რომელიც დიდძალი ფაქტიური მასალის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ XIX ს-ის 60-იანი წლებისათვის „აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კატეგორიის გლეხებისათვის ფულადი რენტა რენტის გაბატონებულ ფორმად იქცეოდა“[6].

ზემოთ ჩამოთვლილი მკვლევრების აზრით, XIX ს-ის დასაწყისისათვის კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა საქართველოში საყოველთაოდ იყო გაბატონებული ფულად-სასაქონლო ურთიერთობა კი ახლად იდგამდა ფეხს.

---

1 მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველო XIX ს-ის პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 93, 385.

2 ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966.

3 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, თბ., 1971, გვ. 171.

4 ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 121—168

5 З. В. А н ч а б а д з е, Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века, Тб., 1966.

6 А. Я. П а н ц х а в а, Вопросы аграрной истории Грузии первой половины XIX века, Тб., 1973, გვ. 299.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ფულადი რენტის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დონით დამკვიდრება, რაც განვითარებულ ფულად-სასაქონლო ურთიერთობის არსებობას გულისხმობს, გამორიცხული უნდა ყოფილიყო. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ახლად გამოვლენილი მასალების მოშველიებით გადმოვცეთ ჩვენი შეხედულება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებისა და ფეოდალური რენტის ფორმათა ხვედრითი წონის შესახებ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსულმა მმართველობამ, პირველ ხანებში, გლეხებისათვის გადასახადის გადახდის გასაადვილებლად ნება დართო მათ თუ კი მოისურვებდნენ პურადი გადასახადი: სურსათი, კოდისპური, პურადი მახტა, ყალანი — ფულით გადაეხადათ. მაგრამ სულ მალე მთავარმმართველ ციციანოვისათვის აშკარა გახდა, რომ პურადი გადასახადის ფულით შეცვლა ხელისუფლებისათვის ყოვლად მიუღებელი იქნებოდა, ვინაიდან პურადი გადასახადი იყო მთავარი წყარო ამიერკავკასიაში დაბანაკებული ჯარის გამოსაკვებად და არამც თუ მთლიანად ხმარდებოდა ამ საქმეს, არამედ საკმარისიც არ იყო. ხელისუფლებას მოსახლეობისაგან წინასწარ დაწესებულ დაბალ ფასებში პურის იძულებით შესყიდვისათვის უნდა მიემართა. ასეთ პირობებში პურადი გადასახადების ფულით შეცვლა მიზანშეწონილი არ აღმოჩნდა და მეფის მოხელეები გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს, რათა ეს გადასახადები კვლავ ნატურით ყოფილიყო აკრეფილი. ნება დართეს ფულით გადაეხადათ გადასახადები: სააღდგომო, საშობაო, ძღვენი, სამასპინძლო, საჩექმე, საქვრივო, გასამყრელო, ნაპადი, შევარდენი და სხვა შედარებით წვრილმანი პირადი ვალდებულებებიდან გამომდინარე ბატონყმური რიგის გადასახადები, რომლითაც სახელმწიფო გლეხები მეფის (ანუ „ბატონის“) და სახელმწიფოს სასარგებლოდ იბეგრებოდნენ. ასევე თავის სურვილის მიხედვით ფულით შეეძლოთ გადაეხადათ სახელმწიფო გლეხებს ის ძირითადი გადასახადები, რომლებიც პურით არ იკრიფებოდა (კულუხი, საბალახე). ნატურალური, კარჩაკეტილი მეურნეობის საყოველთაოდ ბატონობის პირობებში მწარმოებელი მოსახლეობისათვის, რომლის ნებასურვილზედაც დამოკიდებული იყო ზოგიერთი გადასახადის ფულით, თუ ნატურით გადახდა, რა თქმა უნდა, სახელმწიფოსთან ანგარიშსწორება ნატურით უფრო მიზანშეწონილი უნდა ყოფილიყო. ჩვენს ხელთ არსებული მასალა კი სავსებით საწინააღმდეგო მდგომარეობაზე მიუთითებს. ქვემოთ საილუსტრაციოდ მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს. როგორც სახაზინო ექსპედიციის დავთრებიდან ჩანს, 1802 წელს ყაზახის დისტანციის გლეხებს პურადი მახტის — 6500 კოდი პურის ნაცვლად გადაუხდიათ 4000 მანეთი[7]; კახეთის სოფელ ტოღნიანის გლეხები 1801 და 1802 წლებში პურისა და ღვინის გადასახადს იხდიან ფულით[8]; 1802 წელს სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხები „კოდის პურს“ იხდიან ნაწილობრივ მარცვლეულითა და ნაწილობრივ ფულით[9], 1803 წელს თელავის მაზრის სოფლების პატარძეულის, ბერთუბნის, კალაურის, შაშიანის, ქვემო ხოდაშენისა და მარტყოფის სახელმწიფო გლეხები „კულუხს“ ღვინის ნაცვლად ფულით იხდიან[10]; 1803 წელს სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხები მიმართავენ სახაზინო ექსპედიციას, რომ მათ ნება დართონ „სურსათი“, 4620 კოდი პური, გადაიხადონ ფულით, 4620 მა-

---

7 სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 28, ფურც. 161.
8 იქვე, ფურც. 313.
9 იქვე, ფურც. 104.
10 იქვე, საქ. 151, ფურც. 171—172.

ნეთის რაოდენობით, მაგრამ გადაჭრით უარს ღებულობენ[11]; ქალაქებში მცხოვრები სახელმწიფო გლეხები განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ, რომ ყოველგვარი გადასახადები ფულით გადაეხადათ, მაგრამ ქ. თბილისის სახელმწიფო გლეხებს ხაზინა ამის ნებას არ აძლევდა და მოითხოვდა პურადი გადასახადების აუცილებლად მარცვლეულით გადახდას. ქ. სიღნაღისა და თელავის გლეხებმა კი, როგორც ჩანს, მიაღწიეს იმას, რომ „სურსათსა“ და „კოდისპურს“, როგორც წესი, მარცვლეულის ნაცვლად ფულით იხდიდნენ. მაგ., 1802 წ. ქ. სიღნაღის გლეხებს 347 კოდი პურისა და 273 კოდი ქერის ნაცვლად გადაუხდიათ 483 მან. ვერცხლით[12]; 1803 წელს 273 კოდი ხორბლისა და 136 კოდი ქერის ნაცვლად ასევე გადაიხადეს ფული 246 მანეთი, 1804 წელს 347 კოდი პურის და 273 კოდი ქერის ნაცვლად 483 მანეთი, 1806 წელს 363 მანეთი[13]; ქ. თელავის გლეხებს 1805 წელს 296 კოდი პურისა და 148 კოდი ქერის ნაცვლად გადაუხდიათ 384 მანეთი[14]. 1806 წელს კი გადასახადის იმავე მუხლებისათვის ხაზინისათვის ჩაუბარებიათ 473 მანეთი[15]. სოფელ ენისელის ნაცვალის 1839 წლის განცხადებიდან ჩანს, რომ ქართველი მეფეებიდან მოყოლებული სოფ. ენისელის სახელმწიფო გლეხები „კულუხსა“ და „სურსათს“ ნატურის ნაცვლად ფულით იხდიდნენ. ასევე იმთავითვე ფულით იხდიდნენ „კულუხს“ ურიათუბნელი სახელმწიფო გლეხები 120 მანეთის რაოდენობით[16]. 1803 წელს ფამბაკის დისტანციის სახელმწიფო გლეხებს პურადი მახტის, 292 სამარი[17] ხორბლის, ნაცვლად გადაუხდიათ 1314[18] მანეთი, ასევე 1314 მანეთი გადაუხდიათ მათ 1804 წელსაც[19]. 1818 წლის საქმიდან კი ჩანს, რომ 1800-იანი წლებიდან მოყოლებული ფამბაკის დისტანციის სახელმწიფო გლეხები ყოველწლიურად პურად „მახტას“ იხდიდნენ ნაწილობრივ ფულით და ნაწილობრივ ნატურით. სახელდობრ, იხდიდნენ 4020 მანეთსა და 1500 კოდ პურს[20]. როგორც ვხედავთ, პურადი გადასახადის უმეტესი ნაწილი ფულით იყო გადახდილი; თელავის მაზრის კაპიტან ისპრავნიკის თულაშვილის 1806 წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ მას მაზრის სხვადასხვა სოფლების სახელმწიფო გლეხებიდან პროდუქტების ნაცვლად აუკრეფია 1048 მანეთი[21]. 1804 წელს ანანურის მაზრაში სახელმწიფო გლეხებმა „საბალახე“ ცხვრისა და ბატკნის ნაცვლად გადაიხადეს ფულით 506 მან[22]; 1808 წ. იგივე „საბალახე“ და „სააღდგომო“ გადახდილი იყო 219 მან., „კულუხი“ — 131 მან., „საქერივი“ — 330 მანეთი[23]; თუშები კი 1807—1808 წლებიდან მოყოლებული „საბალახეს“ როგორც წესი ფულით იხდიდნენ 1040 მანეთის რაოდენობით[24]. 1809—1810

11 სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 29, ფურც. 378.
12 იქვე, საქ. 67, ფურც. 148.
13 იქვე, საქ. 150, ფურც. 136.
14 სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 150, ფურც. 136.
15 იქვე, საქ. 150, ფურც. 167.
16 იქვე, ფ. 2, ან. 1, საქ. 511, ფურც. 7.
17 სამარი უდრიდა 9 ფუთს.
18 სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 28, ფურც. 73.
19 იქვე, საქ. 67, ფურც. 407.
20 იქვე, საქ. 521, ფურც. 602.
21 იქვე, საქ. 150, ფურც. 432.
22 იქვე, ფურც. 277.
23 ფ. 2, ან. 1, საქ. 175, ფურც. 132—133.
24 იქვე, ფ. 2, ან. 1, საქ 8269, ფურც. 3, 6.

წლების პურის დავალიანება თბილისის მაზრის სახელმწიფო გლეხებისაგან აკრიფეს ფულით 411 კოდი ხორბლის ნაცვლად 411 მანეთი[25]; 1818 წ. ბორჩალოს დისტანციის სოფ. მუღანლოს გლეხებს 2200 ლიტრი მარცვლეულის ნაცვლად გადაუხდიათ 660 მან., 1823 წელს კახეთის 24 სოფლიდან გადასახადი „კულუხი“ ხაზინამ აკრიფა 2717 მან[26]. უმთავრესად ფულით იღებდა გადასახადს ხაზინა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილე თავადაზნაურებისათვის ჩამორთმეული მამულებიდან. 1813—1817 წლებში ამ მამულებიდან შემოსავალი ხაზინამ მიიღო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბორჩალოს დისტანციიდან | 383 | მან. | და 24 | კოდი პური |
| თელავის მაზრიდან | 7293 | „ | „ 1174 | „ |
| გორის მაზრიდან | 339 | „ | „ 374 | „ |
| სიღნაღის მაზრიდან | 4500 | „ | | |

სულ 5 წლის განმავლობაში თავად-აზნაურობისათვის ჩამორთმეული ყმა-მამულიდან ხაზინამ მიიღო: 12518 მანეთი და 1472 კოდი პური[27]. ასევე უმთავრესად ფულით კრეფდა გადასახადებს ხაზინა უფლისწულებისათვის ჩამორთმეული ყმამამულიდან. 1816 წელს ქართლ-კახეთის ბაგრატიონების საგვარეულოს ყოფილი ყმამამულიდან მიღებული შემოსავალი 21290 მანეთს, 7642 კოდ ხორბალსა და 3136 კოდ ქერს შეადგენდა[28], 1838 წელს კი ქართლ-კახეთის ყოფილი მეფისა და მისი საგვარეულოს 7091 კომლ გლეხიდან 20751 მანეთი იყო აკრეფილი[29], იმერეთის სამეფო სახლის 879 კომლიდან კი 1969 მანეთი[30].

აქ ჩვენ სხვა მაგალითების მოტანას აღარ შევუდგებით, მხოლოდ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ საბუთზე. ეს არის ბორჩალოს მაზრის პრისტავის 1831 წლის მოხსენებითი ბარათი, სადაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ მაზრის მოსახლეობის ერთობლივი სურვილია პურადი გადასახადები „სურსათი“, „პურადი მახტა“ და „ღალა“ ფულით იხადონ და ხელისუფლებამ ამ გარემოებას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს და დააკმაყოფილოს მათი სურვილიო[31].

ჩვენი აზრით, ზემოთჩამოთვლილი მაგალითები სავსებით საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ XIX ს-ის დასაწყისისათვის საქართველოში კარჩაკეტილი მეურნეობის რღვევა დაწყებული იყო. როგორც დავინახეთ, სოფლის მწარმოებელი მოსახლეობა, სახელმწიფოსთან ფულით ანგარიშსწორებას ისეთ შემთხვევაშიც კი ცდილობდა, როდესაც მისგან კატეგორიულად მოითხოვდნენ მარცვლეულით გადახდას.

1818 წელს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ საეკლესიო რეფორმებთან დაკავშირებით საეკლესიო გლეხების ნატურალური გადასახადი, ღალა და კულუხი, ფულადი გადასახადით შეცვალა. ამ ფაქტის სა-

25 სცსსა, ფ, 254, ან. 1, საქ. 221, ფურც. 371.
26 იქვე, საქ. 563, ფურც. 222.
27 იქვე. ფ. 254, ან. 1, საქ. 480, ფურც. 2.
28 იქვე, ფ. 2, ან. 1, საქ. 496, ფურც. 30—39.
29 იქვე, ან. 2, საქ. 277, ფურც. 48.
30 იქვე.
31 იქვე, ფ. 254, ან. 1, საქ. 1236. ფურც. 73.

თანადრო შეფასება მოცემული აქვს ა. ფანცხავას[32], მაგრამ იგი ეხება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ საქართველოს შესახებ კი გაზიარებულია აზრი, რომ იმერეთში საეკლესიო გადასახადების კომუტაცია, საეკლესიო რეფორმებით გამოწვეული აჯანყების (1819—1820 წწ.) შედეგად, ვერ გატარდა. საეკლესიო გლეხები გადასახადებს საგლეხო რეფორმამდე ნატურით იხდიდნენ და მხოლოდ 1864 წელს შედგა პროექტი იმერეთ-გურიაში საეკლესიო ბეგარა-გადასახადების ფულადი გადასახადით შესაცვლელად[33]. ამ აზრის დასამტკიცებლად მოაქვთ 1865 წლის ქუთაისის გუბერნატორის მოხსენებითი ბარათი, სადაც ეს უკანასკნელი მეფისნაცვალს წერს, რომ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გლეხების ბეგარა-გადასახადები დღემდე ნატურალურ ხასიათს ატარებს და რომ 1864 წელს სასულიერო უწყებამ შეადგინა პროექტი მათი გადასახადების ფულზე გადასაყვანადო[34]. აღნიშნული საბუთის გაცნობის შემდეგ მკვლევარს თითქოს ეჭვიც კი აღარ უნდა შეეპაროს, რომ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო გლეხების ბეგარა-გადასახადების კომუტაცია არ გატარებულა, მაგრამ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ფონდში დაცული მასალების გულმოდგინედ შესწავლამ სულ სხვა სურათი წარმოგვიდგინა. ჩვენს ხელთაა იმერეთის საეკლესიო გლეხთა კამერალური აღწერა, შესრულებული 1825 წელს გენათელი არქიმანდრიტის ნიკოლოზის მიერ[35]. 1825 წლის აღწერის მიზანი იყო გამოევლინებინა საეკლესიო გლეხების კომლთა რიცხვის ზრდა 1820 წლის აღწერასთან შედარებით, რათა შესატყვისად გაეზარდათ გადასახადიც. აღწერაში დაწვრილებითაა მოცემული თითოეულ ეპარქიაში მცხოვრები საეკლესიო გლეხების კომლებისა და გადასახადების რაოდენობა 1820 წელს და 1825 წელს. აღწერიდან ჩანს, რომ იმერეთ-რაჭის საეკლესიო გლეხები ფულად გადასახადებს იხდიდნენ 1820 და 1825 წელსაც. კერძოდ, 1825 წელს აღწერილი 2288 კომლი საეკლესიო გლეხი დაბეგრილი იყო 11117 მანეთით[36]. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ აღწერის მიხედვით მტკიცება იმისა, რომ იმერეთში საეკლესიო გლეხები ფულად გადასახადზე იყვნენ გადაყვანილი და XIX ს-ის I ნახევრის მთელ მანძილზე ფულით იხდიდნენო გადასახადს, შეცდომა იქნებოდა, რადგან ადვილად შესაძლებელია, რომ ცხოვრებაში ამ აღწერის მონაცემები არ ყოფილიყო გატარებული. მაგრამ ჩვენ ამ აღწერის გარდა მივაკვლიეთ იმერეთის საეკლესიო ყმათა და მამულთაგან შემოსავლის უწყებებს 1827, 1840, 1841 და სხვა წლებისას[37]. უწყებათა ცალკეულ გრაფებში აღნიშნულია „საეკლესიო ყმათაგან შემოსასვლელი ხარკის თეთრის“ რაოდენობა, „პირისპირ მისსა შემოსულისა“ და „აუცილებლად დაშთომილი“ ფულის რაოდენობა. შესატყვისი წლების უწყებებიდან ჩანს, რომ 1827 წელს „სრულებით ხარკის თეთრი გლეხთაგან ითხოვეს იმერეთის მაზრისაჲ“, ანუ «оброчных по четырем округам Имеретии» უნდა შესულიყო 11 110 მანეთი, 1841 წელს კი 11121 მანეთი; „პირისპირ მისსა“ შემოვიდა 10576 და 10438 მანეთი; დავალიანება ორივე წელს სრულიად უმნიშვნელო —

---

[32] А. Панцхава, Вопросы аграрной истории Грузии первой половины XIX века.

[33] დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 154

[34] სცსსა, ფ. 220, ან. 1, საქ. 6, ფურც. 19—20.

[35] იქვე, ფ. 2, ან. 1, საქ. 1871.

[36] იქვე, ფურც. 13.

[37] იქვე, ფ. 489, ან. 1, საქ. 2648, 10128, 10127.

533[38] და 682 მანეთი დარჩა[39]. ამავე უწყებებიდან ჩანს, რომ საეკლესიო მიწებზე მოსახლე საბატონო და სახაზინო გლეხებიც კი ეკლესიას როგორც წესი ფულით უსწორებდნენ ანგარიშს. ჩვენს ხელთ არსებული საბუთები იმასაც კი მოწმობს, რომ რიგ შემთხვევებში ფულადი გადასახადის გადახდით გლეხები უფრო იყვნენ დაინტერესებული, ვიდრე ეკლესია. მაგალითად, სოფელ მოწამეთის 20 კომლი საეკლესიო გლეხის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისადმი 1853 წელს მიმართულ თხოვნაში წერია, რომ „ვიდრემდის იქნებოდა იმერეთსა შინა საეკლესიო ყმათადმი დაწესებული ხარკის ფულის გადასახადი, მანამდის ვითარცა ჩვენ, თანასწორ სხვანიცა საეკლესიო ყმანი, ვაძლევდით საეკლესიო ბეგარასა ხორაგით: გარნა უმაღლესის ნებით განწესდა რა საეკლესიო ყმათადმი არა ძლევაჲ ხორაგისა, არამედ ფულად, საეკლესიო ხარკი თანასწორ სხვათა საეკლესიო ყმათა ჩვენზედაცა შემოწერილ იქნა ფულად; გარნა წინამძღვართა მოწამეთის მონასტრისათა ჩვენდამი შესახვედრი ხარკის ფული შეაქვთ საეკლესიოდ თავიანთის საკუთრებისაგან და ჩვენ გვაიწროებენ და მიაქვთ უწინდელისამებრ ბეგრად ხორაგი, რომლით ვართ შეყენებულნი ფრიადსა მწუხარებასა და სიგლახაკესა შინა, თუმცა ზოგად იმერეთსა შინა საეკლესიო ყმათა ხდებათ განწესებული ფული, ნაგრამ ჩვენ ვართ დატევებულნი იმავე უბედურებასა და რა მიზეზის, ანუ რა შეცოდებისათვის არა უწყით. თუმცა ამა საგანსა ზედა არა ერთგზის შევჩივლეთ აქაურს სასულიერო მთავრობასა, რათა ჩვენც თანასწორ სხვათა საეკლესიო ყმათა გარდაგვეხადა ჩვენზედ შემოწერილი და დაწესებული ხარკი ფულად და არა ხორაგით... ნაცვლად კმაყოფილებისა მოიწერენ სახორციელო მთავრობისადმი დასჯისათვის ჩვენისა და ჩამოგვართვეს პოდპისკანი, რათა რომ აღარ გავბედოთ ამასთანასა ზედა ჩივილი და ძლივს განვერიდეთ როზგით დასჯისაგან“[40].

მოტანილი მასალიდან აშკარაა, რომ 1818 წლის საეკლესიო გადასახადების კომუტაცია დასავლეთ საქართველოშიც გატარებულა და რაჭა-იმერეთის საეკლესიო გლეხები XIX ს-ის მთელ მანძილზე ეკლესიასთან ანგარიშსწორებას ფულით აწარმოებდნენ. მაგრამ იმის გამო, რომ 1818 წლის შემდეგ სასულიერო უწყებას გადასახადების მოწესრიგებაზე აღარ უზრუნია, ნატურალური გადასახადი დარჩათ გურიის საეკლესიო გლეხებს (რომელიც რუსეთმა 1829 წელს შემოიერთა) და სამეგრელოს საეკლესიო გლეხების ნაწილს[41]. გუბერნატორის ზემოთ დასახელებულ მოხსენებაში ნახსენები პროექტი სწორედ გურიისა და სამეგრელოს საეკლესიო გლეხების ფულად გადასახადზე გადაყვანითა და საერთოდ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გლეხების ახალი აღწერის საჭიროებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული და არა იმით, რომ დასავლეთ საქართველოს მთელი საეკლესიო გლეხობა ნატურალურ გადასახადს იხდიდა (ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, თუ როგორ შემოწმებას მოითხოვს გუბერნატორების მიერ მოწოდებული ცნობები. წინააღმდეგ შემთხვევაში მათმა უკრიტიკოდ გამოყენებამ შეიძლება ლაფსუსებამდე მიგვიყვანოს).

---

38 სცსსა, ფ. 489, ან. 1, საქ. 2648, ფურც. 8.

39 იქვე, საქ. 10127.

40 იქვე, ფ. 489, ან. 1, საქ. 15528, ფურც. 3.

41 სამეგრელოს საეკლესიო გლეხების დიდი ნაწილი, კერძოდ ჭყონდიდის საეპისკოპოსოს გლეხები, ჯერ კიდევ სამთავროს გაუქმებამდე, ეკატერინემ გადაიყვანა ფულად გადასახადზე.

1818 წელს გატარებული ღონისძიების შედეგად ფულადი რენტა გაბატონდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ყმების ბეგარა-გადასახადებში.

1824 წელს რუსეთის ხელისუფლებამ იმერეთის სახელმწიფო გლეხების კომლობრივი ნატურალური გადასახადის ნაცვლად დააწესა სულადობრივი ფულადი გადასახადი. 1840 წლიდან ნატურალური სახელმწიფო გადასახადები გურიაშიც ფულადი გადასახადით შეცვალეს. 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისისათვის აღმოსავლეთ საქართველოში პურადი გადასახადის გარდა ყველა სახელმწიფო გადასახადი ფულადი გადასახადის ნუსხაში იყო შეტანილი და როგორც წესი ფულით იკრიფებოდა. როგორც ვხედავთ, საფინანსო რეფორმის გატარების წინ ფულადი გადასახადები საქართველოში იშვიათ მოვლენას როდი წარმოადგენდა, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (საეკლესიო გლეხები, დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხები და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხები) ფულით იყო დაბეგრილი. ასეთ პირობებში სახელმწიფო გადასახადების შემდგომი კომუტაცია ზევიდან მოხვეულ ნაადრევ ღონისძიებას კი არ წარმოადგენდა, არამედ პირიქით ადგილობრივი პირობებით უფრო იყო გამოწვეული და რუსეთის ხელისუფლება XIX ს-ის I მესამედში მარცვლეულის აღებით რომ არ ყოფილიყო დაინტერესებული, მისი გატარება უფრო ადრეც იქნებოდა შესაძლებელი.

როგორც ცნობილია, 1843—1845 წლების საფინანსო რეფორმით, სახელმწიფო გლეხების გადასახადებში საბოლოოდ მოისპო პროდუქტადი რენტა და მთელი საქართველოს სახელმწიფო გლეხების გადასახადები, საეკლესიო და საბატონო გლეხების სახელმწიფო გადასახადები მთლიანად ფულით შეიცვალა.

საეკლესიო და სახელმწიფო გლეხების პროდუქტადი რენტის ფულად რენტად გარდაქმნა ქვეყნის ეკონომიურ დაწინაურებაზე მიუთითებდა, ვინაიდან, როგორც კ. მარქსი გვასწავლის, ეს „— გარდაქმნა შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის განსაზღვრული განვითარების გარეშე—“ განუხორციელებელია და თუ ქვეყანა განვითარების გარკვეულ დონემდე არ არის მისული, მხოლოდ სახელმწიფო ღონისძიებით გატარებული გარდაქმნა, დიდხანს ვერ ინარჩუნებს თავის არსებობას და ხდება უკან დაბრუნება ნატურალური რენტისაკენ[42].

რაც შეეხება ფულადი რენტის ადგილს საბატონო გლეხთა გადასახადებში, მათი ძირითადი გადასახადები იყო ღალა და კულუხი, რომელთაც ისინი ნატურით — მარცვლეულითა და ღვინით იხდიდნენ. ჯერ კიდევ XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში შეინიშნება ამ გამოსაღების პროდუქტების ნაცვლად ფულით აკრეფის შემთხვევები. მაგალითად, მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობაში ღალა და კულუხი ზოგჯერ ფულად სახეს ღებულობს და, რაც მთავარია, ეს უპირატესად გლეხის სურვილით ხდება[43]. ფულით იხდის ამ ძირითად გადასახადებს XIX ს-ის დასაწყისში კახეთის საბატონო გლეხების ნაწილი. ნ. ნაცვლიშვილის გამოანგარიშებით, კახეთის 513 კომლ საბატონო

[42] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II გვ. 419, 1959.

[43] გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, ფულადი საბატონო გადასახადები XVIII ს-ის დამლევსა და XIX ს-ის დამდეგის საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1963, გვ. 100—102.

გლეხიდან 277 კომლი ღალისა და კულუხის ნაცვლად იხდის ფულად გადასახადს 631 მანეთს. 164 კომლი კი იხდის ნატურით[44]. იმავე კახეთში 1805 წელს სიღნაღის მაზრის სოფ. ზიარის 5 კომლი საბატონო ყმა მემამულე დიმიტრი აბაშიძეს შრომითა და ფულით 23 მანეთით უსწორდებოდა[45]. 40-იანი წლებისათვის სოფელ შილდის ყმა გლეხები თავად გურგენიძეს ფულად გადასახადებს უხდიდნენ 15-დან 20 მანეთამდე[46]. როგორც 1841 წლის დავით ამილახვრის ყმა-მამულის აღწერიდან ჩანს, სოფელ ფხვენისში მცხოვრები 6 კომლი გლეხი ღალისა და კულუხის ნაცვლად ბატონს უხდიდა ფულს კოდ ხორბალში 1 მანეთს და კოკა ტკბილის ნაცვლად მანეთნახევარს[47]. ასეთი საბუთების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ როგორც მასალებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, ძირითადად ფულზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მებატონეები მეორეხარისხოვანი, პირადი ვალდებულებიდან გამომდინარე ბატონყმობის რიგის გამოსაღებების ხარჯზე ახდენდნენ. XIX ს-ის მთელი I ნახევრის განმავლობაში თავადაზნაურობა ფუფუნების საგნებზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გადასახადებს საჩექმეს, ფულის ერთდროულად გაწერას, საქვრივოს, საქორწილოს და სხვა, რომლებიც ფულით იკრიფებოდა და რომელთა მოცულობაც ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ დადგენილი არ იყო, განუსაზღვრელად ზრდიდა. მაგალითად, 1835—1836 წლებში იმერეთის მმართველი ატყობინებდა ბარონ როზენს, რომ მეტისმეტად გახშირდა გლეხთა საჩივრები მათი ქალიშვილების გათხოვებისას 20 მანეთით და მეტი თანხით დაბეგვრის გამო[48]. 1838 წელს გორის მაზრის სოფ. აბისში მცხოვრებ საბატონო ყმა თამაზ ირემაძისა და მისი ნათესავებისათვის სულ 6 კომლი გლეხისათვის ამირეჯიბებს 100 მანეთის გადახდა შეუწერიათ. ვინაიდან გლეხებმა გადასახადის ასაკრეფად მოსულ მოხელეებს წინააღმდეგობა გაუწიეს და უარი თქვეს ფულის გადახდაზე, მოხელემ მათ გადასახადის ანგარიშში მუშა პირუტყვი წაართვა. ირემაძისა და მისი ნათესავების საჩივარზე კი გორის მაზრის უფროსი პასუხობდა, რომ მემამულის ვალის დასაფარავად გადასახადის ასეთი ერთდროული გაწერა ჩვეულებრივი მოვლენა არის და რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში თანხა ირემაძეებისათვის ძნელად გადასახდელი არ არის, მათი საჩივარი მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებულიო. საქმის გაცნობის შემდეგ მთავარმმართველი სავსებით დაეთანხმა მაზრის უფროსის გადაწყვეტილებას[49]. იმავე მაზრის მებატონეს ფალავანდიშვილს თავის ებრაელ ყმებზე ყოველწლიურად გაწერილი ჰქონია საკმაოდ დიდი თანხის გადახდა, კერძოდ დათია მარდახაშვილზე 50 მანეთი, აბრამ იოსებაშვილზე 40 მანეთი, ვ. იოსებაშვილზე 30 მანეთი, ციცე ისრელაშვილზე 30 მანეთი, ელო ბატოშვილზე 25 მანეთი და სხვ[50]. დასასრულ იმის საილუსტრაციოდ თუ რა უსაზღვროდ შეეძლოთ გაეზარდათ ბატონებს ფულადი გადასახადი მოვიტანთ შემდეგ საბუთს: 1831

---

44 ნ. ნაცვლიშვილი, ქართველი თავადაზნაურობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა საქართველოში (XIX ს-ის I მესამედში), კრებული: ახალი ისტორიის საკითხები, II, 1975, გვ. 61.

45 სცსსა, ფ. 2, ან. I, საქ. 181, ფურც. 8—9.

46 იქვე, ფ. 16, საქ. 6774, ფურც. 77—78.

47 იქვე, ფ. 2, ან. 1, საქ. 6044, ფურც. 25—34.

48 იქვე, ფ. 2, ან. 1, საქ. 3971, ფურც. 2

49 იქვე, ფ. 2, ან. 1, საქ. 5606, ფურც. 1—13.

50 იქვე, ფ. 214, საქ. 1502, ფურც. 28, 35.

წელს იმერეთის სოფ. კორბოულის 20 კომლმა საბატონო ყმამ უჩივლა თავად როსტომ წერეთელს, რომელმაც თავის ძმისწულებისათვის მზითვად მისაცემი 30 000 მანეთის ვერცხლით გადახდა ჩვენ შემოგვაწერა და თითოეულს 60 მანეთიდან 100 მანეთამდე გვახდევინებს, რაც ჩვენ შეძლებას აღემატება[51]. როგორც გაირკვა, როსტომ წერეთელს მართლაც აღნიშნული მთელი თანხის, აკრეფა თავის გლეხებში ჰქონია განზრახული. მას ეს ფული 6 წლის მანძილზე გაუნაწილებია, სათანადო ნუსხაც შეუდგენია და 2000 მანეთი უკვე შეუგროვებია კიდეც. იმავე საქმეში მეორე საჩივარიც არის თავად ბერი წერეთელზე. ბერი წერეთელსაც თავის ვალების გადასახდელად საჭირო თანხა ამავე გლეხებზე გაუნაწილებია. გლეხების ენერგიული პროტესტი რომ არა, ადგილობრივ ხელისუფლებას შეიძლება ყურადღება არც კი მიექცია ამ საჩივრებისათვის, მაგრამ სოფ. კორბოულის გლეხობამ ეკლესიაში თავშეყრისას შეჰფიცა ერთმანეთს, რომ არ შეასრულებდნენ ბატონების ამ უსაზღვროდ გაზრდილ მოთხოვნებს და ერთმანეთს დაუჭერდნენ მხარს. გლეხობის დასაწყნარებლად ჯარისკაცთა ასეულის გაგზავნაც კი გახდა საჭირო. მართალია, იმერეთის მმართველმა წერეთლებს აუკრძალა გლეხებისათვის ასეთი უზომო მოთხოვნილებების წაყენება, მაგრამ, მეორე მხრივ, გლეხებიც მკაცრად დასაჯა. ამბოხების მოთავე 34 კაცი ცოტახნით დააპატიმრეს და გაროზგეს კიდეც[52].

როგორც ვხედავთ, საბატონო გლეხთა გადასახადებშიც ფულადი რენტა თანდათანობით იკიდებდა ფეხს, მაგრამ მისი მასობრივი კომუტაცია არ მომხდარა. საბატონო მეურნეობებში ფულადი რენტა ნატურალურის გვერდით არსებობდა. რენტის თითოეული ფორმის ზუსტი მოცულობის დადგენა არ ხერხდება, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ფულადი რენტის წონის ზრდის მიუხედავად საბატონო მეურნეობაში 40-იანი წლებისათვისაც წამყვანი ადგილი ნატურალურს — პროდუქტადსა და შრომით რენტას უჭირავს. სულ სხვა მდგომარეობაა ამ მხრივ მთელი საქართველოს მასშტაბით საადგილმამულო ურთიერთობაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დ. გოგოლაძე აქაც პირველ ადგილზე შრომით და პროდუქტად რენტას აყენებს. „მაგრამ — წერს იგი, ჩვენ თუ ავიღებთ საერთოდ რენტას XIX ს-ის ბატონყმური ხანის საქართველოს მთელ საადგილმამულო ურთიერთობებში, ღრმა დაკვირვებების შედეგად დავრწმუნდებით, რომ მოცემულ ხანაში რენტის სახეებს შორის( შრომითი, ნატურალური, ფულადი) გაბატონებული იყო ნატურალური და შრომამიგებითი რენტა...“[53].

პროდუქტადი და ფულადი რენტის ხვედრითი წონის გასარკვევად და შესადარებლად მას ფულად ექვივალენტში გადაჰყავს საბატონო გლეხების პროდუქტადი რენტა (გულისხმობს რა თითოეულ კომლზე საშუალოდ 15 მანეთით დაბეგვრას) და იმის გამო, რომ მისი რაოდენობა დიდად აჭარბებს სახელმწიფო და საეკლესიო გლეხების ფულად გადასახადებს, პროდუქტადი რენტის უპირატესობას აღიარებს. მაგრამ ეს მეთოდი ძირშივე მცდარია. ის გარემოება, რომ საბატონო გლეხები უფრო მეტად იყვნენ დაბეგრილი, ვიდრე სახელმწიფო და საეკლესიო, პროდუქტადი რენტის ბატონობაზე როდი მიუთითებს. მთავარია პროდუქტადი და ფულადი რენტის გადამხდელი გლეხების კომლთა

51 სცსსა, ფ. 2, ან. 1, საქ 2712, ფურც. 1.

52 იქვე, ფურც. 24, 25.

53 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

რაოდენობის შედარება. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, 1818 წლიდან საეკლესიო გლეხები მთლიანად გადაყვანილი იყვნენ ფულად რენტაზე. 1845 წლიდან სახელმწიფო გლეხებში ასევე საბოლოოდ გაძევებული იყო პროდუქტადი რენტა. საეკლესიო და სახელმწიფო გლეხების რაოდენობა კი ამ დროისათვის 72 413 კომლს შეადგენდა, საბატონო გლეხებისა 41 397 კომლს. საბატონო გლეხებში ფულადი რენტის არსებობა სავსებით რომ გამოვრიცხოთ, რაც, რა თქმა უნდა, აბსურდია, მაინც ამ დროისათვის მთელი ბატონყმური საქართველოს საადგილმამულო ურთიერთობაში პროდუქტად რენტასთან შედარებით ფულადი რენტის ბატონობა უდავოა, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო გაცილებით უფრო მეტი ფართობის მიწებს ფლობდა, ვიდრე საბატონო ყმები. მაგალითად, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში საბოტონო გლეხებს მფლობელობაში ჰქონდათ 84 655 დესეტინა ყოველგვარი მიწა, სახელმწიფო და საეკლესიო გლეხებს კი დაახლოებით 10-ჯერ უფრო მეტი — 842 636 დესეტინა. ე. ი. დაახლოებით 10-ჯერ უფრო დიდი ფართობის მიწის რენტა ფულით იკრიფებოდა.

რაც შეეხება შრომამიგებით რენტას, საბატონო მეურნეობაში მას საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა. გლეხი ვალდებული იყო მოეხნა, დაეთესა და მოერწყა მემამულის მიწები, აელო და მემამულის ბეღლებში დაებინავებინა ჭირნახული, გაესხლა, დაებარა ვენახი, ვაზებისათვის გამოეცვალა სარები, დაეკრიფა, დაეწურა ყურძენი, გარეცხილ ქვევრებში ჩაესხა ღვინო და სხვ. როგორც თავად დავით ამილახვრის ყმა-მამულის აღწერიდან ჩანს, მისი 6 კომლი გლეხიდან, ყველაზე უფრო მძიმედ დაბეგრილი კომლი შემდეგ გადასახადებს იხდიდა:

**სოსია ემმაკურაშვილი, რომელსაც 2 ვენახი, 2 დღიური ნაფუზარი და 29 დღიური სარწყავი მიწა ჰქონდა ბატონს უხდიდა:**

| | |
|---|---|
| 1. ღალის ნაცვლად 1 კოდ ხორბალში 1 მანეთს, 15 კოდში . . | 15 მან. |
| 2. 5 კოდი ქერის ნაცვლად . . . . . . . . | 3 მან. |
| 3. 7 კოდი კულუხის ნაცვლად . . . . . . . . | 10 მან. 50 კაპ. |
| 4. საშობაოს . . . . . . . . . . | 2 მან, |
| 5. ძღვენს . . . . . . . . . . | 1 მან, 60 კაპ. |
| 6. მარხვაში 1/2 კოდ ლობიოს და 1 ლიტრ კაკალს . . . . | 60 კაპ. |
| 7. ყველიერში 1/2 ლიტრა კარაქსა და 20 კვერცხს . . . . | 1 მან. 60 კაპ. |
| 8. 8 ქათამსა და 6 წიწილას . . . . . . . | 1 მან. 60 კაპ. |
| 9. მოჰქონდა ყოველ თვე თითო ურემი შეშა . . . . . | 6 მან. |
| 10. 3 დღე თაეის გუთნით ხნავდა ბატონის მიწას . . . . | 4 მან. 50 კაპ. |
| 11. 4 დღე რწყავდა მოხნულ მიწას . . . . . . . | 80 კაპ |
| 12. 2 დღე თესავდა და ფოცხავდა . . . . . . . | 2 მან. |
| 13. 4 დღე მკიდა . . . . . . . . . . | 80 კაპ. |
| 14. 3 დღე მინდვრიდან ძნებს ზიდავდა თაეის ურმით . . . . | 2 მან. 40 კაპ. |
| 15. 15 დღე უღელი ხარით და ერთი დამხმარე კაცით ლეწავდა . | 9 მან |
| 16. 3 დღე ვენახში ეზიდებოდა სარებს, 2 დღე ვენახში თიბავდა . | 3 მან |
| 17. 2 დღე ვაზს სხლავდა . . . . . . . . . . | 40 კაპ, |
| 18. 1 დღე ვენახში ბალახს ცელავდა . . . . . . . . | 20 კაპ. |
| 19. 1 დღე ვენახსა რწყავდა . . . . . . . . | 20 კაპ.[54] |

დანარჩენი 5 კომლიც მცირე განსხვავებით დაახლოებით ასევე იყო დაბეგრილი. ამ გლეხების ბეგარა-გადასახადები ფულად ექვივალენტზე რომ გადავიყვანოთ და რენტის სახეობათა მიხედვით დავაჯგუფოთ, დავინახავთ, რომ იმ მრავალგვარი სამუშაოების მიუხედავად, რომლებიც გლეხებს ემართათ, პირველ ადგილზე მაინც ფულადი რენტა მოდის (32 მანეთი და 10

54 სცსსა, ფ. 2, ან. 1, საქ. 6044, ფურც. 25, 30, 31.

კაპ). მას შრომამიგებითი რენტა მოყვება (29 მან. 30 კაპ). ეს იმიტომ მოხდა, რომ ყმაგლეხები უმთავრესად ისეთ მარტივ სამუშაოს ასრულებდნენ, რომლის დღიური ფასი 20—50 კაპიკს არ აღემატებოდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამუშაო დღეების რაოდენობა 40-მდე აღწევდა, აქედან 32 დღის ფასი 50 კაპ. არ აღემატებოდა. უფრო მეტი იყო ყმაგლეხის სავალდებულო სამუშაო დღეების რიცხვი კახეთში, სადაც მეურნეობის წამყვანი დარგი მევენახეობა იყო, რომლის მოვლა-პატრონობა გამუდმებულ მუშაობას საჭიროებდა. მაგალითად, სოფელ რუისპირში მცხოვრები 6 კომლი გლეხი თავად ტონიკე მაყაშვილს შემდეგ გადასახადს უხდიდა: სამი კომლი, რომელთაც 2—2 ვენახი და 15—10 დღიური სახნავი მიწა ჰქონდათ, თითოეული ბატონს უხდიდა: 2 საპალნე ღვინოს, 100 დღე მუშაობდა ბატონის მეურნეობაში, 3 დღე თავის გუთნით ხნავდა ბატონის მიწას და ძღვენს იხდიდა წელიწადში 2 მანეთს. მეორე სამი კომლი იხდიდა თითოეული: 1 საპალნე ღვინოს, ბატონის მეურნეობაში მუშაობდა 90 დღე, 3 დღე საკუთარი გუთნით ხნავდა ბატონის მიწას და ძღვენს იხდიდა 2 მან.[55] 100 და 90 დღე ბატონის მეურნეობაში მუშაობა ნიშნავს, რომ ამ გლეხებს თითქმის მთელი თავისი სამუშაო დრო ბატონის მეურნეობაში უნდა ჰქონოდათ დაკავებული. მაგრამ იმავე საბუთში წერია, რომ ეს გლეხები ვალდებული იყვნენ ან 100—90 დღე ემუშავათ, ან 20 კაპიკი გადაეხადათ დღეში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, გლეხები მუშაობის ნაცვლად ფულს უხდიდნენ ბატონს, ვინაიდან მათ 1837 წ. ბატონის ყმა-მამულის საჯაროდ გაყიდვის დროს მოახერხეს და გამოისყიდეს თავი, პირველმა სამმა კომლმა თითოეულმა ბატონისათვის 462 მანეთის გადახდით და მეორე სამმა კომლმა 342 მანეთის გადახდით. რა თქმა უნდა, ეს გლეხები ფულად-სასაქონლო ურთიერთობაში რომ არ ყოფილიყვნენ ჩაბმული, ამ თანხის დაგროვებასა და თავის გამოსყიდვას ვერ მოახერხებდნენ.

მრავალგვარი საქმიანობის მიუხედავად ყმაგლეხის შრომა მთლიანად ბატონის ნებასურვილზე როდი იყო დამოკიდებული, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, არამედ ჩვეულებებით და ტრადიციით ერთგვარად რეგლამენტირებულიც კი იყო. მაგალითად, ბატონს თავის საკუთარ ვენახში მუდმივი სამუშაოების შესასრულებლად აუცილებლად უნდა ჰყოლოდა ორისამი დაქირავებული მეზვრე. დაქირავებული მებაღეების რაოდენობა, ჩვეულებრივ, ვენახის ფართობით განისაზღვრებოდა. ყმაგლეხის შრომა, კი სეზონური სამუშაოებისათვის, შემოდგომასა და გაზაფხულზე უნდა გამოეყენებინა. ვენახის პატრონი ვალდებული იყო სეზონური სამუშაოების დროს ვენახში მომუშავე ყმაგლეხის კვება თავის ხარჯზე უზრუნველეყო. ვენახებში მუშაობის ეს წესი რომ იყო გავრცელებული საქართველოში, კარგად ჩანს მეფის საგვარეულოს წევრების, ან აჯანყებული თავადებისათვის ჩამორთმეული ვენახების იჯარით გაცემის დროს დადებული ხელშეკრულებებიდან. ვენახის იჯარით გაცემის ყველა ხელშეკრულებაში იყო სპეციალური მუხლი, რომლითაც ადრინდელი ჩვეულებების თანახმად, გათვალისწინებული იყო იჯარადარის მიერ მეზვრეების დაქირავება და ვენახებში მომუშავე ყმაგლეხების კვებით უზრუნველყოფა[56].

მაშასადამე, ბატონის მეურნეობაში ყველა სამუშაო ყმის უფასო შრომით კი არ სრულდებოდა, არამედ მუდმივი სამუშაოებისათვის მუშახელს ქი-

[55] სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. 151, ფურც. 76—85.

[56] იხ. სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 565, ფურც. 912, ფ. 489; ან. 1, საქ. 1699, ფურც. 4.

რაობდნენ, ყმის შრომას კი სეზონურად იყენებდნენ. გარდა ამისა ხშირად გლეხს შეეძლო ბეგარის ნაცვლად ბატონისათვის ფულადი საფასური გადაეხადა.

საეკლესიო და სახელმწიფო გლეხების მეურნეობაში შრომამიგებას დიდი ადგილი არ უნდა ჰქონოდა, ვინაიდან, როგორც ი. ანთელავა აღნიშნავს, მათი შრომის გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ მცირერიცხოვან სახაზინო და საეკლესიო ვენახებსა და წისქვილებში. საგზაო სამუშაოებსა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყვანას, რომლითაც ეს უკანასკნელნი უმოწყალოდ იყვნენ დაბეგრილი, იგი სახელმწიფოსაგან ფეოდალურ დამოკიდებულებაში მყოფი ყმის ვალდებულებად კი არ მიიჩნევს, არამედ იმპერიის ქვეშევრდომთა გადასახადად თვლის, რასაც რენტასთან არავითარი კავშირი არა აქვს[57].

მართალია სახელმწიფო და საეკლესიო გლეხების ბეგარა-გადასახადების კომუტაციის დროს ოფიციალურად შრომითი რენტის გადაყვანა ფულზე არ მომხდარა, მაგრამ როგორც საბუთებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, სტიქიურად მისი ფულად რენტად გარდაქმნის პროცესი განუწყვეტლივ მიმდინარეობდა.

1818 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა სახაზინო ვენახები, ხეხილის ბაღები, სავენახე ადგილები, ბოსტნები და სხვა, თუ კი მსურველი აღმოჩნდებოდა, გაეყიდა, ვინაიდან იჯარით მათი გაცემის შედეგად სახელმწიფო მოგების ნაცვლად ზარალს ნახულობსო. მაზრის უფროსებს დაევალათ შეეკრიბათ ცნობები, რომელ სახაზინო ვენახს, რომელი სოფლის მოსახლეები ამუშავებდნენ, ფულად ექვივალენტში გადაეყვანათ თითოეული მათგანის შრომა და ამ ვენახის გაყიდვის შემთხვევაში ეს ბეგარა გლეხისათვის ფულით შეეცვალათ[58]. შეკრიბა თუ არა ხაზინამ ასეთი ცნობები, არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, რომ სახაზინო ვენახის გაყიდვის შემთხვევაში მის დამმუშავებელ გლეხებს შრომითი რენტა ფულით ეცვლებოდათ.

1819 წელს ველისციხის სახაზინო ვენახი, რომელიც წელიწადში 700 მანეთად იყო იჯარით გაცემული, ხელისუფლებამ ალექსანდრე ჭავჭავაძეს აჩუქა, ველისციხელ მოსახლეობას კი, რომლებიც ამიერიდან ამ ვენახის მოვლის სამუშაოებიდან თავისუფლდებოდნენ, წელიწადში 400 მანეთის გადახდა დაავალა[59]. როგორც მერმინდელი საგადასახადო ნუსხებიდან ჩანს, ველისციხელები ბოლომდე იხდიდნენ ამ გადასახადს. იმავე 1819 წელს რუსეთის ხელისუფლებამ პოლკოვნიკ იოსებ ბებუთოვს ერთგული სამსახურისათვის მანავის დიდი სახაზინო ვენახი უწყალობა, რის შედეგადაც მანავის სახელმწიფო გლეხებზე დადებული ბეგარა უქმდებოდა. ბებუთოვი პირდებოდა ხაზინას, რომ ამიერიდან ამ ვენახისათვის საჭირო ყველა სამუშაოს დაქირავებული მუშახელის საშუალებით შეასრულებდა[60].

1823 წლისათვის უკვე 10 სახაზინო ვენახი იყო გაყიდული. ფაქტია ყველა ამ ვენახის დამუშავება ამიერიდან დაქირავებული შრომით უნდა მომხდარიყო,

---

57 И. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. I, Тб., 1969, გვ. 347—348.

58 სცსსა, ფ. 254, აწ. 1, საქ. 607, ფურც. 19.

59 იქვე, ფ. 254, აწ. 1, საქ. 565, ფურც. 904—912

60 იქვე, ფ. 254, აწ. 1, საქ. 608, ფურც. 378—379.

იმ სახელმწიფო გლეხებს კი, რომელთაც ამ ვენახების დამუშავება ემართათ, მუშაობის ნაცვლად ხაზინაში ფული უნდა ეხადათ. სახელდობრ რამდენს იხდიდნენ ისინი, საქმიდან არ ჩანს, მაგრამ რადგანაც თითქმის ყველა ვენახი საკმაოდ დიდი იყო, ფულადი გადასახადიც მნიშვნელოვანი იქნებოდა. გარდა ამისა, 1842 წ. ფულადი გადასახადის ნუსხიდან ჩანს, რომ მუღანლუსა და ქოლაგირის თათრები სახელმწიფო მინდვრებზე მარცვლეულის დათესვის ნაცვლად ხაზინას 350 მანეთს უხდიდნენ[61]. ასევე მცხეთის საეკლესიო გლეხები 1834 წლიდან მცხეთის საეკლესიო ვენახის დამუშავების ნაცვლად 50 მანეთს იხდიდნენ[62].

ჩვენს ხელთ არსებული საქმიდან ირკვევა, რომ საეკლესიო გლეხები პროდუქტადი გადასახადების კომუტაციის შედეგად ზოგიერთი სამუშაოსაგან განთავისუფლებულან. მაგ., 1844 წ. იჯარადარ ანდრია ჩხუბიანიშვილს, სოსია ნაცარიშვილს და მოქ. იაკობ იაგოროვს, რომელთაც ეკლესიისაგან მდ. ალაზანში თევზის ჭერა ჰქონიათ იჯარით აღებული, საეკლესიო სოფლების ახატელისა და ვარდისუბნის მოსახლეობისათვის მოუთხოვიათ მდ. ალაზანში ფაცერების ჩადგმა, მაგრამ მათ უარი განაცხადეს რადგანაც „რაც საეკლესიო გამოსაღები თეთრი შეგვსწერდა, მაშინ ამგვარი დებულების მუშაობისაგან თავისუფალი შევიქმენით და არც აქამომდე აღარ ჩაგვიდგამსო“[63].

როგორც ვხედავთ, შრომამიგებითი რენტის თანდათანობითი კომუტაცია განუწყვეტლივ მიმდინარეობდა და ფეოდალური რენტის ამ სახეობას 40-იანი წლების საქართველოს საადგილმამულო ურთიერთობაში არც თუ ისე დიდი ადგილი უნდა სჭეროდა, როგორსაც მას ზოგიერთი მკვლევარი ანიჭებს.

XIX ს-ის 40-იანი წლებისათვის ფულადი რენტა მნიშვნელოვანი მოცულობით იყო შეჭრილი საიჯარო ურთიერთობაშიც. ეკლესიის საშემოსავლო უწყისებიდან ჩანს, რომ 1818 წლიდან, საეკლესიო გლეხების ბეგარა-გადასახადების კომუტაციის შემდეგ, როგორც წესი, თავისუფალი საეკლესიო მიწება მხოლოდ ფულად იჯარაზე გაიცემოდა, ეკლესია კი საკმაოდ მსხვილი მიწათმფლობელი იყო[64]. ასევე 1818 წლიდან ხაზინამაც გადაწყვიტა თავისუფალი მიწები უპირატესად ფულად იჯარაზე გაეცა და ამ გადაწყვეტილებას ატარებდა კიდეც ცხოვრებაში[65]. კერძო მიწათმფლობელების მხრიდანაც იყო მიწების ფულად იჯარაზე გაცემის შემთხვევები. ასე რომ, საიჯარო ურთიერთობაში ფულადი რენტის დომინირება ეჭვს არ უნდა იწვევდეს[66]. აქვე თუ გავიხსენებთ, რომ სახელმწიფო და საეკლესიო გლეხების მეურნეობაში პროდუქტადი რენტა საბოლოოდ იყო აღმოფხვრილი და ფულადი გაბატონებული, რომ იგი საბატონო ყმაგლეხების მეურნეობაშიც იყო შეჭრილი და შრომამიგებითი რენტის კომუტაციაც განუწყვეტლივ მიმდინარეობდა, ვფიქრობთ, სრული სა-

61 სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. 1960.

62 იქვე, ფ. 489, ან. 1, საქ. 14960, ფურც. 2.

63 იქვე, ფ. 501, ან. 1, საქ. 82, ფურც. 53.

64 იქვე, ფ. 489, ან. 1, საქ. 10135, 11574 და სხვა.

65 იქვე, ფ. 254, ან. 1, საქ. 520, ფურც. 482—485.

66 უფრო დაწვრილებით საქართველოში ფულადი იჯარის გავრცელების შესახებ სპეციალურ წერილში გვექნება მსჯელობა.

ფუძეელი იქმნება იმისათვის, რომ XIX ს-ის 40-იანი წლების საქართველოს მთელ საადგილმამულო ურთიერთობაში ფულადი რენტის გაბატონებული მდგომარეობა ვაღიაროთ. ფეოდალური რენტის ამ უმაღლესი სახეობის ბატონობა კი გარდა იმისა, რომ ქვეყნის დაწინაურებაზე მიუთითებდა, მის შემდგომ ეკონომიურ პროგრესს აქტიურად უწყობდა ხელს და მთელი წარმოების წესის ცვლილებებს იწვევდა[67].

[67] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 418—419.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილებამ

А. И. БОЛТУНОВА

# АРГОНАВТЫ И КОЛХИДА*

В ряде работ по истории Колхиды, вышедших за последнее время, мы неоднократно встречаемся с использованием легенды об аргонавтах как источника информации о событиях древнейшего прошлого Колхиды: речь идет о посещении ахейскими мореходами берегов Колхиды во второй половине II тысячелетия до н. э. и об отражении в мифическом сказании реальной картины колхидского царства того времени, поразившего воображение ахейцев. В этой связи позволим себе напомнить насколько сложна и деликатна задача использования мифов как исторического источника. Необходимо прежде всего точно датировать отдельные детали и версии мифов, исследовать историческую обстановку, в которой возникло и развивалось сказание, и иметь возможность опереться на хорошо разработанную и твердо установленную историю литературной традиции о мифе как таковом. Еще М. И. Ростовцев писал: «огромное значение имело бы проследить, как отдельные мифы, чуждые в своей основе новой далекой стране, выросшие на совершенно другой почве, перекочевывают на берега Черного Моря, сплетаются здесь с местными верованиями и культами, переплетаются между собой, обогащаются все новыми чертами в связи с развитием эллинства и, наконец, дают тот пышный венец мифов, который для греков сплетается с историей и действительностью и глубоко внедряется в их сознание»[1].

Начало исследования мифа об аргонавтах и истории его литературной обработки было положено еще трудами Кирхгоффа и Виламовица; работа эта продолжается и в настоящее время.

Основные циклы греческой мифологии сложились, как известно, значительно раньше возникновения греческой письменности. Основу же сказания об аргонавтах составляет древняя фессалийская легенда, сюжет которой сохранил нам Ферекид[2]. Легенда рассказывает о царе Пелии, несправедливо лишившем своего сводного брата Эсона царского престола в Иолке, и о сыне Эсона Ясоне, от руки которого Пелию была предсказана гибель (по этой-то причине Пелию нужно было избавиться от Ясона). Эта легенда была скомбинирована с беотийской легендой об орхоменском царевиче Фриксе, спасшемся от заклания на алтаре в качестве жертвы Зевсу Лафистию; Фриксу удалось бежать на златорунном баране.

Не вызывает никакого сомнения, что в основе сказания об аргонавтах лежат древнейшие культовые легенды, созданные греками еще до

---

* Доклад, прочитанный на Всесоюзной научной конференции «Античные, византийские и местные традиции в странах Восточного Причерноморья», Тбилиси, 27 мая 1975 г.

[1] М. И. Ростовцев, Новая книга о Белом Острове и Таврике, ИАК, вып. 65 (1918), стр. 178.

[2] Schol. ad. Pind. Pyth. IV 133.

троянской войны, а может быть и гораздо раньше. Легенда о Пелии, Эсоне и сыне Эсона Ясоне, как и легенда о Фриксе, и о человеческих жертвоприношениях Зевсу Лафистию восходит к мифам, с которыми была связана практика древнейших культовых ритуалов в Фессалии. Там, на западном берегу Пагасейского залива, в городе Гале засвидетельствован древнейший обряд жертвоприношения героя[3], в то время как в Орхомене, с которым обычно связывают легенду о Фриксе, о подобном обряде не известно.

Мотив путешествия Ясона и других героев на корабле Арго за золотым руном логически связан со злым поступком Пелия в отношении брата и затем — со стремлением избавиться от Ясона, то есть относится к той же древнейшей фессалийской версии сказания. Но время, когда сказочная страна, где хранилось золотое руно, была эллинами отождествлена с Колхидой, еще требует выяснения.

Образ Ясона, как считают исследователи, восходит к какому-то древнему фессалийскому божеству[4]. Что же касается Медеи, то возникновение ее образа вообще не имеет связи с фессалийским циклом. Образ ее, наделенный чертами волшебницы, был перенесен в далекую сказочную страну далеко не на начальной стадии создания саги. Изображение Медеи в коринфской версии легенды приводит к выводу о существовании древнейшего доэллинского культа Медеи, культа, занесенного вероятно из Фракии и существовавшего в Коринфе как культ растительных сил природы, культ великой богини Матери-Земли. Образ Медеи, хоронившей заживо своих детей в святилище Геры[5], чрезвычайно архаичен, он отражает культ умирающей и воскресающей природы. Эта Медея была известна коринфянам намного раньше, чем до них дошла легенда об аргонавтах.

Мотив плавания Арго в далекую сказочную страну мог быть навеян рассказами о пиратских путешествиях ахейских мореходов, подобных тем, о которых так живо рассказывает Фукидид[6]. Но вопрос в том, относился ли рассказ о плавании Арго с самого начала к восточным берегам Понта. И отражает ли миф в своей древнейшей версии действительно реальное знакомство ахейцев с Колхидой.

Слова Фукидида относительно роли морского пиратства и грабежей в ту отдаленную эпоху никакого отношения к Черному Морю не имеют. В указанном тексте Фукидида характеризуется обстановка лишь на Эгейском Море. Что же касается цитаты из Эратосфена, приведенной Страбоном[7], о том, что древнейшие народы с целью грабежа и торговли не пускались в открытое море, а держались берега, «как Ясон», то это еще не значит, что речь шла о плавании по Черному Морю, а слова Эратосфена: «в древности никто не решался плавать ни в Евксин, ни возле Ливии, Сирии и Киликии», свидетельствуют скорее против представлений о плаваниях ахейцев в Черном Море.

Первоначально сюжеты легенд о Фриксе и о Ясоне, тесно связанные с местными культовыми представлениями, по-видимому, вообще не отрывались от почвы Эллады. Но позже, когда в легенду о Пелии и Ясоне было включено приказание Пелия Ясону не только принести зо-

---

[3] Hdt., VII 197.

[4] E. Will, Korinthiaca, Recherches sur l'histoire et la civilisation de Corinthe des origines aux guerres médiques. Paris, 1955, стр. 124, прим. 1.

[5] Pausan. Desser. Gr. II 3, 10—11.

[6] Thuc., I 5—7.

[7] Strab., I 3, 2.

лотое руно, но и привести с собою душу Фрикса, подвиг Ясона неизбежно должен был быть перенесен за пределы реального мира и окружения обычных людей в неведомую сказочную страну, где обитали сверхъестественные существа, в страну Αἶα.

Для выяснения того, как и когда мифическое сказание, созданное на почве Эллады, оказалось перенесенным на берега Понта, обратимся к наиболее ранним упоминаниям в греческой литературе персонажей и эпизодов сказания об аргонавтах. Ряд эпизодов Аргонавтики был включен в «Одиссею» при описании приключений Одиссея на море: Скилла и Харибда, сирены, лестригоны, остров Тринакрия. В эпизоде с Планктами прямо говорится о «всеми воспеваемом» корабле Арго[8]. Автору «Одиссеи» был известен Айет[9] и сестра его, волшебница Кирка[10], фессалийский царь Пелий[11], его сводный брат Эсон — отец Ясона[12], а в «Илиаде» упоминается и сын Ясона и Гипсипилы, Эвней, рожденный на Лемносе[13]. Айет — центральная фигура «страны золотого руна», в «Одиссее» упомянут вне всякой связи с Колхидой и со своим царством, которое никак не локализовано и вообще не названо. Не ясна и локализация острова Αἰαία, где обитала сестра Айета Кирка: то ли на северо-западе, севернее лестригонов, то ли на крайнем востоке, там, «где в жилище туманнорожденные Эос легкие Оры ведут хороводы, где Гелиос всходит»[14]. Где лежала Αἶα? Название Αἶα пытаются связывать с Кавказом (Аia — бог земледелия, имя которого сохранилось у сванов; божество Аia у урартов). Однако в Аргонавтике словом Αἶα обозначена страна, а не божество. Поэтому возможно и другое объяснение, при котором следует исходить из того, что Αἶα — слово греческое и означает просто «страну», «землю» вообще. Именно в этом нарицательном смысле встречаем мы слово αἶα у Гомера. У него оно всегда стоит в конце стиха и употребляется вместо γαῖα только там, где этого требует метрика[15]. Это очень древняя эпическая форма употреблялась также трагиками[16] и в прозе — у Геродота[17]. Сочтем ли мы правомерным такое объяснение названия страны Αἶα, или будем пытаться толковать его как местное, кавказское, бесспорно одно — имя Айета было образовано от названия страны Αἶα, а не наоборот, что справедливо отметил еще Стефан Византийский[18].

Возможно, что в самом начале, когда мотив путешествия еще только включался в легенду, неизвестная волшебная страна, где хранилось золотое руно (цель путешествия Ясона), еще не имела имени и упоминалась просто как «страна», то есть αἶα, и лишь позже это название приобрело значение имени собственного, а затем было ассоциировано с Колхидой. Такое значение очень прозрачно выступает у Геродота: Αἶα Κολχίς страна Колхида.

---

[8] Od. XII 70—72.

[9] Od. X 137; XII 70.

[10] Od. IX 31; X 135—136.

[11] Od. XI 251.

[12] Od. XI 259.

[13] Il. VII 468.

[14] Od. XII 3.

[15] Il., XXIII 742; II 162; Od IV 521.

[16] Aisch. Pers. 59: ἄνθος Περσίδος αἴας; Soph. El. 95: βάρβαρον αἶαν; Eur. And. 51; Δελφῶν καὶ αἶαν.

[17] Hdt., I 2; VII 193, 197: Αἶα Κολχίς.

[18] Steph. Byz. s. v. Αἶα.

В ту эпоху, когда создавались поэмы Гомера, Аргонавтика, как цельная поэма, по-видимому, не была оформлена[19]. В стадии обработки были отдельные эпические сказания о морских приключениях, ставшие тогда очень популярными в связи с развитием мореплавания. В «Одиссее», в эпизоде с Планктами, прямо говорится о «всеми воспеваемом» πασιμέλουσα корабле Арго[20]. Эти сказания сопоставлялись, развивались, обогащались новыми географическими открытиями.

В «Илиаде» упомянуты реки Сангарий и Парфений[21], страна Пафлагония[22], племена киконов[23] и энетов[24], Алиба — страна ализонов[25]. Все это как будто бы указывает, что ахейским грекам ко времени троянской войны были уже знакомы южные берега Понта. Родословные героев Аргонавтики, зафиксированные в гомеровских поэмах, для некоторых наших современников служат поводом для вывода, что в саге об аргонавтах речь идет о реальных плаваниях ахейских мореходов в Понт, к берегам Колхиды, осуществлявшихся за одно поколение до троянской войны.

Относительно точной даты создания «Илиады» и «Одиссеи» пока еще нет вполне установленной единой точки зрения. Наиболее приемлемой датировкой основного, созданного Гомером, ядра этих поэм большинство считает середину или вторую половину VIII в. до н. э. Таким образом, «догомеровская стадия» обработки гомеровского эпоса «Илиады», зародившегося в позднемикенской Греции, длилась примерно четыре столетия, считая от предполагаемых реальных событий троянской войны до сведения эпических песен в единую стройную поэму.

Однако упоминание в «Илиаде» ряда гидронимов и этнонимов северного побережья Малой Азии еще не свидетельствует, что данные сведения восходят непременно к микенской эпохе, так как некоторые части эпоса в основных чертах могли сложиться немногим раньше середины VIII в. Это значительно отдаляет гомеровскую информацию о Малой Азии от микенской эпохи, не говоря уже о том, что пополнение и обработка «Иллиады» продолжалась не только в VIII—VII вв., но и позже[26]. Мнения о так называемом «троянском каталоге» расходятся[27]. Г. А. Меликишвили, в частности, считает, что доказательства микенского происхождения «троянского каталога» малоубедительны и в некоторых сведениях, например об ализонах и Алибе, он видит соответствие реальным данным урартских надписей VII в. до н. э.[28].

[19] Л. А. Ельницкий, Знания древних о северных странах, М., 1961, стр. 8.

[20] Od., XII 70—72.

[21] Il., XVI 719 и II 854.

[22] Il., II 851; V 577.

[23] Il., II 846; Od IX 39 сл.

[24] Il., II 852.

[25] Il., II 857.

[26] Поэмы древнейших эпических циклов, существовавших еще до Гомера, вероятно, записаны не были. Поэмы самого Гомера, составляющие первоначальное ядро „Илиады“ и „Одиссеи“ и создающие стиль этих поэм, наиболее правомерно датировать серединой VIII в. Вначале „Илиада“ и „Одиссея“ были короче и размеров, известных нам теперь, они достигли лишь в VI в. до н. э.

[27] Так Д. Пейдж (D. Page, History and Homeric Iliad. Berkeley and Los-Angeles, 1957, стр. 137) относит его к микенской эпохе, а В. Бурр (V. Burr, Neon Katalogas, Leipzig, 1944, стр. 56) считает, что он содержит сведения, дополненные милетскими колонистами.

[28] Г. А. Меликишвили, К изучению древней восточномалоазийской топонимики, ВДИ, 1962, № 1, стр. 56.

Поскольку общеизвестно, что плавания греческих мореходов по Черному Морю до Колхиды осуществлялись вдоль южного берега, знакомство греков с малоазийским побережьем должно было предшествовать посещению ими Колхиды.

Вопрос об основании Синопы подробно рассмотрен М. И. Максимовой. Выводы ее таковы: 1. Рассказ о первом поселении греков в Синопе (фессалиец Автолик, уплывший позже в Колхиду с Аргонавтами) носит мифический характер. 2. Второе заселение Синопы произошло в первой половине VIII в., когда там поселился милетянин Хабронда, погибший при вторжении киммерийцев (это сведение Псевдо-Скимна М. И. Максимова считает достоверным). 3. Основание милетской апойкии Синопы Кретином в 631 г. — прочно засвидетельствованный факт. Ко второй половине VII в. до н. э. относит М. И. Максимова и основание Амиса[29].

Никаких реальных данных, подтверждающих присутствие ахейских мореходов на южном и юговосточном берегах Понта, нет пока и в археологическом материале. Найденные при хищнических раскопках на городище Амиса глиняный ритон и фигурка барана с граффито, которые А. Эванс предположительно истолковал как минойское линейное письмо «А», Дж. Пендльбери и М. И. Максимова не считают возможным относить к микенской эпохе и строить на них исторические выводы[30].

Мало помогают в освещении этого вопроса и так называемые «субмикенские фибулы». Этого типа фибулы были широко распространены в XII—X вв. не только в Греции (Аттика, Беотия, Фессалия, Эпир), но и на территории современной Югославии, в Подунавии и на Кавказе, особенно — на центральном Кавказе, (Северная Осетия, Казбек, Мцхета и другие места). По мнению Б. А. Куфтина наличие таких фибул на Кавказе говорит о наличии прямых морских связей с греческим микенским миром[31]. Но в настоящее время занесение прототипа «субмикенской фибулы» на Кавказ из Греции вызывает большие сомнения. В свете новейших советских исследований быстрое и широкое распространение этих фибул на Кавказе, как раз вдали от береговой полосы, говорит скорее о их самостоятельном появлении на Кавказе. Таким образом, ни упоминание в «Илиаде» рек и племен северного побережья Малой Азии, ни археологические материалы не могут подтвердить проникновение в Понт ахейских мореходов.

Страна киммерийцев, как она изображена в «Одиссее», была вечно покрыта туманами и лишена солнечного света; она лежала далеко на севере, далее входа в подземное царство[32]. Совершенно очевидно, что о стране, где жили киммерийцы, в поэме говорится как о стране грекам неведомой и никогда ими не посещавшейся. Сами киммерийцы, о которых автор поэмы знал скорее всего по их выступлениям в Малой Азии, в «Одиссее» никак не фигурируют.

---

[29] М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М.-Л., 1956, стр. 31—52, 64.

[30] Дж. Пендльбери, Археология Крита, М., 1950, стр. 244; М. И. Максимова, Указ. соч., стр. 41, прим. 2.

[31] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941, стр. 72; Его же, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, ВГМГ II—В, 1944, стр. 316.

[32] Od., XI 14 сл.

Упоминание в «Илиаде» о сыне Ясона и Гипсипилы, Эвнее, на острове Лемносе[33] связано, по всей вероятности, с тем этапом разработки сюжета Аргонавтики, когда плавания ахейцев на северо-восток ограничивались еще только пределами Эгейского Моря.

Еще Мимнерм (конец VII — начало VI в. до н. э.) отразил неясные древние представления о владениях Айета, наделив его сказочный город чертами, очень похожими на остров Кирки Αἰαία: «...город Айета, где лежат лучи быстрого Гелиоса в золотом чертоге близ Океана, куда удалился божественный Ясон»[34].

Таким образом, все упоминаемые у Гомера и Мимнерма персонажи и эпизоды, относящиеся к сюжету Аргонавтики, и к стране, которая являлась целью путешествия Ясона, говорят о том, что в представлении эллинов мир, в котором протекало действие легенды, был миром сказки, а действующие лица были сверхъестественными существами, героями этой сказки.

В Феогонии, приписываемой Гесиоду, упоминаются все основные действующие лица Аргонавтики: туда включены не только Айет и Кирка, но и Медея, уже как дочь Айета, подвиги Эсонида (Ясона), на которые его послал Пелий, бегство Ясона с Медеей[35], то есть полностью отработанный сюжет Аргонавтики. Отсутствие упоминания о том, где происходили эти события, позволяет предполагать, что либо слушателям поэмы это было ясно, либо, что более вероятно, солнечная страна Айета и у автора Феогонии еще не ассоциировалась четко с долиной Фасиса, хотя река Фасис и упомянута в Феогонии, правда без связи со страной Айета[36]. Все это позволяет предполагать, что и в то время Колхида была еще почти совсем не знакома грекам. Она рисовалась в их воображении где-то далеко на крайнем Востоке, «где кораблям последний бег»[37] и откуда восходит Гелиос. Это была все еще страна сказки, воображение эллинов связывало ее с мифическими представлениями о боге солнца Гелиосе, о великой хтонической богине и населяло ее фантастическими существами. Такой страна Айета рисовалась в воображении первых греческих мореходов, проникавших в Понт и плывших далее на Восток.

Самое раннее известное нам упоминание названия «Колхида» мы находим у коринфского поэта Евмела. От поэмы Евмела сохранились лишь незначительные отрывки[38] и краткое ее резюме у Павсания[39]. Евмел использовал древнее фессалийское предание, обогащенное открытиями припонтийских стран, и расширил содержание легенды, прибавив к нему начало и конец. Айет, персонаж совершенно негреческий, оказался, однако, оторванным от Колхиды и связанным с Грецией: Айету, согласно Евмелу, досталась во владение от его отца Гелиоса страна Эфира, но получив от оракула совет основать в Колхиде город и назвать его своим именем, он удалился в Колхиду. Это начало, прибавленное к поэме, логически связано с расширением его конца по этиологическим соображениям: Медея теперь дочь Айета и его наследница, будучи коринфянкой должна была вернуться в Коринф как в свое родо-

[33] Il., VII 469.

[34] Mimnerm. fr. 11.

[35] Hesiod., Theog. 992—999.

[36] Hesiod., Theog. 340.

[37] Strab., XI 2, 16.

[38] Schol. ad. Pind. Ol. XIII 75.

[39] Pausan. II 3, 10—11.

вое владение, хотя древняя легенда о Медее существовала в Коринфе намного раньше создания легенды о плавании корабля Арго.

Архаичность образа Медеи связывает его с древнейшими хтоническими культами, к которым относится ритуал κατα κρύπτεια,[40].

В коринфской версии важны две детали: 1. поэту уже была известна конкретная страна, называвшаяся Колхидой; 2. оракул дает совет основать в этой стране город — Айет поселился там и стал царствовать.

В то время, к которому традиция относит жизнь Евмела, Αἶα представлялась уже конкретной страной, Колхидой, долиной Фасиса, и в этой стране можно было основать колонию (идеология колонизации). Однако время жизни Евмела, согласно традиции — вторая половина VIII в. до н. э., вызывает сомнения, также как и датировка стихов, извлеченных якобы из его поэмы: или традиция неверна и Евмел жил не в VIII, а в VII в., или традиция правильна, но Korinthiaca написана не Евмелом, а каким-то другим, более поздним автором[41]. Однако то обстоятельство, что на рубеже VIII—VII вв. (время жизни Гесиода) мы встречаем первое реальное сведение о Колхиде, заставляет предполагать, что к этому времени уже можно относить первые посещения эллинами фантастической страны солнечного восхода. Только тогда, когда царство Айета в представлении эллинов оказалось связанным с долиной Фасиса, которую они уже знали, оно обрело для них значение реальности, перестало быть сказочной страной и персонажи мифа приобрели значение исторических лиц.

Для освещения вопроса о возможности связать древнейшие версии мифа о плавании аргонавтов с возможностью реальных путешествий ахейских мореходов в Понт серьезное значение имеют результаты исследований крупного американского ученого Р. Карпентера. Этот исследователь убедительно показал, что проход кораблей через Дарданеллы стал возможным лишь с того времени, когда были сконструированы пентеконтеры, то есть не ранее конца VIII или начала VII в. до н. э.[24]. Это совпадает с датой появления первых следов посещения эллинами берегов Понта, а затем и возникновения там первых эллинских поселений. Примерно с этого времени название Αἶα в греческой традиции заменяется названием Κολχίς, а древнее мифологическое название Αἶα сохраняется в произведениях, представляющих лишь дальнейшую литературную обработку сказания с включением все новых подробностей, или упоминается в исторических трудах древних ученых, трактующих мифы с целью связать легендарную Αἶα с реальной страной Колхидой, как это пытался делать Геродот. В сознании этого писателя, как и его современников, отдаленное прошлое было гораздо более живым, чем недавно минувшие века и поколения, и мифические персонажи для эллинов V в. до н. э. были более реальны, чем исторические личности предшествующего века. «Мифические герои вновь появлялись на религиозных праздниках, в трагедиях и хоровых песнях, соединяя через поколения людей современность с богами и видя в героях прошлого и даже во многих героях тогдашней современности потомков богов. И все это серьезно и совершенно искренне»[43].

---

[40] Согласно коринфской версии легенды, сохраненной Павсанием, каждого родившегося ребенка Медея несла в святилище Геры и там погребала заживо, чтобы сделать их таким образом бессмертными. Ed. Will. Korinthiaca, стр. 88—99.

[41] Указ соч., стр. 127—129.

[42] Rhys Carpenter. The Greek penetration on the Black Sea. A. J. A. LII, 1948, стр. 1 сл.

[43] M. I. Finley. The Use and Abuse of history. New-York 1975, стр. 13.

И если сказание об аргонавтах действительно отражает в какой-то степени реальные контакты греков с населением Колхиды, то эти контакты относятся уже не к тем легендарным временам, когда создавалось первоначальное ядро мифа, а ко времени значительно более позднему — не ранее конца VIII в. до н. э., когда эллинам стало известно юго-восточное побережье Черного Моря. К концу VII в. там появились первые греческие фактории[44], и лишь по мере более интенсивных связей и более близкого ознакомления со страной и возможностями создания там поселений, была выведена к устью Фасиса милетская апойкия.

[44] J. M. Cook, The Greeks in Ionia and the East, New-York, 1963, стр. 52—53, 58; J. Boardman, The Greeks overseas. Harmondsworth, 1964, стр. 246—265.

Представил Сектор античной археологии Института археологии АН СССР

გიორგი დუნდუა

# ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები*

ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს აგრეთვე სხვა წყაროებით უცნობი ქართლის ერისმთავრის — ჯონბერ, ან ჯუანშერის სახელით მოჭრილი უნიკალური მონეტა. იგი ისეთივეა, როგორც გურგენის მონეტები. ოღონდ გურგენის აღმნიშვნელი ასოები შეცვლილია ორი ასომთავრული ნიშნით: ႿႭ (ჯო)[1].

პირველად ეს მონეტა გამოაქვეყნა მ. ბარათაშვილმა და მიაკუთვნა მეფე ჯუანშერს (718—786 წწ.)[2]. ი. ბართოლომეიმ კი „ႿႭ" გაშიფრა როგორც — ჯავახეთი[3]. 1852 წ. ვ. ლანგლუამ გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაშრომი ქართული ნუმიზმატიკის შესახებ და იქ მხარი დაუჭირა ამ ასოთა მნიშვნელობის მ. ბარათაშვილისეულ ინტერპრეტაციას[4].

1858 წელს ი. ბართოლომეიმ წამოაყენა სრულებით ახალი მოსაზრება: „ႿႭ" მან წაიკითხა როგორც „ჯვარო"[5].

ჯერ კიდევ მ. ბროსე კატეგორიულად გამოვიდა ასეთი წაკითხვის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ასოები ამოკვეთილი იყო მეფის გამოსახულებასთან და ლოგიკურად არ შეიძლებოდა სხვა რამეს დაკავშირებოდა თუ არა პიროვნებას (მეფეს, ერისმთავარს)[6].

ჩვენი ზრით, „ႿႭ"-ს გაშიფრვის ყველაზე მისაღები ვარიანტია მისი გაიდენტურება ჯონბერ // ჯუანშერთან. მართალია, ასეთი დაქარაგმება ამ სახელისა ჩვენთვის ცნობილი არაა (განა კი ბევრი გვაქვს ამ ეპოქის ძეგლები?), მაგრამ სხვა საბუთები ამ უკანასკნელი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს.

როგორც ჯერ კიდევ მ. ბროსე აღნიშნავდა, ეს ორი ასო ამოკვეთილია მეფის ბიუსტის ზემოთ და ამ შემთხვევაში არ შეიძლება ნიშნავდეს სხვა რამეს, თუ არა პოლიტიკური მოღვაწის სახელს. განა გურგენის მონეტებზე იმავე ადგილას ამოტვიფრული ასოები ქართლის ერისმთავრის სახელს არ აღნიშნავს? მაშ რატომ უნდა ჩავდოთ „ႿႭ"-ში სხვა შინაარსი?!

სრულებით გაუგებარია და დაუსაბუთებელი მათი წაკითხვა როგორც „ჯვარო", ან „ჯავახეთი". მონეტაზე არავითარი ჯვარი არაა გამოსახული და ამ-

* გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „მაცნე", ისტორიის სერია, 1976, № 1.

[1] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 18, № 6, ტაბ, I, № 13.

[2] М. Баратаев, დასახ. ნაშრომი.

[3] Mèm. de la Soc. d'Arch. de St.-Pet. I. Bulletin, გვ. 41—43; Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

[4] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[5] Lettres num. et arch. p. VI, აღსანიშნავია, რომ ჩვენი ნაშრომის რეცენზენტი ა. ბოგვერაძეც, დაახლოებით, ასეთივე აზრისაა. ამ ორ ასოს იგი კითხულობს როგორც „Ⴟ უარი Ⴍ [4] უფლისაი".

[6] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

დენად ასეთი ინტერპრეტაცია უბრალოდ ჰაერშია გამოკიდებული და არაფერს უკავშირდება. რაც შეეხება „ჯავახეთს“, ქართული ნუმიზმატიკიდან ვერ დავასახელებთ ვერც ერთ პრეცედენტს, როდესაც ზარაფხანად მთელი პროვინცია იყოს დასახელებული და ისიც მონეტის შუბლზე.

ამრიგად, ჯონბერ // ჯუანშერი წერილობითი წყაროებით უცნობი ერისმთავარია, რომელიც გურგენის შემდეგ ჩანს სამოღვაწეო ასპარეზზე, მაგრამ მეტად ხანმოკლე დროით, შეიძლება ერთი წლით, ან რამდენიმე თვითაც კი (მონეტის უნიკალობაც ამის მოწმობაა).

ჯონბერი // ჯუანშერის მონეტაზე მოთავსებული დამახინჯებული თარიღი (და სხვა დეტალებიც) მოწმობს, რომ იგი უკვე გურგენის დრაქის მინაბაძია და არა ორიგინალური სასანური მონეტისა. დრო მისი ემისიისა 590—591 წწ უნდა შემოიფარგლოს.

590 თუ 591 წწ. კეისარ მავრიკეს (582—602 წწ) რაზმების დახმარებით, ხოსრო II ილაშქრებს „ტირანის“ ბაჰრამ ჩუბინის წინააღმდეგ და 591 წლის დასაწყისში იბრუნებს ტახტს[7].

591 წ. გაზაფხულზე რატიფიცირებული იქნა საზავო ხელშეკრულება ბიზანტია-ირანს შორის. ხოსრო II დიდი კომპენსაციის ვალება მოუხდა ბიზანტიის სასარგებლოდ. მან დათმო სომხეთის დიდი ნაწილი და ქართლი თბილისამდე[8]. გარდა ამისა, ხოსრო II ნება დრთო ირანის ტერიტორიაზე ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობისა[9]. უფრო მეტიც: ქრისტიანობამ ხოსრო II მმართველობისას ისეთი პრივილეგიები მოიპოვა, რომ იგი მ ა ზ დ ე ა ნ ი ზ მ ი ს მ ე ტ ო ქ ე დ ი ქ ც ა თ ვ ი თ ი მ პ ე რ ი ი ს შ ი გ ნ ი თ. ნ. პიგულევსკაია წერს. Христианство становилось противником маздеизма; были о с н о в а н и я п о д о з р е в а т ь с а м о г о ц а р я в т о м, ч т о о н т а й н ы й х р и с т и а н и н (ხაზი ჩვენია.—გ. დ.), но то, что подготовило христианство, пожал ислам".[10] ხოსრო II კ ო ნ ფ ე ს ი ო ნ ა ლ უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში ქვემოთ, როდესაც მსჯელობა გვექნება ჯვრის გამოსახულებიან ქართულ-სასანურ მონეტებსა და მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ათი წლის განმავლობაში ბიზანტია-ირანის ზავი არ დარღვეულა.

ამ ხანებში, კონკრეტულად, 591—593 წწ. უნდა იყოს მოჭრილი ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების ანონიმური სერიის ორი ჯგუფი: I — მონეტები ჯვრის გამოსახულებით ავერსზე, მეფის ბიუსტის გვერდით. II — მონეტები კვარცხლბეკზე აღმართული ჯვრით რევერსზე.

ორივე ჯგუფი მონეტებისა ხუთ-ხუთი ცალის რაოდენობითაა ჩვენამდე მოღწეული (დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ერმიტაჟში შესაბამისად, 4+1; 3+2)[11].

ამ მონეტების ქრონოლოგიის დადგენა ფორმალური მაჩვენებლებით, კერძოდ, მათზე მოთავსებული დამახინჯებული ფალაური თარიღების მი-

---

[7] Н. В. П и г у л е в с к а я, დასახ. ნაშრომი, 100 და შმდ; Ричард Фрай, Наследие Ирана, М., 1972, გვ. 326.

[8] История Византии, т. I, გვ. 355; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 271; Н. В. П и г у л е в с к а я, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

[9] Н. В. П и г у л е в с к а я, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

[10] Н. В. П и г у л е в с к а я, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

[11] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, 1969, გვ. 53.

ხედვით, ჩვენი აზრით, შეუძლებელია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვით მათი წაკითხვა პირობითია, ხოლო მეორეც, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ეს თარიღები მხოლოდ იმას მოწმობენ, თუ რომელ წელს მოჭრილ ორიგინალურ სასანურ დრაქებს ბაძავენ ქართულ-სასანური მონეტები.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ მაინც შევჩერდებით ამ თარიღებზე.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კუთვნილ მონეტებზე, რომლებზედაც ჯვარი მეფის ბიუსტთანაა გამოსახული, თითქოს უნდა იკითხებოდეს ექვსი[12] და შვიდი[13] (მაგრამ კატეგორიულად ამის მტკიცება არ შეგვიძლია). იმავე ტიპის მონეტაზე, რომელიც ე. პახომოვის მიერაა გამოქვეყნებული, გარკვევით იკითხება რვა[14] (ე. ი. 587 წ.).

მონეტებზე, რომელთაც ზურგზე კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარია გამოსახული, თარიღები კიდევ უფრო დამახინჯებულია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეგზემპლარებზე ძალიან დიდი პირობითობით შეიძლება ექვსის და შვიდის გარჩევა[15].

ასე რომ ამ მონეტების ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ლოგიკური კატეგორიებით და გავითვალისწინოთ ისტორიული სიტუაცია.

სასანური ტიპის მონეტებზე ჯვრის მოთავსება რევოლუციური აქციაა და იგი, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო გაბედული ნაბიჯია, ვიდრე ქართული ასოების ამოკვეთა მეფის გამოსახულებასთან. ამ ღონისძიებით, ფაქტიურად, ქართლმა საქვეყნოდ განაცხადა თავისი ეროვნული პრეტენზიები. კიდევ მეტი: ქართლის რომელიღაც რადიკალურად განწყობილმა ერისმთავარმა მაზდეანიზმის ემბლემა — წმინდა ცეცხლი, საერთოდ განდევნა მონეტიდან და მის ადგილას (კვარცხლბეკზე) დემონსტრაციულად ქრისტიანული რელიგიის ემბლემა-ჯვარი აღმართა. ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქართლი ბიზანტიის ეგიდის ქვეშ მოექცა, ე. ი. 591 წელს და მის შემდგომ ხანებში.

ახლა თუ გავიხსენებთ სტეფანოსის მონეტების ზურგის კომპოზიციას — კვარცხლბეკზე ამაყად აღმართული ჯვარი, ისეთივე როგორც ე. წ. ქართულ-სასანური ანონიმური დრაქების ერთ ჯგუფზე — თავისთავად დგება საკითხი ჯვრის გამოსახულებიანი ანონიმური მონეტების სტეფანოსისადმი მიკუთვნების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, კვარცხლბეკზე აღმართული ჯვრის გამოსახულებიანი ანონიმური მონეტები, ჩვენი მტკიცე რწმენით, არ შეიძლებოდა სხვა ვინმეს მოეჭრა, თუ არა სტეფანოსს. ამის სასარგებლოდ, ჯერ ერთი, მიუთითებს მონეტათა ზურგის **საერთო ტიპი** (კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი) და, მეორეც ის, რომ იდენტურია მათი ნიშნები, რომლებიც ჩანაფიქრის თანახმად, ზარაფხანას უნდა აღნიშნავდეს[16].

ევოლუცია ამ სამონეტო ტიპისა ჩვენ ასე გვესახება: თავდაპირველად სტეფანოსმა, პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლის დასაწყის ხანაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლიტიკური ხასიათის ზონდაჟი ჩაატარა. თავის მონეტაზე, მეფის გამოსახულებასთან, მინიატურული ჯვარი მოათავსა. ეს, ალბათ,

---

[12] ქ. ფ. №№ 4056, 4057.

[13] ქ. ფ. № 1585.

[14] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 25, 27.

[15] ქ. ფ. № 1571, 1707.

[16] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

უნდა მომხდარიყო ირან-ბიზანტიის ზავის დადების პირველ ხანებში, როდესაც ზავის პირობები პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ ჯ ე რ კიდევ არ იყო რელიეფურად გამოკვეთილი. შემდეგ კი უნდა განხორციელებულიყო დანარჩენი სამონეტო ჯგუფების ემისია (შესაბამისად, ანონიმური მონეტები ჯვრით კვარცხლბეკზე და წარწერიანი დრაქმები). ✕

როგორც ვხედავთ, სტეფანოსის ზეობის დაწყების გ. ჩუბინაშვილისეული თარიღი — 590 წ., არსებითად ახლოა ჭეშმარიტებასთან. შეიძლება ეს არ მომხდარიყო მაინცდამაინც 590 წ., შეიძლება ეს მოხდა 591 წელს*, მაგრამ, ვფიქრობთ, ამას ამჯერად არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა.

მონეტებზე გამოსახულ კვარცხლბეკზე აღმართულ ჯვართან დაკავშირებით, საჭიროა ერთ მომენტს მიექცეს კიდევ ყურადღება.

პროფ. ნ. ჩუბინაშვილი წერს: ქართლის ერისმთავრები, რასაკვირველია, „ცეცხლთაყვანისმცემელთა ემბლემას არ დაუპირისპირებდნენ მემორიალურ, სამარხის სტელა-ჯვარს. სრულიად ბუნებრივია, რომ მათ ქრისტიანული თავისი ეროვნული სიმბოლო სტელა-ჯვარი დაუპირისპირეს"[17]... „ამ მონეტებზე უდავოდ გამოხატულია არა მემორიალური, არა საფლავის სტელა, არამედ ქართული ადრექრისტიანული სტელა-ჯვარი"[18] და შემდეგ: „VI საუკუნის დადგენილი ტრადიციით ქართლში მოჭრილ მონეტებზე ჩვეულებრივად გამოხატულია ფართოდ ცნობილი და კარგად ათვისებული ობიექტები"[19]. ჩვენი აზრით, ეს სავსებით სწორი დებულებაა.

მაგრამ რომელია VI ს-ის ქართლში ეს, ნ. ჩუბინაშვილის სიტყვებით, „...ერის გამაერთიანებელი გაბატონებული იდეოლოგიის მკვეთრი გამომხატველი"[20] და „კარგად ათვისებული" სტელა-ჯვარი? ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს წმ. ნინოს მიერ აღმართული ჯვარი მაღალ მთაზე, არაგვის შესართავთან, სადაც ახლა ქართული ხუროთმოძღვრების სიამაყე — მცხეთის ჯვრის ტაძარი დგას. ტაძარზე ადრე აქ, ღია ცის ქვეშ, ჯვარი ყოფილა აღმართული, რომელიც ორნახევარი საუკუნის მანძილზე ქართველი ხალხის უდიდესი თაყვანისცემის საგანი იყო[21]. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ის ავტორი გვაუწყებს: „ხოლო ესე სასწაულთაგან ზეცისათა ჩუენებული პატიოსანი ჯვარი მცხეთისაჲ აღვიპყარით ჴელითა კაცობრივითა და მივედით ბორცუსა მას ქუშე... და ხვალის დღჱ აღვედით კლდესა მას ზედა... და დასდვა ჴელი წმიდამან ნინო ერთსა ქვასა და მრქუა მე: „მოვედ, შენდა ჯერ-არს, დასწერე ჯუარი ქვასა ამას". და მე ვყავ ეგრეთ. და მ უ ნ ა ღ ჰ მ ა რ თ ე ს ჯ უ ა რ ი ი გ ი დ ი დ ე ბ ი თ მ ე ფ ე თ ა (ხაზი ჩვენია.— გ. დ.) და მოდრკა მეფჱ მუჴლთა თჳსთა ზედა და ყოველნი მთავარნი და ყოველი სიმრავლჱ ერისა და თაყუანის-სცეს ძლევით შემოსილსა ჯუარსა"[22]. როგორც ცნობილია, სწორედ ამ ჯვარითაა შთაგონებული

* ვ. ჯობაძის მიხედვითაც, სტეფანოსის მმართველობის ხანა 591—604 წწ შორის უნდა ვივარაუდოთ. იხ. W. D j o b a d z e, The Scu'pture on the Eastern Façade of the Holy Cross of Mtrkhet'a, Oriens Christianus, Band 44, 1960, გვ. 121, სქ. 15.

17 ნ ი კ ო. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლის სტელა-ჯვრები, „ძეგლის მეგობარი", კრებული, № 30, 1972, გვ. 39.

18 იქვე, გვ. 38.

19 იქვე, გვ. 38.

20 იქვე, გვ. 38.

21 დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Памятники типа Джвари გვ. 3—5; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 274, სქ. 1.

22 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963, გვ. 151.

მცხეთის ჯვრის ტაძრის არქიტექტურული ფორმა. სწორედ ამ ჯვარის, ქართველი ხალხის წმინდა სალოცავის, მინიატურული გამეორება უნდა იყოს აგრეთვე სტეფანოსის მონეტების რევერსზე გამოსახული კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი. ყოველ შემთხვევაში იდეა აქედან უნდა მომდინარეობდეს. მართლაც, რა უნდა დაეპირისპირებია ქართველი ხალხის მებაირახტრეს ზოროასტრიზმისათვის, თუ არა უპირველესი და უწმინდესი ეროვნული სალოცავი?

აკად. გ. ჩუბინაშვილს გამორკვეული აქვს, რომ მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის მშენებლობა VI ს-ის 90-იან წლებში იწყება. ყველა ნიშნის მიხედვით, ჯვრის გამოსახულებიანი მონეტების ემისია და ტაძრის მშენებლობის დაწყება-დამთავრება სინქრონულია. თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით (სხვა ასპექტებს ჩვენ, ცხადია, არ ვეხებით) ეს ორი მომენტი (მონეტის მოჭრა და ტაძრის მშენებლობა) ტოლფასოვანი ღონისძიებანია. ორივე მათგანს, მინიატურულ მონეტას და გრანდიოზულ ტაძარს ერთი და იგივე პოლიტიკურ-იდეოლოგიური ფუნქცია აკისრიათ: საქვეყნოდ განცხადება მაზდეანიზმის აღსასრულისა ქართლში და ქრისტიანული რელიგიის (მაშასადამე ეროვნულ-განმათავისუფლებელი პოლიტიკის) აპოთეოზი. და ეს არ შეიძლება განხორციელებულიყო ორ სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთში, ორი სხვადასხვა პიროვნების მიერ.

მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის მშენებლობისათვის ხელი შეეძლო მოეკიდა მხოლოდ იმას, ვინც გაბედა მონეტაზე ირანის მეფის ბიუსტის გვერდით თავისი სახელი ამოეკვეთა, ვინც გაბედა ზოროასტრიზმის ემბლემა წმინდა ცეცხლი, მისი ანტიპოდით, ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოთი — ჯვრით — შეეცვალა. და გაბედა იმიტომ, რომ ისტორიული პირობები იძლეოდა ამის საშუალებას. გაბედა იმიტომ, რომ „ნელადრე შეკრბა ქართლი“, იმიტომ, რომ 591 წლის ხელშეკრულების თანახმად ქართლი ბიზანტიის გავლენის სფეროში მოექცა, იმიტომ, რომ ირანის ახალი მბრძანებლის კონფესიონალური პოლიტიკაც იძლეოდა ამის საშუალებას. სხვა ისტორიულ მონაკვეთში ამ ორი, ჭეშმარიტად რევოლუციური ღონისძიების (სამონეტო ემისია და ტაძრის მშენებლობა) გატარება, ან მათი ურთიერთიზოლირება ძნელი წარმოსადგენია. ამისათვის სათანადო პირობები არ არსებობდა 591 წლამდე, ამისათვის სათანადო პირობები არ არსებობდა VII ს-ის პირველი წლების შემდეგ.

როგორც ცნობილია, status quo ბიზანტიასა და ირანს შორის გაგრძელდა 602 წლამდე. 602 წ. იმპერატორი მავრიკე ტახტიდან ჩამოაგდეს. ხოსრო II, რომელიც შესაფერისს დროს ელოდა, დაუყოვნებლივ ჩაერია ბიზანტიის შინაურ საქმეებში. მან რამდენსამეგზის სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე, აღადგინა თავისი პოზიციები სომხეთსა და ქართლში და კონსტანტინეპოლამდე მიაღწია[23]. მეტად სიმპტომატური ფაქტია, რომ ჩვენამდე არ მოუღწევია ადარნასესა და ვარსამუსეს მონეტებს, რომლებთაც სტეფანოს I შემდეგ ეკავათ ქართლის ერისმთავართა ტახტი[24].

[23] История Византии, 1967, ტ. I, გვ. 362, შმდ.

[24] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 276—279.

ამ საკითხებზე ჩვენ შეგვეძლო არც შევჩერებულიყავით, რომ არ ყოფილიყო ცდები მცხეთის ჯვრის ტაძრის VII ს-ის შუა ხანებით დათარიღებისა[25].

ერთ-ერთი „არაპირდაპირი" არგუმენტი ამ მოსაზრების ავტორებისა სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტებიც იყო, რომლებიც ზოგადად ჰქმნიდნენ შთაბეჭდილებას საქართველოში ისტორიული ვითარების შესახებ VI ს-ის დასასრულში, VII ს-ის დასაწყისსა და VII ს-ის შუა ხანებში. ვინაიდან სრულ ქართულ წარწერიანი მონეტა, რომელსაც შეცდომით სტეფანოს II აკუთვნებდნენ, ქართლის პოლიტიკური დამოუკიდებლობის აშკარა მაჩვენებელია, ამიტომაც VII ს-ის შუა ხანები იქნა მიჩნეული ტაძრის მშენებლობისათვის შესაფერისს ეპოქად.

ცხადია, ამ არასწორი მოსაზრების მომხრენი არ დარჩენილან კრიტიკული პასუხების გარეშე[26], მაგრამ ნუმიზმატიკური მასალა იქ არ იყო ისე ფართოდ მოხმობილი, როგორც ჩვენ გამოკვლევაში. ვფიქრობთ, სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტების რეატრიბუციით ასეთ გაუგებრობას ადგილი აღარ ექნება.

შემდეგ საბუთად სტეფანოს II ხანაში მცხეთის ჯვრის ტაძრის აგების სასარგებლოდ, მოჰყავთ ქართული წყაროების ერთსულოვანი (იმდენად ერთსულოვანი, რომ ერთი-მეორისაგან გადაწერის, ან ერთი საერთო სათავის არსებობის შთაბეჭდილება იქმნება) ჩვენება სტეფანოს I „ურწმუნოების" შესახებ. აი, ისინიც:

ჯუანშერი: „... ხოლო ესე სტეფანოზ იყო ურწმუნო და უშიში-ღმრთისა, არა ჰმსახურა ღმერთსა, არც ჰმატა სჯულს და ეკლესიათა"[27].

„შიოს სასწაულები". „...იყო კაცი ამპარტავანი და ბოროტთა შურითა აღსავსე და ეკლესიათა ფრიად ძვრსა უყოფდა"[28].

ვახუშტი: „...ხოლო იყო ესე სტეფანოზ ურწმუნო და უშიში ღვთისა"[29].

ამაზე დიდი ისტორიული უსამართლობა ძნელი წარმოსადგენია. როგორ შეიძლება ანტიქრისტედ გამოაცხადო ადამიანი, რომელმაც მცხეთის ჯვარი ააშენა, რომელმაც თავის მონეტაზე, მაზდეანური წმინდა ცეცხლის ნაცვლად, ჯვარი აღმართა, ე. ი. ქრისტიანული რელიგიის ალმით აწარმოა ანტიირანული ბრძოლა?!"[30].

ისტორიკოსის ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ჩაეჭიდოს ქართული წყაროების ვერსიას სტეფანოს I ერეტიკოსობის შესახებ და შეუძლე-

---

[25] C. Toumanoff, Iberia on the Eve of Bagratid Rule, Le Muséon, LXV, 1952, გვ. 205; П. М. Мурадян, Армянская надпись храма Джвари, „Вестник Общественных наук Армянской ССР", 1968, გვ. 56—79.

[26] იხ. მაგ. W. Djobadze, დასახ. ნაშრომი; И. В. Абуладзе, Замечания по поводу статьи П. М. Мурадяна: „Армянская надпись храма Джвари", მაცნე, № 4, 1968, გვ. 171 — 189; М. Д. Лордкипанидзе, К вопросу о надписях храма Джвари в Мцхета, იქვე, გვ. 190—200.

[27] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 222.

[28] ილ. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955, გვ. 204—205.

[29] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 121.

[30] შდრ. ვ. ჯობაძისა და მ. ლორთქიფანიძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომებს, გვ. 118, 195—196.

ბელი ამტკიცოს[31] (ამ ცნობების გასაბათილებლად მარტო ჯვრის გამოსახულებიანი მონეტებიც კმარა!), არამედ გამოარკვიოს ამ ვერსიის შექმნის მიზეზები.

შესაძლებელია, ახლოს იყოს ჭეშმარიტებასთან ზ. ალექსიძის აზრი, რომელსაც ასეთი კვალიფიკაციის მიზეზად სტეფანოს I მონოფიზიტობა მიაჩნია. გვიანდელი ქართული წყაროების ქალკედონური რწმენის ავტორებმა, ჩანს, უბრალოდ არ დაინდვეს მონოფიზიტი სტეფანოსი (მაგრამ ამისათვის ე ჭ ვ მ ი უ ტ ა ნ ლ ა დ უნდა დავამტკიცოთ სტეფანოსის მონოფიზიტობა).

შესაძლებელია, ასეთი ვერსიის სათავე გახდა სტეფანოს I ცდა საეკლესიო მიწების სეკულარიზაციისა. როგორც ცნობილია, სტეფანოს I შიო მღვიმის მონასტერს ფარსმან მეფისაგან მინიჭებული ორი აგარაკი „მისტაცა"[32], მაგრამ შიოს მიერ მოხდენილი სასწაულების შედეგად ბრძოლა წააგო. და მოხდა საოცარი მეტამორფოზა: „ამიერითგანლა იწყო სტეფანოზ კეთილის ყოფად ეკლესიათა და პატივისა პყრობად ეპისკოპოზთა, მღვდელთა და მონაზონთა და ამანცა ფრიადი აშენა ეკლესიასა ზედა ჯუარისასა"[33]. განა შეიძლება საერთოდ ვილაპარაკოთ ამ ცნობაზე დაყრდნობით სტეფანოს I რწმენისა, თუ ურწმუნოების შესახებ?

შესაძლებელია, მიზეზები კიდევ უფრო ღრმაა. გავიხსენოთ ბრძოლა საერო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ვახტანგ გორგასლის ეპოქაში[34]. იმავე „შიოს სასწაულებში" სტეფანოსი ასე მიმართავს ბერებს: „მე მეფეთა საყდართა ვზი „და თქვენ კი" არარაი მთავრობისა პატივი წინა-მიყავთ"[35]. იქნებ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არეკლილი იყოს საერო და საეკლესიო ხელისუფალთა ღრმა კონფლიქტი?

ერთი სიტყვით, საჭიროა ამ საკითხის სპეციალური შესწავლა. თუმცა, როგორც არ უნდა გადაწყდეს იგი, ამთავითვე ცხადია, რომ მას ქვეყნის შიგნით მოქმედი დაჯგუფებების კოლიზიები უდევს საფუძვლად და სტეფანოს I „ურწმუნოდ" გამოცხადება ოპოზიციის ბრძოლის გამოძახილია.

მაგრამ თანამედროვე ისტორიოგრაფიამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოაცილოს ამ დიდ პიროვნებას ეს დაუმსახურებელი ეპითეტი.

Г. Ф. ДУНДУА

## ПРОБЛЕМА ТАК НАЗЫВАЕМЫХ ГРУЗИНСКО-САСАНИДСКИХ МОНЕТ И ВОПРОСЫ ИСТОРИИ РАННЕФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

### Резюме

**Проблема так называемых грузинско-сасанидских монет является одной из сложнейших в грузинской историографии. Научная атрибуция этой группы монет тесно связана с процессом интеграции раннефеодальной Картли и датировкой классического памятника грузинской архитектуры — мцхетского Джвари.**

[31] პროფ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე სავსებით სწორად შენიშნავს: „...Христианство государственной религией было объявлено в Картли в нач. IV века. Как можно предполагать, что в конце VI века верховный правитель Картли, эрисмтавар (фактически царь), мог быть „неверным" в буквальном смысле этого слова?" (М. Д. Л о р д к и п а н и д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 196).

[32] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 274.

[33] ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 204—205.

[34] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 95—99.

[35] ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 274.

К сожалению, до сих пор грузинско-сасанидские монеты не являлись предметом монографического исследования. Изучение конкретного материала и сравнение так называемых грузинско-сасанидских и оригинальных сасанидских драхм показало, что утвердившееся в специальной литературе мнение проф. Е. А. Пахомова требует кардинального пересмотра. Это, в первую очередь, относится к атрибуции монет чеканенных от имени Стефаноса.

1. Согласно Е. А. Пахомову, эмиссию монет с именем Стефаноса осуществляли картлийские эрисмтавары — Стефанос I (по его же хронологии 600—626 гг.) и Стефанос II (639—663 гг.). К первой группе он относит уникальную монету Берлинского музея с неполной грузинской надписью, ко второй — драхмы с полной грузинской легендой. Основным аргументом в пользу этого предположения автор считает то, что монета первой группы в точности повторяет тип монеты Хормизда IV (579—590), а монеты второй группы являются имитацией драхмы Хосрова II (590/91—628). Мнение Е. А. Пахомова является бесспорным, но, несмотря на это, и оно требует корректива. Дело в том, что монета с полной грузинской надписью повторяет только тот тип драхмы Хосрова II, эмиссия которой производилась в первые два года его правления (590/91—592). В то же время эти монеты, за исключением количества ободков и соответствующей надписи, идентичны драхмам Хормизда IV. Стефанос II не мог чеканить монету по образцу сасанидской драхмы, эмиссия которой производилась за 50 лет до его правления. Таким образом, монеты чеканенные с именем Стефаноса, без сомнения принадлежат одному лицу и хронологически следуют друг за другом. Датировка одной части этих монет серединой VII века совершенно неоправдана.

2. На оборотной стороне монет с именем Стефаноса, помещен крест на пьедестале. Идентичный мотив изображен также на одной анонимной группе серии грузинско-сасанидских монет. Эта важная политическая акция (замена эмблемы зороастризма — священного огня — его антиподом, символом христианской религии — крестом) могла быть осуществлена лишь в одной конкретной исторической эпохе, энергичным и крайне радикально настроенным эрисмтаваром. Таким выглядит только Стефанос I. В пользу этого говорит идентичность композиции и стиля. Поэтому, анонимную эмиссию мы приписываем также Стефаносу I.

3. В результате проведенных исследований, монеты с именем Стефаноса нами датированы 591/93—600/2 гг. Вместе с тем, начало VII в. является поздним рубежом для всей группы грузинско-сасанидских монет.

4. На основании датировки монет, требуют пересмотра даты правления Стефаноса I, предложенные историком Вахушти Багратиони. Без сомнения его деятельность приходится на 591—603/4 годы.

5. Эмиссия ранних грузинско-сасанидских драхм производилась в 589—591 гг. от имени Гургена и Джонбер-Джуаншера. Таким образом, вся серия датируется в пределах 10—12 лет.

6. Чекан грузинско-сасанидских монет был обусловлен начавшимся в 70—80-х гг. VI века процессом интеграции Картли и политической ситуацией в самом сасанидском Иране: поражение сасанидов в 589 г. у Нисибиса, восстание Бахрама Чубина, свержение с престола Хормизда IV, бегство Хосрова II к византийскому императору Маврикию и возвращение престола с его помощью, мирное соглашение 591 г., в силу которого Иран уступил Византии большую часть Армении и Карт-

ли до Тбилиси. И, наконец, те большие привилегии, которые завоевали христиане проживающие в сасанидском Иране при Хосрове II. Эмиссия грузинских монет с изображением креста на пьедестале могла быть осуществлена лишь в эту благоприятную историческую эпоху.

В дальнейшем их чекан исключен. Дело в том, что в 602 г. император Маврикий был свергнут с престола. Поджидающий подходящего момента, Хосров II, немедленно вмешался во внутренние дела Византии, несколько раз разбил противника, восстановил свои позиции в Армении и Картли. Симптоматично, что мы не имеем монет Адарнаса и Варсамуса, занявших престол Эрисмтавара вслед за Стефаносом I.

7. По мнению акад. Г. Н. Чубинашвили, постройка большого храма мцхетского Джвари начинается в 90-х гг. VI века. По всем признакам эмиссия монет с изображением креста на пьедестале синхронна с постройкой храма. По своей политической значимости, эти два события эквивалентны. На каждое из них — миниатюрную монету и грандиозный храм — возложена одна и та же политико-идеологическая функция: возвещение конца маздеизма в Картли и апофеоз христианской религии. Все это не могло быть осуществленно в двух различных исторических отрезках времени и двумя разными лицами. Взяться за постройку большого храма мцхетского Джвари мог тот, кто вместо пехлевийской надписи рядом с бюстом иранского царя осмелился поместить свое имя шрифтом мтаврули и этим подчеркнуть свою полную политическую независимость.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილებამ.

# ცნობები და შენიშვნები

ვლადიმერ სიჭინავა

## პორტო-ფრანკოს როლი რუსეთ-საქართველოს ვაჭრობის განვითარებაში

### (ოდესა-ბათუმის მაგალითზე)

რუსეთი დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებთან შედარებით გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას, მაგრამ XIX საუკუნის პირველი მეოთხედიდან მისი ეკონომიური განვითარება ჩქარი ტემპით წავიდა წინ, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა ცარიზმის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

საგარეო და საშინაო ბაზრების ზრდა და კაპიტალიზმის შემდგომი განვითარების შედეგად ბატონყმური მეურნეობის ხრწნა, რაც თავს იჩენდა კლასობრივ ურთიერთობაში, სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა.

რუსეთის საექსპორტო და საიმპორტო ვაჭრობის ანალიზი წარმოგვიდგენს მას როგორც სახელმწიფოთა შორის გამართულ „მარათონულ" სრბოლას პირველობისათვის, სადაც საბრძოლო ასპარეზი პორტო-ფრანკოს გარშემო გაიმართა.

მიუხედავად რუსეთის ეკონომიური სისუსტისა, ჯერ კიდევ XIX ს-ის დასაწყისშივე აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც სერიოზულად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ პორტო-ფრანკოს დაწესების აუცილებლობა რუსეთისათვის. თვით იმპერატორ პავლე I ჰქონია „ბრძნული იდეა" ყირიმში პორტო-ფრანკოს დაწესების შესახებ, მაგრამ მთავრობა იძულებული გამხდარა სხვადასხვა მიზეზების გამო გადაედო მისი განხორციელება[1].

XIX ს-ის დასაწყისში ზოგი ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე ცდილობდა რუსეთში ისეთი ვაჭრობის დაწესებას, რომელიც პორტო-ფრანკოს საშუალებით შავიზღვისპირეთში აღებ-მიცემობის რეგულირებას ოდესას დააკისრებდა. ამასთან გამოითქვა მოსაზრება, რომ ოდესის ჰეგემონიით წარმოებულ ვაჭრობაში თვალსაჩინო ადგილი ბათუმსა და ანაკლიას უნდა დაეჭირათ[2]. ზოგიერთმა გავლენიანმა პირმა იმპერატორი ალექსანდრე I დაარწმუნა პორტო-ფრანკოს დაწესების საჭიროებაში და 1817 წლის 16 აპრილის მანიფესტით ოდესა „თავისუფალ" ნავსადგურად გამოცხადდა.

ორმოცი წელიწადი იარსება ოდესაში პორტო-ფრანკომ. ამ ხნის განმავლობაში რუსეთის ინტერესების დამცველი ძალები შეუნელებლად იბრძოდნენ პორტო-ფრანკოს წინააღმდეგ. ეს ბრძოლა თითქმის მისი გამოცხადების დღიდანვე დაიწყო.

ოდესაში პორტო-ფრანკოს გამოცხადებასთან დაკავშირებით ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე გრაფ პავლე კისელიოვი პირად მეგობარს არსენ ანდრიას ძე ზაკროვსკის წერდა: „როგორც კი ადგილობრივმა ელემენტებმა იგე-

---

[1] Архив графов Мордвиновых, том VI. 1902, გვ. 184—185, 227.

[2] იქვე, გვ. 230.

შეს ოდესაში პორტო-ფრანკოსაგან გამოწვეული შევიწროება, დაუყოვნებლივ აღძრეს საქმე უმაღლესი მთავრობის წინაშე და მოითხოვეს პორტო-ფრანკოს ლიკვიდაცია"[3]. გრაფ პავლე კისელიოვს დავალებული ჰქონდა შეესწავლა, თუ რას წარმოადგენდა ოდესის პორტო-ფრანკო — სასარგებლო იყო თუ არა იგი რუსეთისათვის. ადგილზე მდგომარეობის გაცნობას გრაფი დაურწმუნებია იმაში, რომ პორტო-ფრანკო მეტად მძიმე მდგომარეობას ქმნიდა მკვიდრი ოდესელებისათვის, რის გამოც მრავალ ოდესელ მოქალაქეს დაუტოვებია მშობლიური ქალაქი და გაქცეულა. პ. კისელიოვს მეფის შეცდომად მიაჩნდა ოდესაში პორტო-ფრანკოს დაწესება. ამასთან დაკავშირებით პ. კისელიოვი გულახდილად წერდა: „Я был против вольности Одесского порта, но коль скоро царское слово было дано, то не следовало изменять его"[4].

გრაფი კისელიოვის პოზიციამ პორტო-ფრანკოს ლიკვიდაციის შესახებ აღელვა „თავისუფალი" ვაჭრობის მომხრენი. პორტო-ფრანკოს დასაცავად ბრძოლაში ჩაებნენ ისეთი გავლენიანი პირები, როგორიც იყვნენ ნესელროდე და რობოპიერი. ოდესაში პორტო-ფრანკოს ლიკვიდაციის საფრთხემ ფეხზე დააყენა კაპიტალისტური ევროპა. ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფომ მიიღო ცხოველი მონაწილეობა ამ საქმეში[5].

პორტო-ფრანკოს არსებობის საკითხის შესასწავლად მეფის წარგზავნილი, დიდი მოხელე (წარმოშობით უცხოელი) რობოპიერი წერდა: „ნეგოციანტები ფიქრობდნენ, რომ მე დავხურავდი პორტო-ფრანკოს, მაგრამ როცა გაიგეს, რომ განზრახული მაქვს დავიცვა იგი, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მე დავატოვებინე პორტო-ფრანკო, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალე მისი საზღვრების შემცირება. სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა ჩემი მოხსენება"[6]. ეს იყო პორტო-ფრანკოს ერთგვარი შეზღუდვა. იყო სხვა შეზღუდვებიც, მაგ., კანონით იკრძალებოდა მარილის, რკინის, ფოლადის, თუჯის ნაწარმისა და სპირტიანი სასმელების შემოტანა[7]. ასევე რუსეთის სამამულო ეკონომიკის ინტერესებით იყო ნაკარნახევი ზოგიერთ საქონელზე ვაჭრობის მონოპოლიის დაწესება. ეს შეზღუდვები დააკანონეს იმპერატორის მიერ 1822 წლის 9 ივნისს დამტკიცებული წესდებით[8].

1849 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულებით ოდესაში პორტო-ფრანკოს ვადა გააგრძელეს, მაგრამ კვლავ რიგი შეზღუდვები დააწესეს[9]. მიუხედავად ამისა, ევროპული კაპიტალი მაინც აღწევდა თავის ძირითად მიზანს, რითაც იგი რუსეთის მთელ ეკონომიკას საგრძნობ ზარალს აყენებდა[10].

---

[3] Сборник императорского русского исторического общества, т. 78, под ред. Н. Е. Дубровина, СПб, 1897, გვ. 92.

[4] Сборник императорского русского исторического общества, გვ. 92.

[5] «Русский архив», 1917, Кн. II. გვ. 8.

[6] «Русский архив», გვ. 9.

[7] И. В Уманский, Руководство по таможенным делам Одесского порто-франко, Одесса, 1851, გვ. 1.

[8] В. А. Золотов, Внешняя торговля южной России в первой половине XIX века, Ростов, 1963, გვ. 142.

[9] И. В. Уманский, Руководство по таможенным делам Одесского порто-франко, გვ. 2.

[10] Ф. Антонов, Несколько мыслей о порто-франко в Одессе и заметки о товарных делах в Тифлисе, Одессе и Варшаве, М., 1848, გვ. 23—24.

თვალსაჩინოებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სტატისტიკური მაჩვენებელი ოდესიდან ქვეყნის შიგნით შეტანილი საქონლის ღირებულებაზე. ცნობა აგრეთვე გვიჩვენებს ოდესელების მიერ მოხმარებული საქონლის ღირებულების დინამიკას მანეთებით, საიდანაც ჩანს, რომ 1847 წელს ოდესაში შემოუტანიათ 4392115 მან. ღირებული საქონელი, აქედან ქვეყნის შიგნით შეუტანიათ 1508746 მან, ხოლო ოდესის მოსახლეობას გამოუყენებია 2885369 მან. საქონელი. ამრიგად, ოდესის პორტო-ფრანკოდ გამოცხადება იყო რუსეთის ვაჭრობის მიმართ მფარველობითი კანონების საწინააღმდეგო მოვლენა და გამოხატავდა პროტექციონისტული პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა ინტერესებს[11].

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე ნაჩვენებია, რომ პორტო-ფრანკო იყო შედეგი მრავალი ფაქტორისა, რომელთა შორის მემამულეთა კლასობრივ ინტერესებს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა[12].

მსგავსად ა. ცაგოლოვისა, ო. ოგლობლინი ჯერ კიდევ 1931 წელს აღნიშნავდა პორტო-ფრანკოს შესახებ აზრთა მნიშვნელოვან სხვადასხვაობას, რაც გამოხატავდა სხვადასხვა კლასების საჭიროებასა და თვალსაზრისს[13].

ო. ოგლობლინის მოსაზრებას არსებითად იზიარებს ვ. ზოლოტოვი, რომელიც არსებული მასალების საფუძველზე დაასკვნის რომ: „Одесское порто-франко... оказало серьезное влияние на экономическое развитие Южной Украины. Больше того оно причинило ощутительный ущерб громышленности России. Вот почему с самого начала существования в Одессе порто, развернулась острая борьба, не прекращающаяся вплоть до его упразднения“[14].

პირველი პირდაპირი შედეგი, რაც მოჰყვა ოდესის პორტო-ფრანკოს, ეს იყო შევიწროება არა მარტო ოდესის, არამედ მთელი უკრაინის სამამულო მრეწველობისა, რომლის ნაწარმსაც არ შეეძლო გაეძლო დასავლეთ ევროპის იაფი, უბაჟოდ შემოტანილი საქონლის კონკურენციისათვის. ოდესაში იაფი საქონლის მოზღვავებამ ძლიერი დარტყმა აგემა რუსეთის მრეწველობასა და ვაჭრობას.

ოდესის პორტო-ფრანკოს ექსპორტში დიდი როლი არ შეუსრულებია. მაგალითად, პურის ექსპორტი დონის როსტოვიდან, რომელსაც არ ჰქონია პორტო-ფრანკო 20 წლის განმავლობაში, 1837 წლიდან 1856 წლისათვის გაიზარდა 20-ჯერ. საინტერესოა აგრეთვე ის, რომ თუ კი 1825—1829 წწ. ოდესის წილი სამხრეთ რუსეთის ექსპორტში შეადგენდა 72,3 პროცენტს, უკვე პორტო-ფრანკოს 25-წლიანი არსებობის შემდეგ—1840—1844 წწ. იგი შემცირდა 60,4 პროცენტამდე.

ზარალი, რომელიც მოსდიოდა რუსეთს პორტო-ფრანკოთი, არ შეიძლებოდა მთავრობისათვის არ ყოფილიყო ამაღელვებელი. ოდესის ოკრუგის საბაჟოს უფროსი ფინანსთა მინისტრს კანკრინს მოახსენებდა — საზღვარგარეთის საქონელი, რომელიც გაიყიდა ოდესაში 1822—1832 წწ., მფარველობითი

[11] Н. А. Цаголов, Очерки русской экономической мысли периода падения крепостного права, 1956, გვ. 114.

[12] В. А. Золотов, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

[13] А. Оглобин, Нариси зе Капиталізму на Украіне, вып. I, Пер. С., Гуревича, Харьків, 1931, გვ. 126.

[14] იქვე, გვ. 140.

სისტემის პირობებში, ბანკს შეეძლო მიეღო 17634622 მან. ასიგნაციით. პორტო-ფრანკოს არსებობის მთელ პერიოდში. ოდესაში უბაჟოდ შემოიტანეს საქონელი 140—150 მილ. მან. ვერცხლით. ეს იმას ნიშნავს, რომ ქ. ოდესამ ბაჟის სახით დაკარგა კოლოსალური თანხა.

ოდესის მაღაზიებში და ბაზარზე ძალზე მცირე იყო რუსული საქონელი — მას ავიწროებდა, დევნიდა უცხოეთის ნაწარმი. თავისთავად ცხადია, საბაჟო ტარიფის ერთი მეხუთედის გადახდას არ შეეძლო მნიშვნელოვნად გაედიდებინა საზღვარგარეთული საქონლის ფასები, რადგან იგი გაცილებით უფრო იაფი იყო, ვიდრე რუსული. ამგვარად, პორტო-ფრანკოს შეზღუდვამ 1822 წელს წესდებით ვერ მიაღწია მიზანს.

1831 წელს ფინანსთა მინისტრმა კანკრინმა ახალი წერილობითი მოხსენება შეადგინა პორტო-ფრანკოზე. ამ პროექტით შეზღუდვები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი ფაქტიურად ნიშნავდა პორტო-ფრანკოს გაუქმებას, მაგრამ მას განხორციელება არ ეღირსა, რადგან სამხრეთ რუსეთის მემამულეთა ინტერესებს მომხრეები აღმოაჩნდა უმაღლესი მთავრობის ზედაფენებში.

მოტანილი მასალების საფუძველზე, ბუნებრივია, დასკვნა, რომ: „При существовании в Одессе порто-франко промышленность в городе не имела базы для развития в самой Одессе, ее товары не могли конкурировать с пошлинными иностранными изделиями. Поэтому не случайно, что в первой половине XIX в. в Одессе и в целом на юге Украины промышленность развивалась очень слабо“[15].

დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების ოცნება იყო სხვა აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსად რუსეთი სრულიად დამონებულ ქვეყნად გადაექციათ. რუსეთი კი პირიქით, ცდილობდა ევროპული ტექნიკა და ნაწარმი თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა, თუნდაც იგი ძვირად ღირებული და სარისკო ყოფილიყო. რუსეთის ამ ახალი საგარეო ეკონომიური პოლიტიკის ფუძემდებელი ჯერ კიდევ იმპერატორი პეტრე I იყო, მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა პეტრეს გეგმის შესრულება. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში შემუშავებული ახალი კურსის შესახებ თავის დროზე თურმე თვით პეტრე პირველს განუცხადებია: „Нам нужно несколько десятков лет, а потом к ней должны повернуться задом“[16].

რუსული გეგმის საწინააღმდეგოდ ევროპელებმა შეიმუშავეს კონტრგეგმა, რომელიც, პირიქით, გულისხმობდა რუსეთის გადაქცევას დასავლეთ ევროპის სასოფლო-სამეურნეო დანამატად. ევროპელთა ამ გეგმის განხორციელება გულისხმობდა რუსეთში პორტო-ფრანკოს დაწესებას. იგი გათვალისწინებული ჰქონდათ საამისოდ ისეთ მოხერხებულ ადგილებში, როგორიცაა, ოდესა, ბათუმი და სხვ. ჩვენი აზრით, არც ის შეიძლება იყოს შემთხვევითი, რომ ოდესაში პორტო-ფრანკოს შექმნის იდეა პირველად წამოუყენებია არა სხვა ვინმეს, არამედ ევროპელ კაპიტალისტებთან ფრიად დაკავშირებულ ფრანგ ემიგრანტს ჰერცოგს რიშელიეს, რომელიც თავისი ვირტუოზული მოხერხებულობით „აჯადოებდა“ ოდესელებს.

1821—1831 წლებში ოდესის პორტო-ფრანკოს „მიბაძვით“ დიდძალი საქონელი დაიძრა საქართველოსაკენ ტექნიკურად მოუწყობელ რედუტ-კალეს

15 В. Золотов, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

16 См. «Русский архив», год двенадцатый, 1874, книга первая, გვ. 1579.

ნავსადგურის მეშვეობით. რედუტ-კალეს ნავსადგურიდან შეღავათიანი ბაჟებით შემოტანილმა საქონელმა დაიპყრო არა მარტო საქართველო, არამედ მთელი ამიერკავკასია, სპარსეთი და რუსეთის ერთი ნაწილი, რამაც საფრთხის წინაშე დააყენა რუსეთის მრეწველობა[17]. რედუტ-კალეს შეღავათიანი ვაჭრობის წინააღმდეგ ერთხმად აღდგა მთელი რუსეთის ბურჟუაზია და იგი მალე გააუქმეს.

პორტო-ფრანკოს მავნე გავლენა ყველაზე უფრო ცნობილი იყო ფინანსთა სამინისტროსათვის. ამიტომ იყო, რომ ზოგჯერ მემამულეთა ვიწრო კლასობრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ, რუსეთის მზარდი ეროვნული ინტერესების დასაცავად, იგი მთელი მონდომებით იბრძოდა მისი არსებობის წინააღმდეგ. ორმოცი წელიწადი იარსება ოდესის პორტო-ფრანკომ (1819—1858) და ამ ხნის განმავლობაში მის წინააღმდეგ ბრძოლა არასოდეს არ შეუწყვეტიათ რუსეთის ეკონომიკის ინტერესებისათვის მებრძოლ ადამიანებს.

დიდი ბრძოლის შემდეგ რუსეთის ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების დამცველებმა მიაღწიეს ოდესის პორტო-ფრანკოს გაუქმებას და, უეჭველია, ამით მათ ნაწილობრივ იხსნეს თავიანთი ქვეყანა სრული სამრეწველო ჩამორჩენისაგან, ეროვნული ეკონომიკა — გაკოტრებისაგან.

არსებული მასალების შესწავლამ ჩვენ დაგვარწმუნა იმ მოსაზრების სისწორეში რომ: „Ликвидация порто-франко в Одессе находилось в непосредственной связи с настоящими требованиями Русской буржуазии, не прекращавшимися на протяжении всего сорокалетнего его существования"[18].

1878 წელს ბერლინის კონგრესზე კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა ინგლისის მეთაურობით რუსეთი აიძულეს ბათუმი პორტო-ფრანკოდ გამოეცხადებინა. პორტო-ფრანკოს დაწესება ბათუმში ამიერკავკასიისა და, საერთოდ, მთელი რუსეთის ეკონომიური განვითარების მხოლოდ შემაფერხებელი მოვლენა იყო.

ოდესის მსგავსად ბათუმში ერთხანს (1878—1886 წ. 23 ივლისი) არსებობდა პორტო-ფრანკო. ბათუმის პორტო-ფრანკოს დღეგრძელობა არ ეწერა. იგი განაპირობა იმან, რომ რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური პოტენციალი, მისი საერთაშორისო ხვედრითი წონა და განვითარების დონე გაცილებით მაღალი იყო XIX საუკუნის 80-იან წლებში, ვიდრე კაპიტალიზმის განვითარების გარიჟრაჟზე. ამიტომ რუსეთის ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ძალებმა შედარებით ადრე და ადვილად შეძლეს პორტო-ფრანკოს წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღება და მისი ლიკვიდაცია.

პორტო-ფრანკოს მავნე როლი იმთავითვე აშკარა იყო და მის შედეგებს კარგად ხედავდნენ თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც მას დაარსების დღიდანვე დაუნდობლად ებრძოდნენ. როგორც კი ბათუმში გამოცხადდა პორტო-ფრანკო, ქართულმა პერიოდულმა პრესამ, კერძოდ „დროებამ" და „ივერიამ" სასტიკად ამხილა „თავისუფალი" ქალაქის შექმნის ნიღაბით, დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის ეს დივერსიული გეგმები. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-

17 А. Оглоблин, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

18 В. Золотов, დასახ. ნაშრომი, გვ. 149—150.

რაობის ქართველი მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი და სხვ. თავიანთ წერილებში სასტიკად ილაშქრებდნენ ბათუმში პორტო ფრანკოს დაწესების წინააღმდეგ.

პორტო-ფრანკოს წინააღმდეგ ბრძოლაში მალე ჩაება რუსული პერიოდული პრესა, გაზეთ „კავკაზში" 1881 წელს ზედიზედ სამი ვრცელი წერილი მოათავსეს. წერილების ავტორი იყო ცნობილი რუსი ინჟინერ-ეკონომისტი ნ. შავროვი. 1884 წელს პორტო-ფრანკოს წინააღმდეგ კვლავ გამოვიდა ნ. შავროვი. ახლა უკვე საგანგებოდ შედგენილ წერილში იგი ამტკიცებდა, რომ ბათუმის განვითარებისა და მთელი ქვეყნის ეკონომიური დაწინაურებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი და გადაუდებელი იყო მისი განთავისუფლება ინგლისელთა ტყვეობისაგან, ეკონომიური ბლოკადისაგან[19].

რუსეთის ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს იცავდნენ და ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმებას მოითხოვდნენ გაზეთები: „მოსკოვსკიე ვედომოსტი", „რუსკი ვესტნიკი", „ნოვოროსიისკი ტელეგრაფი", „გოლოს" და სხვ.

ოდესის მსგავსად პორტო-ფრანკო ბათუმში საფრთხეს უქმნიდა ამიერკავკასიისა და თვით რუსეთის მრეწველობის განვითარებას. იგი აბრკოლებდა ბათუმის ეკონომიურ წინსვლას, ხელს უშლიდა ბათუმში ნავთობ-გადამმუშავებელი ქარხნების გახსნას. პორტო-ფრანკო რომ არ ყოფილიყო, როგორც ფაქტობრივი მასალებით ადასტურებს მაშინდელი ცნობილი რუსი ეკონომისტი პოკროვსკი, — ბათუმს ექნებოდა ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნები და იგი ამ მხრივ, თუ მეტს არა, ბაქოს მსგავსს როლს მაინც შეასრულებდა.

პორტო-ფრანკოს წყალობით კონტრაბანდულ ვაჭრობას დიდი გასაქანი ეძლეოდა. ეს კი რუსეთის მრეწველობას აზიანებდა — რადგან მისი წარმოებული საქონელი არ საღდებოდა. „მოსკოვსკიე ვედომოსტი" მოითხოვდა პორტო-ფრანკოს გაუქმებას. იგი შენიშნავდა, რომ პორტო-ფრანკოს პირობებში ბათუმი სავაჭრო კონტრაბანდის ცენტრი იყო და წარმოადგენდა სავაჭრო საწყობს ყველა ევროპელი სახელმწიფოსათვის, რომლებიც რუსული მარკით აგზავნიდნენ რუსეთში ევროპულ საქონელს; ეს იყო აშკარა კონტრაბანდა; ასეთი გზით ევროპული საქონელი უბაჟოდ გადიოდა რუსეთის ბაზარზე. მაგალითად, ბათუმმა 1883 წელს მიიღო 600 ათასი ფუთი „ქართული" ხილი. თუ ამ რაოდენობას ბათუმის ყოველ მცხოვრებზე (3 500 სულზე) გავანაწილებთ, მაშინ გამოდის, რომ ყოველ ბათუმელზე წელიწადში 150 ფუთი ხილი მოდიოდა. ცხადია, ეს ასე არ იყო. ბათუმში ქართულის ნაცვლად თურქული ხილი შემოზიდეს, ბათუმიდან კი ის რუსული მარკით გაიყიდა ყოველგვარი ბაჟის გარეშე[20].

ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებასთან დაკავშირებით ცარიზმის მიერ შექმნილმა საბაჟო რეჟიმმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ოლქის მოსახლეობა. ისინი ქ. ბათუმს მოწყვეტილები აღმოჩნდნენ. პორტო-ფრანკომ, სხვა მრავალ შემავიწროებელ მოვლენებთან ერთად, განსაკუთრებით შეუწყო ხელი ე. წ. მუჰაჯირობას — ილაჯგაწყვეტილი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთში გადაიხვეწა.

---

19 Н. А. Шаров. О сравнительном значении Черного и Каспийского морей, вып. XVII, М., 1884, გვ. 34.

20 «Русский вестник», გვ. 668—783.

პორტო-ფრანკოს წინააღმდეგ აჭარაში, ართვინში და იმერხევში დიდი სახალხო მოძრაობა წარმოიშვა, თითქოს მთა და ბარის მოსახლეობა გაერთიანდა, მთელი ხალხი ფეხზე დადგა, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის სახელზე დაწერილ საჩივარ-განცხადებას ოლქის სრულწლოვანი მოსახლეობის უმრავლესობა აწერდა ხელს, უმაღლეს მთავრობას თხოვდნენ უბედურების მომტანი პორტო-ფრანკოს გაუქმებას. განცხადებაში გადმოცემული იყო ოლქის მცხოვრებთა მძიმე მდგომარეობის საკმაოდ ნათელი სურათი, რაც პორტო-ფრანკომ მოუტანა მათ.

მეფესთან წარსადგენად ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის სახელზე განცხადება შეიტანა ბათუმის ოლქის ართვინის, გონიოს, ზემო აჭარის, კინტრიშის, ქვემო აჭარის, არტანუჯის, შავშეთ-იმერხევის უბნების მოსახლეობამ. ხელის მომწერნი (ზოგ განცხადებაში 400—500 ხელის მოწერაა), თავიანთ თხოვნას ამთავრებენ ასე: „В силу изложенных обстоятельств осмеливаемся просить милостливого ходатайства Вашего перед благочестивейшим Государем нашим об уничтожении существующего порто-франко в городе Батуми и тем предоставлении нам свободного приобретания всех необходимых в домашней жизни предметов, каковым благом пользуется многомилионные подданные его Величества“[21].

მართლაც, შემაძრწუნებელი იყო ბათუმში პორტო-ფრანკოს გამო შექმნილი მდგომარეობა. ბათუმში ჩამოსული მოქალაქენი შეურაცხყოფილნი, წყევლა-კრულვით ტოვებდნენ ამ ახლად შემოერთებულ ქალაქს. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ ცნობილი რუსი კლასიკოსი მწერლის გლებ უსპენსკის შთაბეჭდილებანი ბათუმზე და მის პორტო-ფრანკოზე. იგი 1882 წელს ჩამოსულა ბათუმში, დაწვრილებით გაცნობია შექმნილ ვითარებას და საშინლად აღელვებულა იქ დაწესებული პორტო-ფრანკოს მძიმე შედეგებით. გლებ უსპენსკი თავის ცნობილ „მგზავრის შენიშვნებში“ სვამს კითხვას, რა არის ბათუმი? და იქვე პასუხობს: „Порто-франко, русское порто-франко. Что же такое означает порто-франко и при том русское? Вот этого-то именно никто не знает и не понимает“.

გლებ უსპენსკის ფრიად ამაღელვებელი და მძიმე შთაბეჭდილება დარჩა საბაჟოს მოხელეთა განუკითხავი მოქმედებით[22]. მეფის ერთგული ჩინოვნიკები უმაღლესი მთავრობის მიერ ბათუმის პორტო-ფრანკოსათვის შედგენილი წესდების საფუძველზე მოქმედებდნენ, ქალაქის ფარგლებში ადამიანებს ყოველ ნაბიჯზე ჩხრეკდნენ, არავის არ ენდობოდნენ. ასეთ პირობებში, გლებ უსპენსკის აზრით, ბათუმში ადამიანი თავს გრძნობდა ისე, როგორც ქურდი დამნაშავე სახელმწიფოს წინაშე. გ. უსპენსკი განმარტავდა: „Батум превращен в порто-франко, благодаря Берлинскому конгрессу. Это не подарок нам русским, а неприятность. Европа, делая здесь порто-франко, хочет силою трактата сделать брешь в нашей границе для своих товаров, она назло нам хочет нанести вред нашей промышленности вред люда с своими товарами. Так поступает Европа. А Россия, для которой порто-франко сос-

[21] АВПР, ф. Турецкий стол (новый), д. 2541 л.л. 34, 35, 36, 39, 53—54, 55, 59, 62. 59, 62.

[22] Г. И. Успенский, Полное собрание сочинений, т. VIII, М., 1949, გვ. 237.

тавляет вред, хоть и подчиняется трактату, но мысль, которая ею руководит, состоит все таки в том, чтобы порто-франко на деле не существовало"...[23]

პორტო-ფრანკოს დაწესებამ ახლად შემოერთებულ მხარეში ერთიორად გაამწვავა ისედაც საერთოდ შექმნილი მძიმე პირობები. ფრიად კრიტიკული მდგომარეობის გამო კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მთავარმმართებელი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი იძულებული გახდა, სპეციალური მოხსენებით წარმდგარიყო მეფისა და ფინანსთა მინისტრის წინაშე. დონდუკოვ-კორსაკოვის მოხსენებაში ნაჩვენებია ბათუმის პორტო-ფრანკოს დამღუპველი როლი ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის. დონდუკოვ-კორსაკოვი დარწმუნდა, რომ ბოლოს და ბოლოს „Батумское порто-франко является главным тормозом дальнейшего роста города, развития в нем заводской промышленности".

კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებელმა თავის ამ დასახელებულ ოფიციალურ წარდგინება-მოხსენებაში აუცილებელ საჭიროდ მიიჩნია ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმება, მით უფრო, რომ, დონდუკოვ-კორსაკოვის მოხსენებას მეფემ საკუთარი ხელით გვერდზე მიაწერა „Вполне разделяю это мнение"[24]. ამის გამო საქმე მხოლოდ განხორციელებას უცდიდა, მიუხედავად ამისა, პორტო-ფრანკოს საკითხი ამის შემდეგაც უმაღლეს ინსტანციებში ერთხანს კიდევ ირჩეოდა.

1886 წლის 23 ივლისს ალექსანდრე III-ის ბრძანებულებით, ბათუმის პორტო-ფრანკომ არსებობა შეწყვიტა.

პორტო-ფრანკოს გაუქმებამ იმთავითვე კეთილისმყოფელი გავლენა იქონია ბათუმისა და მთელი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაზე.

В. Н. СИЧИНАВА

## РОЛЬ ПОРТО-ФРАНКО В РАЗВИТИИ РУССКО-ГРУЗИНСКОЙ ТОРГОВЛИ

### (на примере Одессы—Батуми)

**Резюме**

Установление режима порто-франко в России было обусловлено развитием товарно-торгового хозяйства. По развитию капитализма Россия была второстепенной страной и в своей неравной конкурентной борьбе она использовала протекционистско-таможенную систему. Учитывая свои внешние и внутренние условия и интересы, Россия была вынуждена установить в некоторых портовых городах режим порто-франко.

Порто-франко Одессы и Батуми нанесли ущерб национальному доходу России. Из Одессы и Батуми в глубь России поступало много контрабандных товаров, что затрудняло сбыт русских товаров и тормозило дальнейшее развитие промышленности.

---

[23] Г. И. Успенский, დასახ. ნაშრომი, გვ. 143

[24] АВПР, Турецкий стол (новый), д. 254, л. 5, 21.

По Берлинскому трактату (1878 г.) режим «свободной торговли», установленный в присоединенном к родине Батуми, поставил население области в безвыходное положение. В широком распространении в Аджарии мухаджирства значительную роль сыграло объявление в Батуми порто-франко.

Интересы промышленно-экономического развития России вынудили правительство ликвидировать в Одессе и Батуми порто-франко, что явилось совершенно необходимым и закономерным для страны явлением.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საპქოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებამ.

თამაზ ბერაძე

# ლეჩხუმის ისტორიული გეოგრაფიიდან

## (ვახუშტი ბაგრატიონი ლეჩხუმის შესახებ)

ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ერთი ქვეთავი ლეჩხუმის აღწერილობას უკავია. აქ დაცული ცნობების კრიტიკული ანალიზი ამ პროვინციის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ლეჩხუმს ვახუშტი ორი სახელით მოიხსენიებს: ლეჩხუმი და თაკუერი და გვაძლევს ამ სახელწოდებათა ეტიმოლოგიას: „არს ჴეობა ლეჩხუმისა, რომელს უწოდებენ თაკუერად. არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათაგან, კუერსავით მდებარისა — იხილე ესე მთა კუერი, — ანუ ციხისაგან ფრიად მაგრისა მუნვე თაკუერისა. ხოლო ლეჩხუმი ეწოდა ხომლის კლდის გამო — ესე არს ლეჩხომი“[1].

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტისეული „ლეჩხუმი“ და „ლეჩხომი“ თანაბარმნიშვნელოვანი სახელწოდებანი ჩანს. „ლეჩხომი“ მეგრულში არის დადასტურებული[2]. რაც შეეხება ამ ტოპონიმის ავტორისეულ ეტიმოლოგიას, იგი სამეცნიერო ლიტერატურაში არაა გაზიარებული: ზოგი მკვლევარი ლეჩხუმს მეგრულ ჩხომს (თევზს) უკავშირებს, ზოგიც კი — სვანურ ცხვიმს (რცხილას)[3].

მართალია, დღეისათვის ლეჩხუმის ვახუშტისეული ეტიმოლოგია არაა გაზიარებული, მაგრამ თუ ამ სახელის ხომლთან დაკავშირებაში დავინახავთ იმ ფაქტის გამოძახილს, რომ გარკვეულ ხანაში ხომლის (ხვამლის) მთა და მისი მომიჯნავე ტერიტორია ლეჩხუმის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ვახუშტი ბაგრატიონი სწორი უნდა იყოს.

ხვამლის მთის მწვერვალის ახლოს ზღვის დონიდან 1950 მ-ის სიმაღლეზე შემორჩენილია ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევები, რომელიც 1910 წელს აუგიათ ძველი ეკლესიის ადგილას და ამ უკანასკნელის ტუფის ქვებიც ახალი ეკლესიის მშენებლობის დროს გამოუყენებიათ. თავდაპირველი ეკლესია XI საუკუნეში მაინც უნდა იყოს აგებული. ამას მოწმობს წარწერიანი ქვა, რო-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 748.

[2] И. Кипшидзе, Грамматика Менгрельского (Иверского) языка. Тб., 1914, გვ 358.

[3] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 147; მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ქუთაისი, XVIII, 1958, გვ. 151, მიხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 1959, გვ. 239; ქ. მ უ შ კ უ დ ი ა ნ ი, ლეჩხუმის სახელწოდებისათვის, „მნათობი“, 1972, № 1.

[4] ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 84.

მელიც მას თავის დროზე ამკობდა[4]. შემდეგში ეს ქვა ახალი ეკლესიის საძირკველში დაუტანიათ.

ხვამლის ეკლესია მთელი ლეჩხუმის ერთგვარ რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. იგი ერთადერთ საეკლესიო ნაგებობას წარმოადგენდა, რომლის დღეობაზე, 20 ივლისს, მთელი ლეჩხუმი იყრიდა თავს. ამ ეკლესიიდან სამხრეთით, რვა კილომეტრის მანძილზე სოფელ ნაყურალეშიდან, ეკლესიისაკენ მიმავალი გზის ასიოდე მეტრის დაშორებით, დგას ციხე, რომელსაც უწვაშის ციხეს უწოდებენ. იგი აგებულია მაღალ მთაზე და მშენებლებს მთლიანად გამოუყენებიათ მისი შედარებით სწორი რელიეფი. ციხე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ არის გადაჭიმული. აღმოსავლეთ მხარეს დგას კოშკი, რომელიც დედა ციხე უნდა იყოს. მისი ზომებია 7 მ $\times$ 8 მ. მას ოთხივე მხრიდან ბურჯი ამაგრებს. კოშკს შესასვლელი დასავლეთის მხრიდან აქვს. მისი პირველი სართული ყრუა. კოშკი ნაგებია კარგად დამუშავებული ქვით, წყობა თარაზულია. კოშკის დასავლეთით ციხის ეზოა, რომლის გალავანი აგებულია კარგად დამუშავებული ქვის უზარმაზარი კვადრებით. კოშკის ჩრდილოეთითაც ციხის ტერიტორიაა, რომლის კედლები უშუალოდ მთის ვერტიკალურ კედლებამდე აღწევს. გალავანი აქ აგებულია შედარებით მცირე ზომის კვადრებით.

უწვაშის ციხე გრანდიოზულ ნაგებობას წარმოადგენს. იგი დგას იმ გზაზე, რომელიც რიონის ხეობიდან მოემართებოდა ღვირიშის ღელეს ხეობით და უცხერის და დეხვირის გავლით ცაგერამდე აღწევდა. ციხე ადრეფეოდალური ხანისაა. ჩვენი აზრით ამ ხანაში იგი ლეჩხუმის ცენტრს წარმოადგენდა (ამ პერიოდის ლეჩხუმი ჩვენ განსხვავებულად გვესმის, ვიდრე ეს დღესაა მიღებული. ამაზე ქვემოთ).

უწვაშის ციხის სტრატეგიულმა მნიშვნელობამ გვიანფეოდალურ ხანაშიც იჩინა თავი, როდესაც მის მეზობლად მდებარე სოფლებში დამკვიდრებულმა ჩიქოვანებმა მთელ ლეჩხუმს დაადეს ხელი.

ჩვენი აზრით სწორია ვახუშტი, როდესაც ქვეყნის სახელი თაკვერი თაკვერის მთის სახელიდან გამოყავს. ჯერ იქნებოდა მთა თაკვერი, შემდეგ თაკვერის ციხე და ბოლოს ქვეყანა თაკვერი. მთის მსგავსმა სახელმა საკვერიამ დღემდე მოაღწია. არაა გამორიცხული, რომ ამ მთას სახელი განსაკუთრებული მოყვანილობის გამო მიეღო. მხოლოდ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ვახუშტის მოსაზრებას თაკვერის (ქვეყანის) ლოკალიზაციის ირგვლივ: „პირველად თაკვერს უწოდებდნენ რაჭას ბაგრატიონთამდე, ვითარცა აჩენს ცხოვრება, რამეთუ „გარდამოვლეს ოვსთა გზა თაკვერისაო“, ვინაიდან არს გზა ოსეთისა რაჭა და არა ლეჩხუმი“. კვალად ვითარცა მოწმობს სვინაქსარი მაქსიმე აღმსაარებელისა, სახელდობრ ციხეთა მას შინათა. ხოლო შემდგომად ამას უწოდეს რაჭა და მას თაკვერი ციხისათვს მუნ მყოფის“[5].

ვახუშტისეულ „ცხოვრებაში“ ლეონტი მროველის თხზულება იგულისხმება, სადაც აღნიშნულია, რომ მეფე ამაზასპის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა მიიღეს ოსებმაც, რომლებმაც „გარდამოვლეს გზა თაკუერისა და მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისათა“[6].

ქართლის ცხოვრების ეს ადგილი რაჭისა და თაკუერის თავდაპირველი იგივეობის დამამტკიცებლად ვერ გამოდგება. ეს უკანასკნელი ლეონტი მრო-

---

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 748, სქოლიო 1.

[6] ქართლის ცხოვრება. I, თბ,, 1955, გვ. 57.

ველის თხზულებაში აღარ გვხვდება. ჯუანშერი თაკვერს ორჯერ მოიხსენიებს დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმის მნიშვნელობით[7]. ამავე დროს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ოსებს ცენტრალური კავკასიონის დიდი ნაწილი ეკავათ და დასავლეთით აფხაზებს და ჩერქეზებს ესაზღვრებოდნენ. ასეთ შემთხვევაში „გზა თაკუერისა“ ყველაზე მოსახერხებელი გზაა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმის გავლით დასავლეთ საქართველოსთან დააკავშირებდა. ყველაზე მოსახერხებელი ეგრისში გადმოვლა ცხენისწყალის ხეობით იქნებოდა, რომლის სათავეში არის მაჩხაფარის ანუ შავრიცეკის უღელტეხილი, რომელიც „ზამთრის გარეშე წლის ყოველ პერიოდში მისაწვდომია, გადასავალი სრულიად უვნებელია, რადგან მასზე შესაძლებელია ცხენოსანი ჯარის გადაყვანაც კი“[8]. უღელტეხილის გადალახვის შემდეგ გზა ქვემო სვანეთის უკიდურეს თემში ლაშხეთში ეშვება. აქ იგი იტოტება. ერთი გზა კვალინდებურად ცხენისწყალს მიუყვებოდა და მურის ციხის გავლით ცაგერამდე აღწევდა. მეორე გზა ლაშხეთიდან უშუალოდ სამხრეთით ეშვებოდა. იგი გადალახავდა ლეჩხუმის ქედს ჯვარის უღელტეხილით და ლაჯანურას ხეობაში სოფელ ორბელთან ეშვებოდა, გაივლიდა რა აქ მდგარი ადრეფეოდალური ციხის გვერდით. აი როგორ აღწერს ამ უკანასკნელ გზას ვ. მაევსკი: „მიუხედავად იმისა, რომ იგი არასოდეს შეუკეთებიათ, მისი მდგომარეობა ყოველთვის იმდენად დამაკმაყოფილებელია, რომ მასზე თავისუფლად დადიან მძიმედ დატვირთული ცხენები. ამას გარდა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბილიკი წარმოადგენს უმოკლეს გზას ცაგერსა და ლაშხეთის თემს შორის. გზა უშუალოდ ცხენისწყლის გაყოლებით უფრო გრძელია, თანაც მიუხედავად იმისა, რომ მასზე ყოველწლიურად უამრავი თანხა იხარჯება, ეს გზა იშვიათად არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში“[9].

ამ ძირითადი გზის გარდა ლაშხეთიდან ლეჩხუმის ქედს გადალახვით რამდენიმე გზა მოემართება. ორი მათგანი ლაჯანურას ხეობის სოფლებში ლაილაშსა და ლეშქაშში ეშვება. ერთი გზა კი სოფელ ჰყვიშში მიემართება.

ამრიგად, ძველი ოსეთიდან ეგრისში მიმავალი ყველაზე მოსახერხებელი გზა მიუყვებოდა ცხენისწყლის ხეობას: მაჩხაფარის უღელტეხილი — ლაშხეთი — ჯვარის უღელტეხილი — ორბელი — ცაგერი — ღვედი — გორდი მათხოჯი — ხონი. რადგანაც ამ გზის უმეტესი ნაწილი თაკვერის (ვიწრო მნიშვნელობით) ტერიტორიაზე მიემართებოდა ამიტომ მისი სახელიც „გზა თაკუერის“ სავსებით კანონზომიერია.

მატერიალურ დადასტურებად ამ გზის არსებობისა გამოდგება ის ადრეფეოდალური ხანის ციხეები, რომლებიც ამ გზის ყოველ მონაკვეთზე გვხვდება.

რაც შეეხება მაქსიმე აღმსარებელის სვინაქსარის მოშველიებას თავდაპირველად რაჭისა და თაკვერის იგივეობის შესახებ, ვახუშტი ბაგრატიონს აქ მხედველობაში აქვს ამ წმინდანი ცხოვრების XI ს-ის ქართული რედაქცია, სადაც აღნიშნულია, რომ „ანასტასი დიაკვანი წარიყვანეს ციხესა თაკვერისა კვარას“[10]. ჩვენი აზრით, ვერც ეს საბუთია დამაჯერებელი. ადრეფეოდალურ ხანაში თაკვერი დღევანდელ რაჭა-ლეჩხუმსაც მოიცავდა (ფართო მნიშვნე-

7 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 185 და 241.

8 ი. ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, რაჭის კავკასიონი, „პროლეტარული ტურისტი“. 1932, № 4.

9 В. Маевский, Кутаисская губерния, военно-статистическое описание, Тифлис, 1896, გვ. 194.

10 საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ., AD—9733.

ლობით), ამიტომ კვარას ციხეს თაკვერში ლოკალიზება სრულებითაც არაა მოულოდნელი და ახალს ვერაფერს გვმატებს რაჭისა და თაკვერის (ვიწრო მნიშვნელობით) ურთიერთმიმართების გარკვევის საქმეში.

ქართულ წერილობით წყაროებში ლეჩხუმი პირველად XIV ს-ის დასასრულის, ჯაფარიძეთა და ბალზემო სვანეთის სისხლის ზღვევის სიგელშია მოხსენიებული. შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ქვეყნის თავდაპირველი სახელი თაკვერი (ვიწრო მნიშვნელობით) მოგვიანო ხანებში ლეჩხუმით შეიცვალა. უცხო საისტორიო წყაროების გამოყენება მთლიანად არღვევს ამ სურათს.

ბიზანტიურ ადრეფეოდალური ხანის წყაროებში რამდენჯერმე მოხსენიებულია სკვმნია||სკვმია, რომელიც, როგორც დადგენილია, ქართული ლეჩხუმის თუ ჩხუმის ბერძნულ ფონეტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს[11].

ლეონტი მროველი და ჯუანშერი XI ს-ის ისტორიკოსები არიან. შეიძლება დაგვეშვა, რომ მათ თავისი დროის სინამდვილე მექანიკურად გადაიტანეს ძველი ამბების გადმოცემის დროს: მათ დროს რეალურად არსებული პროვინცია თაკვერი უფრო ადრე ხანაში გაიაზრეს. ჯერ ერთი ასეთ შემთხვევაში, ჯუანშერი თაკვერს რაჭა-ლეჩხუმის მნიშვნელობით ვერ იხმარდა, რადგან ამ ხანაში რაჭა უკვე ცალკე საერისთავოს წარმოადგენს, რომელსაც კახაბერიძეთა საგვარეულო განაგებს. ამ დროისათვის თაკვერი უეჭველად მხოლოდ ცხენისწყლის აუზის შუაწელს გამოხატავდა და რაც მთავარია VII ს-ის სომხურ გეოგრაფიაში ლეჩხუმი თუ ჩხუმნი (სკვიმია) და თაკვერი ორივე მოხსენიებულია[12]. ასე რომ ორი ქვეყნის თაკვერისა და ლეჩხუმის თუ ჩხუმნის ერთდროული არსებობა ეჭვგარეშეა.

თაკუერის (ქვეყნის) შემოსახაზავად აუცილებელია თაკვერის ციხის ლოკალიზაცია.

ეს ციხე მოხსენიებულია ანასტასი აპოკსირის წერილში თეოდოსი განგრელის სახელზე (VII ს.), რომელიც საფუძვლად დაედო მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების რედაქციებს, სადაც თაკურის ციხე აგრეთვე მოხსენიებულია. წერილის ავტორს ორი თვე გაუტარებია ამ ციხეში. რაიმე ცნობას, რომელიც თაკვერის ციხის ლოკალიზაციას გაადვილებდა ანასტასი აპოკსარის წერილში ვერ ვხვდებით.

როგორც აღვნიშნეთ, თაკვერის ციხის ლოკალიზაცია XI საუკუნეში სცადა მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ქართული რედაქციის ავტორმა, რომელმაც იგი კვარას ციხესთან გააიგივა.

თაკვერის ციხის ლოკალიზაცია მოცემულია ვახუშტისთან: „ცხენისწყალს მოერთვის, გორდს ზეით, ჩდილოდამ, კავკასის გამომდინარე ჴევი, და ამ ჴევზედ არს ციხე თაკუერი, მაღალს კლდესა ზედა, დიდშენი და ფრიად მაგარი"[13].

ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ რამდენიმე მკვლევარი შეეცადა თაკვერის (ციხის) ლოკალიზაციას. იოანე ბატონიშვილი მას მურის ციხესთან ათანაბრებს, ს. ყაუხჩიშვილი — ცაგერთან. ზოგი მკვლევარი თაკვერის ციხეს ზუბის ან კიდევ დეხვირის ციხეში აიგივეებს[14].

---

[11] ს. ჯანაშია, უძველესი ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 100; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, თბ., 1963, გვ. 126.

[12] И. Патканов, Армянская география, VII века, СПб, 1877, გვ. 37.

[13] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 748—749.

[14] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, თბ., 1948, გვ. 53; К. Кекелидзе, Сведения Грузинских источников о Максиме исповеднике, ეტიუდები ძველი ქართული

დავუბრუნდეთ ვახუშტის ლოკალიზაციას. როგორც აღვნიშნეთ მისთვის ცნობილი იყო XI ს-ის მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ქართული რედაქცია, რომელიც კვარას ციხეს თაკვერის ციხეში აიგივებს. ვახუშტი, მიუხედავად ამისა, თაკვერის ციხეს ცხენისწყლის ხეობაში ათავსებს, თუმცა ამის საშუალებას არც აპოკსარის ზემონახსენები წერილი და არც მის საფუძველზე შედგენილი მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება არ იძლევა. უნდა ვიფიქროთ, რომ ვახუშტი სარგებლობდა, რომელიღაც ინფორმატორის მოწოდებული ცნობით. ეს ციხე, რომ ამ დროისათვის მოქმედი ყოფილიყო სხვა სახელით, ინფორმატორი მკვლევარს იმასაც აცნობებდა, თუ რა ეწოდებოდა ამ ციხეს. ამიტომ ჩვენ გამორიცხულად გვეჩვენება, რომ ვახუშტისეულ თაკვერში დეხვირის ან კიდევ ზუბის ციხე ვიგულისხმოთ. საფიქრებელია, რომ ვახუშტისეული თაკვერის ციხე გორდის სიახლოვეს, რომელიმე სხვა ციხე უნდა იყოს.

სოფელ გორდის ზემოთ, მდინარე ცხენისწყალს მარჯვენა მხრიდან ერთვის მდინარე, რომელსაც ოკაცე ეწოდება. ამ მდინარის შესართავიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, სოფელ კინჩხაში, არის ადგილი „კიბულა“, რომელსაც ვრცელი ფართობი უკავია მდინარე ოკაცესა და მის შენაკად ღალდას შორის. ამ ადგილის დათვალიერებამ ცხადი გახადა, რომ „კიბულა“ წარმოადგენს უზარმაზარ ციხეს, რომლის აგების დროს მშენებელს კარგად გამოუყენებია ბუნებრივი გარემო. აღმოსავლეთით იგი გადაჰყურებს მაღალ კლდეებს, რომელიც მდინარე ღალდას მარჯვენა ნაპირზეა. მდინარიდან ამ კლდის სიმაღლე 100 მეტრამდეა. ამ მხარეს მშენებლებს გაუმაგრებიათ მხოლოდ ის ადგილები, საიდანაც ღალდას ხეობიდან ბილიკები ამოდის. ასე რომ ამ მხარეს კედელი მთლიანი არაა. იგი ნაგებია დიდი ლოდებით კირზე. წყობა თარაზულია.

დასავლეთ მხარეს კინჩხას ციხეს კედელი, როგორც ჩანს არ ქონდა. აქ იგი უშუალოდ ემიჯნება მაღალ კლდეებს, რომელიც მდინარე ოკაცეს მარჯვენა ნაპირს გაუყვება. ციხეს სამხრეთ მხრიდანაც შვეული კედლები ემიჯნება. ამ მხარეს სამანქანო გზის გაყვანამდე ციხეზე ამოდიოდა ერთი ბილიკი, რომელიც მოადგებოდა ხელოვნურ კლდეკარს. მას „ციხის კარი“ ეწოდებოდა, სადაც უკანასკნელ ხანებამდე კარის ნაშთები შეიმჩნეოდა. არაა გამორიცხული, რომ კედელი ციხეს, ნაწილობრივ მაინც სამხრეთ მხარესაც ჰქონოდა, მაგრამ დღეისათვის რაიმეს თქმა ჭირს. კლდეები ძალზე ეროზირებულია და ნაწილობრივ გადაქცეულია.

კინჩხის ციხე ადვილად მისადგომია ჩრდილოეთის მხრიდან. ამიტომ აქ აუგიათ დაახლოებით სამასი მეტრის სიგრძის კედელი. დღეს სამანქანო გზის აღმოსავლეთით კედელი კარგადაა შემორჩენილი. მისი დღემდე მოღწეული სიმაღლე 5 მეტრია. იგი ნაგებია კირზე კარგად დამუშავებული ადგილზე მოპოვებული ქვით. ლოდები სხვადასხვა ზომისაა, ოთხკუთხა. წყობა თარაზულია, მაგრამ სხვადასხვა ზომის ქვები წყობაში სხვადასხვა სიმაღლეზეა. კედლის მეორე ნაწილი სამანქანო გზის დასავლეთით მდინარე ოკაცემდე ძალზე დანგრეულია.

---

ლიტერატურის ისტორიიდან, VII. თბ., 1968; გვ. 31. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, ნაკ. I, თბ., 1941, გვ. 53 მ. ჩიქოვანი, მაქსიმე აღმსარებელი VII საუკუნის ქართულ ლეგენდებში, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 88; А. Бриллиантов, О месте кончины и погребения св. Максима исповедника. Христианский Восток, т. VI, Петроград, 1917, გვ. 34; Д. Мусхелишвили. Основные вопросы исторической географии Грузии. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1975, გვ. 20.

კინჩხას ციხეს დაახლოებით 15 ჰა ფართობი უკავია, რომელიც დღეს ყანებს და ეზოებს უჭირავს ძირითადად. ყანებში აქა იქ შეიმჩნევა შენობათა კვალი. აქვე, უშუალოდ მდ. ოკაცეს მარცხენა ნაპირას არის ადგილი, რომელსაც „ნადარბაზევს" უწოდებენ. აქ რომელიღაც შენობის ნაშთებია შემორჩენილი.

ციხის ჩრდილოეთით, კედლიდან ასიოდე მეტრის დაშორებით, არის წყარო, რომელსაც „ცივ წყალას" უწოდებენ. აქ თხრის დროს თიხის მილები უნახავთ. მსგავსი მილები ციხის ტერიტორიაზეცაა ნაპოვნი, რაც წყალსადენის არსებობას მიგვითითებს.

კინჩხას ციხეს დასცქერის მთა, რომელსაც საკვერიას მთა ეწოდება. ამ უკანასკნელი სახელის დაკავშირება თაკვერთან კი სულ ადვილად ხერხდება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კინჩხას ციხე თავისი მდებარეობით ზუსტად შეესაბამება ვახუშტისეულ თაკვერის ციხეს მივალთ დასკვნამდე, რომ ანასტასი აპოკსარის წერილში მოხსენიებული თაკვერის ციხე და კინჩხას ციხე ერთიდაიგივეა.

ჩვენი აზრით ადრეფეოდალურ ხანაში დასავლეთ საქართველოს მთიანეთი სვანეთის აღმოსავლეთით სამი, შედარებით მცირე, ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნისაგან შედგებოდა: თაკუერი, ლეჩხუმი თუ ჩხუმნი (ბიზანტიური წყაროების სკვიმნია//სკვიმია) და რაჭა.

თაკუერის ცენტრს თაკუერის ციხე წარმოადგენდა. იგი მოიცავდა ცხენისწყლის ხეობის შუაწელს (ლაჯანურას ხეობით), აგრეთვე კინჩხას, გორდს და მის მიდამოებს.

ლეჩხუმში ადრეფეოდალურ ხანაში შედიოდა რიონისა და ცხენისწყლის წყალგამყოფ ქედზე მდებარე სოფლების გარდა, ტერიტორია ხვამლის მთის ჩრდილოეთითა და სამხრეთით. საკუთრივ დღევანდელი კლდედაღმართი ლეჩხუმის გარდა (რიონის ხეობის ერთი მონაკვეთი, რომელიც მოქცეულია სოფლების ტოლასა და ნამახვანს შორის, აგრეთვე რიონის შენაკადის ღვირიშის ხეობა), ლეჩხუმში შედიოდა რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ტერიტორია, ხვამლის მთის სამხრეთით, რომელიც ვახუშტის ოკრიბაში შეყავს, ხოლო გვიანფეოდალურ ხანაში სალორთქიფანიძეოს ან კიდევ „ფიცის კაცის" სახელითაა ცნობილი.

ადრეფეოდალური რაჭა მოიცავდა დღევანდელი რაჭის ტერიტორიას იმ მონაკვეთების გამოკლებით, რომელიც ამ დროს სვანეთში შედიოდა.

ტერიტორიულ ადმინისტრაციულად სამივე ეს ქვეყანა ერთ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც ქართველები თაკვერს უწოდებდნენ, ხოლო ბიზანტიელები ლეჩხუმის თუ ჩხუმნის მიხედვით სკვიმნიას.

შუაფეოდალურ ხანაში ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა ლეჩხუმი მოიშალა. მისი ერთი ნაწილი ოკრიბაში შევიდა, მეორე თაკვერში. ლეჩხუმის ერთი ნაწილი კი რაჭის საერისთავოს შემადგენლობაშია.

გვიანფეოდალურ ხანაში ჩამოყალიბდა ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული ლეჩხუმის სახელწოდებით, რომელმაც ძველი ლეჩხუმისა და თაკვერის დიდი ნაწილი გააერთიანა. ამის შემდეგ თაკვერმა, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულმა ტერმინმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა. ამ სახელწოდებას ვხვდებით, მხოლოდ XVIII საუკუნეში, ოდიშის მთავართა ტიტულატურაში, სადაც ლიტერატურული გზით უნდა მოხვედრილიყო.

ვახუშტი ბაგრატიონი ლეჩხუმს შემდეგ საზღვრებში იძლევა: „ვარნა ლეჩხუმსა და რაჭას განჰყოფს: გუელის თავის მცირე მთა აღმოსავლიდამ; ჩდილოთ მთა კავკასი, ლეჩხუმსა და სვანეთს შორისი (ამ ქედს დღეს ლეჩხუმის ქედი ეწოდება. — თ. ბ); დასავლით მთა კავკასივე და კავკასიდამ ჩამოსული სამჴრეთად მთა გორდამდე (ასხის მასივი. — თ. ბ.); სამჴრით რიონი და მთა ხომლის კლდიდამ წარსრული დასავლეთად გორდამდე, ამას და ოკრიბას შორისი“[15].

გადავხედოთ წყაროებს რამდენად შეესაბამება ვახუშტისეული ლეჩხუმის საზღვრები სინამდვილეს.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, ვახუშტი ზუსტად გვაძლევს საზღვარს სვანეთსა და ლეჩხუმს შორის, აგრეთვე ამ უკანასკნელის დასავლეთ მიჯნას — ასხის მთათა მასივს.

საზღვრად რაჭასა და ლეჩხუმს შორის ვახუშტი „გუელის თავის“ მთას მიიჩნევს. ტექსტში მეორე ადგილას იგი აღნიშნავს „ჭყვისის სამჴრით რიონზედ. არპანს, ძევს კიდი, და ამ კიდს ზეით და ჭყვისის აღმოსავლეთ კავკასის მთიდამ (ლეჩხუმის ქედიდან. — თ. ბ.), ტოლის დასავლეთად ჩამოვალს მთა მცირე სამჴრითისაკენ რიონამდე, და ესე არს გუელისთავად წოდებული. ამ მთის აღმოსავლეთის კერძო არის რაჭა და დასავლის კერძო ლეჩხუმი“[16].

მთა „გუელისთავი“ ეს იგივე ლაბეჭინას სერია, რომელიც მდინარეების ლაჯანურასა და ასკისწყალის წყალგამყოფს წარმოადგენს. ადგილობრივი მოსახლეობა ამ სერს დღესაც გველისთავს უწოდებს. იგი ჭყვიშის ჩრდილო დასავლეთით და დასავლეთით მიემართება და არა აღმოსავლეთით. თანაც გვიანფეოდალურ ხანაში საზღვარი რაჭასა და ლეჩხუმს შორის ჭყვიშის აღმოსავლეთით მდ. ასკის წყალზე გადიოდა. ასე რომ ვახუშტი ერთი შეხედვით უხეშ შეცდომას ჩადის.

საკითხის ასე მარტივად გადაჭრა არ იქნებოდა მართებული. გველისთავის ქედი მართლაც იყო საზღვარი, მაგრამ არა გვიანფეოდალურ ხანაში, არამედ შუაფეოდალურ ხანაში. იგი მიჯნავდა რაჭასა და თაკვერს[17].

ვახუშტიმ კარგად იცის თუ სად გადიოდა საზღვარი რაჭასა და ლეჩხუმს შორის მისი დროისათვის: წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჭყვიშს ლეჩხუმში არ შეიყვანდა და რაჭის უკიდურეს დასავლეთ პუნქტად ტოლას არ დაასახელებდა. ამავე დროს მას სცოდნია თაკვერისა და რაჭის საზღვარი შუაფეოდალურ ხანაში და რადგანაც ვახუშტის ლეჩხუმი და თაკვერი იდენტურ ცნებებად მიაჩნდა იგი შეეცადა მისი დროისათვის არსებული ვითარება შუაფეოდალური ხანის ვითარებისათვის დაემთხვია. ამან გამოიწვია ის, რომ ვახუშტიმ გველითავის მცირე მთა ჭყვიშის აღმოსავლეთით გამოსახა და არა დასავლეთით და რაჭისა და ლეჩხუმის საზღვრად ასკისწყალის ნაცვლად ეს მთა მიიჩნია.

ვახუშტის მიხედვით არპანას მიდამოებში (დღეს ამ სოფელს ალპანა ეწოდება, თუმცა ირკვევა, რომ უძველესი ფორმა არპანაა) ლეჩხუმის ტერიტორია რიონის მარცხენა ნაპირზე არ გადადიოდა. სინამდვილეში, სოფელი ზოგიში, რომელიც რიონის მარცხნივ მდებარეობს (ვახუშტის რუკებზე მასაც არპანა ეწოდება) გვიანფეოდალურ ხანაში ლეჩხუმში შედიოდა.

---

15 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 748.

16 იქვე, გვ. 749.

17 თ. ბ ე რ ა ძ ე, რაჭა ფეოდალურ ხანაში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1975.

არპანასთან დღეს ძველი ხიდი აღარაა. ამ სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, რაჭისაკენ მიმავალი გზის პირას, რიონზე შემორჩენილია ხიდის ნაშთი, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში აუგიათ. მდინარის კალაპოტი აქ ძალზე მოსახერხებელია ხიდისათვის და ვახუშტის დროინდელი ხიდიც აქ უნდა მდგარიყო.

ლეჩხუმის სამხრეთ მიჯნად ვახუშტი მდინარე რიონსა და ხვამლის მთის მასივს მიიჩნევს. საერთოდ, ჩვენ ისტორიკოსს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ალპანას ქვევით მდებარე რიონის ხეობაზე. მის რუკებზე ამ სოფლის ქვემოთ, რიონის მარცხენა ნაპირზე პირველად დღნორისაა აღნიშნული, ხოლო მარჯვენა ნაპირზე კი — გუმათი. სინამდვილეში კი, აქ ათზე მეტი სოფელია მოთავსებული. რაც მთავარია, გვიანფეოდალურ ხანაში ლეჩხუმი ხომლის მასივის სამხრეთითაც ვრცელდებოდა და დღნორისა, რომელიც ვახუშტის ოკრიბაში შეყავს, ლეჩხუმში მდებარეობდა: XVI საუკუნეში შედგენილ ბიჭვინტის იადგარში ლეჩხუმში მოხსენიებულია სახხეური და წუგნა, რომლებიც მდებარეობენ ლეხიდარის მარჯვენა ნაპირზე, დღნორისას სამხრეთით[18]

ეს „შეცდომა" ვახუშტის დიდ „ცოდვად" არ ჩაეთვლება. XVIII ს-ის 70-იან წლებშიც კი რაიონის ხეობის ეს ნაწილი ალპანას ქვემოთ, ოკრიბის ფარგლებში ითვლებოდა, რომელიც ოდიშისა და ლეჩხუმის მფლობელებს, დადიანებს ძალით აქვთ მიტაცებული[19].

ჩვენი აზრით ამ შემთხვევაში ვახუშტი გამოდის შუაფეოდალური ვითარებიდან, როდესაც ოკრიბას შემადგენლობაში იყო ხვამლის მასივის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, მდინარე რიონის ორივე ნაპირზე.

დასასრულს, გორდი და მისი მიდამოები ვახუშტის ლეჩხუმში შეყავს. მისი დროისათვის ეს ასე არ უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში ვახუშტი გამოდის უფრო ადრე ვითარებიდან, როდესაც თაკვერი მოიცავდა ტერიტორიას თაკვერის ციხის სამხრეთითაც.

ვახუშტისეულ ლეჩხუმის აღწერილობაში ძალზე ცოტა პუნქტებია დასახელებული. თაკვერის ციხის შემდეგ იგი ასახელებს ორბეთის ციხეს: „...მოერთვის ცხენისწყალს სხუა ჴევი აღმოსავლიდამ; გამოსდის ამასა და ლეჩხუმს შორის მთას. ამ ჴევზედ არს ციხე ორბეთისა, კლდესა შენი ფრიად მაგარი"[20].

ლეჩხუმში არის სოფელი ორბელი და არა ორბეთი. იგი ცხენისწყლის აღმოსავლეთ შენაკადზე კი არ დგას, არამედ ლაჯანურაზე, რიონის მარჯვენა შენაკადზე. ამ სოფელში ორი ციხეა. ერთი დგას მდინარის პირას, მცირე ზომისაა და ადრეფეოდალური ხანის უნდა იყოს. მეორე ციხე ლაჯანურიდან საკმაოდ მოშორებულია და დგას ამ მდინარისა და ცხენისწყლის წყალგამყოფ სერის აღმოსავლეთ მხარეს. ციხე სამ კოშკიანია, თავისი ეკლესიით. სპეციალური წყალსადენი, რომლის სათავე ციხიდან 1200 მ.-ის დაშორებით „ფარელში" იყო, ამ ციხეს წყალს აწვდიდა. ვახუშტისეული „ორბეთის ციხე" ორბელის ეს ციხე უნდა იყოს.

ორბეთის ზემოთ ვახუშტი დეხვირს ასახელებს: „ამ ჴევს ზეით, ლეჩხუმის საშუალს, ცხენის წყლის კიდეზედ, არს ციხე კლდესა ზედა შენი, დეხვირი,

---

[18] ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 178.

[19] გ. გელაშვილი, გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 297, 325—326.

[20] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 749.

თავი თაკუერისა, რამეთუ რომელსა უპყრავს იგი მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად"[21].

წერილობით წყაროებში დეხვირი პირველად რუსი ელჩების იევლევისა და ტოლოჩანოვის მუხლობრივ ანგარიშებშია მოხსენიებული (1650—1652 წწ.). „დეხვირის ციხე და საყდარი" დატანილია 1737 წელს შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე. გიულდენშტედტს მოხსენიებული აქვს „დეხვირის ციხე და განთქმული ეკლესია".

XIX ს-ის დასაწყისში სოლომონ II ოდიშის მთავარს დეხვირის ციხე წაართვა და შიგ 17 კაციანი გარნიზონი ჩააყენა. 1804 წ. რუსეთის მთავრობამ ეს ციხე დადიანს გადასცა, რაც იმერეთის მეფის უკმაყოფილების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა: „გვაქუნდა ციხე ერთი დეხვირი" — წერდა სოლომონ II ტორმასოვს „საშუალო ლეჩხუმის, რომელსა შინა მოგვიკვლეს მეციხოვნე მუნ მყოფთა მოსახლეთა. ვითხოვეთ მის ზედა სამართალი და ნაცვლად სამართლის მოცემისა წაგვართვეს იგი"[22].

„დეხვირის განთქმული ეკლესია" ეს ცხეთის ეკლესია უნდა იყოს. ამ ეკლესიიდან სამასიოდე მეტრის დაშორებით, დასავლეთით, ლაჯანურას და ცხენისწყლის წყალგამყოფ ქედზე შემორჩენილია ოთხი კოშკის საფუძველი. აქედან ერთი კოშკი, რომელსაც თავისი გალავანი გააჩნდა, ოცდაათი წლის წინათ ჯერ კიდევ დაუნგრეველი ყოფილა. კოშკების ეს კომპლექსი უნდა ყოფილიყო დეხვირის ციხე, რომელიც შეიძლება არც იყო საერთო გალავნით გაერთიანებული.

დეხვირის ციხეს ძალზე სტრატეგიული მდგომარეობა ეკავა, ჯერ ერთი ის გადაჰყურებს და კონტროლს უწევს ცხენისწყლის და ლაჯანურას ხეობებს. მის ძირში გადიოდა გზა, რომელიც ცაგერს უცხერის გადასასვლელით და ღვირიშის ხეობით რიონის აუზთან აკავშირებდა. ვინც ამ ციხეს ფლობდა, იგი კონტროლს უწევდა ლეჩხუმის იმ ნაწილს, რომელიც ძველი თაკვერის დიდ ნაწილს მოიცავდა. ვახუშტი შემთხვევით არ ხმარობს დეხვირის ციხის მიმართ გამოთქმას „თავი თაკუერისა" და არა ლეჩხუმისა: ამ ციხის დაკავებით მთელი გვიანფეოდალური ლეჩხუმის კონტროლი ვერ ხერხდებოდა. რჩებოდა კლდედალმართი ანუ მთის გადაღმა ლეჩხუმი, სადაც ამ ციხის გავლენა არ ვრცელდებოდა.

დეხვირის შემდეგ ვახუშტი ცაგერსა და მის მიდამოებს აღწერს:

„ამის (დეხვირის ციხის. — თ. ბ.) სამჴრით და ცხენისწყლის აღმოსავლით არს ცაგერს ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ლეჩხუმისა და სუანეთისა. ამას ზეით არს მონასტერი, წოდებული მაქსიმე აღმსარებელისა, და მუნ არს მაქსიმე აღმსაარებელი დაფლული. არს შუენიერ-შენი, კეთილს ადგილს და აწ ხუცის ამარად. მას ზეით, ცხენისწყალზედ, არს კავკასის ძირის მურის ციხე, არვისგან შემუსვრილ-აღებული. მუნიდან გარდავალს სუანეთს გზა"[23].

ცაგერის საეპისკოპოსო კათედრალი საფუძვლიანად გადაკეთდა. თავის დროზე კი იგი ბაზილიკური ტიპის ნაგებობა იყო და არა გუმბათოვანი[24]. ასე რომ ამ შემთხვევაში ვახუშტი ცდება. უნებლიე შეცდომა მოდის მას აგრეთვე,

21 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 749.

22 Акты собранные Кавказской археологической комиссией, т. IV, 1870. გვ. 215.

23 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 749.

24 ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური..., გვ 48.

როდესაც ცაგერს დეხვირის სამხრეთით მიიჩნევს, ცხენისწყლის აღმოსავლეთით (მარცხენა ნაპირზე). სინამდვილეში ცაგერი დეხვირი ჩრდილო დასავლეთითაა, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე. თანაც ცაგერის ეპისკოპოსი ლეჩხუმთან ერთად მთელი სვანეთის მწყემსთავარი კი არ იყო, არამედ მის საეპისკოპოსოში ზემო სვანეთის ერთი ნაწილი ბალს ქვემო სვანეთი არ შემოდიოდა. ეს უკანასკნელი ეკლესიურად ცაიშელს ექვემდებარებოდა.

„კავკასად“ ამ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, ლეჩხუმის ქედი იგულისხმება. ამ ქედის სამხრეთ კალთაზე, ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე დგას მურის ციხე, რომლის ძირში სვანეთისაკენ მიმავალი ერთ-ერთი გზა გადიოდა. ეს ციხე ადრეფეოდალურ ხანაში უნდა იყოს აგებული (მაქსიმე აღმსარებლის, ზემოხსენებულ XI ს-ის ქართულ რედაქციაში იგი მოხსენიებულია.), რომელიც XIX ს-ის პირველ ნახევარში მოქმედებდა. დღეისათვის მურის ციხის წყობაში ადრეფეოდალური ხანის ფენები თითქმის არ შემორჩენილა. ეს ციხე სამი ერთმანეთისაგან განმარტოებული კოშკისაგან შედგება, რომელთაგანც ცენტრალურ კოშკს თავისი გალავანი აქვს.

ძნელი დასადგენია, თუ სად მდებარეობდა „მონასტერი მაქსიმე აღმსაარებლისა“, სადაც „არს მაქსიმე აღმსაარებელი დაფლული“. ეს უკანასკნელი მისი ცხოვრების მიხედვით სქიმარში (ქართული ვერსიით ჰიმარში) გარდაიცვალა. XII ს-ის ერთ ქართულ სვინაქსარს, მაქსიმე აღმსაარებლის ცხოვრების ტექსტზე, არშიაზე მინაწერი აქვს „წმიდისა მაქსიმეს ნაწილნი... მახლობლად ცაგერისა“. ასე რომ ვახუშტის ცნობა იმის შესახებ, რომ მაქსიმე აღმსაარებელი ცაგერის მახლობლად არის დაკრძალული შუაფეოდალური ხანის ტრადიციას უნდა ეყრდნობოდეს. 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რუკაზე ცაგერის მახლობლად დატანილია „წმინდის მაქსიმეს საყდარი აღმსაარებლისა და საფლავი“. კალმასობაში აღნიშნულია, რომ იოანე ხელაშვილს, რომელიც ეწვია „სასახლესა და ციხეს მურს... აჩვენეს ბუნებრივნი ადგილნი და მდებარეობა და საფლავი მცირე ეკლესიისა შინა მაქსიმე აღმსაარებლისა“[25].

ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, მურის ციხის ძირში, დღემდე მოაღწია მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევებმა, რომელსაც მოსახლეობა მაქსიმე აღმსაარებლის სახელს უკავშირებს და მის სახელობაზე ძველად დღეობასაც იხდიდა „მურობას“. ეს უნდა იყოს კალმასობაში მოხსენიებული „მცირე ეკლესია“. იგი ჩვენი საუკუნის დასაწყისში მაქსიმე აღმსაარებლის სახელთან დაკავშირებით ნ. მარის ყურადღების ცენტრში მოექცა, რომლის ხელმძღვანელობით აქ სპეციალური არქეოლოგიური გათხრებიც კი მოეწყო[26].

ამავე დროს ვახუშტისეული „მონასტერი“ და 1737 წლის რუკის „მაქსიმეს საყდარი“ არ შეესაბამება ამ მცირე ეკლესიას. ჩვენი აზრით აქ უნდა იგულისხმებოდეს ადრეფეოდალური ხანის კომპლექსი, რომელიც დგას სოფელ გვესოში, ცაგერიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით. აქ, მაღალ მთაზე, დგას ადრეფეოდალური ხანის ციხე, თავის სამეკლესიანი ბაზილიკით. შეიძლება ეს იყო სქიმარის ციხე, სადაც სიცოცხლე დაასრულა მაქსიმე აღმსაარებელმა. ყოველ შემთხვევაში ესაა შუა და გვიანფეოდალურ ხანაში მაქსიმე აღმსაარებლის სახელობის მონასტერი, ხოლო ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე მდგარი მცირე ეკლესია მისი მეტოქი იქნებოდა. ბოლოს (XVIII ს-ის დასასრულისათვის) კი აღმსარებლის სახელი მასღა შემორჩა.

25 ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, II, გვ. 31.

26 მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, მაქსიმე აღმსარებელი..., გვ. 67—68.

მურის „აღმოსავლით, მთას იქით“ ვახუშტის აღნიშნული აქვს „სხვა „კეობა სხუა ლეჩხუმისა, რომლისა წყალი გამოდის მასვე კავკასის მთასა... მოერთვის ხომლის კლდესთან რიონს ჩდილოდამ... ამ კევის აღმოსავლით არს, მთას იქით, ჭყვისი, მინდორსა კლდე ამოსულსა ზედა, ციხე დიდშენი, მაგარი“[27].

ამ „კეობაში“ ვახუშტი მდ. ლაჯანურას გულისხმობს, რომლის აღწერილობაც მას ზუსტად აქვს მოცემული. რაც შეეხება ჭყვისის ციხეს ეს ის ციხეა, რომელიც დღესაც დგას სოფელ ზემო ჭყვიშში.

ჭყვიშის ციხე გასული საუკუნის დასაწყისშიც განაგრძობდა მოქმედებას. 1810 წლის ამბების შემდეგ იგი დანგრეულ იქნა რუსეთის ხელისუფლების მიერ. ასე რომ მასზე სრული წარმოდგენის შექმნა ჭირს, მით უფრო, რომ ციხის ნანგრევები ეკალ-ბარდითაა დაფარული.

ჭყვიშის ციხე დგას დიდ მინდორზე, ატყორცნილ გორაკზე, რომლის სიმაღლე ძირიდან 40 მეტრზე მეტია. ვახუშტისეული აღწერილობა ამ შემთხვევაში ზუსტია. მთავარი ციხიდან აღმოსავლეთით, ასიოდე მეტრის დაშორებით განმარტოებული კოშკი მდგარა, რომლის ნანგრევებიღაა შემორჩენილი. საკუთრივ ციხეში, ჩრდილო-აღმოსავლეთით დგას კოშკი, რომელსაც მომრგვალებული ბურჯები აქვს. მეორე კოშკი, ასევე მრგვალი ბურჯებით დგას ციხის დასავლეთ მხარეზე. ჭყვიშის ციხე ნაგებია კლდის წვრილი ქვით კირზე, ხოლო მოპირკეთებულია კარგად დამუშავებული დიდი ქვებით. წყობა თარაზულია. ჩვენი აზრით ჭყვიშის ციხე ადრეფეოდალურ ხანაში უნდა იყოს აგებული. აღსანიშნავია, რომ ციხის გორაკის დასავლეთის ფერდზე ჩვენ ავკრიფეთ კერამიკის ფრაგმენტები, რომელიც არქეოლოგმა გ. ლორთქიფანიძემ ელინისტური ხანით დაათარიღა.

ვახუშტის ლეჩხუმის აღწერილობაში არაა მოცემული, მაგრამ შესაბამის რუკებზე დატანილია სოფლები ოყურეში და გორდი. ამ უკანასკნელში დატანილია აზნაურის ციხე. ეს უნდა იყოს „ველის ციხე“ რომლის ნანგრევები შემორჩენილია სოფ. გორდის უბან ველში. იგი თავის დროზე წარმოადგენდა კოშკს თავისი გალავნით. ამ უკანასკნელის მხოლოდ საფუძველიღა შეიმჩნევა. საკუთრივ კოშკი ოთხკუთხაა. პირველი სართული ყრუ ყოფილა. წყობაში ორი ფენა შეიმჩნევა. ქვედა ფენა წარმოდგენილია კარგად გათლილი ლოდებით, თარაზული წყობით, ხოლო ზემოთა წყობა არეულია. კოშკი ჩრდილოეთ მხარეს ბურჯით იყო გამაგრებული. ჩვენი აზრით, გორდის ციხე ადრეფეოდალურ ხანაში უნდა იყოს აგებული, რომელიც შეკეთდა გვიანფეოდალურ ხანაში.

იმისათვის, რომ შევაფასოთ ვახუშტის ცნობები ლეჩხუმის შესახებ ვნახოთ რას წარმოადგენდა ეს ქვეყანა მისი დროისათვის.

ლეჩხუმი ვახუშტი ბაგრატიონის დროს ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა და ემორჩილებოდა „ჩიქოვანს, რომელიც არს დადიანი“. XVIII ს-ის მეორე ნახევარში იგი სამოურაოს წარმოადგენდა, რომელსაც სარდალ-მოურავი განაგებდა გელოვანთა გვარეულობიდან.

გვიანფეოდალურ ხანაში ლეჩხუმი შემდეგ საზღვრებში იყო მოქცეული. ჩრდილოეთით იგი ლეჩხუმის ქედს ემიჯნებოდა; აღმოსავლეთით ლეჩხუმს რაჭიდან ჯერ ასკის წყალი გამოყოფდა, რიონის მარცხენა ნაპირზე კი თავშავის ქედის სამხრეთი კალთები, რომელიც რაჭის ქედის გაგრძელებას წარმოადგენს. სამხრეთით საზღვარი ჯერ მდინარე ლეხიდარის მარცხენა ნაპირზე მდებარე მცირე მთას მიჰყვებოდა, ხოლო რიონის გადალახვის შემდეგ ხვამლის მთის

მასივს, რომლის ერთ გაგრძელებას უშუალოდ რიონის პირას „საზღვარას“ უწოდებდნენ. ეს უკანასკნელი ლეჩხუმის სოფელს მექვენას ნამახვანიდან გამოყოფდა.

XVIII საუკუნეში ლეჩხუმი მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანას წარმოადგენდა. გვიანფეოდალური ხანის წყაროებში დამოწმებული ლეჩხუმის ყველა დღევანდელი სოფელია მოხსენიებული. თავადების გელოვანების, ახვლედიანებისა და ჩიქოვანების გვერდით (ვახუშტის ლეჩხუმის მოსახლეებ დასახელებული ჰყავს მხოლოდ „აზნაურნი“ და „გლეხნი“) თავისი ციხე-დარბაზები ჰქონდათ აზნაურებს ასათიანებს, დადეშქელიანებს, ნემსაძეებს, ქვარიანებს, წერეთლებს. თავადაზნაურთა ციხე-დარბაზებმა ჩვენამდე მოაღწიეს სოფლებში: ლეშქაში, ღვირიში, დეხვირსა, ღონორისში, მალში, ზოგიში, ორხვაში, ქვედა უსახელოში, მექვენაში, დერჩი... ცენტრალური ხელისუფლების (ამ შემთხვევაში ოდიშის მთავრების) ციხე-დარბაზებს წარმოადგენდნენ: მურის (თავისი სასახლით), ორბელის, დეხვირის, ისუნდერის, ზუბისა და ჰყვიშის ციხეები. ციხის ნანგრევებია შემორჩენილი ზოშხაში, ქვიშარში, მახურაში...

საკულტო ნაგებობებიდან აღსანიშნავია ცაგერის საყდარი; ეკლესიები — ნაყურალეში, ლაბეჭინაში, ორხვასა და დერჩში, აგრეთვე ხვამლის წმ. გიორგის ეკლესია. 1767 წელს ჩამოყალიბდა საირმის, ხოლო XVIII ს-ის დასასრულს ნამარნევის მონასტერი.

თუ ჩვენ ვახუშტის ცნობებს იმდროინდელ ლეჩხუმს შევუდარებთ (იხ. რუკა) აღმოჩნდება, რომ ვახუშტის ძალზე ზოგადი წარმოდგენა აქვს ლეჩხუმის შესახებ. ამის მიზეზი ჩვენი აზრით არის ის, რომ ჩვენი ისტორიკოსი სარგებლობს თითქმის მხოლოდ წერილობითი წყაროებით და რუკაზე დააქვს მხოლოდ მათი მონაცემები. ვახუშტის იდენტური ჰგონია ლეჩხუმი და თაკვერი (ვიწრო მნიშვნელობით) და ამ ორი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის შესახებ ცნობები ერთად აქვს მოცემული ქრონოლოგიური ჭრილის გარეშე.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებამ

## ალექსანდრე აბდალაძე

# XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან

XV ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორია ჯეროვნად არ არის შესწავლილი მასალათა სიმწირისა თუ ხელმიუწვდომლობის გამო. აღნიშნული ხანის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის საკვლევად საყურადღებო ცნობები მოიპოვება სომხურ ხელნაწერთა ანდერძებში (ჰიშატაკარანებში), რომელთაგან დღემდე მხოლოდ ერთია ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიისათვის[1], მაშინ, როდესაც საქართველოს შესახებ ცნობები XV ს-ის პირველი ნახევრის ჩვენამდე შემორჩენილი დაახლოებით 900 ჰიშატაკარანიდან ორმოცდაათში მოიპოვება. მათი შედარებითი სიმრავლე რამდენიმე მიზეზმა განაპირობა:

1. XV ს-ის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით მეორე მეოთხედში, სომხური მოსახლეობის ახალმა, საკმაოდ დიდმა ნაკადმა მოაშურა საქართველოს, სომხეთში შექმნილი მეტად მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიური პირობების გამო. ლორეს გარდა, მოსული სომხური მოსახლეობა, როგორც ჰიშატაკარანების მონაცემებით ირკვევა, დამკვიდრებულა სამშვილდეში, თბილისში, თბილისის მახლობლად სოფელ კრწანისში, გორში, უფლისციხეში, სოფელ ვარდისუბანში (მუხრანის მახლობლად), თმოგვში, სოფ. ოთაში და სხვაგანაც. ეტყობა, თემურ ლენგის ლაშქრობების შედეგად გაუკაცრიელებული ქვეყნის მოსაშენებლად საქართველოს სამეფო ხელისუფლებას აწყობდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში სომხური მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებად დაფუძნება[2]. საქართველოში დამკვიდრებულ სომხებს შორის საკმაოდ იყვნენ „სამღვდელონიც“, მათ შორის ხელნაწერთა გადამწერები. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ისინი საქართველოში ასრულებენ სომხეთში დაწყებული წიგნის გადაწერას. გარდა ამისა, ახლად გადმოსული სომხური მოსახლეობა, თუ მათი სულიერი „მწყემსნი“, პირველ ხანებში მაინც, ეტყობა განიცდიან საეკლესიო ლიტერატურის ნაკლებობას და ყოველივე ამის შედეგად XV ს-ის პირველი ნახევრიდან შემოგვრჩა საქართველოში გადაწერილი 14 სომხური ხელნაწერი, ახპატ-სანაინის ხელნაწერების გარდა. ნიშანდობლივია, რომ თოთხმეტიდან თორმეტი ხელნა-

---

[1] ი. აბულაძე, მათეოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კონსტანტინეს შესახებ, ენიმკის მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 47—55.

[2] როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოში, მეტადრე ქვემო ქართლში, გადმოსულან დასავლეთ საქართველოდანაც. 1441 წ. ახპატის სახარების ანდერძის ცნობით, საქართველოში ყარა-ყოიუნლუს თურქმანთა მბრძანებლის ჯაჰან-შაჰის შემოჭრისას (1440 წ.) „ქართველთა ლტოლვილი ნათესავი შევიდა აფხაზეთში, ხოლო საქართველოში მოსული და დამკვიდრებული სომეხთა ტომი დარჩა ურჯულოთა ხელთ“ (**ԺԵ դարի հայերեն ձեռագրերի հիշատակարաններ, I, կազմեց Լ. Ս. Խաչիկյան, Երևան, 1955, էջ. 514—15.** შემდგომში: **ԺԵ, I**). მოსალოდნელია, რომ ეს ქართველები „აფხაზეთიდან“ ახლად მოსულნი არიან, თორემ ასე უცებ დასავლეთ საქართველოში მასიურად გადახვეწა არ უნდა ყოფილიყო ადვილი. ასე რომ არა, ალბათ, მტერთან პირისპირ დარჩენას იქ წასვლას ამჯობინებდნენ სომხებიც.

წერი XV ს-ის მეორე მეოთხედისაა. გასაგებია, ამ ხელნაწერთა ანდერძები ჩვენთვის მრავალმხრივ საყურადღებოა.

2. XV ს-ის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით მეორე მეოთხედში, ლორეში სომხური მოსახლეობის, მათ შორის „სამღვდელოთა“, დიდი რაოდენობით გადმოსვლის[3] შედეგად აღორძინდნენ ახპატ-სანაინის მონასტრები, ვითარცა სომხური მწერლობის კერები. რახან საქართველოს სამეფო ხელისუფლება იბრძვის ლორეს დასაბრუნებლად და მიზანსაც აღწევს, ახპატ-სანაინის ხელნაწერთა ანდერძებშიც მრავალი საყურადღებო ცნობა ჩნდება საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების შესასწავლად.

3. XV ს-ის პირველ ნახევარში სივნიეთის მონასტრები სომხური კულტურის მძლავრ კერებად რჩებიან. რაკი ამ დროს სივნიეთის სამთავრო კარი მჭიდრო კავშირ-ურთიერთობას ამყარებს საქართველოსთან, რადგან საქართველო არაერთხელ გახდა მტერთაგან ლტოლვილი სივნიელი მთავრების, ორბელიანების თავშესაფარი, ამის გამო სივნიეთში მრავლად გადაწერილ ხელნაწერთა ანდერძებში არცთუ იშვიათად გვხვდება ჩვენთვის საჭირო მასალა.

4. XV ს-ის პირველ ნახევარში ქართველ ხელისუფალთა მიერ სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ჯერ კიდევ აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება, საქართველოში სომხეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლება, აგრეთვე XV ს-ის პირველ მეოთხედში საქართველოდან წასული მრავალი სომხის მოღვაწეობა სომხეთის კულტურის კერებში, იწვევს საქართველოს შესახებ ცნობების გაჩენას იმ ჰიშატაკარანებშიც, რომლებიც საქართველოსთან უშუალოდ კავშირის არმქონე სომხურ პროვინციებში გადაწერილ ხელნაწერებს ერთვიან.

ქვემოთ XV ს-ის პირველი ნახევრის ჰიშატაკარანთა ცნობების შუქზე რამდენიმე საკითხის განხილვას შევეცდებით.

კინკლოსური ცნობებით, 1431 წ. მეფე ალექსანდრე I-ს ლორე აუღია[4]. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მცდარია ვახუშტის ცნობა[5] „სარკინოზების“ მიერ ციხე-ქალაქ ლორეს 1430 წელს დაპყრობის შესახებ. 1433 თუ 1435 წ. სიგელის[6] მონაცემების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ ლორე 1430 წელზე გაცილებით ადრე უნდა ეგდო ხელთ მტერს. „ალექსანდრე მეფის დროს ამ ამბის მომსწრე აღარავინ ყოფილა და სად, ვის და რა მამული ეკუთვნოდა, ამის გადაწყვეტა შესაძლებელი ყოფილა ან სიგელების საშუალებით, ან ისეთ პირთა მოწმობით, რომელთაც მამებისა და პაპებისაგან ჰქონდათ გაგონილი. ცხადია, ეს ამბავი სულ ცოტა ერთი-ორი თაობის წინათ მომხდარა“[7].

---

3 თომა მეწოფეცის ცნობით, ბეშქენ ორბელიანთან ერთად ლორესათვის მარტო სივნიეთიდან მოუშურებია 6000 ოჯახს. მართალია, თ. მეწოფეცის „ისტორიის“ გამოცემაში აღნიშნულია 60 000 ოჯახი (იხ. თ ო მ ა მ ე წ ო ფ ე ლ ი, თბ., 1937, გვ. 24), მაგრამ ლ. ხაჩიკიანის სიტყვით ერევნის მატენადარანის ყველა ხელნაწერი უჩვენებს 6000 ოჯახს (იხ. **Հայ ժողովրդի պատմություն**, IV, Եր., 1972, გვ. 38, შენ. 76. იხ. აგრეთვე Ղ. **Ալիշան, Սիսական, Վենետիկ**, 1893, გვ. 96).

4 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 236.

5 ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 280.

6 ქრონიკები, II, გვ. 242—243.

7 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 30—32.

ციხე-ქალაქი ლორე და საზოგადოდ „ლორეს ქვეყანა“, მართლაც, ხანგრძლივად უნდა ყოფილიყო მტრის ხელთ[8], მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველებს ეს მხარე ჯერ კიდევ XV ს-ის 20-იან წლებში დაუბრუნებიათ, ხოლო 1431 წელს ხელახლა მოხდომიათ ლორეს განთავისუფლება.

სომხურ ხელნაწერთა ანდერძებში ალექსანდრე I მხოლოდ 1419 წლიდან იხსენიება. 1414 წელს ოშაკანში მოღვაწე სარგის თმოქეცი (წარმოშობით თმოგველი) საკმაოდ ვრცელ ანდერძში[9] არ ახსენებს ალექსანდრეს, თუმცა ყარა-იუსუფის მეფობას აღნიშნავს. 1419 წლიდან ჰიშატაკარანებში ალექსანდრეს ხშირი მოხსენიება მისი საგარეო პოლიტიკის გააქტიურებაზე უნდა მიუთითებდეს, მანამდე კი იგი, ეტყობა, მემკვიდრეობით მიღებული გაუდაბურებულ ქვეყნის აღშენებაზე ზრუნავდა მხოლოდ.

1420 წლის სანაინის სახარება, როგორც მის ანდერძშია აღნიშნული, დაწერილია იუსუფ მძლავრის დროს, ქართველებზე ალექსანდრეს მეფობისას[10], 1424 წ. სანაინის სახარება კი — ქართველებზე ალექსანდრეს მეფობისას, „სომეხთა სახლის“ თურქმან ისქანდერის მიერ პყრობისას, „ღმრთივდაცულ ლორეს გავარში[11]“. შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ ორ ანდერძში ყარა-ყოიუნლუს მბრძანებლისა და ქართველთა მეფის ადგილების შენაცვლება, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ თუ 1420 წელს „ლორეს გავარის“ უზენაესი ხელისუფალი ყარა-იუსუფია, 1424 წლისათვის ასეთად ალექსანდრე I იგულისხმება. ამ დროისათვის ლორეში ყარა-იუსუფის მემკვიდრის ყარა-ისქანდერის ხელისუფლება რომ არ ვრცელდებოდა, ამაზე, ეტყობა, მიგვანიშნებს ისიც, რომ ახპატ-სანაინს და, საზოგადოდ, ლორეს გავარს „სომეხთა სახლში“ შემავალად არ თვლიან იმდროინდელი სომეხი ავტორები, იგი მათ საქართველოს ნაწილად მიაჩნიათ[12].

1420 წელს დაიღუპა ყარა-იუსუფი. მოსალოდნელია, რომ ალექსანდრე I-მა ისარგებლა ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოს 1420—1422 წლების გართულებებით და დაიჭირა ლორე. საკითხის შესასწავლად საყურადღებო უნდა იყოს 1422 წ. ტათევში გადაწერილი ერთი ხელნაწერის ანდერძი. მისი ავტორის თუმას ცნობით, ამ, თუ წინა, წელიწადს ტათევის წინამძღოლი, სივნიეთის არქიეპისკოპოსი, ე. ი. სივნიეთის ეკლესიის მეთაური, სივნიეთის მთავრის ბეშქენის ძმა, სტეფანოს სუმბატის ძე ორბელიანი მოსულა საქართველოში, თითქოსდა დედის მოსანახულებლად[13].

---

8 ԺԴ դարի հայերեն ձեռագրերի հիշատակարաններ, Կազմեց Լ. Ս. Խաչիկյան, Երևան, 1950, გვ. 619.

9 **ძხ**, I, გვ. 162—163.

10 **ძხ**, I, გვ. 240.

11 **ძხ**, I, გვ. 315.

12 **ძხ**, I, გვ. 485

13 სივნიეთის მთავარი სუმბატ ორბელიანი ყარა-იუსუფსა და აჰმად ჯალაირს შორის გამართულ ბრძოლაში მონაწილეობდა როგორც აჰმად ჯალაირის მოკავშირე და ბრძოლის წაგების შემდეგ (1410 წ. აგვისტო), როგორც ჩანს, იძულებული გამხდარა გასცლოდა სივნიეთს, თავი შეეფარებინა საქართველოსათვის. 1412 წ. უფლისციხის სომხური ხელნაწერის ანდერძის მიხედვით, ამ „დაბაქალაქის“ მიდამოებში მთავრობენ სუმბატ ორბელიანი და მისი ვაჟი ბეშქენი (**ძხ**. I, გვ. 133, იხ. აგრეთვე ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50, 54). შესაძლოა, სივნიელი მთავრები საქართველოს დახმარებით იმედოვნებდნენ თავისი სამთავროს დაბრუნებას, მაგრამ ყარა-იუსუფის მიერ შირვანში მოკავშირეების დამარცხებისა (1412 წ.) და მეფე კონსტანტინე I მოკვლის შემდეგ ბეშქენ ორბელიანს გადაუწყვეტია დამორჩილებოდა მას.

სივნიეთის ეკლესიის მეთაურის ამოდენა მანძილზე გამგზავრება ესოდენ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში (ყარა-იუსუფის მემკვიდრეებს შორის ბრძოლა ტახტისათვის, ჩაღათაელთა მბრძანებლის შაჰროხის ბრძოლა ყარა-ისქანდერის წინააღმდეგ, სომხეთის გადაქცევა ამ ბრძოლების ასპარეზად) დედის მონახულების მიზნით, ცოტა არ იყოს, დაუჯერებელი ჩანს. თუ გავითვალისწინებთ ალექსანდრე I-ისა და ბეშქენ ორბელიანის მჭიდრო კავშირ-ურთიერთობას (ბეშქენის დედის საქართველოში დარჩენაც ხომ ამის დადასტურებაა), მოსალოდნელია, რომ არქიეპისკოპოს სტეფანოსს რაღაც საგანგებო მისია ეკისრებოდა. იქნებ, ამ მისიასთან რაღაცნაირად იყოს დაკავშირებული ალექსანდრეს ლაშქრობა ყარაბაღში, რომელსაც აღნიშნავს და 1423 წლით ათარიღებს, როგორც ჩანს, XV ს-ის (არა უგვიანეს XVI საუკუნისა) ერთი სომხური ქრონიკა[14]. რაკი საქართველოს სამეფო აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებს 1423 წლისათვის სამხრეთისა თუ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, მოსალოდნელია, რომ ამავე ხანებში ქართველებს გაეთავისუფლებინათ ლორე, რაზედაც, როგორც აღვნიშნეთ, 1424 წ. ანდერძიც მიგვანიშნებს.

ლორე ყარა-ისქანდერის სამფლობელოს ნაწილი რომ არ უნდა ყოფილიყო, ამაზე სამხრეთ სომხეთის ქალაქ არწკესთან ახლოს მდებარე კოღუც ვანქის 1428 წ. ხელნაწერის ანდერძის მონაცემებიც მიუთითებს. ანდერძის თანახმად, ისქანდერი „ბატონობდა სპარსეთსა და ბაბილონზე, სომხეთსა და შუამდინარეთის ასურეთზე, სომეხთა არარატის სახლზე, ეზნკამდე, მერდინსა, ბაღდატს, სოლთანიას, განძაკს, სატახტო თავრეზს და დიდ მდინარე მტკვრამდე“[15]. როგორც ითქვა, იმდროინდელი სომეხი ავტორები ლორეს მხარეს საქართველოდ თვლიან და თუ იქ ყარა-ისქანდერის ხელისუფლება ვრცელდებოდა, მოსალოდნელია, რომ ანდერძის ავტორი „ქართველთა გავარს“ მაინც დაასახელებდა ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოში შემავალად, თუ საქართველოს არა.

მოტანილი ცნობიდან უნდა ირკვევოდეს ისიც, რომ საქართველო ყარაყოიუნლუს სახელმწიფოს მოხარკე არ ყოფილა. სხვაგვარად ძნელია ახსნა, თუ რატომ არ ავრცელებს ყარა-ისქანდერის ბატონობას ანდერძის ავტორი საქართველოზეც. მოხარკეობის ვარაუდს ეწინააღმდეგება ისიც, რომ ისქანდერის დაღუპვისა და ტახტზე ჯაჰან-შაჰის განმტკიცების დროისათვის (1437 წ.), როდესაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საქართველოს სამეფოს მდგომარეობა არასახარბიელოა, ალექსანდრე ვერ წავიდოდა ჯაჰან-შაჰთან ურთიერთობის აშკარა გამწვავებაზე, ამ დროს არ იყო პირობები არსებულ მოხარკეობაზე უარის თქმისა. რაკი, მეორე მხრით, ჯაჰან-შაჰი ძველებურად ხარკის გადახდას დაბეჯითებით თხოვს ალექსანდრეს და მისგან უარის მიღების საბაბით თავს ესხმის საქართველოს 1440 წელს[16], საფიქრებელია, რომ საქართველო ხარკს უხდიდა ყარა-იუსუფს, დაახლოებით 1413—1420 წლებში.

ქართველებს ლორე 1431 წელზე ადრეც რომ გაეთავისუფლებიათ მტრისაგან, ამას უნდა ადასტურებდეს 1430 წ. სახარების ანდერძიც, რომლის ცნო-

---

ბეშქენი სივნიეთში ჩანს, უკვე 1415 წ. (ძხ, I, გვ. 653). მამამისი სუმბატი კი — საქართველოში გარდაიცვალა 1417 წელზე ადრე (იხ. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50). სივნიეთში არ დაბრუნებულა არც ბეშქენის დედა, როგორც 1422 წლის ანდერძის მოტანილი ცნობიდან ჩანს.

14 Մանր ժամանակագրություններ, կազմեց Վ. Հ ա կ ո բ յ ա ն, Երևան, II, 1956, გვ. 515.

15 ძხ, I, გვ. 380—381.

16 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37, ძხ, I, გვ. 507—508, 514—515.

ბით, ამ წელს „წმ. სახარება დაატყვევა ჯაჰან-შაჰმა, რომელსაც ლორეს ციხე გარემოეცვა"[17]. თუ არ ვცდებით, 1430 წლისათვის ყარა-ისქანდერსა და ჯაჰან-შაჰს შორის დამოკიდებულების შესახებ ცნობები არ მოიპოვება. მაგრამ რახან 1420—1422 და 1435—1437 წლებში ჯაჰან-შაჰი შაჰროხის ბანაკშია და ისქანდერის წინააღმდეგ იბრძვის[18], ალბათ, ამ დროსაც მისივე დავალებით ან დასტურით უნდა მოქმედებდეს. შაჰროხის კავკასიაში მეორედ მოსვლიდან (1429 წ.) მალე ისქანდერი გაეცალა თავის საბრძანებელს და არაა მოსალოდნელი, რომ მისი მეციხოვნეები ჯაჰან-შაჰის ალყისაგან იცავდნენ ლორეს. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ისქანდერმა ტახტის დაბრუნების შემდეგ ღალატისათვის სიკვდილით დასაჯა სხვა ძმა, აბუ-საიდი და არა ჯაჰან-შაჰი. ეტყობა, 1430 წლისათვის ლორეს ციხე საქართველოს ეკუთვნოდა[19]. 1433 თუ 1435 წწ. სიგელის ცნობა ქართველი დიდებულებისადმი ლორეში მამულების დაბრუნების შესახებ[20], შესაძლოა, ისეც გავიგოთ, რომ ლორეს ხელახლა შემოერთების შემდეგ (1431 წ.) ახლად მოსაგვარებელი გახდა ადგილ-მამულის გამიჯვნის, იქნებ 1430 წლისათვის ჯერ კიდევ საბოლოოდ მოუგვარებელი საკითხები. მოსალოდნელია, რომ 1420-იან წლებში ერთხანს არც არავის გამოეჩინა სურვილი ლორეში მამულის დაბრუნებისა, რადგან, როგორც ეს 1424 წ. სანაინის სახარების ანდერძშია აღნიშნული, ამ დროისათვის იქ, თურმე, მძვინვარებდა სასტიკი ჟამიანობა[21].

---

17 ძს, III, გვ. 369.

18 И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV веке, ССИА, I, Баку, 1949, გვ. 162, 165.

19 შაჰროხის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მოქმედება სავსებით მოსალოდნელია (თომა მეწოფელი, თბ., 1937, გვ. 24). მართალია, კავკასიაში მოსულ, ყარაბაღში დაბანაკებულ შაჰროხს 1420 წ. დეკემბერში შირვანშაჰსა და შაქის მფლობელთან ერთად ალექსანდრე I-ის მოციქულებიც ეახლნენ (И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 163), მაგრამ არსაიდან არ ჩანს, რომ საერთოდ ალექსანდრე I შაჰროხის უზენაესობას სცნობდა. საწინააღმდეგო მონაცემები კი, ვფიქრობთ გვაქვს; შესაძლოა ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდეს მეფე ალექსანდრეს ზემოხსენებული ლაშქრობა ყარაბაღში. გარდა ამისა, ამ მხრივ, აღსანიშნავია შემდეგი: შაჰროხის წინააღმდეგ ბრძოლაში ისქანდერი ცდილობდა დაყრდნობოდა არა მარტო მეომარ მომთაბარე ტომებს, არამედ სომხურ მოსახლეობასაც. შაჰროხთან მეორე ბრძოლაში (1429 წ.) მის ჯარში სომხები საკმაოდ იყვნენ. სომხების გულის მოსაგებად იწოდა ისქანდერი „შაჰ-ე არმანად" (სომეხთა მეფე). ზოგიერთი სომხური წყარო მას სომხური წარმომავლობისადაც მიიჩნევს (**Հ. Փափազյան, Մի էջ Արևելյան Հայաստանի քաղաքական կյանքի պատմությունից. „Տեղեկագիր", 1955, № 8, გვ. 84**) და „ჩვენს ხელმწიფესაც" ეძახის (**ძს, I, გვ. 469**). **1429—1430 თუ 1431** წლიდან **1437** წლამდე ისქანდერის დიდვეზირი და სახელმწიფო მრჩეველი იყო სივნიეთის მთავრის ბეშქენ ორბელიანის ძე ამირი რუსტამი (**Հ. Փափազյան**, დასახ. ნაშრომი, გვ. 88,95). საყურადღებოა, რომ ისქანდერის დამარცხებების დროს (1429—30, 1435—1437 წწ.) დარბეული სომხური მოსახლეობა, მათ შორის ისქანდერის უშუალო დასაყრდენი ამ მოსახლეობის ზედაფენები, კერძოდ, ამირი რუსტამიც საქართველოს აფარებენ თავს (თ. მეწოფეცის სათანადო ერთ ცნობაზე ჩვენ ზემოთ მიუთითეთ. იხ. აგრეთვე **ძს, I, გვ. 421, 469; 485, თომა მეწოფელი, გვ. 24**) და ეს ხდება ისეთ ვითარებაში, როდესაც შაჰროხმა რუსტამის დასჯის მიზნით დაარბია სივნიეთი (**Հ. Փափազյան**, დასახ. ნაშრომი, გვ. 95—96). შაჰროხის უზენაესობას რომ არ სცნობდა ალექსანდრე I, ეს იქიდანაც უნდა ჩანდეს, რომ ყარა-ისქანდერი არც ერთხელ არ დასხმია თავს საქართველოს, მაშინ, როდესაც მან სამჯერ დალაშქრა შაჰროხის გავლენის ქვეშ მყოფი შირვანი (Дж. **Ибрагимов**, **Феодальные государства на территории Азербайджана XV в.** Баку. 1962, გვ. 31). აგრეთვე **1434 წ.** დაღესტანიც (**Հայ ժողովրդի պատմություն, IV**, გვ. 37) და სასტიკად დაარბია ეს ქვეყნები.

20 ქრონიკები, II, გვ. 242—243, ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30—32.

21 ძს, I, გვ. 315.

სამცხის ათაბაგის მორჩილება საქართველოს მეფისადმი კოხტას თავს ბრძოლის (1414 ან 1415 წ.)[22] შემდეგ მხოლოდ ნომინალური უნდა ყოფილიყო. ამის შესახებ ორიოდე მითითება თითქოს ქართულ წყაროებშიც მოიპოვება. ვარძიის ერთ უთარიღო წარწერაში არაა მოხსენიებული საქართველოს მეფე, მაშინ, როდესაც იხსენიება პატრონი ივანე, რომელიც, როგორც ფიქრობენ, სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ივანე ათაბაგი (1391—1444)[23]. ვ. ცისკარიშვილის სიტყვით, „მეფის მოუხსენებლობა, ცხადია იმითაა გამოწვეული, რომ სამცხე-საათაბაგო გამოყოფილია საქართველოდან და ამ დროისათვის ეს გამოყოფა თითქმის დასრულებულია. ათაბაგი არ ცნობს მეფის უზენაესობას; მეფეს ვარძიაზე, ერთ დროს სამეფო მონასტერზე, ხელი აღარ მიუწვდება“[24]. ასევე, ეტყობა, ივანე ათაბაგი იბრძვის სამცხის ეკლესიის გამოყოფისათვის მცხეთის საკათალიკოსოდან. ამ ბრძოლაში, სხვებთან ერთად, მას მხარს უჭერს „ზოგიერთი (უმნიშვნელოვანესი) საეპისკოპოსო კათედრის მეთაური: იშხნელი, ანჩელი“[25]. გასათვალისწინებელია, რომ ეს ფაქტები, შესაძლოა, მიეკუთვნებოდეს არა ივანეს ათაბაგობის (1391—1444) ნებისმიერ დროს, კერძოდ, 1403—1444 წლებს[26], არამედ 1403—1414 წლებს, როდესაც ათაბაგი საქართველოს მეფისაგან აშკარად დამოუკიდებელია. 1419 წ. ჰერმონის მონასტრის (ვაიოც ძორი) ხელნაწერის ანდერძში, გარდა იმისა, რომ მოხსენიებულია საქართველოს მეფე, აღნიშნულია ივანე აღბუღას ძის ათაბაგობაც. ეს ამბავი არ უნდა იყოს გამოწვეული მხოლოდ იმით, რომ „მწერალი“ გრიგორი „ახალცხეცია“, „ახალციხელია“[27]. მას რომ „ხელმწიფედ“, აქტიური საგარეო პოლიტიკის გამტარებლად არ ესახებოდეს ივანე, „ახალციხელობის“ გამო ხელნაწერის ანდერძში შეიძლებოდა მოეხსენებინა მხოლოდ საქართველოს მეფე, მით უმეტეს, „მწერლისაგან“ ივანეს ხსენება არც უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც მიზანშეწონილი. საქმე ისაა, რომ გრიგორ ახალციხეცის მონასტრის ძმობა დევნის, ვითარცა ყარიბს. „ღვთის გულისათვის“, წერს იგი, „ვისაც ყარიბობა არ უგემნია, დაე ნურც იგემებს“[28]. საზოგადოდ, საქართველოში დამკვიდრებული სომხები იმედოვნებდნენ, რომ ხელსაყრელი პირობების შექმნისთანავე დაუბრუნდებოდნენ მშობლიურ მიწა-წყალს; ბევრი მაგალითიც გვაქვს იმისა, რომ XV ს-ის პირველ ნახევარში, მეტადრე პირველ მეოთხედში, სომხური კულტურის კერებში მოღვაწეობენ საქართველოდან წასული სომხები. ამის გამო გრიგორის დევნა ყარიბობის მიზეზით უცნაური ჩანს. სავსებით შესაძლებელია, გრიგორს დევნიან იმისათვის, რომ იგი მოსულა სამ-

---

22 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28—29.

23 ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 116.

24 იქვე.

25 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქ. შ ა რ ა შ ი ძ ი ს ა, თბ., 1961, გვ. 87.

26 XIV ს-ის დასასრულისათვის სამცხე რომ არ იყო გამოყოფილი საქართველოს სამეფოდან, ამაზე ახალციხეში 1396 წ. გადაწერილი სომხური ხელნაწერის ანდერძიც მიუთითებს. ანდერძში ჯერ აღნიშნულია გიორგის მეფობა, ხოლო შემდეგ ივანეს ათაბაგობა (იხ. **ԺԵ դարի հայերեն ձեռագրերի հիշատակարաններ**, გვ. 614. Colophons of armenian manuscripts 1301—1480; editied by A. K. Sanjian Cambridge, Massachusettes, 1969, გვ. 114—115).

27 გრიგორის „ახალციხელობა“, როგორც ქვემოთ ვნახავთ, შესაძლოა, მიუთითებდეს მის წარმომავლობას, საზოგადოდ, სამცხიდან და არა მაინცდამაინც ქ. ახალციხიდან.

28 **ԺԵ**, I, გვ. 658.

ცხიდან. იმ ქვეყნიდან, რომლის სომხურ მოსახლეობაში, ათაბაგისადმი დაქვემდებარებულ სომხურ ოლქებში ქალკედონიახობა, „ქართული სჯული“, ფართოდ ვრცელდება და რომლის საეკლესიო და საერო ხელისუფლება ქმედით ღონისძიებებს ატარებს ამ მიმართულებით[29], რაც სხვათა შორის, შესაძლოა იყოს ერთ-ერთი საფუძველი სამცხის ეკლესიის პრეტენზიისა მცხეთის საკათალიკოსოდან გამოყოფის შესახებ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ გრიგორი 1415 წლამდე ჩანს წასული სამცხიდან და, იქნებ ხელნაწერის ანდერძში ათაბაგის ხსენება გამოწვეულია იმით, რომ „მწერლის“ სამცხეში ცხოვრების წლებში, ერთ ხანს მაინც, ივანე ჯაყელი დამოუკიდებელი, ძლიერი ხელისუფალი იყო.

XV ს-ის პირველ ნახევარში, 1414—1415 წწ. შემდეგაც თანამედროვეებს სამცხე თავისთავად ქვეყნად რომ მიაჩნდათ, ამის შესახებ მითითებები სხვა ჰიშატაკარანებშიც გვაქვს. დაახლოებით 1429 წ. სომხური ხელნაწერის ანდერძში მისი მომგებლის ამირ-ფაშას სადაურობის შესახებ ნათქვამია, რომ იგი იყო „სახელგანთქმული ქვეყნიდან და სახელოვან, გამოჩენილ ქალაქ ახალციხიდან“[30]. როგორც ჩანს, სახელგანთქმულ ქვეყნად ნაგულისხმევია სამცხე, რომელიც აქ ახალციხის ქვეყნად უნდა იყოს წოდებული. ქვეყნის თუ მხარის შესატყვისია ანდერძის ***„Նահանգ“*** („ნაჰანგ“), რაც საქართველოს აღსანიშნავად არ იხმარება. საამისოდ სომხურ წყაროებში უფრო დიდი ტერიტორიული ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინები, ***„Աշխարհ“*** („აშხარჰ“) ***„Երկիր“*** („ერკირ“) გვხვდება. სომხური წყაროები ამ ხანებისა, ეტყობა, სამცხეს, საზოგადოდ ახალციხის ქვეყანას ეძახიან[31]. სომხურ გეოგრაფიაშიც, რომელსაც ვარდან არეველცის (XIII ს.) მიაწერენ, თუმცა ზოგიერთი მკვლევრის აზრით იგი XIV ან XV ს-ის ძეგლია, ვკითხულობთ: „სამცხე — ახალციხეა“ ეს ცნობა დაცულია გეოგრაფიის როგორც მოკლე, ასევე ვრცელ რედაქციაში[32].

საქართველოს ხსენების გარეშე ანდერძში „სახელგანთქმული ახალციხის ქვეყნისა“ და მისი „სახელოვანი, გამოჩენილი ქალაქ ახალციხის“ მოხსენიება უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ანდერძის ავტორს სამცხე-საათაბაგო ცალკე პოლიტიკურ ერთეულად მიაჩნია.

1438 წ. სამცხეში, პარონ ჰაკობის მონასტერში[33] გადაწერილი სახარების ანდერძში „მწერალი“ ახალციხის ქვეყანას აღნიშნავს ტერმინით ***„Երկիր“*** („ერკირ“)· „დაიწერა წმ. სახარება... ახალციხის ქვეყანაში (***յերկիրս Ախալցխոյ***)“[34]. ***„Երկիր“*** იხმარება ვრცელი, რომელიმე მთელი ქვეყნის აღსანიშნავად[35] და, ამდენად, „მწერალი“ სამცხეს ცალკე სახელმწიფოდ უნდა გულისხმობდეს. მას შემდეგ, რაც 1440 წ. ჯაჰან-შაჰმა დაარბია აღმოსავლეთ

---

29 ალბათ ამ მოვლენამ გააღიზიანა თომა მეწოფეცი, რის შედეგიცაა მის მიერ ქართველების, კერძოდ, ივანე აღბუღას ძის აუგად ხსენება; თომა მეწოფელი, თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები პროფ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი ს ა, თბ., 1937, გვ 22—23, 26, 29).

30 **ძხ**, I. გვ. 518.

31 **ძხ**, I. გვ. 486.

32 **Աշխարհացոյց Վարդանայ Վարդապետի, Փարիզ, 1960**, გვ. 17, 37.

33 ამ მონასტრის ადგილმდებარეობა ჩვენთვის უცნობია.

34 **ძხ** I, გვ. 486.

35 И. Д ж а в а х о в, Государственный строй древней Грузии и древней Армении, I, С-Петербург, 1905, გვ. 91.

საქართველო, მის მიერ 1444 წ.[36] სამცხის საგანგებო დალაშქვრა უნდა მიუთითებდეს, რომ მას სამცხე-საათაბაგო ცალკე სახელმწიფოდ მიაჩნია, რადგან მისი მიზანი ქვეყნის დამორჩილება იყო და არა რბევა. სომხური წყაროების მოწმობით ჯაჰან-შაჰის დროს, საზოგადოდ, თურმე, მშვიდობიანობა სუფევდა.

საქართველოს სამეფოსგან სამცხე-საათაბაგოს გამოყოფისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა სამცხის ეკლესიის მცხეთის საკათალიკოსოდან ჩამოშორებისათვის ბრძოლის ფორმითაც. ეტყობა, სამცხის ეკლესიის გამოყოფის ცდები 1414—1415 წწ. შემდეგაც იყო XV ს-ის პირველ ნახევარში[37]. 1438 წ. თბილისის სომხური ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: (დაიწერა) „ქართველთა ღვთისმოყვარე, ღვთისმოსავი მეფის ალექსანდრეს მეფობისას, რომელიც უფალმა ღმერთმა დაიცვას მშვიდობიანი ცხოვრებით და დღეგრძელ ყოს მისი მხედრობითა და შვილებით, (შეაძლებინოს) უსჯულოთა ხროვების უკუგდება, განდევნა და წმ. ეკლესიის სიმტკიცე“[38]. საყურადღებოა, რომ მონოფიზიტი „მწერალი“[39] ქართული ეკლესიის სიმტკიცეს ნატრობს. ეტყობა, ეს იმითაა გამოწვეული, რომ საქართველოში, კერძოდ, თბილისში ჩამოსახლებული სომხები მეფის ხელისუფლების ძლიერების მომხრენი არიან, ეკლესიის სიმტკიცის დარღვევა კი სამეფო ხელისუფლების დასუსტების მაჩვენებელიცაა. როგორც ჩანს, ანდერძში სამცხის ეკლესიის გამოყოფის ცდებია ნაგულისხმები. ეტყობა, ეს საკითხი, ისევე როგორც უსჯულოთა ხროვების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი განდევნა, მეტად მწვავედ დგას, რადგან არც თუ ვრცელი მოცულობის ანდერძში „მწერალი“ მეფე ალექსანდრე I-ს ამ მიმართულებით წარმატებით ბრძოლას უსურვებს. საზოგადოდ, თვით ვრცელ ანდერძებშიც კი თანადროული პოლიტიკური ვითარების შესახებ საუბრისას მხოლოდ მომხდარი ამბების აღნუსხვით კმაყოფილდებიან და ძალზე იშვიათად უსწრებენ მოვლენებს, ეტყობა, მხოლოდ მაშინ, როდესაც ესა თუ ის ამბავი საზოგადოებას ძლიერ აღელვებს. მოტანილ ანდერძში აღნიშნულ „უსჯულოთა ხროვებში“, შესაძლოა, ლეკთა მარბიელი რაზმები იგულისხმებოდეს. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ როდესაც ჯაჰან-შაჰი თავს დაესხა საქართველოს (1440 წ.), მის მხედრობაში ლეკებიც ყოფილან. 1442 წ. სოფელ სერკევილის („არარატის ქვეყანა, არაგაწოტნის გავარი“) ხელნაწერის ანდერძში წარმოშობით თმოგველი „მწერალი“ გვაუწყებს, რომ სამშვილდელი 9000-ზე მეტი ტყვე ჯაჰან-შაჰის მეომრებმა გაინაწილეს. ტყვეთაგან ზოგი წაიყვანეს ხორასანში, ზოგი დასავლეთში — ჰორმასტანში, აგრეთვე არაბსტანსა და ლაკისტანში[40]. ანდერძის „ლაკისტანი“ შეიძლება გულისხმობდეს საზოგადოდ დაღესტანს ან ყოფილ ლაკის გაერთიანებას, ამღროინდელ ყაზი-ყუმუხის სამამხლოს, რომელ-

---

[36] **ԺԵ**, I, էջ. 584; **Մանր ժամանակագրություններ**, II, էջ. 515, შდრ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41—42; ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.—14. სომხურ წყაროებში მკაფიო და უხვი ცნობები მოიპოვება საქართველოზე ჯაჰან-შაჰის როგორც 1440, ისე 1444 წ. თავდასხმის შესახებ; ამის გამო, ვარაუდი ჯაჰან-შაჰის საქართველოში ერთი ლაშქრობის შესახებ არ მართლდება.

[37] შდრ. ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86—87.

[38] **ԺԵ**, I, էջ. 488

[39] „მწერალი“ რომ მონოფიზიტია ჩანს იქიდანაც, რომ იგი იხსენიებს სომეხთა კათალიკოსს.

[40] **ԺԵ**, I, էջ. 532.

შიც ლაკებს გარდა, სხვა ხალხებიც შედიოდნენ და რომელთანაც საქართველოს, დაღესტნის პოლიტიკურ გაერთიანებათა შორის, ყველაზე ხშირი კონტაქტი ჰქონდა[41]. იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაში დაღესტნის კავშირი ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოსთან სავსებით დასაშვებია.

თუ ჩვენი ვარაუდი მისაღებია, მაშინ უკან უნდა გადაიწიოს ლეკთა თარეშების დასაწყისი საქართველოში[42]. შესაძლოა, 1438 წლისათვის ლეკთა მარბიელი რაზმები ჯაჰან-შაჰის წაქეზებითა და დახმარებით შემოიჭრნენ. როგორც ჩანს, მათმა თარეშმა და მათ წინააღმდეგ ბრძოლამ საქართველო საკმაოდ დაასუსტა და ალბათ, ამის შედეგიცაა, რომ ალექსანდრე I-მა ვერ მოახერხა სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია ჯაჰან-შაჰისათვის 1440 წელს. ამავე წელს მეფის მიერ „სათათრო მალის" ამოკვეთის მიზეზიც ეტყობა, ქვეყნის დასუსტება და ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოსთან მოსალოდნელი შეტაკება უნდა ყოფილიყო.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ნათელია, რომ XV ს-ის პირველი ნახევრის ჰიშატაკარანებში საქართველოს ისტორიის საკითხების შესასწავლად საყურადღებო ცნობები მოიპოვება. ჩვენ აქ მათი ერთი ნაწილი მოვიტანეთ მხოლოდ. სხვა მასალის მეტისმეტი სიმწირის პირობებში ჰიშატაკარანთა ცნობების ამომწურავი შესწავლა სასარგებლო იქნება.

А. П. АБДАЛАДЗЕ

## ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИИ ПЕРВОЙ ПОЛОВИНЫ XV В.

### Резюме

Грузинские первоисточники первой половины XV в. в малом количестве дошли до нас. Их данные в некоторой степени пополняются сведениями памятных записей (ишатакаранов) армянских рукописей. В результате сличения этих сведений с другими источниками в статье рассматриваются некоторые вопросы истории Грузии означенного периода, а именно: борьба Грузии за Лоре, децентралистические тенденции светских и духовных правителей Самцхе и начало леэгинских набегов на Грузию.

41 ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, თბ., 1969, გვ. 177; თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 21—24.

42 იხ. ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

გოჩა ჯაფარიძე

# ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI—XIII საუკუნეების საქართველოში

XI—XIII სს. საქართველოში ვერცხლისა და სპილენძის მონეტებთან ერთად ტრიალებდა ოქროს მონეტაც. ეს იყო უცხოური ოქროს საფასე, რომლის მიმოქცევა დასტურდება სამონეტო აღმოჩენებითა და წერილობითი წყაროების ცნობებით.

XI—XIII სს. ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები ხშირად ასახელებენ ოქროს მონეტას საქართველოში გადახდის საშუალებად. წყაროებმა შემოგვინახეს ოქროს მონეტის აღმნიშვნელი მრავალი ტერმინი[1], რომელთა ანალიზი, ნუმიზმატიკური მასალების შესწავლასთან ერთად საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ საქართველოში ოქროს მონეტის მიმოქცევის საერთო სურათის შესახებ.

XI—XII საუკუნეებში მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ფულის მიმოქცევაში შეინიშნება ვერცხლის მონეტის თანდათანობითი და შემდგომ სრული გაქრობა. ასეთ პირობებში, საერთაშორისო მიმოქცევის სფეროში იზრდება ოქროს მონეტის როლი და მნიშვნელობა.

XI—XIII საუკუნეებში მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ბევრი მუსლიმი გამგებელი (დიდი სელჩუკები[2], აბასელი ხალიფები ერაყში[3], ფატიმიანები[4] და აიუბიანები[5] ეგვიპტესა და სირიაში, ჩრდ. მესოპოტამიის ათა-

---

[1] ფულისა და კონკრეტულად XI—XIII სს. საქართველოში ოქროს მონეტის აღმნიშვნელი ტერმინები პირველად მეცნიერულად შეისწავლა აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა — ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა მეტროლოგია. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი III, ნაკვეთი მესამე, ტფ., 1925, გვ. 8—14; ამავე საკითხებზე იხ. აგრეთვე, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საფასის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე“, წ. II, ტფ., 1925, გვ. 5; თ. ლ ო მ ო უ რ ი, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, ტფ., 1938, გვ. 295—297, 300—301; ნ. ქ ო ი ა ვ ა, ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. III, ტფ., 1938, გვ. 104—105.

[2] Т. Х о д ж а н и я з о в, К вопросу о начале монетного чекана в государстве Великих Сельджуков, НЭ, т. X, М., 1972, გვ. 155—159; Т. Х о д ж а н и я з о в, Денежное обращение в государстве Великих Сельджуков (по данным нумизматики), Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, М., 1971; E. Z a m b a u r, Die Münzprägungen des Islams, bd. I, Wiesbaden, 1968, ცხრ. 8 და შმდ.

[3] E. Z a m b a u r, დასახ. ნაშრომი, ცხრ. 12; N. N a k s h a b a n d i, The Islamic Dinar in the Iraq Museum, vol. I, Baghdad, 1963, გვ. 147—193.

[4] G. M i l e s, Fatimid Coins in the Collections of the University Museum Philadelphia and the American Numismatic Society, New-York, 1951; E. Z a m b a u r, დასახ. ნაშრომი, ცხრ. 7—11. ფატიმიანთა დინარის იმიტაციები იჭრებოდა, აგრეთვე, ჯვაროსანთა სამფლობელოებშიც—სირია-პალესტინაში XII—XIII სს. 50-იან წლებში; A. S. E h r e n k r e u t z, Arabic Dinar struck by the Crusaders, JESHO, vol. VII, pt. II, 1964, გვ. 167—182; P. B a l o g, J. I v o n, Monnaies a légendes de l'Orient Latin, RN, t. XII, 1958, გვ. 136.

[5] E. Z a m b a u r, დასახ. ნაშრომი, ცხრ. 8—12; A. S. Ehrenkreutz, The Crisis of Dinar in the Egypt of Saladin, JAOS, vol. 76, NO. 3, 1956, გვ. 178—184.

ბაგები[6] და სხვ.) ჭრიდა ოქროს მონეტას — დინარს. ოქროს მონეტა — ნომისმა იჭრებოდა ბიზანტიის იმპერიაშიც[7]. ოქროს როლი მიმოქცევაში ყველგან და ყოველთვის არ იყო ერთნაირი[8], მაგრამ ის წარმოადგენდა გადახდის უმნიშვნელოვანეს საშუალებას საერთაშორისო მასშტაბით. მსოფლიო ფულის როლში, ერთი მხრივ, მუსლიმური დინარი, ხოლო, მეორე მხრივ, ბიზანტიური ნომისმა გამოდიოდა.

საქართველოს საერთაშორისო კონტაქტებს უნდა განეპირობებინა ადგილობრივ სამონეტო ბაზარზე საკუთარ საფასესთან ერთად მუსლიმური დინარისა და ბიზანტიური ნომისმას თანაარსებობაც. მაგრამ საქართველოს სამონეტო განძებში XI—XIII სს. ოქროს ფულიდან მხოლოდ ბიზანტიური ნომისმა არის წარმოდგენილი[9]. მუსლიმური დინარი ჯერჯერობით არა გვხვდება.

შესაძლებელია, რომ ქვეყნის საშინაო ბაზარზე დინარის მიმოქცევა შეზღუდული იყო, მაგრამ ძნელია იგივეს დაშვება საგარეო ურთიერთობათა სფეროში. საქართველოს ფართო სავაჭრო ურთიერთობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან[10] ძნელი წარმოსადგენია მუსლიმური დინარის მონაწილეობის გარეშე.

ძლევამოსილი ომები (განსაკუთრებით XII საუკუნეში), სამხედრო ნადავლი, ხარკი და ტყვეების გამოსასყიდი ასევე წარმოადგენდნენ ამ ოქროს მონეტის მიღების წყაროს. სამხედრო მარცხის შემთხვევაში იგივე ფაქტორები, რასაც ემატებოდა უცხოეთში ქართული ეკლესია-მონასტრებისადმი გაგზავნილი ფულადი შეწირულობანი, განაპირობებდნენ დინარის უკუდინებას ქვეყნიდან.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ გარკვეულ ცნობებს გვაწვდიან არაბული წერილობითი წყაროები.

---

6 ალ-ჰუსაინი, ალ-'უმლათ ალ-ისლამიჲა ფი 'აჰდ ალ-ათაბაქი, ბაღდადი, 1968.

7 Ph. Grierson, Coinage and Money in the Byzantine Empire 498—c. 1090, "Moneta e scambi nell'alto medioevo in Spoleto", 1961, გვ. 411—453. Ph. Grierson, From Solidus to Hyperperon. The Names of Byzantine Gold Coins, NCirc. vol. LXXIV. No. 15, 1966, გვ. 123—124; A. Hendy, Coinage and Money in Byzantine Empire 1081—1261, Washington, 1969.

8 ოქროს მონეტას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფატიმიანთა ეგვიპტის (969—1171) ეკონომიკაში, მაგრამ ამ დინასტიის ბატონობის უკანასკნელ წლებში აღინიშნა ოქროს სამონეტო კრიზისი. მართალია, დინარის ემისია გრძელდებოდა აიუბიანთა (1171—1250) დროსაც, მაგრამ კრიზისული მოვლენები არ გამქრალა. ოქროს მონეტას უპირისპირდება დაბალხარისხიანი ვერცხლის საფასე. ბაჰრელ მამლუქთა (1250—1382) დროს კი ეგვიპტეში დასრულდა ოქროს სამონეტო სტანდარტიდან ვერცხლზე გადასვლა — A. S. Ehrenkreutz, The Crisis of Dinar, გვ. 167—182; H. Rabie, The Finansial System of Egypt A. H. 564—741/AD 1169—1341, Oxford University Press, 1972, გვ. 162—184. ირანში აკად. ვ. ბარტოლდის შენიშვნით XI საუკუნეში მოხდა გადასვლა ოქროს სამონეტო სისტემაზე — В. В. Бартольд. Историко-географический обзор Ирана, Сочинения, т. VII, М., 1971, გვ. 254. შუა აზიასა და წინა აზიის ქვეყნებში XI—XIII საუკუნეებში ოქროს როლის შესახებ იხ. Е. А. Давидович, Из области денежного обращения в Средней Азии X—XII вв. НЭ, т. II, М., 1960, გვ. 110—114; Р. А. Гусейнов, Из истории денежного обращения в Передней Азии в XI—XII вв. НЭ, т. X, М., 1971, გვ. 103—114.

9 საქართველოში აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტები შესწავლილი აქვს თ. აბრამიშვილს სხვადასხვა სტატიასა და მონოგრაფიაში „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები“, თბ., 1959.

10 ე. გაბაშვილი, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში, თსუ შრომები, ტ. 121, თბ., 1967, გვ. 201—224.

დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის დროს დინარი არაერთხელ აქვს მოხსენიებული გადახდის საშუალებად საქართველოში XII ს. არაბ ისტორიკოსს იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის[11]. ამავე ავტორის თანახმად, 1154 წ. დემეტრე I-მა ტყვედ იგდო არზან არ-რუმის გამგებელი 'იზზ ად-დინ სალთუკი, რომელიც ჩრდ. მესოპოტამიისა და სირიის მუსლიმმა გამგებლებმა 100 000 დ ი ნ ა რ ა დ (აქ და ქვემოთ დაყოფა ჩვენია. — გ. ჯ.) გამოისყიდეს. შემდეგ მან, თავის მხრივ, სხვა ტყვეებიც დაიხსნა, რაც დიდი ფული დაუჯდა[12].

იბნ ალ-ასირის ცნობით, ტყვეების დახსნაზე ზრუნავდა მოსულის ათაბეგის ვეზირი ცნობილი ქველმოქმედი ჯამალ ად-დინ ალ-ისფაჰანი. ის ყოველწლიურად სირიასა და საქართველოში ყიდულობდა და ათავისუფლებდა 10 000 დინარის ღირებულების ტყვეს[13].

ბაჰა ად-დინის თანახმად, 1192 წ. ქართველებმა 200 000 დინარი შესთავაზეს სალაჰ ად-დინს (1171—1193) იმ ჯვართა-ჯვარში, რომელიც სულტანმა იერუსალიმში იგდო ხელთ, მაგრამ მან უარი განაცხადა[14].

1210 წ. ხლათში დატყვევებულ ივანე მხარგრძელს თავის გათავისუფლება სხვა პირობებთან ერთად 100 00 დინარი დაუჯდა[15] და სხვ.

წერილობით წყაროებში ყურადღებას იპყრობს ტერმინები: წ ი თ ე ლ ი დ ი ნ ა რ ი, წ ი თ ე ლ ი ო ქ რ ო, წ ი თ ე ლ ი.

საქართველოსთან დაკავშირებით წითელ დინარებს პირველად იხსენიებს ალ-ფარიკი. ის გადმოგვცემს საკუთარი თვალით ნანახს, თუ როგორ შეწირა თბილისის მეჩეთს დემეტრე მეფემ 200 წ ი თ ე ლ ი დ ი ნ ა რ ი (დი̄ნა̄რ ჰამრა̄')[16].

ქართული წერილობითი ძეგლებიდან წ ი თ ე ლ ი ფულთან დაკავშირებით პირველად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში" („ასი ათასი წ ი თ ე ლ ი შენ ქრთამად შეიწირეო", 743. 1)[17]. გარდა ამისა, პოემაში წითელი ოქროს ხარისხსაც განსაზღვრავს („დაუდგეს ტახტი ოქროსი, წ ი თ ლ ი ს ა მაღრიბულისა" 1182. 2).

1258 წ. მონღოლ-ქართველთა ლაშქრის მიერ ბაღდადის აღებასთან დაკავშირებით წითელს იხსენიებს ჟამთააღმწერელი (XIV ს.). ქართველებმა ამ დროს ნადავლის სახით დიდძალი წ ი თ ე ლ ი ო ქ რ ო იგდეს ხელთ[18]. ეს ფული რომ საქართველოშიც შემოიტანეს, დასტურდება 1260 წ. ძაგან აბულეთის ძის

---

[11] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომატია, თბ., 1949, გვ. 68, 71. 72; V. Minorsky, Caucasica in the History of Mayyafariqin, BSOAS, vol. XIII, pt. I, 1949, გვ. 32, 34.

[12] V. Minorsky, Studies in Caucasian History, London, 1953, გვ. 87.

[13] Ibn el-Athiri, Chronicon quod perfectissimum inscribitur, ed. C. J. Tornberg, t. XI, Lugduni-Batavorum, 1851, გვ. 204.

[14] Beha ad-Din, The Life of Saladin, London, 1897, გვ. 335.

[15] Ibn Wasil, Mufarrij al-Kurub fi Akhbar Bani Ayyub, vol. III, ed. by Gamal el-Din el-Shayyal, Cairo, 1960, გვ. 201.

[16] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომატია, გვ. 72.

[17] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შ ა ნ ი ძ ი ს ა და ა. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით, ტ. I, ტექსტი და ვარიანტები, თბ., 1966.

[18] ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1958, გვ. 233.

დაწერილში, სადაც მოხსენიებულია „სოფელი ანგროინი... ნაყიდი... ბაღდადს ნაშოებითა ოქროითა“[19].

ივ. ჯავახიშვილი და ნ. ქოიავა მართებულად აიგივებდნენ ამ ტერმინს ბაჯაღლო ოქროს ფულთან[20]. მოწითალო ელფერი, მართალია, დაჰკრავს სპილენძნარევ ოქროს, მაგრამ სიტყვათა შეთანხმება წითელი ოქრო მხოლოდ ბაჯაღლო ოქროს აღნიშნავდა. ამ მნიშვნელობით გვხვდება ის მრავალ ევროპულ და აღმოსავლურ ენებში.

XI—XIII სს. მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების სამონეტო ტერმინოლოგიაში წითელი ოქრო, წითელი დინარები ფართოდ იყო გავრცელებული. ამ ტერმინებით აღინიშნებოდა მაღალხარისხიანი ოქროს მონეტები. მათი გამოყენება ფიქსირებულია შუა აზიაში[21], ირანში[22], სირიაში[23], ეგვიპტეში[24]. ისინი უპირისპირდებიან დაბალხარისხიან დინარებს, რომელთა მიმოქცევას ასევე ჰქონდა ადგილი და რომელთა აღსანიშნავად გამოიყენებოდა სხვადასხვა ზედსახელი: მაგ., თ ე თ რ ი დ ი ნ ა რ ე ბ ი[25] — ეგვიპტეში ფატიმიანთა ბატონობის დასაწყისში, ანდა რ უ ქ ნ ი[26] ირანში დიდ სელჩუკთა ბატონობის ხანაში.

ქართული წერილობითი წყაროების წ ი თ ე ლ ი, წ ი თ ე ლ ი ო ქ რ ო, ვფიქრობთ, მუსლიმური დინასტიების მაღალხარისხიანი ოქროს მონეტებია. ჟამთააღმწერლის ცნობაში შეიძლება მათი იდენტიფიკაცია აბასელთა დინარებთან.

აბასელთა დინარები იგულისხმება „ისტორიათა და აზმათა შარავანდედთანის“ ერთ ცნობაში. ქართული წყარო მოგვითხრობს, რომ შამქორის ომში მუსლიმთა კოალიციას ბაღდადის ხალიფამ 1.000 „ო ქ რ ო ხ ა ლ ი ფ უ რ ი“ გაუგზავნა[27].

აბასელმა ხალიფებმა ოქროს მონეტის ემისია ერაყში XII ს. 50-იანი წლებიდან განაახლეს. მათი დინარები ვრცელდებოდა მეზობელ ქვეყნებში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ირანსა და რუმის სელჩუკთა სახელმწიფოში მათ

---

19 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო-საკანონმდებლო ძეგლები (X—XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დ ო ლ ი ძ ე მ, თბ., 1965, გვ. 70.

20 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 14; ნ. ქ ო ი ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

21 Е. Давидович, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

22 Т. Ходжаниязов, Денежное обращение, გვ. 12.

23 E. Ashtor, Histoire des Prix et des Salaries dans l'Orient Médiéval, Paris, 1969, გვ. 239.

24 ა ლ-მ ა კ რ ī ზ ī, ითთ'იāზ ალ-ჰუნაფā' ბი-ახბāრ ალ-ფāტიმīნ ალ-ხულაფā', კაირო, 1972, გვ. 164. A. S. Ehrenkreutz, The Crisis of Dinar, გვ. 173.

25 ა ლ-მ ა კ რ ī ზ ī, გვ. 164. თეთრი დინარები ალბათ ელექტრუმის დინარებია. მათგან განსხვავებით, ფატიმიანთა დინარები უაღრესად მაღალი სინჯადობით ხასიათდება. საკმაოდ ბევრია ისეთი დინარები, რომელთა სინჯი 98%—100%-ია. A. S. Ehrenkreutz, Studies in the Monetary History of the Near East in the Middle Ages, II, JESHO, vol. VI, pt. III, 1963, გვ. 259, 260, 262.

26 Т. Ходжаниязов, Денежное обращение, გვ. 12. რუქნი ელექტრუმის დინარია. სინჯი სელჩუკთა იმ დინარებისა, რომელთა გაიგივებაც ჩვენ შეგვიძლია წითელი ოქროს (ზ ა რ-ე ს ო რ ხ) მონეტებთან—90%—95% და უფრო მაღალია. A. S. Ehrenkreutz, Studies, გვ. 262, 263.

27 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 67.

იცნობდნენ, როგორც ხ ა ლ ი ფ უ რ ს (خليفتى)[28], ხ ა ლ ი ფ უ რ ო ქ რ ო ს (خليفتي التولر)[29], სწორედ იმ ზედსახელით, რაც ქართულ წყაროშიც არის დამოწმებული.

XI—XIII სს. ქართული წყაროები არ იცნობენ ტერმინ დინარს. რიგ შემთხვევაში მას ცვლის ო ქ რ ო (მაგ. ოქრო ხალიფური...), ანდა ტრადიციული, ძველთაგან დამკვიდრებული დ რ ა ჰ კ ა ნ ი. მაგ., „ვისრამიანის“ ქართულ თარგმანში სპარსული ორიგინალის დინარს დ რ ა ჰ კ ა ნ ი შეესატყვისება[30].

ამავე დროს, XI—XIII საუკუნეებში დრაჰკანი ბიზანტიურ ნომისმასაც შეესაბამებოდა და როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ის იყო „ზოგადი ტერმინი ოქროს საფასეს ძირითადი ერთეულის აღსანიშნავად“[31].

ბიზანტიური ნომისმა საქართველოს სამონეტო განძებში ხანგრძლივი შესვენების შემდეგ[32] ხელახლა XI საუკუნიდან ჩნდება. მიზეზი ამისა იყო საერთოდ ნომისმას გააქტიურება საშინაო და საგარეო ბაზარზე, რაც თავის მხრივ იმპერიის საშინაო ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს — საქალაქო ცხოვრების აღმავლობა-აღორძინებასა[33] და ბიზანტიის აქტიურ საგარეო პოლიტიკას უკავშირდებოდა.

X ს-ის II ნახევარში ფატიმიანებთან და ადგილობრივ ამირებთან ბრძოლაში ბიზანტიამ განამტკიცა თავის პოზიციები ჩრდ. სირიის ნაწილში (ანტიოქია), ხელთ იგდო ჩრდ. მესოპოტამიაში თეოდოსიპოლის რაიონი, სადაც თეოდოსიპოლის თემა შექმნა. ამიერკავკასიაში ბიზანტია უშუალოდ დაემუქრა საქართველოსა და სომხეთის სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ბასილ II-ის (976—1025) მმართველობის დასასრულს იმპერიამ შეიერთა ვასპურაქანის სამეფო და დავით კურაპალატის სამფლობელოები ტაოში. შეიქმნა ვასპურაქანის და ივერიის თემები. მოგვიანებით, ბიზანტიამ გააუქმა და შეიერთა ანისის სამეფო.

ხელსაყრელ პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში ბიზანტიური ნომისმა სწრაფად გავრცელდა დაპყრობილ ტერიტორიებზე და მათ გარეთ სავაჭრო ურთიერთობათა შედეგად. ამით აიხსნება ბიზანტიური ოქროს მონეტის ფართო გავრცელება ამიერკავკასიაში XI საუკუნეში. XI ს-ის ბიზანტიური ნომისმას აღმოჩენის მრავალი შემთხვევაა ფიქსირებული საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში[34].

---

28 Р а ш и д а д-Д и н, Сборник летописей, т. III, Перевод с персидского А. К. А р е н д с а, М., 1946, გვ. 277, М., 1956, გვ. 280, 492.

29 В. А. Г о р д л е в с к и й, Государство Сельджукидов Малой Азии, «Избранные сочинения», т. I, М., 1960, გვ. 151.

30 ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გ ვ ა ხ ა რ ი ა მ და მ. თ ო დ უ ა მ, თბ., 1962, გვ. 71, 96, 736,

31 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

32 ბიზანტიური ს ო ლ ი დ ი, იგივე ნ ო მ ი ს მ ა, ითვლებოდა მთავარ საერთაშორისო ვალუტად ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში VIII ს-მდე. ვრცელდებოდა ის რუსეთსა და ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოშიც. არაბთა დაპყრობითი ომების შემდეგ ნომისმას პრესტიჟი დაეცა, მისი ემისია შეიკვეცა და მიმოქცევის არეალი შეიზღუდა. ნომისმას ადგილი მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში დაიკავა არაბულმა დინარმა და დირჰამმა. ეს უკანასკნელი იყო ძირითადად გაბატონებული VIII—X სს. საქართველოს ფულის მიმოქცევაში.

33 А. П. К а ж д а н, Экономическое развитие империи в XI—XII вв., История Византии, т. III, М., 1967, გვ. 250.

34 თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131—134; В. В. К р о п о т к и н, Клады византийских монет на территории СССР, М., 1962, გვ. 41—42, 184.

ბიზანტიური ნომისმას ფართოდ გავრცელების პერიოდში ცვლილებები ხდება მის წონით სტანდარტსა და სინჯში. ნიკიფორე ფოკას (963—968) დროიდან პირველად ბიზანტიის სამონეტო საქმის ისტორიაში, იჭრება ორი განსხვავებული წონითი სტანდარტის მქონე მონეტა: სრულწონიანი — ჰ ი ს ტ ა მ ე ნ ო ნ ნ ო მ ი ს მ ა (4,40 გ)[35] და შემსუბუქებული წონის (3,81—4,09 გ.)[36]. — ტ ე ტ ა რ ტ ე რ ო ნ ნ ო მ ი ს მ ა[37].

მიხეილ IV-ის (1034—1041) დროიდან ჰისტამენონს ეძლევა ჩაღრმავებული ფორმა და მისი განსხვავება ტეტარტერონისაგან, რომლის ფორმაც ტრადიციულად ბრტყელი დარჩა, ძნელი აღარ არის[38].

მიხეილ IV-ის დროიდანვე, XI ს.-ის 30-იანი წლებიდან, იწყება ნომისმას სინჯის დაცემა, რაც არნახული მოვლენა იყო ბიზანტიის სამონეტო საქმის ისტორიაში. მომდევნო იმპერატორები თანამიმდევრულად აუარესებდნენ ნომისმას ხარისხს და თეორიულად 24 კარატიდან ჰისტამენონის სინჯი XI ს.-ის 70-იან წლებში 8 კარატამდე (33%), ხოლო ტეტარტერონის — 9 კარატამდე (38%) დაეცა[39]. ამის შემდეგ უკანასკნელის ემისია შეწყდა კიდეც[40].

XI ს.-ის საქართველოში, სამონეტო აღმოჩენების თანახმად, ძირითადად ტრიალებდა ჰისტამენონ ნომისმა. ტეტარტერონთან იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა მხოლოდ კონსტანტინე IX მონომახის (1042—1055) ერთი ნომისმა[41]. საფიქრებელია, რომ საქართველოს სამონეტო ბაზარზე ტეტარტერონი უაღრესად იშვიათი იყო[42]. ამიტომ ნომისმას დიფერენციაცია წონითი სტანდარტის მიხედვით საქართველოში შექმნილ წერილობით ძეგლებში არ აისახა. მაგრამ ათონის ივერიის მონასტრის აღაპებში ჰისტამენონი და ტეტარტერონი ფიქსირებულია ს ტ ა მ ე ნ ო ნ ი ს ა და ტ ა რ ტ ა რ ო ნ ი ს ფორმით[43].

---

35 M. Hendy, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

36 C. Morrison, Catalogue des monnaies Byzantines de la Bibliothéque Nationale, t. II, Paris, 1970, გვ. 616.

37 ნომისმას დაყოფა ტეტარტერონად და ჰისტამენონად სამეცნიერო ლიტერატურაში, შედარებით ახალი ამბავია. ბიზანტიურ დოკუმენტებში მოხსენიებული ტეტარტერონი შემსუბუქებული წონის ნომისმას პირველად გაუიგივა R. S. Lopez-მა. La Crise du Bezant au X$^{e}$ siècle et la date du Préfect, Mélanges Henri Grégoire, III, Annuire de l'Institut de Philologie et d'Histoire Orientales et Slaves, X, 1950, გვ. 403—418; შდრ. Ph. Grierson, From Solidus to Hyperperon, გვ. 123—124. ნომისმას დიფერენციაცია წონითი სტანდარტის მიხედვით, ამ სახელწოდებების შესაბამისად, ასახულია მ. ჰ ე ნ დ ი ს, ს. მ ო რ ი ს ო ნ ი ს და სხვ. თანამედროვე ნაშრომებში ბიზანტიური ნუმიზმატიკის შესახებ.

38 Ph. Grierson, From Solidus to Hyperperon, გვ. 123; M. Hendy, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

39 ნომისმას სინჯის დაცემის პროცესი XI საუკუნეში დაწვრილებით შეისწავლა ფ. გრირსონმა. Ph. Grierson, The Debasement of Bezant in the Eleventh Century, BZ, Bd. 47, eft H2, 1954, გვ. 379—393. მ ი ს ი ვ ე, Notes on the Finenes of the Byzantine Solidus, BZ, Bd. 54, Heft 1, 1961, გვ. 91—97.

40 ტეტარტერონის, როგორც სპილენძის მონეტის, ემისია განახლდა XII საუკუნეში.

41 აღმოჩენილია ავჭალაში 1956 წ იხ. თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98 № 380, გვ. 132 № 154.

42 ვარაუდობენ, რომ ტეტარტერონის ემისია უკავშირდებოდა ბიზანტიის ტერიტორიულ მონაპოვრებს სირიაში და გამიზნული იყო მისი მოსახლეობისათვის, რომელიც ადრე იყენებდა ანალოგიური წონითი სტანდარტის მქონე ტულუნიანთა დინარებს A. S. Ehrenkreutz, Byzantine Tetartera and Islamic Dinar, JESHO, vol. III, pt. II, 1964, გვ. 183—190.

43 ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თფილისი, 1901, გვ. 222 № 30, გვ. 226 № 43.

სინჯადობის თვალსაზრისით XI ს-ის საქართველოში ტრიალებდა სრულიად სხვადასხვა ხარისხის ნომისმები. გვხვდება კონსტანტინე VIII-ის (1025—1028) ნომისმები, რომელთა ხარისხი, საერთოდ, ფ. გრირსონის თანახმად, მაღალია —22—23 1/2 კარატი[44] და კონსტანტინე X-ის (1059—1067), რომანოზ IV-ისა (1067—1071) და ნიკიფორე III ბოტანიატის (1078—1081) ოქროს მონეტები[45], რომელთა ხარისხი დაბალია[46].

სხვადასხვა ხარისხის ნომისმების ემისიამ (XI ს-ში) და მიმოქცევამ იმპერიაში და მის ფარგლებს გარეთ განაპირობა ნომისმების მთელი რიგი ზედსახელების გაჩენა. ეს ზედსახელები მონეტის მომჭრელ რომელიმე იმპერატორს, ანდა მონეტის გარეგნულ სახეს უკავშირდებიან და სხვადასხვა ღირებულების ნომისმებს აღნიშნავენ. XI ს-ის ბიზანტიურ დოკუმენტებში ხშირად არის მითითებული, თუ რომელი ნომისმებით წარმოებს ფულადი თანხების გადახდა[47].

ქართულ წერილობით წყაროებში დამოწმებულია ბევრი ასეთი ზედსახელი: კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ა ტ ი, მ ი ხ ა ი ლ ა ტ ი, დ უ კ ა ტ ი, რ ო მ ა ნ ა ტ ი, ე ქ უ ს თ ა ვ ი, დ უ კ ა ტ-მ ი ხ ა ი ლ ა ტ ი, ბ ო ტ ი ნ ა ტ ი და სხვ. მათი ნაწილი გვხვდება მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ (ათონის ივერიის და პეტრიწონის მონასტრებში) შექმნილ წერილობით ძეგლებში და საინტერესოა მხოლოდ ბიზანტიური ნუმიზმატიკისათვის. ამ თვალსაზრისით შეისწავლა სწორედ ბიზანტიური ოქროს საფასეს ტერმინები ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა რ. ბ ლ ე ი კ მ ა[48]. ჩვენ ამჯერად შევეხებით რამდენიმე მათგანს, რომლებიც ქართულ წყაროებში დამოწმებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (მთიან რაიონებშიც კი) გადახდის საშუალებად და ღირებულების საზომად. ესენია: კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ა ტ ი, დ უ კ ა ტ ი და ბ ო ტ ი ნ ა ტ ი.

ბ ო ტ ი ნ ა ტ ი (ბოტანატი, პოტინატი, ვოტანიატი) ათონის ივერიის მონასტრის აღაპებს გარდა გვხვდება დავით აღმაშენებლის 1125 წ. ანდერძში, 1204—1234 წწ. ვაჰანის ქუაბთა განგებაში[49] და სხვ.

მკვლევართა მართებული განსაზღვრით, ბოტინატი ნიკიფორე III ბოტანიატის (1078—1081) ნომისმაა[50]. საერთოდ, ამ იმპერატორის ნომისმების სინჯი 8 კარატია (33%—34%)[51]. მათ ელექტუმის კვალიფიკაციასაც აძლევენ[52].

---

[44] Ph. Grierson, The Debasement, გვ. 392.

[45] თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131—134.

[46] Ph. Grierson, The Debasement, გვ. 392—393.

[47] А. П. Каждан, Из экономической жизни Византии XI—XII вв. Натуральное и денежное хозяйство, წიგნში. Византийскне очерки, М., 1971, გვ. 195.

[48] R. Blake, Some Byzantine Accounting Practices illustrated from Georgian Sources, Harvard Studies in Classical Philology, vol. L I, Cambridge, 1940, გვ. 11—33.

[49] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი, გვ. 222, № 30, გვ. 265, № 159. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 20. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო-საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დ ო ლ ი ძ ე მ, თბ., 1970, გვ. 140.

[50] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16; თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 296; R. Blake, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

[51] Ph. Grierson, The Debasement, გვ. 386, 393 (№ 81, 82, 84.).

[52] თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 108—109. ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაში (რ. ფ ა ს მ ე რ ი, ე. პ ა ხ ო მ ო ვ ი, ვ. კ რ ო პ ო ტ კ ი ნ ი) საქართველოში აღმოჩენილი ნიკიფორე III-ის ნომისმები ვერცხლის მონეტებად იხსენიება (იხ. თ. ა ბ რ ა მ ი-

საქართველოს სამონეტო განძებში ყველაზე ხშირად დაბალხარისხიანი ბოტინატები გვხვდება.

დ უ კ ა ტ ი (დოკატი, დრაჰკანი დუკატი) დამოწმებულია XI ს. მიწურულის ნიკორწმინდის დაწერილში, დავით აღმაშენებლის 1125 წ. ანდერძში, ვაჰანის ქუაბთა განგებაში, 1245—1250 წწ. გრიგოლ სურამელის დაწერილში[53] და სხვ.

ივ. ჯავახიშვილისა და თ. ლომოურის აზრით დუკატი მიხეილ VII დუკას (1071—1078) ოქროს მონეტაა[54]. ს. კაკაბაძე ამ ზედსახელს კონსტანტინე X დუკასა (1059—1067) და მიხეილ VII დუკას უკავშირდება[55]. უფრო მართებული უნდა იყოს რ. ბლეიკი, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა კონსტანტინე X დუკას[56], რადგანაც მიხეილ VII დუკას ნომისმები დ უ კ ა ტ-მ ი ხ ა ი ლ ა ტ ა დ იხსენიებიან.

რ. ბლეიკს დუკატი სრულწონიან და მაღალხარისხიან ოქროს მონეტად მიაჩნდა[57]. მაგრამ მის დროს ნომისმას სინჯი ჯერ კიდევ არ იყო საფუძვლიანად შესწავლილი. ფ. გრირსონის თანახმად, კონსტანტინე X დუკას ნომისმების სინჯი საშუალოდ 18 კარატია (75%)[58].

კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ა ტ ი (კოსტანატი, კუსტანატი, დრაჰკანი კოსტანტინატი) დამოწმებულია ნიკორწმინდის დაწერილში, დავით აღმაშენებლის 1123 და 1125 წწ. ანდერძებში[59], ფავნელთა დაწერილში, რომელიც უმართებულოდ არის დათარიღებული IX საუკუნით[60] და სხვ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კოსტანტინატი დაკავშირებულია კონსტანტინე X დუკას სახელთან[61]. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ამ იმპერატორის ნომისმების ზედსახელი უნდა იყოს დუკატი. კოსტანტინატი უფრო კონსტანტინე IX მონომახის (1042—1055) ნომისმებს გულისხმობს[62]. ამ იმპერატორის ზეობის წლებში იჭრებოდა 4 ტიპის ჰისტამენონ ნომისმა[63], რომელ-

შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134). ბოტინატს ვერცხლის ფულად მიიჩნევდა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ც (საფასის ისტორიისათვის, გვ. 134). შესაძლებელია, რომ ის გამოდიოდა იმ სასისხლო სიგელებიდან, რომლებიც იხსენიებენ „ბ ო ტ ი ნ ა ტ უ რ თ ე თ რ ს“ (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სასისხლო სიგელების შესახებ, „საისტორიო მოამბე“, II, 1924, გვ. 64).

53 ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 20, 43, ტ. III, გვ. 33—34, 140—141; შდრ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი, გვ. 253 № 141, გვ. 258, № 163.

54 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16; თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 296.

55 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საფასის ისტორიისათვის, გვ. 5.

56 R. B l a k e, დასახ. ნაშრომი, გვ. 25—26, შენ. 7.

57 იქვე.

58 Ph. G r i e r s o n, The Debasement, გვ. 393. საქართველოში კონსტანტინე X-ის ნომისმების აღმოჩენების შესახებ იხ. თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 101—103 № 408—428.

59 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 13, 19. ტ. III, გვ. 31.

60 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 3. დათარიღების უსაფუძვლობას ვეხებით ქვემოთ, შენ. 71.

61 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16; თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 296.

62 ეს შეხედულება გავრცელებულია ბიზანტიური ნუმიზმატიკის შესახებ არსებულ უცხოურ გამოკვლევებშიც. იხ. C. M o r r i s o n, დასახ. ნაშრომი, გვ. 616.

63 Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection, vol. II, part 2. ed. by Ph. G r i e r s o n, Washington, 1973, გვ. 734.

თაც განსხვავებული სინჯადობა ახასიათებდათ. ყველაზე გავრცელებული ტიპების სინჯი 20—22 1/2 კარატია (83%—94,5%)[64].

დაბალხარისხიანი ნომისმების სისტემატური ემისია ბიზანტიაში XI ს-ის 80—90-იან წლებში შეწყდა. მაგრამ ამ მონეტების მიმოქცევა როგორც იმპერიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ კიდევ დიდ ხანს გრძელდებოდა. ქართულ წყაროებში ეს მონეტები, როგორც ვნახეთ, დამოწმებულია XII და XIII საუკუნეებშიც.

ამავე საუკუნეებში ქართულ წყაროებში გვხვდება ახალი სამონეტო ტერმინიც — პ ე რ პ ე რ ა (დრაჰკანი პერპერა, პერპერატი, პელპელი). ეს არის ბიზანტიური ოქროს მონეტა ჰ ი პ ე რ პ ე რ ო ნ ი, ჩაღრმავებული ფორმისა, რომლის მოჭრაც უკავშირდება ალექსი I კომნენის (1081—1118) სამონეტო რეფორმას დაახლოებით 1092 წ.

ჰიპერპერონი მკვლევართა მიერ განმარტებულია, როგორც ὑπέρ+πῦρ, რაც უაღრესად გავარვარებულს ნიშნავს და გაწმენდილ ოქროს (ლათ. aurum coctum) შეესაბამება[65]. მისი სინჯი — 20—21 კარატი, მართალია, უფრო დაბალი იყო, ვიდრე კლასიკური სოლიდისა (24 კარატი), მაგრამ საკმაოდ მაღალი და წმინდა — ალექსი I კომნენის უშუალო წინამორბედების ნომისმებთან შედარებით[66].

ფ. გრირსონის თანახმად, ჰიპერპერონი არის ბიზანტიური ოქროს მონეტის ერთადერთი სახელწოდება — ნომისმას ნაცვლად — XII—XIII და XIV ს. I ნახევარში[67].

ჰიპერპერონი ორიგინალურ ბიზანტიურ წყაროებში სისტემატურად 1093 წლიდან გვხვდება[68]. მართალია, ტერმინი დამოწმებულია 1017, 1018/19 და 1081 წწ. რიგ დოკუმენტებშიც, მაგრამ ისინი გვიანდელ ნუსხებში არიან შემონახულნი. მ. ჰენდის კატეგორიული განცხადებით, არ არსებობს არავითარი დამაჯერებელი საბუთი იმისა, რომ ამ ტერმინის შემოღება წინ უსწრებდა ალექსი I კომნენის მმართველობას და კერძოდ კი, რეფორმისეული ოქროს მონეტის გამოშვებას[69].

ამ მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება კორექტივი შევიტანოთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოსაზრებაში[70], რომ

---

[64] Ph. Grierson, The Debasement, გვ. 384, 392—393. ძალზე იშვიათია კონსტანტინე XI-ის ის ნომისმები (IV ტიპი), რომელთა რევერსზე ვარსკვლავებია გამოსახული და რომელთაც ამის გამო სტელატი ეწოდებათ. მათი სინჯადობა 18—19 კარატია. იხ. Ph. Grierson, The Debasement, გვ. 384.

[65] Ph. Grierson, From Solidus to Hyperperon, გვ. 124. M. Hendy, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

[66] Ph. Grierson, From Solidus to Hyperperon, გვ. 124. დაწვრილებით ჰიპერპერონის სინჯის შესახებ იხ. M. Hendy, დასახ. ნაშრომი, გვ. 10—12.

[67] Ph. Grierson, From Solidus to Hyperperon, გვ. 124.

[68] M. Hendy, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

[69] იქვე.

[70] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16; ნ. ქოიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 104. მართალია, თ. ლომოურმა აღნიშნა (დასახ. ნაშრომი, გვ. 296), რომ პერპერა იხსენიება მხოლოდ XI—XIII სს-ის ქართულ წყაროებში, მაგრამ ეს მითითება შემდეგ არ იქნა გათვალისწინებული. იხ. დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 173, Д. Капанадзе, Грузинская нумизматика, М., 1955, гв. 140.

პერპერა საქართველოში X ს-დან ვრცელდება. ეს მხოლოდ XI ს. 80—90-იანი წლების შემდეგ არის მოსალოდნელი[71].

სამონეტო განძებში XII ს. პერპერები შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება საქართველოში. ესენია კერძოდ, გურჯაანში აღმოჩენილი[72] ალექსი I-ისა და იოანე II კომნენის (1118—1143) ოქროს მონეტები.

წერილობითი ძეგლებიდან ეს ტერმინი დამოწმებულია ათონის ივერიის მონასტრის აღაპებში[73], დავით აღმაშენებლის 1123 წ. ანდერძში, „ვეფხისტყაოსანში"[74] და სხვ.

უცხოური წერილობითი წყაროების თანახმად პერპერა ფართოდ იყო გავრცელებული XIII ს. ამიერკავკასიის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

ჯუვეინი ასახელებს პერპერას (დინāრ ბარბარī) დიდ თანხებს, რომლებითაც აზერბაიჯანის გამგებელი უზბეგი 1213/14 წ. მასთან სტუმრად მყოფ ისმაილიტთა წინამძღოლის ჯალალ ად-დინის მხლებლებს ასაჩუქრებდა[75].

ნესევი ჯალალ ად-დინის ლაშქრობის აღწერის დროს რამდენჯერმე ისხენიებს პერპერას გადახდის საშუალებად შირვანსა[76] და სომხეთში — ხაჩენისა[77] და სურმარის[78] გამგებლების მიერ.

პლანო კარპინის ცნობით კი ქართველები 1246 წლისათვის მონღოლებს 40—50 000 პერპერას უხდიდნენ ხარკად[79].

აღსანიშნავია, რომ 1204 წლიდან, როცა კონსტანტინოპოლი ჯვაროსნებმა აიღეს და ბიზანტიის ტერიტორიაზე ლათინთა, ტრაპიზონის და ნიკეის იმპერიები ჩამოყალიბდა, ოქროს მონეტის ემისია წარმოებდა მხოლოდ ნიკეაში. სხვა ერთეულებში იჭრებოდა მხოლოდ ვერცხლისა და ბილონის მონეტები[80].

---

71 ამის გამო შეუძლებელია IX ს-ით დავათარიღოთ შიო-მღვიმისადმი ფავნელთა დაწერილი, სადაც მოხსენიებულია პ ე ლ პ ე ლ ი (პერპერა). ეს საბუთი კი ითვლება „ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ წერილობით საბუთად, რომელშიც აისახა ვალდებულებითი სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები" (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 589).

72 თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135. **Т. Я. Абрамишвили. Находка византийских золотых монет в Гурджаани. ВВ. т. XIII. 1958 гз. 282—284.**

73 ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი, გვ. 219 № 14, გვ. 221 № 22, გვ. 223 № 32, გვ. 224 № 33, გვ. 225 № 39, გვ. 227 № 45, გვ. 231, № 57 და სხვ, არცერთი მათგანი არ შედის იმ 21 აღაპის რიცხვში, რომლებიც ჩაწერილია კრებულის პირველი რედაქტორის მიქელ დაღალისონელის ხელით 1074 წ. (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „ათონის კრებულის" რედაქცია, „საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 201—202). საერთოდ, ხელნაწერის დათარიღება 1074 წლით პირობითია. მან რამდენიმე რედაქცია განიცადა, მათ შორის XI ს. 80-იანი წლების ბოლოს და XII ს. 40-იან წლებში. აღაპების უმრავლესობა ჩაწერილია სხვადასხვა რედაქტორთა მიერ. გარდა ამისა, ხელნაწერში არის უფრო გვიანდელი ხანის ჩანამატებიც. დაწვრილებით ხელნაწერის რედაქციებისა და აღაპთა კუთვნილების შესახებ იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 196—216.

74. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 13. შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, 1436. 4.

75 **J u v a i n i. The History of the World Conqueror. tr. by J. A. B o y l e. vol. II. Manchester. 1958. გვ. 701.**

76 **А н-Н а с а в и. Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны. пер. с арабского, комментарии, примечания и указатели З. М. Б у н и я т о в а. Баку. 1973. стр. 222.**

77 იქვე, გვ. 211.

78 იქვე, გვ. 252.

79 **П л а н о К а р п и н и. История Монголов. редакция, вступительная статья и примечания Н. П. Ш а с т и н о й. М., 1957. გვ. 57.**

80 **M. H e n d y.** დასახ. ნაშრომი, გვ. 320.

ნიკეის იმპერატორთა პერპერები საქართველოში აღმოჩენილი არ არის. მაგრამ ის დიდი ფულადი თანხები, რომელთა გადახდა დამოწმებულია წყაროებში XIII ს-ის I ნახევრისათვის, შეუძლებელია მხოლოდ XII ს-ის მარაგის საფუძველზე მომხდარიყო. XIII ს-ის I ნახევარში მისი შევსების წყარო კი იყო მხოლოდ ნიკეის იმპერია.

1261 წლიდან, ბიზანტიის იმპერიის მთლიანობის მეტ-ნაკლებად აღდგენის შემდეგ ჰიპერპერონის ემისია ბიზანტიაში კვლავ განახლდა. ბიზანტიური ოქროს მონეტის გავრცელება საქართველოში არც ამის შემდეგ წყდება. აღმ. საქართველოში აღმოჩენილია ანდრონიკე II-ის (1282—1328) ერთი ოქროს მონეტა[81] — პერპერა.

საქართველოს სამონეტო ბაზარზე პერპერას ფართოდ გავრცელებამ შეიყვანა ალბათ შეცდომაში ზაქარია ალ-კაზვინი. 1275 წ. შედგენილ „კოსმოგრაფიაში" მან პერპერა „აბხაზთა ქვეყნის ფულად" მიიჩნია, რომელსაც „ამ ქვეყნის მეფეები ჭრიდნენ". პერპერას მისეული აღწერა... („პერპერა) არის კარგი დინარი, ჩამოსხმული, ჩაღრმავებული... თითოეული დინარი ერთი მისკალი კარგი ოქროა"[82] შეესაბამება ბიზანტიური ჰიპერპერონის გარეგნულ სახესა და მის მეტროლოგიურ შინაარსს[83].

ამრიგად, საქართველოში XI—XIII საუკუნეებში გავრცელებული ოქროს მონეტის ტერმინოლოგია მრავალფეროვანია.

ტერმინების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სამონეტო ბაზარზე ტრიალებდა სხვადასხვა ხარისხისა და ღირებულების ოქროს მონეტები (წ ი თ ე ლ ი ო ქ რ ო, კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ა ტ ი, დ უ კ ა ტ ი, ბ ო ტ ი ნ ა ტ ი, პ ე რ პ ე რ ა...).

სავარაუდოა, რომ დიდი თანხების დასაფარავად ოქროს ზოდებიც — „უ ჭ ე დ ე ლ ი ო ქ რ ო ც"[84] გამოიყენებოდა. საგულისხმოა, რომ სწორედ საკვლევ პერიოდში „ო ქ რ ო" გადაიქცა ფულის აღმნიშვნელ საზოგადო ტერმინად, რასაც თავის დროზე ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა[85]. ეს ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ოქროს მონეტა, არსებული მასალით, არ იჭრებოდა, მოწმობს, რომ ოქროს როლი ამ ხანებში მიმოქცევაში არ იყო უმნიშვნელო.

---

81 თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

82 Z a k a r i j a e l-K a z w i n i's Kosmographie. Zweiter Theil. Hrsg. von F. W ü s t e n f e l d. Göttingen, 1848, გვ. 348.

83 ზაქარია ალ-კაზვინის პერპერა ბიზანტიურ ოქროს მონეტას ჯერ კიდევ XIX ს-ში გაუიგივა ვ. ლ ა ნ გ ლ უ ა მ. M. L. L a n g l o i s, Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, Paris, 1860, გვ. 48—49. შდრ. А. К о м а р о в, Чеканилась ли в Грузии золотая монета? Известия Кавказского общества истории и археолотии, т. I, в. II, Тифлис, 1884, გვ. 6.

84 ამ ტერმინის შესახებ იხ. თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 295. დამატებით იხ. გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, მაღრიბული ოქრო XII—XIII სს. ქართულ წყაროებში, მაცნე, ეკონომიკის, ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია, № 4, 1975, გვ. 146—151.

85 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

## შემოკლებათა სია

BB — Византийский временник
НЭ — Нумизматика и эпиграфика
BZ — Byzantinische Zeitschrift
BSOAS — Bulletin of the School of Asian (and African) Studies
JAOS — Journal of the American Oriental Society
JESHO — Journal of the Economic and Social History of the Orient
NC — Numismatic Chronicle
NCirc — Numismatic Circular
RN — Revue Numismatique

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ე. გაბაშვილმა

ლამარა სახაროვა

# ლეჩხუმის 1970—71 წწ არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები

1970—1971 წლებში სადაზვერვო-არქეოლოგიურ სამუშაოებს ლეჩხუმში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექპედიცია აწარმოებდა[1].

ძირითადი სამუშაოები ექსპედიციამ სოფელ ცხეთის მიდამოებში გაშალა. სოფელი ცხეთა ცაგერის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს, დაახლოებით 15 კმ-ზე. სოფლის უმაღლესი ადგილი ყვავიქედაა, რომელიც ქედისებურად გაბმული რამოდენიმე ბორცვისაგან შედგება. ყვავიქედას ფერდობზე ჯერ კიდევ 1962 წელს დადასტურდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურული ნაშთები. სწორედ ამიტომ, ექსპედიციამ ერთ-ერთი ბორცვის (რომელიც უშუალოდ სოფელს ემიჯნება) ფერდობზე რამოდენიმე საცდელი თხრილი გაჭრა. ფერდობის ძირში გაჭრილმა თხრილმა (№ 2) უამრავი კერამიკული ნატეხები მოგვცა, მაგრამ ეს არ იყო in situ ფენის მასალა, რადგან თხრილი დამეწყრილ ზონაში მოხვდა. ცხადი გახდა, რომ საქმე გვქონდა მეწყრისა და მიწის სამუშაოებისაგან ნაწილობრივ დაზიანებულ, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე გავრცელებულ ნასახლართან.

1971 წელს არქეოლოგიური სამუშაოები ისევ დაზვერვებითა და მცირე გათხრებით შემოიფარგლა. აღნიშნულ წელს ექსპედიციის მიზანი იყო ცხეთის უძველესი ნამოსახლარის ერთი პატარა in situ უბნის გამოვლენა-შესწავლა და სამაროვნის პოვნა, სადაც ბორცვის მცხოვრებნი იმარხებოდნენ. მიუხედავად მრავალი საძიებო შურფებისა, რომლებიც ცხეთის მიდამოებში გაიჭრა, ექსპედიციამ სამაროვანს ჯერჯერობით ვერ მიაკვლია; მაგრამ ნამოსახლარის ერთი პატარა სათავსი კი გამოავლინა და შეისწავლა.

თხრილი № 6, რომელშიც სათავსი გამოვლინდა ყვავიქედას ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე გაიჭრა (2×5 მმ). თხრილი დამხრობილი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

ზედა ფენა წარმოადგენდა ჰუმუსოვან, ალაგ-ალაგ კორდმოკიდებულ ფხვიერ ფენას (დაახლოებით 50—70 სმ-ზე), რომელიც უამრავ კერამიკულ ფრაგმენტებს მოიცავდა. ეს ფენა ძლიერ იყო დაზიანებული ყოველწლიური მიწის სამუშაოების გამო (სიმინდს თესენ) და ამიტომაც მასში ერთად გვხვდებოდა, როგორც წინარეანტიკური, ასევე ადრეანტიკური ხანის კერამიკული ფრაგმენტები. შემდეგ დაფენებას წარმოადგენდა მოშავო-მონაცრისფრო, ნაცრის ხშირი მინარევებიანი შრე, რომელიც ძირისაკენ სულ უფრო და უფრო წითლდებოდა (განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნაწილში). აშკარა იყო, რომ საქმე გვქონდა დიდ ნახანძრალთან. სწორედ ამ მოწითალო-მოშავო შრეში გამოიკვეთა სათავსი.

---

[1] ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ისტორიის მეცნ. კანდიდატი ა. რამიშვილი, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ლ. კობახიძე და ექსპედიციის ხელმძღვანელი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ლ. სახაროვა.



1



II




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13


IV
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
18

V




VI
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20

VIII



შეიძლება ითქვას, რომ კულტურული ფენა აქ მიწის ზედაპირიდანვე იწყება და მისი სიმძლავრე ზოგჯერ 1,5 მეტრს აღემატება (თხრილის დასავლეთ ნაწილში). ეს მძლავრი კულტურული ფენა ნიადაგისეულ თიხნარზეა წარმოშობილი, რომელსაც ზოგ შემთხვევაში ჭაობნარევი თიხნარი მოსდევს, რაც იწვევს კიდევაც დამეწყვრას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სათავსი თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში გამოიკვეთა. მას თიხატკეპნილი იატაკი ჰქონია, რომლის პრეპარაციის შემდეგ, დაახლოებით 6 კვ. მეტრის ფართობი შემოიხაზა. მაგრამ როგორც ჩანს სათავსი უფრო დიდი იყო, რადგან იატაკის დამრეცი მხრისაკენ, დაახლოებით 50—70 სმ დაშორებით კიდევ გამოჩნდა თიხატკეპნილი იატაკის ნაწილი, რომელიც დენუდაციის შედეგად უნდა იყოს მოწყვეტილი ძირითად ნაწილს. სათავსის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი ჩაჭრილ თიხაზე ყოფილა პირდაპირ მიბჯენილი. კედლები კი, როგორც ჩანს, მოწნული და შელესილი იყო, რაზედაც წნულის ანაბეჭდებიანი ბათქაშები, დანახშირებული წკნელები და ძელების ნაშთები მიგვანიშნებენ. საამშენებლო მასალად გამოყენებული ყოფილა თიხის ნატეხი „ქვებიც“. სავარაუდოა, რომ გადახურვა ბანური იყო (ტაბ. $I_1$).

სათავსის სამხრეთ კუთხეში აღმოჩნდა ღუმელი, რომლის სიგრძე დაახლოებით 80 სმ., ხოლო სიგანე 70 სმ. იყო. ღუმელი დეფორმირებულია, მაგრამ ჩანს, რომ ორი პარალელური განყოფილებისაგან შედგებოდა. გამყოფი და უკანა ე. ი. სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელი შელესილი იყო. იატაკად დაგებული ჰქონია თიხის ნატეხი „ფილები“. ერთი განყოფილება საცეცხლე უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე — საცხობი. იგულისხმება, რომ ორივე გადახურული იყო. ღუმელის წინ ორი პატარა დანახშირებული წრე იყო, რომელიც დამწვარი მარცვლებისაგან შედგებოდა. სამწუხაროდ, მარცვლები ისეა დამწვარი, რომ მისი განსაზღვრა შეუძლებელი გახდა.

ყვავიქედას ფერდობზე გაჭრილ თხრილებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია კერამიკით, ლითონის, ძვლის და ქვის ნივთებით.

კ ე რ ა მ ი კ უ ლ ი ნაწარმი საკმაოდ მრავალრიცხოვანია და ამავე დროს მრავალფეროვანიც. სამწუხაროდ, იგი ფრაგმენტებადაა წარმოდგენილი. მაგრამ ცალკეული ნატეხი (პირის, ყელ-ყურის, გვერდისა და სხვ.) ხშირ შემთხვევაში საკმარისია, რათა წარმოვიდგინოთ ჭურჭლის ფორმა და ზომაც. აქედან გამოდინარე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოპოვებული კერამიკა ე. წ. საოჯახო-სამზარეულო ჭურჭელს განეკუთვნება და მასში საშუალო და პატარა ზომის ჭურჭელი ჭარბობს.

სახეობის მიხედვით გამოიყოფა: პითოსები (კოლხური ქვევრები), დერგები, ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, ჯამ-ფიალები, თეფშები, სასმისები და სხვ.

დ ი დ ი ჭ უ რ ჭ ე ლ ი წარმოდგენილია რამოდენიმე ათეული ნატეხით, რომელთა დამახასიათებელი ორნამენტია სიგრძივი რელიეფური ზოლები (კანელურები), რომლებიც ზოგ ნატეხზე კუთხეებს ქმნიან. ასეთი ჭურჭელი სქელკედლიანია (2 სმ.), დაბალყელიანი და პირზე მომრგვალებული ქობა დაუყვება.

ამავე ჯგუფს ვაკუთვნებთ სხვადასხვა ზომის დერგის ფრაგმენტებს, რომელთა გამოწვის დამახასიათებელი ფერია, მონაცრისფრო შავი, იშვიათად მოწითალო. ზოგი დერგი შემკული ყოფილა სხივისებურად განლაგებული რელიეფური ზოლებით, რომლებიც მხრებიდან იწყებოდა. განიერი რელიეფური ზოლებით უპირატესად შემკული ყოფილა ჭურჭლის ყელი და მხარი. ზოგ შემთხვევაში რელიეფური ზოლი გრეხილის იმიტაციას წარმოადგენს. ერთ-ერთი

მოზრდილი დერგი (რომლის ზედა ნაწილის აღდგენა მოხერხდა) შავად არის გამომწვარი და ნაპრიალები; მას რელიეფურ ზოლებს გარდა ამკობს კოპები. დერგი ფართო და მაღალყელიანი ყოფილა. საფიქრებელია, რომ ასეთი მოზრდილი ქილისებური დერგი მარცვლეულის შესანახად იხმარებოდა (ტაბ. $I_2$).

ცალკე უნდა აღინიშნოს ათიოდე ფრაგმენტი საშუალო ზომის დერგებისა, რომელთაც დაბალი, თითქმის გადაჭრილი ყელი აქვთ. ერთ მათგანს ყელის მაგივრად ქობა აქვს. ასეთ ჭურჭელთა კორპუსი, როგორც ჩანს, მკვეთრად გამობერილი ყოფილა.

შედარებით ვიწრო და მაღალყელიანი დერგი ერთადერთი ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ეს არის მაღალი პირგადაშლილი და პირშემსხვილებული ყელი, რომელსაც ხუთი კონცენტრული, კოხტად გამოყვანილი ღარი და მის შესაბამისად რელიეფური ზოლები ამკობდა (№ 168—170).

ს ა შ უ ა ლ ო ზომის ჭურჭელი უპირატესად წარმოდგენილია მეტ-ნაკლები ზომის ქოთნებისა და ქვაბ-ქოთნების უამრავი ფრაგმენტით, რომელთა უმრავლესობა გამომწვარია მონაცრისფრო შავად და მოწითალო ყავისფრად. ფორმა ძირითადად იმეორებს ბრინჯაოს ბრტყელძირა ე. წ. სიტულების ფორმას. უმეტესობა ქოთნებისა, როგორც ჩანს, სადა იყო. დამახასიათებელი ორნამენტია — ოდნავ რელიეფური ზოლები, რომლითაც ამკობდნენ ყელსა და ნაწილობრივ მხარს. რაოდენობრივი უპირატესობა და სისადავე ქოთნებისა მის სამზარეულო დანიშნულებაზე მიგვანიშნებენ.

წარმოდგენილ მასალაში არის ათიოდე ფრაგმენტი ქოთნისებური ჭურჭლისა, რომელიც შავად არის გამომწვარი და ამავე დროს ნაპრიალები. სხვა ქოთნებისაგან ისინი გამოირჩევიან შემკულობით. ყველა მათგანს ყელზე ზედდებული სარტყელი ამკობს, რომელიც სამ ვარიანტად იხატება. ერთ შემთხვევაში ზედდებული სარტყელი ტალღურ ხაზსა ქმნის, მეორე შემთხვევაში იგი თანაბარ მანძილზე ოდნავ ნაკეცებით შედგენილ სარტყელს წარმოადგენს; ხოლო მესამე შემთხვევაში ზედდებული სარტყელი დაკეჭნილია ერთმანეთზე მიჯრილი პატარა რელიეფური სწორკუთხედებით. აღწერილ დეკორატიული სარტყლის ქვემოთ ასეთ ჭურჭელთა მხარს (შეიძლება მთელ სხეულსაც კი) ამშვენებდა ორი ან სამი რიგი ტეხილი ნაჭდევი ხაზების ზიგზაგური სარტყელი (ტაბ. $II_{1-4}$).

განსაკუთრებით საინტერესოა საშუალო ზომის ჭურჭელთა ერთი სახეობა, რომლის დანიშნულება ჯერჯერობით მთლად ნათლად ვერა გვაქვს წარმოდგენილი. საქმე ეხება ბრტყელძირა, სწორგვერდიან (3—6 სმ სიმაღლის), 15—18 სმ დიამეტრის მქონე თეფშისებურ ჭურჭელს. ზოგ შემთხვევაში ასეთ ჭურჭლებს გვერდი ოდნავ გამოყვანილი აქვს, გვერდისა და ძირის გადაკვეთის წრიული ხაზი გრეხილ ორნამენტს წარმოადგენს (ტაბ. $II_{7-9}$).

აღნიშნული ჭურჭელი, ალბათ, თეფშის (და არა კეცის) დანიშნულებას ასრულებდა. იგი საგულდაგულოდ არის დამუშავებული და ცეცხლზე ხმარების კვალიც არ ეტყობა.

ჯ ა მ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს დამახასიათებელია მხრებთან მკვეთრი სფერული გამოზიდულობა და ძირისაკენ დაზრილობა. ზოგ შემთხვევაში პირი ზომიერად გადაშლილია, ზოგჯერ კიდევ სწორი. დამახასიათებელი ორნამენტია — ირიბი ნაჭდევების სარტყელი და რელიეფური ზოლი მხართან. გამომწვარია უმეტე-

სად შავად და ამავე დროს ნაპრიალები. სიმაღლე 7—9 სმ., ხოლო დიამეტრი 16—20 სმ. (ტაბ. $II_{4-5}$).

ტ ო ლ ჩ ე ბ ი წარმოდგენილია ნაირი ზომითა და შემკულობით. გაბატონებული ფორმა ჩანს ე. წ. სიტულისებური. ძირი ზოგს ბრტყელი აქვს, ზოგს გამოყვანილი. უმეტესობას ამკობს მხრიდან დაწყებული ოდნავ რელიეფური კანელურები, ან კიდევ წნეხვით დატანილი პრიალა ზოლებით გამოყვანილი ორნამენტი. სახელურები ტოლჩებისა უმეტესად ბრტყელ განიკვეთიანია და თითქმის ყოველთვის ამკობს ზოომორფული ყურები (ტაბ. $II_{6, 11-14}$).

ჯ ა მ-ფ ი ა ლ ე ბ ი ს უმრავლესობა გამომწვარია შავად და ამავე დროს ნაპრიალები. გვაქვს როგორც სწორპირიანი და ასევე პირმოყრილი ჯამების ფრაგმენტები. უმეტესობა სადაა, ზოგ შემთხვევაში კი შემკულია კონცენტრული ღარებით ან მრგვალი კოპებით. ყველა ჯამ-ფიალა ძირბრტყელია. სიმაღლე — 2,5 სმ —6,9 სმ. (ტაბ. $III_{2-8\ 12-14}$).

ს ა მ ა რ ი ლ ე ე ბ ი ოთხიოდე ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ეს არის შავად ან მოწითალოდ გამომწვარი, დაბალი (2,5 სმ.), ოდნავ პირმოყრილი ჭურჭელი, რომლის პირის დიამეტრი 8—9 სმ., ხოლო ძირისა 4—5 სმ. (ტაბ. $III_{1, 11}$).

თ ა ს ე ბ ა დ მივიჩნიეთ პირისაკენ მკვეთრად გაშლილი და შესაბამისად ძირისაკენ მოვიწროვებული ძაბრისებური კონტურის ჭურჭლები. ყველაზე პატარა დაახლოებით 5 სმ. სიმაღლისა უნდა ყოფილიყო (პირის დიამეტრი 12 სმ.), ხოლო დიდი დაახლოებით 10,5 სმ სიმაღლისა (პირის დიამეტრი —18 სმ). თასები გამომწვარია შავად ან მოყავისფროდ. ერთ-ერთი მოყავისფროდ გამომწვარი თასის ფრაგმენტი თხელკედლიანია და დაფარულია შემდეგი ორნამენტით — სამ-სამი წვრილი ტარის კონცენტრული სარტყლები, რომელთა შორის მანძილი შევსებულია სავარცხლის კბილით დატანილი ირიბი ურთიერთგადამკვეთი ხაზებით (ტაბ. $III_{9-10}$).

ლ ა ნ გ ა რ ი წარმოდგენილ მასალაში მხოლოდ ორია. ერთი მათგანი წარმოადგენს ოვალურძირიან, ოდნავ კიდეგამოყვანილ და ოდნავ პირგადაშლილ ლანგარს, რომელსაც სამი დაბალი, სწორი, მრგვალ განიკვეთიანი ფეხები აქვს. სიმაღლე ლანგრისა 9 სმ., ხოლო პირის დიამეტრი 19 სმ. (ტაბ. $VIII_{15}$).

მეორე ლანგარი გადაშლილი თეფშია, ძირბრტყელი (დიამეტრი 10 სმ), თითქმის სწორი პირით. ორივე ლანგარი ღია აგურისფერია, რაც ხანძრის შედეგი უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ თავდაპირველი ფერი მოწითალო-ყავისფერი იყო (ტაბ. $VIII_{10}$).

ხ უ ფ ე ბ ი ოთხიოდე ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ერთი მათგანი თანამედროვე ჩაიდნების ხუფსა ჰგავს. ხელის მოსაკიდი შვერილი გამჭოლია, ალბათ ჰაერისათვის. ხუფი კიდეგამოყვანილია და შემკულია ტეხილი ხაზების ნაჭდევებით (ტაბ. $IV_4$).

მეორე ხუფი კარგად გამომწვარი, შავპრიალა თიხისა ყოფილა. ბრტყელი, კიდეგამოყვანილი, კიდეს ერთმანეთზე მიჯრილი ორი ურთიერთგადამკვეთი მოკლე ხაზების სარტყელი ჰქონია (ტაბ. $IV_1$).

მესამე ხუფიც შავპრიალა, კარგად გამომწვარი თიხისა ყოფილა. იგი სადაა და ცენტრისაკენ შემაღლებულია (ტაბ. $IV_2$).

ხუფის ფრაგმენტი უნდა იყოს აგრეთვე ბრტყელი, საკმაოდ სქელი ცუდად გამომწვარი თიხის ნატეხი. ორი მხარე, რომლებიც სწორ კუთხეს ქმნიან,

დასრულებულ კიდეებს წარმოადგენენ. კუთხეში მოზრდილი, ოდნავ წაგრძელებული კოპი აქვს, ალბათ ხელის მოსაკიდი (ტაბ. $IV_3$).

ცხეთის ნამოსახლარიდან გვაქვს თიხის ორი მილი, რომლებიც გადასაწური ჭურჭლებისა უნდა იყოს. მსგავსი მილებიანი ჭურჭელი დადასტურებულია ნაოხვამუს ძირა ფენაში[2] (ტაბ. $IV_{10, 14}$).

ს ა ხ ე ლ უ რ ე ბ ი (ყურები) — თიხის ჭურჭლისა წარმოდგენილია რამოდენიმე ვარიანტად. პირველი და გაბატონებული ვარიანტია ე. წ. ზოომორფულყურებიანი სახელურები. ყურების შთაბეჭდილებას ქმნის სახელურის ზედა მხარეს გამოყვანილი ბოლოებწაკვეთილი, შუაში ჩაზნექილი ცილინდრული ლილვი. ლილვი წაკვეთილია ირიბად და სწორედ ეს ქმნის დაცქვეტილი ყურების სრულ შთაბეჭდილებას. ზოგჯერ ეს ყურები მკვეთრად არის გაშვერილი სახელურის ხარჯზე და რქისებურ შვერილსა ქმნის, ზოგი კიდევ ზუსტად კოჭისებურს. ამ უკანასკნელისადმი მიდრეკილებას იჩენს მხოლოდ ერთი ფრაგმენტი, რომელიც უშუალოდ სათავსის იატაკზე იქნა აღმოჩენილი (ტაბ. $V_2$).

ამ მოტივის უძველესი ნიმუშები საქართველოში თავს იჩენს ადრებრინჯაოს ხანის მასალებში თრიალეთში, ილტოს ნამოსახლარზე, მეტეხის სამაროვანზე, დიხა-გუძუბასა და ნაოხვამუს ქვედა ფენებში. განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება იგი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში.

დასავლურ-ქართულ გარემოში და განსაკუთრებით მთისწინა ზოლში მას თავისებური იერი აქვს — უფრო ცხოველის ყურებსა ჰგავს, ვიდრე რქებსა თუ ნახევარ მთვარეს. ბრინჯაოს ე. წ. სიტულთა ყურები კიდევ უფრო დაცქვეტილია და კოხტა.

ამ ჯგუფის სახელურები, ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალებში, უპირატესად ტოლჩებსა და სიტულისებური ფორმის ქოთნებსა ჰქონდათ (ტაბ. V).

სახელურების მეორე ჯგუფს შეადგენს ნახევარსფერული მოყვანილობის ბრტყელგანივკვეთიანი სახელურები, რომელთაც ზოგჯერ ორი ან სამი კოპი აზით თავზე (ტაბ. $V_{7-8}$).

სახელურების მესამე სახეობას ქმნის მრგვალგანივკვეთიანი მარყუჟისებური ფორმის სახელურები (ტაბ. $V_8$).

ერთეული შემთხვევითაა წარმოდგენილი სახელური, რომლის ზედა ნაწილი სამკუთხა სიბრტყეს ქმნის ჭურჭელთან მიერთებისას (ტაბ. $V_{10}$). ცალკე ჯგუფს ქმნიან სახელური-შვერილები, ე. ი. სახელურები, რომლებიც ჭურჭლის კორპუსს მხოლოდ ერთი ბოლოთი ემაგრებიან. ორ შემთხვევაში სახელურიშვერილი ოდნავ მორკალულია და ბოლოვდება იმიტირებული ყურებით; მესამე შემთხვევაში სახელური-შვერილი მრგვალგანივკვეთიანია, თავდაბრტყელებული, თავთან ოდნავ შევიწროებული და მოხრილი; შავად გამომწვარი და ნაპრიალები; შვერილს სიგრძეზე ოდნავ რელიეფური ზოლები დაუყვება. მეოთხე ვარიანტს ქმნის სამკუთხა ფორმის ფუძე-გამსხვილებული ჰორიზონტულად დაყენებული შვერილი, რომლის კიდეს მრგვალი ნაჭდევები ამკობს (ტაბ. $V_{11-14}$).

თიხის ნაწარმს ეკუთვნის აგრეთვე ოდნავ დაბრტყელებული სამი კვირისტავი (ტაბ. $V_{15-17}$).

ცხეთის ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ჩარხზეა ნაკეთები უმეტესად კარგად განლექილი თიხისაგან. ზოგჯერ კი თიხაში კარგად ჩანს ქარ-

[2] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, 1950, рис. 48.

სისა და კვარცის მინარევები. გამოწვა უმეტესწილად კარგია, მაგრამ ზოგჯერ არათანაბარია და ამიტომ ლაქებიანი. გამოწვის წინ ჭურჭელთა უმეტესობა საპრიალებელი ქვითაა დამუშავებული. დამახასიათებელი ფერია შავი და ოდნავ მოწითალო ყავისფერი, იშვიათია ნაცრისფერი და მოწითალო ვარდისფერი.

ორნამენტი მრავალფეროვანია — კანელურები, წნეხვით დატანილი პრიალა ზოლები და გეომეტრიული ორნამენტი; ნაჭდევები (მოკლე ხაზები, რგოლები), სავარცხლის კბილით დატანილი ორნამენტი, კოპები, სარტყელი გრეხილის იმიტაციით, ერთმანეთზე მიჯრილი ტალღური ხაზები და სხვ. მაგრამ ძირითადი მაინც კანელურების ვარიაციებია და პრიალა ზოლების კომბინაციები (ტაბ. VI, VII, VIII).

ლ ი თ ო ნ ი — ცხეთის ნამოსახლარის სადაზვერვო თხრილებიდან წარმოდგენილია შემდეგი ნივთებით: ბრინჯაოს მოხრილი ღერო (რომლის დანიშნულება გაურკვეველია), ბრინჯაოს ფირფიტის ორი ფრაგმენტი და ბოლოს ბრინჯაოს თავხვია, ოთხწახნაგა, ნაკლული საკინძი, რომელიც ტიპიურია გვიანბრინჯაოს ხანის აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის, განსაკუთრებით მისი ადრეული ეტაპისათვის[3].

მეორე, ასევე აღმოსავლურ-ქართული გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი საკინძი, 1962 წელს აღმოჩნდა ცხეთის ნასახლარი ბორცვის ჩრდილო-დასავლეთით ყანაში. ეს არის გრძელი, კონუსის ფორმის, წიწვისებური ორნამენტით შემკული საკინძი. რ. აბრამიშვილის აზრით, მსგავსი საკინძები დამახასიათებელია ძვ. წ. XIII—XII ს-ის ძეგლებისათვის[4].

ძ ვ ლ ი ს — ნივთების ჯგუფში შედის ერთი ფრაგმენტი ანკესისა; სამი ბრტყელი, გაპრიალებული ძვლის ფრაგმენტი, რომელთაგან ორს თითო ნახვრეტი აქვს, ერთს მრგვალი ნაჭდევი, ხოლო ერთს დაკბილული კიდე. ამავე ჯგუფს ეკუთვნის 5 სმ სიგრძის ძვლის ლილვი, რომელსაც 2,5 სმ სიგრძის ღრმული აქვს, მასში იარაღის დასამაგრებლად (ტაბ. IV$_{5-7, 9}$).

სავარაუდოა, რომ ძვლის ეს ნივთები, კერამიკულ წარმოებასთანაა დაკავშირებული, როგორც ორნამენტის დასატანი თუ საპრიალებელი საშუალებანი.

ქ ვ ი ს — იარაღთა ჯგუფს განეკუთვნება მოვარდისფრო-წითელი და ჩალისფერი თეთრხალებიანი, კარგად დამუშავებული ოციოდე ჩასართი ნამგლისა, კაჟისავე რამდენიმე ანატკეცი, ნახევრად დამუშავებული ნაკლული ისრისპირი, ორი ბრტყელი სალესი და ოვალური, შუაში შემსხვილებული საპრიალებელი (ტაბ. IV$_{8, 11-13}$).

დაბოლოს უნდა აღინიშნოს ერთი მეტად უნიკალური ნივთის აღმოჩენა (ტაბ. IV$_{18}$). ეს არის ქვის ყალიბის ცალი საგდული, რომლის ბრტყელ მხარეზე რელიეფურად გამოკვეთილია რთული სვასტიკა. როგორც ჩანს ყალიბში ჩამოისხმებოდა თხელი ფირფიტა, რომელსაც აღნიშნული ორნამენტი ამკობდა. საფიქრებელია, რომ ეს ფირფიტა გამოიყენებოდა როგორც ორნამენტის დასატანი საშუალება, ან თავად გამოიყენებოდა როგორც ორნამენტი-ინკრუსტაცია.

საქართველოში სვასტიკის, როგორც ორნამენტის გამოყენება დადასტურებულია თრიალეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კერამიკაზე, შემდგომ

---

[3] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სსმ მოამბე, XXII— B, 1961, გვ. 308.

[4] იქვე, გვ. 321.

ხანაში იგი ფართოდ ვრცელდება და გვხვდება როგორც კერამიკაზე, ასევე ლითონზეც. ეთნოგრაფიულ ყოფაში კი იგი დადასტურებულია ხეზეც და ქვაზეც.

სვასტიკა რომ სიმბოლური ხასიათის გამოსახულებაა და წარმოშობილია ძველ აღმოსავლურ ქვეყნებში, ამაზე თითქოს ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ შინაარსობრივად რას უნდა გამოხატავდეს იგი — ამაზე აზრთა სხვადასხვაობაა. იგი მიაჩნიათ მზის, ბედნიერების, ცეცხლის, ნაყოფიერების, წყლის და სხვა მსგავსი მოვლენების სიმბოლოდ. რამდენადაც ეს მოვლენები უძველესი დროიდანვე შესაბამის ღვთაებებთან იყო დაკავშირებული, ამდენად სვასტიკის კავშირი რელიგიურ სამყაროსთან უდავოდ არის მიჩნეული. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სვასტიკა, როგორც სიმბოლო აღმოცენდა უძველეს მიწათმოქმედ ხალხთა კოსმოგონიურ შეხედულებათა ბაზაზე და გამოხატავს განუწყვეტელი მოძრაობის იდეას, რომ იგი უკავშირდება სხვადასხვა ციურ და მიწიერ ძალებს ქვეყნიერების ოთხ მხარესთან მიმართებაში, მის გარშემო ბრუნვაში[5]. აღნიშნული მოსაზრება მეტად საინტერესოა, მაგრამ როგორც ჩანს სიმბოლურ ნიშანთა შინაარსი დროსა და სივრცეში ცვლილებას განიცდის, მას სპეციალური კვლევა სჭირდება და ამიტომ ყალიბზე გამოსახული სვასტიკის მნიშვნელობა ჩვენთვის ჯერჯერობით ნათელი არ არის.

ცხეთის ნამოსახლარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, ჩვენი აზრით ძვ. წ. VIII—V საუკუნეებით უნდა განისაზღვროს, ძირითადად ტიპოლოგიური და სხვა ძეგლებთან შედარებითი მეთოდის საფუძველზე. როგორც ჩანს, აღნიშნულ პერიოდში ცხოვრება არ შეწყვეტილა, არ შექმნილა რაიმე სტერილური ფენა, რომელიც მკვეთრი ქრონოლოგიური ზღვარის გავლების საშუალებას მოგვცემდა. ე. წ. წინარეანტიკური ხანის დაფენებას უშუალოდ მისდევს ადრეანტიკური ხანის ფენა, რომელიც ძლიერ დაზიანებულია და შერეულია წინარეანტიკურ ფენაში მიწის სამუშაოთა და ნიადაგის დენუდაციის გამო.

ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის საფუძვლად უშუალოდ სათავსის იატაკზე ფიქსირებული მასალა ავიღეთ, რადგანაც იატაკს ქვემოთ კულტურული ფენა არ ვრცელდებოდა და იგი უშუალოდ გრუნტზე იჯდა. იატაკზე კი შემდეგი ნივთები იყო ფიქსირებული: უმეტესწილად სიტულის ფორმის მეტნაკლები ზომის კოჭები, ზოომორფულ ყურებიანი სახელურები, თეფშები; აქვე იყო სამფეხა ლანგარი, თეფში-ლანგარი, მკვეთრად გამობერილი მუცლიანი პატარა დერგის ქვედა ნაწილი, ნამგლის ჩასართები კაჟისა და სხვა (ტაბ. VIII), აღნიშნული ჭურჭელი ძირითადად თხელკედლიანია, გამომწვარია არათანაბრად. უმეტესად მოწითალო-ყავისფრად. ორნამენტად გამოყენებულია ოდნავ რელიეფური განივი ზოლები (ყელთან), ტეხილხაზოვანი ან ნაჭდევებით შედგენილი სარტყელი, პრიმიტიულად დატანილი ნაჭდევი შევრონები.

ანალოგიური მასალის შემცველი ფენები დასავლეთ საქართველოს სხვა ცნობილ ნასახლარებზე დათარიღებულია წინარეანტიკური ხანით. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ დაბლაგომის ნაციხარის შუა ფენის, ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდის კერამიკა, რომელსაც იქვე აღმოჩენილი ბრინჯაოს ორფრთიანი ისრისპირი ათარიღებს[6]. საინტერესოა ამ თვალსაზრისით

[5] ი. სურგულაძე, ასტრალური სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ორნამენტში, ხელნაწერი, 1966, გვ. 40—45.

[6] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 122, 186.

აგრეთვე ნაოხვამუს შუა და დიხა-გუძუბას ზედა ფენები. ცხეთის ნამოსახლარზე მოპოვებული კერამიკისათვის დამახასიათებელი ორნამენტი გვხვდება ოჩამჩირის, სუხუმის მთისა და ურეკის ზღვისპირა ნამოსახლარების წინარეანტიკური ხანის კერამიკაში[7]. მსგავსება აღინიშნება აგრეთვე ქობულეთ-ფიჭვნარის ზღვისპირა ნამოსახლარებზე მოპოვებულ კერამიკასთან, რომელსაც ა. რამიშვილი ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით ათარიღებს[8].

ასევე იჩენს თავს მსგავსება ცხეთის ნამოსახლარისა და ქუთაისის მიდამოებში (ფარნალის, ნასაჯვარებისა და დათეშიძეების გორებზე) აღმოჩენილი კერამიკის შედარებისას. ეს უკანასკნელი კი სოფ. ბანოჯაში მიკვლეული ბრინჯაოს ყუნწიანი ისრისპირი ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით თარიღდება[9].

ზოგი ფორმისა და ორნამენტის საშუალებით ცხეთის სათავსის იატაკის დონის კერამიკა ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით დათარიღებულ „კრასნი-მაიაკის“ კერამიკას უახლოვდება[10].

აღნიშნულმა შესადარებელმა არქეოლოგიურმა ძეგლებმა უფლება მოგვცა იატაკის დონე ძვ. წ. VIII—VII სს დაგვეთარიღებინა. ერთგვარ ეჭვს იწვევს სამფეხა ლანგარი და ლანგარი-თეფში. ასეთი ჭურჭელი უფრო გვიანდელ ძეგლებს ახასიათებს, განსაკუთრებით ლანგარი-თეფში. ამიტომ მისი მოხვედრა აქ ზედა ფენიდან არ არის გამორიცხული.

რაც შეეხება სამფეხა ლანგარს (ტაბ. $VIII_{15}$), მართალია იგი გარკვეულ ასოციაციას იწვევს კამარახევისა და ალაზნის ველის სამფეხა ლანგრებისას, მაგრამ ესენი გაცილებით უფრო დახვეწილი არიან და თითქმის ყველა მათგანს აქვს ყური. თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე იმას, რომ სამფეხა ლანგარის ფრაგმენტი მსგავსი ფეხით აღმოჩნდა ნაოხვამუს ქვედა ფენაში[11] და რომ სამფეხა ლანგრებს, როგორც ფორმას უძველესი ტრადიცია აქვს (მაგ. თრიალეთის ხის სამფეხა ლანგარი), მაშინ აღნიშნული ჭურჭლის აღმოჩენა იატაკის დონეზე სრულიადაც არ არის გასაკვირი.

რაც შეეხება ზედა ქრონოლოგიური საზღვრის დათარიღებას ძვ. წ. VI—V საუკუნეებით (შეიძლება VI-მდეც კი ჩამოვიდეს); ამის საფუძველი მოგვცა შემდეგმა მასალამ; პირმოყრილმა ჯამ-ფიალებმა, ხელადის ფრაგმენტებმა, რომლებიც შემკული ყოფილა მიჯრილი ტალღური ორნამენტით, პითოსისა და ძაბრისებური ფორმის სასმისის ფრაგმენტებმა და სხვ.[12].

ცხეთის სამოსახლო რთული, რამდენიმე ფენიანი ძეგლია, რომელიც საკმაოდ დიდ ფართობზეა გაშლილი. თავისი ხასიათით იგი ყველაზე ახლო დაბლაგომის ნაცახვართან დგას. ცალკეული ფორმებითა და ორნამენტით კი ბევრი რამა აქვს საერთო დასავლურ-ქართულ სინქრონულ სამოსახლო ბორცვებთან და სხვა არქეოლოგიურ ძეგლებთან. ასე მაგალითად, ბევრი აქვს

---

[7] ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სუხუმი, 1954, ტაბ. VI, XV; М. М. Трапш. Труды, т. I, გვ. 103.

[8] ა. რამიშვილი. ზღვისპირა ზოლის ძველი ნამოსახლარები ჩაქვის რაიონში; ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. 14, 1964, გვ. 138—139.

[9] ო. ლორთქიფანიძე. ქუთაისის და მისი მიდამოების არქეოლოგიური რუკა, საანგარიშო მოხსენება მოსმენილი 1964 წ. 10. X, გ. 17; ლ. სახაროვა, გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის კერამიკა ქუთაისის მიდამოებიდან, „მაცნე“, 1970, № 4, გვ. 91.

[10] М. М. Трапш, Труды, т. II, 1969, таб. XVIII—XIX.

[11] Б А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 233, ტაბ. 48

[12] შდრ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 31, 33, ნახ. 22. 24, ვანი I, 1972, გვ. 237, სურ. 223.

საერთო ნაოხვამუს, დიხა-გუძუბას, სოხუმის მთის, საქორქიოს „სიმაგრის“, „პალურის საძვლის“, ნოსირის და სხვა ძეგლთა შესაბამის მასალებთან[13]. მაგრამ ამათგან განსხვავებით მას გარკვეული თავისებურებაც ახასიათებს. პირველ რიგში თვალში საცემია ჭურჭლის საოცარი მრავალფორმიანობა, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მხოლოდ ორიოდე თხრილის მასალაა. თავისებურების თვალსაზრისით საინტერესოა თიხის თეფშები, რომელთა ანალოგია ჩვენ ჯერჯერობით არსად გვეგულება. საინტერესოა ამავე თვალსაზრისით ორნამენტი, განსაკუთრებით კი პრიალა ზოლების კომბინაციები. მიუხედავად ზოგი ამ რიგის თავისებურებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხეთის ნამოსახლარი მჭიდროდაა დაკავშირებული დასავლურ-ქართულ თანადროულ მასალებთან. გარკვეულ სიახლოვეს იჩენს იგი აგრეთვე აღმოსავლურ-ქართულ თანადროულ ძეგლებთანაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მსგავსება ნაცარგორის კერამიკასთან (ტოლჩები, ზოომორფული ყურები და სხვ.), ხოლო თეფშკეცების ძირ-კიდეზე დატანილი გრეხილი ორნამენტით ნაცარგორის, დიღმისა და კახეთის კერამიკასთან. საინტერესოა ამავე თვალსაზრისით ცხეთისა და დიღმის ნამოსახლართა სათავსებისა და ღუმელის მსგავსება, და ბოლოს ნიშანდობლივია აგრეთვე აღმოსავლეთ-ქართული კულტურისათვის ტიპიური თავხვია და კონუსურთავიანი საკინძეების აღმოჩენა ცხეთის ნამოსახლარზე. ყველა ეს ახალი მასალები ალბათ საინტერესო იქნება ქართველურ ტომთა მოძრაობის შემდგომ შესწავლისათვის.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით ცხეთის ბორცვზე დამჯდარი მიწათმოქმედი — მესაქონლე მოსახლეობაა. განვითარებულ მიწათმოქმედებაზე მიგვანიშნებს კაჟის ნამგლის ჩასართები, ხელსაფქვავის ფრაგმენტები, მარცვლეულის შესანახი ჭურჭელი და თვით მარცვლეულის ნაშთები.

მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს განვითარებაზე მიგვანიშნებს ოსტეოლოგიური მასალა, რომლითაც ირკვევა, რომ აქ მისდევდნენ როგორც მსხვილფეხა რქოსანი საქონლის (ძროხა), ასევე წვრილფეხა საქონლის (ცხვარი, ღორი) მოშენებას.

ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ი ს — დაწინაურებული დარგი ჩანს მეთუნეობა, რაზედაც მეტყველებს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი და ამავე დროს თიხის საპრიალებელი და შემკულობის დასატანი ძვლის იარაღები.

ჩვენ მიერ ყურადღების გამახვილება ასეთ საკითხებზე, რა თქმა უნდა, წინასწარულია. მსგავსი და აგრეთვე სხვა საინტერესო საკითხების დასმა და გადაჭრა ძეგლის შემდგომ შესწავლაზეა დამოკიდებული.

---

13 შდრ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 27—36, 55; ალ. კალანდაძე, სუხუმის. მთის არქ. ძეგლები, 1954, გვ. 57; თ. მიქელაძე, მ. ბარამიძე... კოლხეთის არქ. ექსპედიციის საველე კვლევა-ძიების შედეგები, 1973; Г. Григолиа, М. Барамидзе, „Итоги работ энгурской археологической экспедиции 1969—1970 г.г. გვ. 60; დ. ქორიძე, ე. გოგაძე..., ნოსირის არქ. ექსპედიციის ანგარიშები, საქართველოს სახ. მუზეუმის არქ. ექსპედიციები II, III.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის არქეოლოგიის განყოფილებამ

გურამ ლუდუშაური

# ათონის მთის ქართველთა მონასტრის დაარსების თარიღისათვის
## (976—1976)

ათონის მთის ქართველთა მონასტერს მეტად საინტერესო წარსული აქვს. თავისი არსებობის თითქმის ათასწლოვან მანძილზე, მან მრავალი აოხრება, თავდასხმა, შფოთი და უბედურება გადაიტანა. ამიტომაც, ოდესღაც ჩვენი სავანის, ისევე როგორც საერთოდ ათონის მთის წარსული, მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს და მათ შესახებ მრავალი ნაშრომია დაწერილი[1]. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს ნაშრომი ქართულ ენაზე, სადაც დაწვრილებით იქნებოდა წარმოდგენილი „ივერთა“ მონასტრის ისტორია. საკმაო რაოდენობის ნარატიული წყაროები (ქართულ, ბერძნულ, ლათინურ, რუსულ და სხვა ენებზე), მრავალრიცხოვანი სააქტო მასალები, სამონასტრო სიგელ-გუჯრები და ხელნაწერები კი ამის საშუალებას იძლევა. უპირველეს ყოვლისა, დაზუსტებას მოითხოვს ქართველთა მონასტრის დაარსების თარიღი.

ათონის მთის ქართველთა მონასტერი, რომელსაც ახლაც ბერძნულად Ἰβήρων ანუ „ივერთა“ ეწოდება, ერთ დროს წარმოადგენდა ქართული მწერლობისა და განათლების ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან კერას ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სადაც, ივ. ჯავახიშვილის თქმით, „მოღვაწეობდნენ სამშობლოსადმი ღრმა და გულრწფელი სიყვარულით აღფრთოვანებულნი საქართველოს მნათობნი, გამოჩენილი მეცნიერი ბერები“[2]. აქ, ათონზე, ისევე როგორც სხვა დანარჩენ საზღვარგარეთულ საღვთისმეტყველო განათლების ცენტრებში (პალესტინა, შავი მთა ანტიოქიის მახლობლად, სინას მთა, ბითვინიის ოლიმპი მცირე აზიაში და მოგვიანებით პეტრიწონის სავანე თრა-

[1] მათგან უმთავრეს ნაშრომებს ვასახელებთ: **Γ. Σμιρνάκις. Τὸ Ἅγιον Ὄρος. Ἐν Ἀθήνας.** 1903; **Ἀλέξανδρος [Λαζαρίδης]. Ὁδηγὸς Ἁγίου Ὄρους Ἄθω. Ἐν Ἀθήναις.** 1957; **Γ. Σωτηρίου. Τὸ Ἅγιον Ὄρος. Ἱστορία καὶ τέχνη. Ἐν Ἀθήναις,** 1927; **Ἀ. Ταχιάος. Τὸ Γεωργιανικὸν ζήτημα** (1868—1918). **Ἑταιρία Μακεδονικῶν, Σπουδῶν** 54, **Ἐν Θεσσαλονίκη** 1962; R. M. Dewkins, The Monks of Athos, London, 1936; F. Hasluk Athos and its Monasteries, London-New-York; F. Dölger. Mönchsland Athos, München, 1943; S. Loch Athos, the Holy Mountain, London, 1957; F. Perilla, Le Mont-Athos, Paris, 1927; A. Rilay, Athos or the Mountain of the Monks, London, 1887; Le Millénaire du Mont Athos 963—1963, Etudes et mélanges, I—II, Venezia-Chevetogne, 1965; F. Spunda. Der Heilige Berg Athos-Leipzig, 1928; E. Amand de Mendieta. Mount Athos. Berlin-Amsterdam, 1972; П. Успенский. История Афона, Киев, 1877; М. Джанашвили, Грузинские обители вне Грузии. Тифлис, 1879; А. Натроев, Иверский монастырь на Афоне, Тифлис, 1909; „ივერთა“ მონასტრის ისტორიის საკითხებს განიხილავდნენ: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 169—192; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 98—101; მისივე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, უკანასკნელ ხანს ათონის მთის წარსულს მიეძღვნა ს. ყაუხჩიშვილის „გეორგიკას“ მე-8 ტომი. თბ., 1970.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 176.

კიაში), ქართველი სწავლული ბერები თავიანთი მრავალმხრივი მოღვაწეობით დამაკავშირებელნი იყვნენ მშობლიური ქართული კულტურისა მეტად მდიდარ და დიდი ტრადიციების მქონე ბიზანტიურ ცივილიზაციასთან. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შუა საუკუნეების ეპოქაში სწავლა-განათლების მონოპოლიას სწორედ მრავალრიცხოვანი მონასტრები ფლობდნენ. და ბოლოს, გარდა რელიგიური და სწავლა-განათლების ცენტრისა, ჩვენს ქართულ მონასტერს სხვა დანიშნულებაც ჰქონდა: ჩვენი კულტურის, ასე ვთქვათ, ეს ერთ-ერთი საზღვარგარეთული საელჩო, მნიშვნელოვან პოლიტიკურ და დიპლომატიურ მისიასაც ასრულებდა. ამის შესანიშნავი დამადასტურებელია თვით ამ მონასტრის ბრწყინვალე წარსული.

X ს-ის მეორე ნახევარში საბერძნეთში, ათონის მთაზე, რომელიც მანამდეც კარგად იყო ცნობილი როგორც სამონასტრო დასახლების შედარებით უსაფრთხო და მყუდრო სამყოფელი, შეიქმნა ახალი მსხვილი მონასტრების მთელი კომპლექსი. ათონის მთა უკვე აღარ წარმოადგენდა მხოლოდ კელიოტთა, მეუდაბნოეთა და დაყუდებულთა თავშესაფარს. ამიერიდან აქ იქმნებოდა უმთავრესად სამეფო ანუ დამოუკიდებელი მონასტრების გაერთიანება, რომელთა შორის ქართველთა ლავრამ თავიდანვე საპატიო ადგილი დაისაკუთრა. როგორც ცნობილია, პირველი სამეფო ანუ დამოუკიდებელი (თვითმმართველი, ბერძ. Ἰδιόρρυθμος) მონასტერი დააარსა სახელგანთქმულმა ბერძენმა საეკლესიო მოღვაწემ ათანასე დიდმა. იგი დაიბადა 920 წ. ქ. ტრაპიზონში, განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში და ვიდრე ათონზე დამკვიდრდებოდა ოლიმპოს მთის (მცირე აზია) მონასტერში მოღვაწეობდა. X ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში ათანასე ათონის მთაზეა, სადაც გაცხოველებულ საქმიანობას ეწევა ახალი, საკუთარი მონასტრის დასაარსებლად. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის იმპერიის მთელი ტერიტორია მრავალრიცხოვან ეკლესია-მონასტრებით იყო დაფარული (რამაც. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, საბედისწერო როლი შეასრულა ამ იმპერიის საბოლოო დაკნინების საქმეში), ახალი სავანის ქტიტორს მრავალი სიძნელე ეღობებოდა წინ. იგი, უპირველეს ყოვლისა, მეტად მდიდარი, სახელოვანი და თანაც სამეფო კართან დაახლოებული პიროვნება უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ათონზე უკვე კარგა ხანია არსებობდა სხვა დიდი თუ მცირე ეკლესია-მონასტრები, რომელთა მკვიდრი ბერ-მონაზვნები მხოლოდ თავიანთი შრომის მონაგებით ცხოვრობდნენ. მათთვის ყველაფერი საერთო იყო: საჭმელიც, ტანსაცმელიც და ნაშრომიც. ყველა ეს მონასტერი, განსაკუთრებით კი დაყუდებულთა და მეუდაბნოეთა. სასტიკი წინააღმდეგი იყო კეისრის ოქრო-ბეჭდით დამტკიცებული, თვითმმართველი, მრავალი მამულის მქონე (სადაც აუცილებლად დაქირავებული შრომა იქნებოდა გამოყენებული) ახალი მონასტრის დაარსებისა, რომელიც ათონის პირვანდელი ასკეტური ცხოვრების რიტმს დაარღვევდა. ყველა ერთხმად აღსდგა ათანასეს წინააღმდეგ და, როდესაც ახალი ლავრის დამაარსებელმა თანაც მამულებისა და წისქვილების შესყიდვა დაიწყო, ამან საბოლოოდ მოთმინების ფიალა აუვსო „ძველებს“. ათანასეს სიკვდილითაც კი დაემუქრნენ, მაგრამ მან ბიზანტიის კეისრის ნიკიფორე ფოკას (963—969 წწ.) შემწეობითა და ატეხილ დავაში პირადი ჩარევით, მაინც მოახერხა მიზნის განხორციელება. 963 წ. ზაფხულში ათანასემ აკურთხა თავისი ახალი ლავრა, რომელიც შემდგომ „დიდი ლავრის“ (Μεγίστης Λαύρας) სახელწოდებით გახდა ცნობილი და დღესაც პირველია მნიშვნელობითა და სიმდიდ-

რით ათონის მონასტრებს შორის. ათანასე დიდს მალე მიმბაძველებიც გაუჩნდნენ და მომდევნო ხანაში ათონის მთაზე ოცი ახალი მონასტერი დაარსდა. ბერძნებს გარდა, ათონზე მონასტრები დააფუძნეს ქართველებმა, ბულგარელებმა, სერბებმა და მოგვიანებით რუსებმა. ამ ოც დიდ მონასტერს შორის ქართულმა 'Ιβήρων-მა თავიდანვე საპატიო მესამე ადგილი დაისაკუთრა.

ახლა განვიხილოთ ათონზე ქართველთა მოსვლისა და დასახლების საკითხი. ისინი „მთაწმინდაზე" X ს-ის მეორე ნახევარში არ მისულან. მას ქართველები უძველესი დროიდან იცნობდნენ, ისევე, როგორც სხვა დანარჩენ სახელგანთქმულ სამონასტრო დასახლების პუნქტებს. ქრისტიანული ლეგენდებისა და გადმოცემათა მიხედვით ივერთა, ვატოპედისა და კასტამონიტის მონასტრები ათონზე თითქოს უკვე კონსტანტინე დიდის (323—337 წწ.) ეპოქაში არსებობდნენ[3]. სინამდვილეში კი, ქართველებმა თავიანთი მონასტერი ათონზე გაცილებით გვიან, 780 წ. შემდგომ დააარსეს[4]. მას ეწოდებოდა μονή ''Αθω ήτοι τῶν 'Ιβήρων და ბიზანტიაში IX საუკუნეში ატეხილი ცნობილი მოძრაობის, „ხატმებრძოლეობის" დროს დიდად გაითქვა სახელი, როგორც მართლმადიდებლური პრინციპების თავგამოდებულმა დამცველმა და მისმა დიდმა ბასტიონმა (ქართული სავანის მკვიდრნი „ხატმებრძოლ" იმპერატორთა მტრები იყვნენ). ათონის მთის ამ პირველი ქართული ცენტრის წარსული თითქმის შეუსწავლელია.

ტრადიციულად მიღებულია, რომ „ივერთა" ახალი მონასტერი ათონის მთაზე დააარსეს დიდმა მთაწმიდელებმა იოანემ, შვილმა მისმა ექვთიმემ, მათივე „თვსის". ჯერ სახელოვანი სარდლისა და შემდგომ მონაზვნის თორნიკე ერისთავის შემწეობითა და დახმარებით 980—985 წლებში. ამის შესახებ კ. კეკელიძე წერდა: „ჩვენს ისტორიოგრაფიაში არაა ჯერჯერობით გარკვეული, თუ როდის მოხდა ყველაფერი ეს, 980 წელზე ადრე „ივერიის" შენების დაწყება საგულვებელი არაა, რადგანაც თორნიკეს მიერ ბარდა სკლიაროსის დამარცხება, რამაც ათონის ქართველებს ხელში ჩაუგდო განძი „უფროის ათორმეტისა კენდინარისა" და მატერიალური რესურსები მისცა განზრახული საქმის დაწყებისათვის, მოხდა 979 წლის 24 მარტს. იოანეს ბიოგრაფიაში შემონახულია ერთი ცნობა, რომელიც უნდა გვაძლევდეს ამ საკითხის გასაღებს. აქ ნათქვამია: „ინდიკტიონსა რვასა, „ე. ი. 980 წელს, ათონის ქართველებმა მისცეს „საშოალსა" განძი ათორმეტი გასაყოფელად ყოველთა და კუალად ათორმეტსა ინდიკტიონსა (ე. ი. 983 წელს) გაუყვეს სხუაი ათორმეტი ლიტრაი". და შემდგომ: „....... ის გარემოება, რომ ქართველებს ორჯერ გაუღიათ განძი „საშოალისათვის", 980 და 983 წლებში, მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, რომ 980 წელს მათ აუღიათ ნებართვა და ხელი მიუყვიათ შენებისათვის, ხოლო 983 წელს დაუმთავრებიათ და დამოუკიდებელ ერთეულად დაუწყიათ ათონზე ცხოვრება"[5]. ათონის მთის ისტორიის სხვა დანარჩენი მკვლევარნიც ამ აზრისანი არიან. ბერძენი გ. სმირნაკი „ივერთა" მონასტრის დაარსების თარიღად 980 წელს მიიჩნევს[6]. პ. უსპენსკი შემდეგს იუწყება ქართველთა სავანის დაარსების თარიღის შესახებ: „ივერთა ახალი ლავრა, ღვთისმშობლის ტა-

[3] E. Amand de Merdieta, Mount Athos, გვ. 55.

[4] П. Успенский, История Афона, ч. III, გვ. 9.

[5] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1945, გვ. 224—225,

[6] Γ. Σμυρνάκις, 'Αγιον ''Ορος, Ἐν 'Αθήναις, 1903, σελ, 463.

ძირითურთ შენდებოდა ხუთი წლის განმავლობაში 980 წლიდან 985 წლამდე"[7]. მ. ჯანაშვილი[8] და ა. ნატროშვილი[9] ამასვე იმეორებენ. თანამედროვე ფრანგი მეცნიერი ე. ამან დე მენდიეტა კი უფრო აზუსტებს მონასტრის დაარსების თარიღს. მისი ვარაუდით ეს მომხდარა 979—985 წლებში[10].

ახლა ქართულ პირველწყაროს მივმართოთ — გიორგი მთაწმინდელის ცნობილ თხზულებას „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთვიმესი", რომელიც, ჩვენი აზრით, ქართველთა მონასტრის დაარსების თარიღის შედარებით ზუსტად განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს. ამ თხზულებიდან ვგებულობთ, რომ იოანე იბერიელი ათონზე მოვიდა 963 წლის შემდგომ ხანაში, როდესაც „დიდი ლავრა" უკვე არსებობდა. მანამდე იოანე „ულუმბოს მთაზე" იყო, სადაც „დიდი ლავრის" მომავალ ქტიტორს ათანასეს დაუახლოვდა. მათ შორის დიდი მეგობრობა დამყარდა, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ათანასე დედით ქართველი (ლაზი) იყო. ბითვინიის ოლიმპის მთაზე არსებულ მონასტერში იოანე დიდხანს არ გაჩერებულა, სადაც, ტრადიციისამებრ, ჯერ „ჯორთა მსახურებისა ღუაწლი ახოვნად თავს იდვა და სხუანი უნდონი მსახურებანი და შეურაცხნი სიმდაბლით აღასრულნა"[11]. მრავალრიცხოვანი მოწაფეებითა და თაყვანისმცემლებით შეწუხებულმა იოანემ მალე მიატოვა ბითვინიის ოლიმპი[12] და ათონს მიაშურა: „ხოლო შემდგომად რაოდენსამე ჟამისა, ვინაითგან-განითქუა სახელი მისი, და პატივსა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი, შეუძნდა საქმე ესა, და ამის პირისათჳს კუალად უცხოებასავე მიჰმართა. რამეთუ აღილო ძე თჳსი და რავდენნიმე მოწაფენი და მთაწმინდას მოვიდა, ლავრასა დიდსა ათანასესა, და მუნ შეეწყნარა"[13]. აქაც იოანე ორ წელზე მეტ ხანს „შეურაცხ" საქმეებს ასრულებდა და მიუხედავად იმისა, რომ იგი აქ ფარულად იმყოფებოდა, მისმა თავგამოდებულმა მიმდევრებმა მაინც გაიგეს საყვარელი წინამძღვრის ადგილსამყოფელი. ისინი მიაწყდნენ „დიდ ლავრას" და სულ მალე მათმა რიცხვმა ძალიან იმატა. ამან აიძულა იოანე ეფიქრა ცალკე ქართული ახალი მონასტრის დაარსებაზე. ქართველი ბერ-მონაზვნები გამოეყვნენ ბერძნებს და პირველად იოანე მახარობლის მცირე ეკლესიაში მოიყარეს თავი, „დიდი ლავრის" მახლობლად[14]. ეს უნდა მომხდარიყო 976 წლამდე, რადგანაც გიორგი მთაწმი-

---

[7] П. Успенский, История Афона, ч. III, გვ. 103—110.

[8] М. Джанашвили, Грузинские обители вне Грузии, Тифлис, 1899, გვ. 21.

[9] А. Натроев, Иверский монастырь на Афоне, გვ. 47.

[10] E. Amand de Mendieta, Mouht Athos, გვ. 72.

[11] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967, გვ. 13.

[12] ეს მთა, რომელსაც ამჟამად „ულუ დაღ" ანუ „დიდი მთა" ჰქვია (გასულ საუკუნეში თურქნი მას „ქეშიშ დაღ"-ს ანუ „მღვდლის მთა-ს" უწოდებდნენ), თანამედროვე თურქეთის ქალაქ ბურსას მახლობლად არის და ამ ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს საკურორტო ადგილად ითვლება. „ულუმბოს მთა" ანუ „ბითვინიის ოლიმპი" (საბერძნეთის სახელგანთქმულ ოლიმპოს მთისაგან განსასხვავებლად), როგორც მას ქართული ისტორიული პირველწყაროები ხშირად იხსენიებენ, უკვე X საუკუნისათვის კარგად იყო ცნობილი ქართველთათვის, როგორც სამონასტრო დასახლების ცნობილი ცენტრი. და ისინიც აქ მოვიდნენ, აიშენეს ეკლესია-მონასტერი და თავისი კოლონია შექმნეს. VII—X საუკუნეებში, ბითვინიის ოლიმპი, ისევე როგორც მოგვიანებით ათონის მთა და პეტრიწონის მონასტერი, ქართველ ბერ-მონაზონთა და პილიგრიმთა ლტოლვის სანუკვარ ადგილად იქცა, რადგანაც აღმოსავლეთის ცნობილი ცენტრები „ურწმუნოთა" მიერ მრავალგზის იყო წალეკილი. იქ თანაც მეტად საშიში იყო ცხოვრება და მოღვაწეობა და ქართველებმაც, სხვებთან ერთად დასავლეთისაკენ იბრუნეს პირი.

[13] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 44.

[14] იქვე, გვ. 45.

დელის თხზულებაში ქართველთა „დიდი ლავრიდან“ გამოყოფის ამბის თხრობას მაშინვე მოსდევს ბარდა სკლიაროსის აჯანყების (976 წ.) დაწყების გადმოცემა. ამ დიდი ამბოხის დამთავრების შემდეგ, როგორც გიორგი მთაწმიდელი გვამცნობს, ქართველ ბერ-მონაზვნებს თავიანთი მონასტრისათვის ახალი ადგილი შეურჩევიათ: „პოვეს ადგილი მშუენიერი შუა მთაწმიდასა და აღაშენეს მონასტერი და ეკლესიანი წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისა ფრიადთა ოფლითა და ღუაწლითა. და ადგილნი მრავალნი მონასტერნი და სადაყუდებულონი გარემოის დიდისა მონასტრისა ვიდრე იმიერად ზღუამდე თჳსისა საფასითა იყიდეს“[15]. ამრიგად, გიორგი მთაწმინდელი ორჯერ აღნიშნავს ქართველთა მონასტრის აშენების ფაქტს: პირველად ბარდა სკლიაროსის აჯანყების წინ და მეორედ მისი ჩახშობის შემდეგ, როდესაც ფაქტიურად მოხდა ახლადდაარსებული ქართული მონასტრის ადგილსამყოფელის გამოცვლა, მამულებისა და მცირე ეკლესია-მონასტრების შესყიდვა. ამიტომაც, ჩვენი აზრით, ათონის მთის „ივერთა“ მონასტრის დაარსების თარიღად უნდა მივიჩნიოთ 976 წელი და არა 980 წლის შემდგომი წლები. ამას კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს გიორგი მთაწმინდელი თავის თხზულებაში: „ვინაჲთგან მადლითა და წყალობითა ღმრთისაჲთა აღიძრნეს წმინდანი მამანი ჩუენნი იოვანე და იოვანე და ეფთჳმი და ამას წმიდასა მთასა მოიწინეს ნავთსაყუდელად სულთა მრავალთა და განმამრავლებლად ნათესვისა ჩუენისა და დიდითა ღუაწლითა და ფრიადითა წარსაგებლითა აღაშენეს დიდებული ესე ლავრაჲ სამკვიდრებლად ქართველთა და მერმე ღმრთის-მსახურთა ბერძენთა მეფეთა მსახურებითა და მომაღლებითა, ჟამთა განდგომილისა სკლიაროსისათა, განავრცეს და განამდიდრეს და მოუგნეს დაბანი და მონასტერნი და ოქრობეჭედნი, ვითარცა ზემოდწერილ არს და კეთილთა აღსრულითა დაიძინეს და წარვიდეს ცხოვრებად საუკუნოდ“[16]. ჩვენ უნდა ვენდოთ გიორგი მთაწმიდელის თხზულებას, რომელიც უძვირფასესი პირველწყაროა არა მარტო „ივერთა“ მონასტრის წარსულისათვის, არამედ ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიისათვისაც.

---

15 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 49.
16 იქვე.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილებამ

## ნუგზარ ტერ-ოგანოვი

# მირზა თაყი-ხან ამირე ნეზამის სამხედრო რეფორმა და მისი შედეგები

XIX ს-ის პირველ მესამედში ირანის მიერ წარმოებულმა საგარეო ომებმა და მეზობელი თურქმანი ტომების წინააღმდეგ გაუთავებელმა დამსჯელმა ექსპედიციებმა დაასუსტეს ქვეყანა როგორც ეკონომიურად, ისე სამხედრო თვალსაზრისით. ირანისათვის უაზრო და დამღუპველი აღმოჩნდა ჰერათზე 1837 წლის ლაშქრობა, რომელმაც რეგულარული ჯარის უდიდესი ნაწილი იმსხვერპლა და დიდი ზარალი მიაყენა სახელმწიფო ხაზინას.

უკვე 30-იანი წლების მიწურულში აშკარა გახდა ირანის ფინანსური გაკოტრება, რაც თავისებურად გამოიხატა საბარათო[1] სისტემის შემოღებაში[2]. ასეთ ვითარებაში, როდესაც ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა მკაცრი კონტროლის დაწესებას სახელმწიფო ბიუჯეტზე, მოჰამად-შაჰ ყაჯარის პირველი მინისტრი — ჰაჯი მირზა აყასი გულუხვად არიგებდა თიულებსა და სოიურღალებს[3]. მისი დიდვეზირობის დროს ირანის წლიური ხარჯი 2 ქორური[4] თუმნით აღემატებოდა შემოსავალს[5]. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტსაც, რომ იმხანად ირანი თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად მასზე დაკისრებულ კონტრიბუციას — 10 ქორურ თუმანს (20 მილიონ რუსულ მანეთს ვერცხლით) იხდიდა, ნათელი გახდება თუ რაოდენ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ირანი მოჰამად-შაჰის მმართველობის ხანაში.

XIX ს-ის 40-იანი წლების შუა ხანებში, იგრძნო თუ არა შაჰის ხელისუფლების დაძაბუნება, ჯერ ხორასანში, ხოლო მოგვიანებით სისთანში, ბელუჯისთანში, სპარსეთის ყურის სანაპირო ზოლში და ირანის სხვა რაიონში, თავი წამოყო ადგილობრივმა რეაქციამ. რამდენიმე წელიწადს მძვინვარებდა აჯანყება ხორასანში, სადაც სეპარატისტებს სათავეში ედგა ფათჰ ალი-შაჰის ყოფილი პრემიერის ალაიარ-ხან ასაფ ოდ-დოვლეს ვაჟი — მოჰამად ჰასან-ხა-

---

[1] ბარათი (برات) გზავნილს წარმოადგენდა. სახელმწიფო ხაზინაში ფულის უკმარისობის შემთხვევაში ირანელ მოხელეებს ჯამაგირის ნაცვლად ხშირად ბარათები ეძლეოდათ. ბარათის პატრონს, ანუ ბარათდარს, უფლება ჰქონდა ბარათი მასში აღნიშნულ ადგილზე წარედგინა და იქიდან კუთვნილი ჯამაგირი მიეღო ფულით ან ნატურით. ბარათების დამკვიდრებამ უფრო მეტად გააუარესა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა. ფართოდ გავრცელდა ყალბი ბარათების შედგენა.

[2] იხ. М. С. Иванов, Бабидские восстания в Иране (1848—1852), Москва-Ленинград. 1939 г., გვ. 45.

[3] میرزا محمد تقی لسان الملک سپهر، ناسخ التواریخ، دورهٔ کامل تاریخ قاجاریه، تهران، ۱۳۳۷ ه.ش، (შემდეგში: „ნასეხ ოთ-თავარიხ") გვ. 26.

[4] ქორური — ხუთასი ათასი.

[5] „ნასეხ ოთ-თავარიხ", იქვე.

ნი, სალარად წოდებული. არანაკლებ სახიფათო იყო ბაბის სექტის მიმდევართა აჯანყებები, რომლებმაც ირანის ბევრი ოლქი მოიცვა.

1848 წლის სექტემბერში მოჰამად-შაჰის გარდაცვალებამ ირანი ანარქიის საფრთხის წინაშე დააყენა, რადგანაც აზერბაიჯანში მყოფ ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, 18 წლის უფლისწულს — ნასერ ედ-დინ-მირზას არ გააჩნდა რაიმე რეალური ძალა, რომ უბრძოლველად დაპატრონებოდა სამეფო ტახტს. რუსეთის გენერალურმა კონსულმა თავრიზში ანიჩკოვმა შემდეგნაირად აღწერა ნასერ ედ-დინ-მირზას მდგომარეობა: „მისი მმართველობა იმდენად არამყარი და ძალაუფლება იმდენად უმნიშვნელოა, რომ იგი ძლივს განაგებს თავრიზს. სასულიერო წოდება მას ვერ ეგუება; ჯარში სულ რამდენიმე ასეული ჯარისკაცია. ისინი უპირველესნი მონაწილეობენ ძარცვაში"[6]. იმდენად სუსტი იყო მისი მმართველობა აზერბაიჯანში, რომ ბევრს არც კი ჰქონდა ნასერ ედ-დინის ოდესმე ტახტზე ასვლის იმედი[7]. მოჰამად-შაჰის გარდაცვალების ამბის შეტყობის შემდეგ ქ. თავრიზში შაჰად ეკურთხა ნასერ ედ-დინმირზა. ახალგაზრდა შაჰი დედაქალაქში ჩასვლას უჯაროდ ვერ ბედავდა, რადგანაც გზებზე შეიარაღებული ბრბოები დაძრწოდნენ, ხოლო ქ. ყაზვინი, რომელიც თეირანისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა, ამბოხებული უფლისწულის — ალიშაჰ-მირზას ხელში იმყოფებოდა. ჯარის შეგროვება და შაჰის გამგზავრების სამზადისი აზერბაიჯანის ვაზირე ნეზამმა[8] მირზა თაყი-ხანმა ითავა. მან ერთ კვირაში თავი მოუყარა არტილერიით გაძლიერებულ 14-ათასიან ქვეით და ირეგულარულ ცხენოსან ჯარს[9]. გაწეული სამსახურის ჯილდოდ შაჰმა მირზა თაყი-ხანს ამირე ნეზამობა[10] უბოძა, ხოლო თეირანში ჩასვლის შემდეგ იგი სადრაზამის თანამდებობაზე დანიშნა და მას ათაბაგ აზამისა და ამირე ქაბირის საპატიო წოდებები მიანიჭა[11]. 1849 წლის თებერვალში, განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიშნად, შაჰმა უგვარო სადრ აზამს[12] თავისი ღვიძლი და ეზათ ოდ-დოვლე მიათხოვა.

მირზა მოჰამედ თაყი-ხან ფარაჰანი ანუ მირზა თაყი-ხანი წარმოშობით სულთანაბადის[13] ფარაჰანიდან იყო. იგი აზერბაიჯანის ყაემ-მაყამის მირზა აბულყასემის რეფორმისტული ტრადიციებით ცნობილ ოჯახში იზრდებოდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მირზა თაყი-ხანმა სამსახური სამხედრო უწყებაში

---

6 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო-საისტორიო არქივი, ფ. 11, ან. I, ს. 1761, ფურც. 7 (შემდეგში: სცსსა).

7 იქვე, ფურც. 20.

8 ვაზირე ნეზამი (وزير نظام) სამხედრო მინისტრია. იმხანად ეს თანამდებობა მხოლოდ აზერბაიჯანში არსებობდა.

9 (შემდეგში: „თარიხე ნოე") გვ. 326 جهانگیر میرزا، تاریخ نو، تهران، ۱۳۲۷ ه. ش. ჯარის შესაგროვებლად საჭირო თანხის ნაწილი (10 ათასი თუმანი) თავრიზში რუსეთის გენერალურმა საკონსულომ ვაილო, რომელმაც იგი ირანში მოვაჭრე რუსეთის ქვეშევრდომ ბერძენ სოვდაგრებს გამოართვა და შაჰს გადასცა; დანარჩენი თანხა ირანელ ვაჭრებს შორის შეაგროვეს. იხ. სცსსა, ფ. 11, ან. I, ს. 1761, ფურც. 70.

10 ამირე ნეზამი (امير نظام) აზერბაიჯანის ჯარების მთავარსარდალი იყო.

11 „თარიხე ნოე", გვ. 328, 329.

12 მირზა თაყი-ხანის მამა მირზა აბულყასემ ყაემ-მაყამის ჯერ მზარეული, შემდეგ კი მისი სახლის მმართველი, მოურავი იყო. P. M. Sykes, A History of Persia, vol. 2, London, 1915, გვ. 441, 442.

13 მხედველობაშია დღევანდელი არაქი.

დაიწყო ლაშქარ-ნევისად[14] და მალე ნეზამის მუსტოუფის[14] თანამდებობას მიაღწია. 1829 წელს მან უფლისწულ ხოსროუ-მირზასთან ერთად რუსეთში იმოგზაურა, ხოლო იქიდან დაბრუნების შემდეგ აზერბაიჯანის ვაზირე ნეზამად დაინიშნა. 1837 წელს მას ხელმეორედ მოუხდა რუსეთის იმპერიაში ყოფნა; ამჯერად იგი უფლისწულ ნასერ ედ-დინ-მირზას ახლდა ქ. ერევანში, სადაც ისინი რუსეთის იმპერატორმა — ნიკოლოზ I მიიღო. მოგვიანებით, კერძოდ, 1843 წელს, ირანის სამეფო კარმა უკვე საკმაოდ გამოცდილი ვაზირე ნეზამი თურქეთთან იმხანად წარმოშობილი სასაზღვრო კონფლიქტის მოსაგვარებლად ქ. არზრუმში განაწესა მირზა ჯაფარ-ხან მოშირ ოდ-დოვლეს ნაცვლად. იქ მან 4 წელზე მეტ ხანს დაჰყო. 1847 წელს ქ. არზრუმში მირზა თაყი-ხანმა ხელი მოაწერა ირან-თურქეთის ხელშეკრულებას. ვალმოხდილი მირზა თაყი-ხანი თეირანში ჩასვლის შემდეგ აზერბაიჯანში, ნასერ ედ-დინ-მირზას კარზე განაწესეს. 1848 წლის შემოდგომიდან კი იგი უკვე ირანის პრემიერი და ჯარების მთავარსარდალია.

ხელისუფლების სათავეში ჩამდგარ მირზა თაყი-ხანს ირანი ეკონომიურად გაჩანაგებული დახვდა. სახელმწიფო აპარატის მნიშვნელოვანი უწყებები, როგორიც იყო საფინანსო და სამხედრო, სრულიად აშლილი იყო. აშკარა იყო ირანის ფეოდალური საზოგადოების კრიზისი. ქვეყანაში წესრიგის დამყარებით დაინტერესებული გაბატონებული კლასის ერთი ნაწილი (მიწის კერძო მესაკუთრენი — მემამულე-მულქადარები და ვაჭრები) შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს რეფორმებში ხედავდა. ფეოდალური არისტოკრატია (ხანები, ბეგები, შეიხები და მისთანანი) კი ძლიერი ხელისუფლების მოწინააღმდეგე იყო. მას დიდი გავლენა ჰქონდა შაჰის კარზე. სწორედ ამიტომ. მირზა თაყი-ხანმა დაიწყო სახელმწიფო აპარატის წმენდა გავლენიანი ფეოდალებისაგან და მათ ადგილზე ნდობით აღჭურვილი პირები დანიშნა. ირანელი მთავარსარდლის ეს მოქმედება შემდეგნაირად აისახა იმ ხანის ცნობილი კარის ისტორიოგრაფის რეზა ყოლი-ხან ჰედაიათის „როუზათ ოსსაფაიე ნასერიში“; ავტორის სიტყვით, მირზა თაყი-ხანი „ყველა საქმეში ჩაერია და დიდ საფრთხეში ჩაიგდო თავი. თავისი სურვილისამებრ მაღალნი დაადაბლა და დაბალნი აამაღლა“[15]. მაგრამ მისი მოქმედება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი ფეოდალური საზოგადოების ძირეულად შეცვლას აპირებდა. მის მიერ დასახული ირანის საზოგადოების გამაჯანსაღებელი ღონისძიებები უპირველეს ყოვლისა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას, ე. ი. ირანის ფეოდალურ მონარქიას ემსახურებოდა.

ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის განსამტკიცებლად, რაც აუცილებელი წინაპირობა იყო რეფორმების ჩასატარებლად, მირზა თაყი-ხანმა დაიწყო საფინანსო საქმის მოწესრიგება. მან ირანის ბიუჯეტში არსებული დეფიციტის დასაფარად შემდეგ ზომებს მიმართა: გააუქმა ადრე ჯამაგირის

---

[14] ლაშქარ-ნევისი და ნეზამის მუსტოუფი სამხედრო უწყების მოხელეები იყვნენ. პირველს ჯარის რაოდენობის აღწერა ევალებოდა, მეორეს კი ჯარის საფინანსო საქმეები ებარა.

[15] „...در امورت کلیه دخل کرد و در مخاطرات عظیمه قدم نهاد بهوای خاطر خود بزرگانرا خورد داشت و خوردان را بزرگ ...„ رضا قلی خان هدایت، تاریخ روضة الصفای ناصری، جلد دهم، تهران، ۱۳۳۹ ه. ش. გვ. 499. (შემდეგში: „როუზათ ოს-საფაიე ნასერი“, ტ. X).

ნაცვლად გაცემული ბარათების დიდი ნაწილი, მრავალრიცხოვან უფლისწულებსა და კარისკაცებს პენსიები შეუმცირა, ხოლო შაჰს მტკიცე ჯამაგირი დაუნიშნა, მოაწესრიგა საბაჟო საქმე. საბაჟოები უშუალოდ სახელმწიფოს დაუქვემდებარა[16].

ირანის სამეფო კარზე ყველას როდი ეჭაშნიკა ამირე ნეზამის მიერ წამოწყებული რეფორმები. ჯერ კიდევ 1849 წლის მარტში თეირანში ამირის ახალი საშინაო და საგარეო კურსისადმი ოპოზიციურად განწყობილმა, ფეოდალური არისტოკრატიის სამეფო კართან დაახლოებულმა წარმომადგენლებმა პროვოკაცია მოუწყვეს მირზა თაყი-ხანს. ოპოზიციამ გამოიყენა თეირანში განლაგებული 3 აზერბაიჯანული ლეგიონი. ამბოხებულები დაჟინებით მოითხოვდნენ ამირის გადაყენებას[17]. შექმნილ ვითარებაში მირზა თაყი-ხანმა გადადგომა არჩია. ამბოხების დაცხრომის შემდეგ შაჰმა სამეფო კარზე დააბრუნა იგი. ამირმა აჯანყების ბევრი ინიციატორი სხვადასხვა მხარეს გადაასახლა და შაჰის კარის ადმინისტრაციაში თავისათვის სასურველი ცვლილებანი შეიტანა[18].

საფინანსო რეფორმის წარმატებით გატარებამ ამირს საშუალება მისცა დაეწყო სამხედრო რეფორმის განხორციელება. მირზა თაყი-ხანს, შეიძლება ითქვას, ხელახლა მოუხდა რეგულარული ქვეითი ჯარის — ფიადე ნეზამის (پیاده نظام) ჩამოყალიბება. აზერბაიჯანში, სადაც ტრადიციულად ირანის არმიის უდიდესი ნაწილი კომპლექტდებოდა, 1848 წელს ამირმა ძლივს შეაგროვა რამდენიმე რეგულარული ლეგიონი. გავიდა ხანი და მირზა თაყი-ხანის გაწეული მუშაობის შედეგად 1850 წელს აზერბაიჯანში უკვე 18 ლეგიონი ითვლებოდა[19]. გაიზარდა ლეგიონების რაოდენობა სხვა პროვინციებშიც. დედაქალაქში და პროვინციების მსხვილ ცენტრებში დაიწყეს სამხედრო ნაწილების ჩაყენება გარნიზონებად[20]. ამირმა მოკლე ხანში მრავალი ლეგიონი გააგზავნა ხორასნის ფრონტზე. იმდენად ძლიერი იყო ხორასხელი სეპარატისტების წინააღმდეგობა, რომ მათ გასანადგურებლად საკმარისი არ აღმოჩნდა სულთან მურად-მირზას ხელქვეით გაგზავნილი 6 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი. მაშინ ამირის ბრძანებით დაიწყო ახალი სამხედრო ნაწილების ფორმირება. 1848 წლის ოქტომბრიდან 1849 წლის ნოემბრამდე ხორასანში 15 ახლად შექმნილი ლეგიონი გაიგზავნა. 1849 წლის

---

16 მოჰამად-შაჰის მმართველობის ხანაში საბაჟოები კერძო პირებს ჰქონდათ იჯარით აღებული. იხ. გვ. 115. فریدون آدمیت، امیر کبیر وایران، تهران، ۱۳۳۳ ه. ش. (შემდეგში: ფარიდუნ ადამიათი, დასახ. ნაშრომი). ირანის საბაჟოებიდან მიღებული შემოსავალი ხშირად ირანის ზოგიერთი დიდი პროვინციის წლიურ შემოსავალზე მეტი იყო. ასე მაგალითად, მარტო თავრიზის საბაჟოს შემოსავალი ჰიჯრის 1267 წელს (1850/1851 წ. წ.) 110 ათას თუმანს უდრიდა, რაც აღემატებოდა ცალ-ცალკე აღებული ისეთი ვრცელი პროვინციების წლიურ შემოსავალს, როგორიც იყო მაზანდარანი, ქერმანი, ასთარაბადი, ჰამადანი და სხვ. იხ. Акты, собранные Кавказской археографическою коммиссею, т. X, Тифлис, 1885 г., გვ. 731. (შემდეგში: АКАК, т. X), და L a d y S h e i l, Glimpses of life and manrers in Persia, London, 1856, გვ. 390 (შემდეგში: Lady Sheil, დასახ. ნაშრომი).

17 სცსსა, ფ. 11, ან. I, ს, 1978, ფურც. 20.

18 „როუზათ ოს-საფაიე ნასერი", ტ. X, გვ. 402, 403.

19 АКАК, т. X, გვ. 730.

20 გვ. 69. محمد حسن خان اعتماد السلطنه، میرات البلدان ناصری، جلد دویم، تهران، ۱۳۴٤ ه. ق. (შემდეგში: „მირათ ალ-ბულდანე ნასერი", ტ. II).

პირველ ნახევარში მიმდინარეობდა ახალი ნაწილების დაკომპლექტება და წვრთნა მაზანდარანში გამაგრებული ბაბელების წინააღმდეგ საბრძოლველად. რამდენიმე ლეგიონის საშუალებით ჩახშობილ იქნა ფარსის ამბოხება[21].

თუ ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ირანის არმიის ქვეითი ლეგიონების რაოდენობა რამდენიმე ათეულს შეადგენდა. ირანელი მკვლევარი ჯაჰანგირ ყაემ-მაყამი ირანის არმიის შემადგენლობაში 50 ქვეით ლეგიონს ითვლის[22]. პოლკოვნიკ შეილის ცნობით კი, ირანის რეგულარული ქვეითი ჯარის რაოდენობა არ აღემატებოდა 70 ათას კაცს, თუმცა, იმდროინდელი ოფიციალური მონაცემებით, მასში 100 ათასი ჯარისკაცი უნდა ყოფილიყო[23]. ამირის მზრუნველი ხელი დაეტყო არტილერიასაც, რომელშიც იმხანად 6 ათასი არტილერისტი მსახურობდა. ჯარის ეს ორი სახეობა იყო ირანის არმიის ბირთვი. მირზა თაყი-ხანმა შექმნა ჯარის ახალი სახეობა — აქლემებზე ამხედრებული მეომრების (ჯომაზე სავარან) რამდენიმე ლეგიონი. გაითვალისწინა რა ქერმანის, ბელუჯისთანისა და სისთანის მხარის გეოგრაფიული თავისებურებანი (აუტანელი სიცხე, ქვიშრობები, უწყლობა), იმ მხარეში წესრიგის დასაცავად მან მიზანშეწონილად მიიჩნია ამ ლეგიონების გაგზავნა. მათი შემწეობით ქერმანისა და ბელუჯისთანის გუბერნატორმა უფლისწულმა თაჰმასბ-მირზა მოაიედ ოდ-დოვლემ აიძულა მოჰამად ალი-ხან სისთანელი და დოსტ მოჰამად-ხან ბელუჯელი მორჩილების არზა გაეგზავნათ ამირისათვის[24].

ამბოხებული ოლქების დაშოშმინების შემდეგ მირზა თაყი-ხან ამირე ნეზამმა არმიის რეკრუტებით დაკომპლექტების ახალი, მთელი ირანისათვის ერთიანი სისტემა შემოიღო. მანამდე რეგულარული ჯარი მოხალისეების დაქირავების ანდა გლეხური მოსახლეობიდან წილისყრის საფუძველზე რეკრუტების ძალდატანებითი გაწვევის გზით იქმნებოდა. 1851 წელს დაკანონდა ჯარში „ბონიჩეს“[25] წესით გაწვევა. თითოეულ „ბონიჩეს“, რომელიც ახალი

---

[21] იხ. А. Г. Подольский, Реформы Амир-Низама (1848—1851 гг.), кандидатская диссертация, М., 1949 г., გვ. 106 (შემდეგში: А. Г. Подольский, დასახ. ნაშრომი).

[22] جهانگیر قائم مقام، تاریخ تحولات سیاسی نظامی ایران، تهران، ۱۳۲۶ ه. ش. გვ. 68. (შემდეგში: ჯაჰანგირ ყაემ-მაყამი, დასახ. ნაშრომი).

[23] Lady Sheil, დასახ. ნაშრომი, გვ. 384.

[24] ფარიდუნ ადამიათი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

[25] ირანში სეფიანთა ბატონობის ხანაში „ბონიჩე“ იყო საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სახელოსნო გადასახადი, რომელიც მთელს ამქარზე ნაწილდებოდა. (იხ. კ. კუცია, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბ., 1966., გვ. 73). დროთა განმავლობაში „ბონიჩემ“ მნიშვნელობა შეიცვალა და ჩვენთვის საინტერესო პერიოდში იგი მულქის მიწებზე მყოფ რამდენიმე გლეხური ოჯახისაგან შემდგარ ჯგუფს — ერთ სავადასახადო ერთეულს აღნიშნავდა. მულქადარის კუთვნილი სოფელი რამდენიმე „ბონიჩედ“ იყოფოდა, ხოლო თითოეული „ბონიჩე“ თავის მხრივ რამდენიმე გლეხურ ოჯახად. „სოფლის მოსახლეობის დაყოფა „ბონიჩეებად“ — როგორც აღნიშნავს საბჭოთა ორიენტალისტი-ისტორიკოსი ა. პოდოლსკი — დამახასიათებელია ძირითადად მულქის მიწებისათვის, რაც ცხადყოფს სრულიად ჩამოყალიბებული და განვითარებული კერძომემამულური მიწათმფლობელობის არსებობას“. (იხ. А. Г. Подольский, დასახ. ნაშრომი, გვ. 126). მულქადარობა და, აქედან გამომდინარე, სოფლის მოსახლეობის „ბონიჩეებად“ დაყოფა განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული აზერბაიჯანში, სადაც ჯარის დაკომპლექტება სწორედ „ბონიჩეების“ რაოდენობის მიხედვით წარმოებდა. თითოეულ „ბონიჩეს“, იმისდა მი-

სამხედრო წესდების თანახმად 10 მოზრდილი მამაკაცისაგან შედგებოდა, ჯარისათვის თითო მამაკაცი უნდა მიეცა. „ბონიჩეში“ დარჩენილი 9 მამაკაცი ან სოფლის პატრონი ვალდებული იყო „ბონიჩედან“ გასული რეკრუტის ან მისი ოჯახის სასარგებლოდ წელიწადში 1 ხარვარის[26] ოდენობის გადასახადი გაეღო ნატურით. გარდა ამისა, „ბონიჩეს“ დანარჩენ 9 მამაკაცს მისთვის წელიწადში ერთი ხარვარი ხორბალი უნდა მიეცა. რაც შეეხება სახელმწიფოს, რომელმაც ჯარისკაცის (სარბაზის) შენახვა, ნაწილობრივ, თანასოფლელებს დააკისრა, რეკრუტს წლიურ ჯამაგირად 6 თუმანი განუსაზღვრა, ხოლო ულუფის საზღაურად 7,5 რიალი გამოუყო.

ახალი სამხედრო წესდება ითვალისწინებდა შემდეგს: „ბონიჩედან“ გაწვეული ჯარისკაცი 12 წელიწადს ნამდვილ სამსახურში ირიცხებოდა. აქედან პირველ ორ წელიწადს იგი სამხედრო ნაწილში იმსახურებდა, რის შემდეგაც ეძლეოდა შვებულება 4 წლით, მომდევნო 2 წელიწადს კვლავ იმავე ნაწილში ატარებდა. მეორე ორწლიანი სამსახურის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელს უბრუნდებოდა და 4 წელიწადი შვებულებაში იმყოფებოდა[27]. შვებულებაში ყოფნის დროს სარბაზს სამხედრო უწყების ხელმძღვანელთა მოთხოვნით სამხედრო სწავლების კურსი უნდა გაევლო. სწავლების ვადა ზუსტად არ იყო განსაზღვრული (რამდენიმე დღიდან 2—3 თვემდე)[28].

მირზა თაყი-ხანმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა არმიის ორგანიზაციაში. მისი სამხედრო წესდების თანახმად, უმცირეს ტაქტიკურ ერთეულს ქმნიდა 500 კაცისაგან შემდგარი ლეგიონი, ანუ ფოუჯი, რომელსაც სარჰანგი განაგებდა. 2 ფოუჯი ერთ თიფს (ბრიგადას) შეადგენდა. თიფის სათავეში სართიფი ან სარჰანგი უნდა მდგარიყო. ხუთი თიფი მირფანჯის[29] ხელქვეით იმყოფებოდა, 10 მირფანჯი კი ერთ ამირე თუმანს[30] ემორჩილებოდა. თუმანი ირანის ჯარში ყველაზე მსხვილი სამხედრო ერთეული იყო. არმიის თუმნებად დაყოფის ფაქტი დასტურდება „მირათ ალ-ბულდანე ნასერიში“, სადაც შემდეგს ვკითხულობთ: „გადაწყდა ყველა დამპყრობი ფოუჯი თუმნებად დაეყოთ, ხოლო დროშებზე ლეგიონისა და თუმნის რიგითი ნომრები

---

ხედვით, თუ რამდენად ძლიერი და მრავალოჯახიანი იყო იგი, რეკრუტების გარკვეული რაოდენობა უნდა გამოეყვანა. ამგვარად, სოფლის მოსახლეობა არმიის დაკომპლექტების მთავარ წყაროს წარმოადგენდა.

26 ხარვარი სიტყვასიტყვით „სახედრის ტვირთს“ ნიშნავს. იგი დაახლოებით 300 კვ უდრიდა და ძირითადად მარცვლეულის წონის საწყავო იყო.

27 جمیل قوزانلو، تاریخ نظامی ایران، جلد دویم، تهران، ۱۳۱۵ ه. ش გვ. 1057, 1058 (შემდეგში: ჯ ა მ ი ლ ყ უ ზ ა ნ ლ უ, დასახ. ნაშრომი, ტ. II).

28 А. Г. Подольски и, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

29 მირფანჯი (უფრო სრულად იქნებოდა ამირე ფანჯ) ნომინალურად ხუთი ათასეულის მეთაური იყო.

30 მონღოლურ ენაზე თუმანი (تومان) 10 000 აღნიშნავდა. ათი ათასიანი ლაშქრის სარდალს მონღოლები თუმანბეგს უწოდებდნენ. ირანში მონღოლი ილხანების (ჰულაგუიანების) ბატონობის ხანაში ჩნდება ამირე თუმანის (თუმანბეგის იდენტური) სამხედრო წოდება. იხ. Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, СПб., 1896 ი., გვ. 406. ამირე თუმანის ხარისხი ირანის არმიაში მოჰამად-შაჰმა დაამკვიდრა იხ. И. Ф. Бларамберг, Статистическое обозрение Персии, составленное в 1841 г., Записки императорского русского географического общества, кн. VII, СПб., 1853, გვ. 50.

აღენიშნათ“[31]. ირანის ჯარი, რომელიც ნომინალურად 100 ათასი კაცისაგან შედგებოდა, ორ არმიას შეიცავდა: ყოშუნე თორქს (قشون ترک) და ყოშუნე ერაყს (قشون عراق). ყოშუნე თორქის ანუ აზერბაიჯანის არმიის უფროსად მოჰამად-ხან ამირე თუმანი დაინიშნა. ყოშუნე ერაყი (ერაყში დაკომპლექტებული არმია) კი აბას ყოლი-ხან ბიქლუს ჩააბარეს[32].

ირანის არმიას, რომელიც მუსლიმანი მოსახლეობის ხარჯზე ივსებოდა, 1851 წელს ურუმიელი და სალმასელი ქრისტიანებისაგან (ნესტორიანელები და სომხები) შემდგარი რეგულარული ქვეითი ლეგიონი შეემატა. ეს იყო ერთადერთი ქრისტიანული ლეგიონი ირანის არმიაში[33]. იგი მოხსენიებულია „მირათ ალ-ბულდანე ნასერიში“ „ფოუჯე ჯადიდე ნასარაიე ურუმი ვა სალმასის“ სახელწოდებით[34].

მირზა თაყი-ხანის მიერ ირანის დროშის ქვეშ თავმოყრილი არმია, თავისთავად ცხადია, მნიშვნელოვან მატერიალურ სახსრებს მოითხოვდა. არმიის შენახვაზე იხარჯებოდა ქვეყნის ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი. ასე მაგალითად, ხელისუფლების სათავეში ამირის ყოფნის უკანასკნელ წელს სამხედრო ხარჯებმა 1 222 764 თუმანი შეადგინა, რაც ქვეყნის ფულადი შემოსავლის (2 677 000 თუმანი) თითქმის ნახევარს უდრიდა[35]. აზერბაიჯანის 1850 წლის ბიუჯეტით ამ პროვინციაში განლაგებულ ჯარს ჯამაგირის სახით 221 674 თუმანი მიეცა, რამაც აზერბაიჯანის ხარჯის (415 828 თუმანი) ნახევარზე მეტი შეადგინა. ჯამაგირის გარდა აზერბაიჯანის ჯარმა მიიღო: 7947 ხარვარი და 57 ბათმანი[36] მარცვლეული, 93 ხარვარი და 71 მანი თივა. 65 ხარვარი და 50 ბათმანი ბრინჯი[37]. ჯარისკაცის ჯამაგირით, ალაფითა და ულუფით უზრუნველყოფა არ ნიშნავდა იმას, რომ იგი მზად იყო სამხედრო სამსახურის მოსახდელად; საჭირო იყო აგრეთვე მისი ფორმაში გამოწყობა და ცეცხლმსროლი თუ ცივი იარაღით აღჭურვა. მთავრობის მიერ ამ საქმისათვის გაღებულ იქნა გარკვეული ნაწილი იმ თანხისა (52 ათასი თუმანი), რომელიც ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო საგანგებო ხარჯების დასაფინანსებლად[38].

ამირის სამხედრო ღონისძიებათა რიგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეიარაღებითა და ფორმით ჯარის რეგულარულად მომარაგების საკითხს. მირზა თაყი-ხანის მითითებით მთელს ირანში დაიწყო ძველი სამხედრო საწარმოების აღდგენა და ახლების მშენებლობა. თეირანის ჯაბახანის (იარაღ-საჭურვლის ქარხანა) მოსაწესრიგებლად ამირმა საგანგებოდ მიიწვია ფარსის პროვინციის ჯაბადარბაში ჰაჯი მოჰამად ჰოსეინი, რომლის ხელმძღვანელობი-

---

31 „მირათ ალ-ბულდანე ნასერი“, ტ. II, გვ. 117.

32 ჯ ა მ ი ლ ყ უ ზ ა ნ ლ უ, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 1053, 1054.

33 ერთგვარ გამონაკლისს, დიდი ხნით ადრე, XIX ს-ის 10-იანი წლების მიწურულში, აბას-მირზას მიერ რუსი სამხედრო ტყვეებისა და დეზერტირებისაგან შედგენილი ე. წ. „ბაჰადორების“ ლეგიონი წარმოადგენდა. ჰერათზე ლაშქრობის დამთავრებისთანავე რუსეთის მთავრობის მოთხოვნით 1838 წელს „ბაჰადორების“ ლეგიონი დაშალეს და რუსი ჯარისკაცები სამშობლოში დააბრუნეს.

34 „მირათ ალ-ბულდანე ნასერი“, ტ. II, გვ. 64.

35 **Lady Sheil**, დასახ. ნაშრომი, გვ. 388, 389.

36 ბათმანი და მანი წონის მეტრული სისტემით შესაბამისად დაახლოებით 6 და 3 კგ უდრიდა.

37 АКАК, т. X, с. 731.

38 იქვე.

თაც თეირანის ჯაბახანამ თვეში 1 000 ცალი თოფის გამოშვება დაიწყო[39]. ისფაჰანში საჭურვლის წარმოებას მოჰამად ქაზემ ნამ ჯაბადარბაში უძღვებოდა. ისფაჰანის ჯაბახანა ყოველთვიურად 300 ცალ თოფს, 100 ცალ ფალასკას, კაჟს, ხიშტებსა და სხვა სამხედრო საჭურველს აწარმოებდა[40]. თეირანისა და ისფაჰანის ჯაბახანები, როგორც ჩანს, არასაკმარისი აღმოჩნდა არმიის იარაღ-საჭურვლით მომარაგების საქმეში და ამიტომაც სათანადო ყურადღება მიექცა ირანის განაპირა ვილაიეთებში სამხედრო საწარმოების დაარსებას. ხორასანში თოფის საწარმოებლად უზენაესი ბრძანებით გაიგზავნა ოსტატი ალი აქბარ თოფანგსაზი (თოფის ოსტატი[41]). ხელახლა ამოქმედდა თავრიზის თოფისა და დენთის ქარხნები, ზარბაზნების ჩამომსხმელი საწარმო. ამავე ხანებში დაიწყო პროდუქციის გამოშვება შირაზის ჯაბახანამ. ამრიგად, ამირმა ირანის ყველაზე მნიშვნელოვან პროვინციებში იარაღ-საჭურვლის წარმოების ადგილობრივი ცენტრები შექმნა. ეს ცენტრები იყო აზერბაიჯანში—თავრიზი, ირანის ცენტრალურ რაიონში — თეირანი და ისფაჰანი, ფარსში — შირაზი, ხორასანში — მეშჰედი. სარბაზის ფორმის დასამზადებლად ირანში ხელსაყრელი პირობები არსებობდა. ქვეყანაში საკმაო რაოდენობით იყო ტანსაცმლის წარმოებისათვის საჭირო ნედლეული: მატყლი, ბამბა და აბრეშუმი, ასევე ქალაქებში მრავლად არსებობდა კუსტარული საფეიქრო საწარმოები. სამხედრო ტანსაცმლის შეკერვა დაეკისრა ირანის საფეიქრო მრეწველობის ისეთ ტრადიციულ ცენტრს, როგორიც იყო ისფაჰანი. ისფაჰანს არმიისათვის 50 ათასი ხელი სამხედრო ტანსაცმელი უნდა დაემზადებინა[42]. ირანის ხელისუფლება ყოველმხრივ ახალისებდა ცალკეული პირების კერძო ინიციატივას ჯარის ტანსაცმლით მომარაგების საქმეში. მაგალითად, ვინმე ჰაჯი მოჰამად ქაშანიმ კარგი ხარისხის ქსოვილის წარმოებისათვის (მისი ქსოვილი მაუდის სისქისა იყო, ოღონდ გამძლეობით მასზე უკეთესი აღმოჩნდა) ქვეყნის მესვეურების მოწონება დაიმსახურა და მას 2 ათასი ხელი სამხედრო მუნდირი შეუკვეთეს[43]. სამხედრო ტანსაცმლის ნიმუშად აღებულ იქნა ავსტრიული მუნდირი და ვიწრო შარვალი[44].

სამხედრო რეფორმის გატარების პერიოდში ყურადღება მიექცა ჯარში სამედიცინო სამსახურის დანერგვას. ექიმბაში (მთავარი ექიმი) ვალდებული იყო თავად შეერჩია მცოდნე ექიმები და ისინი ლეგიონებში გაენაწილებინა[45].

მირზა თაყი-ხანის დიდ ვეზირად ყოფნის დროს დაიწყო ირანის მსხვილ ადმინისტრაციულ თუ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში ჯარისკაცებისათვის ყაზარმების (სარბაზხანების) მასობრივი მშენებლობა. კარის ისტორიოგრაფის რეზა ყოლი-ხან ჰედაიათის ცნობით, „როდესაც დაცხრა... ხორასნის, მაზანდარანის, ზენჯანის, ფარსისა და ისფაჰანის ამბოხებები, უზენაესი ბრძანებულებით გადაწყდა, რომ ირანის ყოველ ქალაქში უბნების (მაჰალების) შესაყარ ადგილებზე აეშენებინათ რამდენიმე ოთახიანი ყაზარმები, რათა ლეგიონები (ფოუჯები) ქალაქის შენობებში არ გაბნეულიყო და

---

[39] იხ. ფარიდუნ ადამიათი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122, 123.
[40] იქვე, გვ. 122.
[41] „მირათ ალ-ბულდანე ნასერი", ტ. II, გვ. 105.
[42] „მირათ ალ-ბულდანე ნასერი", ტ. II, გვ. 70.
[43] იქვე, გვ. 68.
[44] ფარიდუნ ადამიათი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.
[45] იხ. „მირათ ალ-ბულდანე ნასერი", ტ. II, გვ. 76.

ამით არ შეეწუხებინათ ქალაქელები. ისინი დღედაღამ უბნებში წესრიგის სადარაჯოზე უნდა მდგარიყვნენ"[46]. მაგრამ სინამდვილეში ყაზარმების მშენებლობის ინიციატორი შაჰი კი არ იყო, როგორც ჰედაიათი აცხადებს, არამედ მისი ენერგიული პირველი მინისტრი მირზა თაყი-ხანი[47].

ამირის მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად აამაღლა ირანის ჯარის ბრძოლისუნარიანობა. თუმცა წარმატებით იქნა გადაჭრილი რიგითი შემადგენლობით არმიის უზრუნველყოფის საკითხი, მაგრამ ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი რჩებოდა ოფიცერთა მომზადების საქმე. ირანში არ არსებობდა სამხედრო სკოლები, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო ოფიცერთა კადრების აღზრდა. სამხედრო საქმეში არსებული ამ დიდი ნაკლის გამოსწორებას ისახავდა მიზნად ამირი, როდესაც მისი ინიციატივით თეირანში დაიწყო უმაღლესი სასწავლებლის მშენებლობა. სასწავლებლის შენობის პროექტი შეადგინა მირზა რეზა მოჰანდესმა, ხოლო მის მშენებლობას ხელმძღვანელობდა მოჰამად თაყი-ხან მემარბაში (ხუროთმოძღვართა უფროსი). მშენებლობა 1850 წლის დამდეგს დაიწყო და 1851 წლის ივნის-ივლისში დასრულდა. ირანში არ იყვნენ კვალიფიციური სამხედრო სპეციალისტები, ამიტომ გადაწყვიტეს მათი მოწვევა საზღვარგარეთიდან. მათ ჩამოსაყვანად მირზა თაყი-ხანმა ავსტრიაში იმპერატორის კარზე განაწესა ირანის პირველი თარჯიმანი ჯან დავუდ-ხანი, იგივე „მესიუ" ჯან დავუდ-ხან არმანი, როგორც მას ირანელი ისტორიოგრაფები იხსენიებენ. სამხედრო სპეციალისტების ჩამოყვანა ავსტრიიდან ნაკარნახევი იყო იმ მოსაზრებით, რომ, რადგან ავსტრიას იმხანად არ გააჩნდა არავითარი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები ირანში, ამდენად, ავსტრიელი მასწავლებლები პატიოსნად შეასრულებდნენ თავიანთ საქმეს, ე. ი. არ იხელმძღვანელებდნენ რაიმე ანგარებით.

ირანის პირველი მინისტრი დიდ დაინტერესებას იჩენდა თავისი წარგზავნილის მისიისადმი. ჯან დავუდ-ხანისადმი გაგზავნილ წერილებში, რომლებსაც ხშირად ინსტრუქციის ხასიათი ჰქონდა, იგი მიუთითებდა, თუ რამდენი მასწავლებელი უნდა ჩამოეყვანა, ჩამოსვლის შემთხვევაში მათ რა ჯამაგირს დაუნიშნავდნენ და ა. შ. ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1266 წლის შავალის თვეში (1850 წლის აგვისტო-სექტემბერი) გაეგზავნა ჯან დავუდ-ხანს, იგი წერდა: „საზრიანობისა და შეგნების თანამგზავრს, ქრისტიანებში გამორჩეულს, მაღალადგილოვან მესიუ ჯან დავუდს, ირანის მაღალი სახელმწიფოს პირველ თარჯიმანს, როგორც მისდამი გაგზავნილ წერილში მიეწერა, ეცნობება, რომ საჭიროა საქმის მცოდნე 6 მასწავლებელი ფადიშაჰის სასწავლებლისათვის[48], რომელიც დარ ულ-ხულაფა (დედაქალაქი. — **ნ. ტ.-ო**) თეირანში დაარსდა. ამიტომაც იმ მაღალადგილოვანს [ე. ი. მას] უფლება აქვს გაემგზავროს ავსტრიასა და პრუსიაში და ფადიშაჰის სასწავლებლისათვის 6 გამოცდილი მასწავლებელი დაიქირავოს. მათ ჯამაგირი დაუნიშნოს 4 ათას თუმნამდე, ხოლო თითოეული მათგანის მგზავრობისათვის (წასვლა-მოსვლისათვის) საჭირო ფული 400 თუმნით განსაზღვროს, იანგარიშოს და მოაგვა-

---

46 „როუზათ ოს-საფაიე ნასერი", ტ. X, გვ. 465, 466.

47 იხ. გაზეთი „Кавказ", Тифлис, 1851 г., № 13, გვ. 52.

48 برای مکتب‌خانه پادشاهی

რის. ამ სახით მისაღები და ხელმოსაწერია მაღალი სახელმწიფოსათვის"[49]. ფადიშაჰის სასწავლებელი, როგორც ზემოთ მოყვანილი წერილიდან ჩანს, 1850 წლის აგვისტოსათვის (1266 წლის შავალი) აუშენებიათ. იმავე წლის შავალის თვით დათარიღებულ მეორე წერილში, რომელშიც განმეორდა მოთხოვნა 6 მასწავლებლის ჩამოყვანის შესახებ, მირზა თაყი-ხანი უკვე ასახელებს იმ დარგებს, რომელთა სპეციალისტები სჭირდებოდა ახლად დაარსებულ სასწავლებელს: 1. ქვეითი ჯარის, 2. არტილერიის, 3. საინჟინრო საქმის, 4. მინერალოგიის, 5. მედიცინის, ქირურგიის და ანატომიის და 6. ცხენოსანი ჯარის. როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილი დარგებიდან 4 სამხედრო დისციპლინას განეკუთვნება.

„ფადიშაჰის" სასწავლებლის მშენებლობის დამთავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ იქვე სამხედრო სასწავლებელი ააშენეს. ჯან დავუდ-ხანისადმი 1267 წლის რამაზანის თვეში (1851 წლის ივლისი) გაგზავნილ მირზა თაყი-ხანის კორესპონდენციებში არაერთხელ არის ნახსენები სამხედრო სასწავლებელი. ქვემოთ მოგვყავს ფრაგმენტი კიდევ ერთი წერილიდან, რომელშიც ამჯერად აღნიშნულია მისი დაარსების ფაქტი: „...მშვენიერ დარ ულ-ხულაფაში აშენებულ და დასრულებულ იქნა სამხედრო სასწავლებელი...[50] [ჯან დავუდ-ხანი] ძალიან სწრაფად წარსდგეს მასწავლებლებთან ერთად მისი უდიდებულესობის სამეფო კარზე"[51].

ზემოთ მოტანილი ნაწყვეტები წერილებიდან გვაძლევენ იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ: 1850—1851 წლებში თეირანში ორი სასწავლებელი ააშენეს — ერთი სამოქალაქო, მეორე კი სამხედრო. ორი სასწავლებლის მშენებლობის ფაქტი დასტურდება „როუზათ ოს-საფაიე ნასერის" ავტორთანაც, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „...მასწავლებლების ჩამოსვლამდე ირანის შაჰის მითითებით ინჟინრებმა და ევკლიდეს აზრის მქონე ხუროთმოძღვრებმა დალოცვილი არქის (თეირანის ციტადელი. — ნ. ტ.-ო.) ერთ-ერთ კუთხეში ერთ წელიწადს ორი სასწავლებელი (ხაზი ჩვენია — ნ. ტ.-ო.) აღაშენეს, რომელთა ფართობი (სიგრძე-სიგანე) დაახლოებით 8 ათასი ზერა[52] იყო და საფუძველი ჩაუყარეს მეფურ შენობას"[53]. ერთ შენობაში მოქცეულ ორ სასწავლებელს დარ ოლ-ფონუნი"[54] უწოდეს. დარ ოლ-ფონუნის გახსნასთან დაკავშირებით მისმა პირველმა დირექტორმა (რაისმა) რეზა ყოლი-

[49] იხ. გვ. 157, 158. عباس اقبال، امیر کبیر میرزا تقی خان، تهران، ۱۳٤۰ ه. ش. (შემდეგში: აბას ეყბალი, დასახ. ნაშრომი).

[50] مدرسهٔ نظامیه

[51] იხ. აბას ეყბალი, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

[52] ذراع —სიგრძის ერთეულია, ერთ იდაყვს უდრის.

[53] „როუზათ ოს-საფაიე ნასერი", ტ. X, გვ. 632.

[54] დარ ოლ-ფონუნ მეცნიერებათა სახლს ნიშნავს.

ხან ჰედაიათმა შეთხზა ყასიდა, რომლის ერთ-ერთ სტრიქონში ვკითხულობთ: „როდესაც დაიწყო სასწავლებელში მეცნიერების ყველა დარგის სწავლება, ხალხმა მას დარ ოლ-ფონუნი უწოდა“[55].

დარ ოლ-ფონუნი მოუთმენლად ელოდა ავსტრიელ მასწავლებლებს, თუმცა მათ ჩამოსვლამდე უკვე დაწყებული იყო მეცადინეობა. ზემოთქმულს ადასტურებს ირანელი მკვლევრის ხან მალექ სასანის მიერ ირანის სამეფო ბიბლიოთეკაში მიკვლეული მირზა თაყი-ხანის წერილი ნასერ ედ-დინ-შაჰისადმი. მასში წერია: „წარმატებით დამთავრდა სასწავლებლის 6 თვის გამოცდები, გადაწყვეტილია ომის საჭიროებისათვის მესანგრეთა რამდენიმე ლეგიონის მომზადება. ომისათვის ყველაზე კარგად იმ ოფიცერთან მოემზადებიან, რომელიც ხვალ ჩამოდის. მასთან სიმაგრეების აგების ხელოვნებას, სანგრების თხრასა და ხიდების გადებას ისწავლიან. მალე ირანში კარგი ოფიცრები აღიზრდებიან“[56]. ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ სწავლება დარ ოლფონუნში მის ოფიციალურ გახსნამდე (1268 წლის 5 რაბი ოლ-ავალი ანუ 1851 წლის 30 დეკემბერი) დიდი ხნით ადრე დაწყებულა.

იმ ხანებში, როდესაც ჯან დავუდ-ხანი უცხოეთში იმყოფებოდა, ირანში სამეფო კარზე მნიშვნელოვნად შეიცვალა ძალთა თანაფარდობა ამირის მოწინააღმდეგე დაჯგუფების სასარგებლოდ. ფეოდალურმა ოპოზიციამ, რომელსაც შაჰის დედა მაჰდი ოლია და ანგლოფილი აღა-ხან ნური ეთემად ოდ-დოვლე ედგათ სათავეში, მირზა თაყი-ხანთან ბრძოლაში საბოლოოდ გადასძლია. მათ მიაღწიეს იმას, რომ 1851 წლის 20 ნოემბერს (1268 წლის 25 მოჰარამს) შაჰის ბრძანებით მირზა თაყი-ხანი გადაყენებულ იქნა პრემიერის პოსტიდან და მას ყველა საპატიო ტიტული ჩამოერთვა. იმავე დღეს გამოქვეყნებულ შაჰის დასთიხათში აღნიშნული იყო, რომ მირზა თაყი-ხანს რჩებოდა მხოლოდ ამირე ნეზამის ტიტული[57]. მისდამი გამოჩენილი „ღმობიერების“ საპასუხოდ მირზა თაყი-ხანმა წერილობითი ვალდებულება იკისრა, რომ მომავალში იგი არავითარ შემთხვევაში არ ჩაერეოდა სხვა მოხელეების საქმეებში. იგი ამირე ნეზამის პოსტზე დარჩა სულ მცირე 1851 წლის 2 დეკემბრამდე მაინც (1267 წლის 6 საფარი). ამ მოსაზრების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს მირზა თაყი-ხანის წერილი შაჰისადმი. ამ წერილში მოხსენიებულია შაჰის დაბადების დღის აღსანიშნავად მოწყობილი ოფიციალური მიღება (სალამი), რომელსაც მირზა თაყი-ხანიც დაესწრო. სალამი 1267

[55] „چو شد بمدرسه تدریس هر فنی ز علوم بنام دار فنون شهره گشت در افواه“
„როუზათ ოს-საფაიე ნასერი“, ტ. X, გვ. 633.

[56] خان ملک ساسان، سیاست گران دورهٔ قاجار، تهران، ۱۳۳۸ ه. ش .გვ. 43
(შემდეგში: ხან მალექ სასანი, დასახ. ნაშრომი).

[57] იქვე, გვ. 2.

[58] ხან მალექ სასანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

წლის 6 საფარს შედგა[58]. ე. ი. მირზა თაყი-ხანი 1851 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით თეირანში იმყოფებოდა. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ მთავარსარდალი ავსტრიელი მასწავლებლების ჩამოსვლის მომსწრეც იქნებოდა[59]. იგი მათი ჩამოსვლის დროს რომ ნამდვილად იმყოფებოდა თეირანში, ნათელი ხდება მისი ერთ-ერთი წერილიდან: „ხალხალის (ადგილის სახელწოდებაა. — ნ. ტ.-ო.) ლეგიონი კარგად ვარჯიშობს. ბარონ საჰების თხოვნაც იმაში მდგომარეობს, რომ შაჰისათვის ცხადი გახდეს — სასწავლებლის საქმეში დიდი დროა საჭირო...“[60]. მოხსენიებული ბარონ საჰები კი სწორედ ის პიროვნება უნდა იყოს, რომელსაც ვხვდებით „როუზათ ოს-საფაიე ნასერიში“ მოტანილ დარ ოლ-ფონუნში მოღვაწე უცხოელი სპეციალისტების სიაში. იქ ნათქვამია: „ბარუნ საჰები ქვეითი ჯარის მასწავლებელი იყო. ცუდი ჯანმრთელობის გამო იგი გაათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნდა“[61]. ამ ბარონის შესახებ ცნობას გვაწვდის კარის ისტორიოგრაფი მოჰამად ჰასანხანიც, რომელიც მას ბარონ ქუმენსს ან ქუმენესს[62] უწოდებს. იგი ჰიჯრის 1269 წელს მომხდარი ამბების აღწერისას აღნიშნავს: „...ავსტრიელმა ოფიცერმა ბარონმა ქუმენსმა, რომელიც 2 წელია, რაც ამ ქვეყნის (ირანის. — ნ. ტ.-ო). სამსახურში იყო, ვადის გასვლამდე დაბრუნება ითხოვა“[63].

ზემოაღნიშნული გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრება: 1. მირზა თაყი-ხანი დიდ ვეზირის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგაც ინარჩუნებდა მთავარსარდლის პოსტს. 2. იგი შეესწრო ავსტრიელი მისიის ჩასვლას თეირანში.

დარ ოლ-ფონუნი მოწოდებული იყო აღეზარდა უმაღლესი რანგის როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მოხელეები. სასწავლებელში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო სამხედრო კადრების მომზადებაზე. პირველ სასწავლო წელს დარ ოლ-ფონუნში 105 მოსწავლე ირიცხებოდა, მათგან 73 სამხედრო სპეციალობებს ეუფლებოდა[64]. სასწავლებელში მიღებულ მოსწავლეებზე ზედამხედველობის დაწესება ისურვეს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამად ალი-ხანმა და გენერალ-ადიუტანტმა (აჯუდანბაში) აზიზ-ხანმა. სასწავლებელში მათ თავიანთი მოადგილეები განაწესეს. ასეთ ორხელისუფლებიანობას მალე მოეღო ბოლო. ხორეზმის ელჩობიდან ირანს

---

[59] ავსტრიელი მასწავლებლები თეირანში 1851 წ. 24 ნოემბერს ჩაეიდნენ. იხ. ფ ა რ ი დ უ ნ ა დ ა მ ი ა თ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

[60] ხ ა ნ მ ა ლ ე ქ ს ა ს ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

[61] „როუზათ ოს-საფაიე ნასერი“, ტ. X, გვ. 636.

[62] كومنس ლათინურად Gumones. იხ. ფ ა რ ი დ უ ნ ა დ ა მ ი ა თ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

[63] „მირათ ალ-ბელდანე ნასერი“, ტ. II, გვ. 124.

[64] ფარიდუნ ადამიათი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

დაბრუნებული რეზა ყოლი-ხან ჰედაიათი შაჰმა დარ ოლ-ფონუნის დირექტორად დანიშნა[65].

დარ ოლ-ფონუნის დაარსება მირზა თაყი-ხანის სამხედრო რეფორმის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს[66].

სამხედრო რეფორმის გატარებამ ამირე ნეზამს დიდი ავტორიტეტი შეუქმნა ჯარში. მაგრამ, მარტო ჯარით როდი შემოიფარგლებოდა მისი ძალაუფლების ჰორიზონტი და ინტერესები, იგი ერთპიროვნულად უძღვებოდა ადმინისტრაციულ აპარატს, პირადად აკონტროლებდა ქვეყნის ფინანსებს და თავად წარმართავდა ირანის საგარეო პოლიტიკას. მირზა თაყი-ხანის ასეთმა აღზევებამ ძალზე შეაშფოთა მისი მტრები, რომლებიც შაჰის კარზე ძლიერ ოპოზიციურ ჯგუფს შეადგენდნენ. მათ შაჰს ჩააგონეს, რომ ამირე ნეზამს თითქოს ძალაუფლების უზურპირება სურდა. სისტემატურმა დასმენამ საბოლოოდ ის ნაყოფი გამოიღო, რომ შაჰმა მირზა თაყი-ხანი პირველი ვეზირის თანამდებობიდან გადააყენა და 1851 წლის დეკემბრის დასაწყისში ქ. ქაშანის მახლობლად მდებარე ფინში[67] ოჯახთან ერთად გადაასახლა.

მიუხედავად იმისა, რომ მირზა თაყი-ხანი გადასახლებაში იმყოფებოდა, მისი დაუძინებელი მტერი, ირანის ახალი სადრ აზამი აღა-ხან ნური თავს მაინც მოსვენებულად ვერ გრძნობდა — უსაზღვრო იყო მისი შიში მირზა თაყი-ხანის მიმართ. გადმოგვცემენ, რომ ამირე ნეზამის ქაშანს გადასახლების შემდეგ თურმე აღა-ხან ნურის თავისი ახლობლებისათვის უთქვამს: „ვიდრე მირზა თაყი-ხანი ცოცხალია, მე არ ძალმიძს მისი საკალმის ჯიბეში ჩადება“[68]. როგორც ჩანს, მირზა აღა-ხან ნური სადრ აზამის თანამდებობის დაკავებაზე მხოლოდ იმ პირობით იყო თანახმა, თუ მის მოქიშპეს — მირზა თაყი-ხანს სიკვდილით დასჯიდნენ. მირზა აღა-ხან ნურიმ საწადელს მიაღწია, ახალგაზრდა შაჰმა სასიკვდილოდ გაიმეტა თავისი ყოფილი პრემიერი და სიძე. მან სამეფო კარის ფარაშბაშის[69] ჰაჯ ალი-ხან მარაღელს მირზა თაყი-ხანის მოკვლა უბრძანა და ამასთან დაკავშირებით მას ფირმანი მისცა[70]. ჰაჯ ალიხანმა განაჩენის სისრულეში მოსაყვანად თან წაიყვანა მირღაზაბი ანუ ჯალათი, რომელმაც ფინის აბანოში თავისი შავბნელი საქმე აღასრულა[71].

---

65 „როუზათ ოს-საფაიე ნასერი“, ტ. X, გვ. 633, 634.

66 საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნის ა. პოდოლსკის საკანდიდატო დისერტაციაში „Реформы Амир-Низама“ რატომღაც გაშუქებული არაა დარ ოლ-ფონუნის დაარსების მნიშვნელობა და ადგილი მირზა თაყი-ხანის რეფორმათა რიცხვში.

67 ფინი ადგილის სახელწოდებაა.

68 ხ ა ნ მ ა ლ ე ქ ს ა ს ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

69 ფარეშთუხუცესი.

70 იხ. ფ ა რ ი დ უ ნ ა დ ა მ ი ა თ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 493.

71 სამეფო კარის ოფიციალური ისტორიოგრაფები, კერძოდ, რეზა ყოლი-ხან ჰედაიათი და მოჰამად ჰასან-ხან ეთემად ოს-სალთანე (ჰაჯი ალი-ხან ფარაშბაშის ვაჟი), განგებ აყალბებენ სინამდვილეს, როდესაც აღნიშნავენ, რომ მირზა თაყი-ხანი გარდაიცვალაო (რეზა ყოლი-ხან ჰედაიათი, როუზათ ოს-საფაიე ნასერი, ტ. X, გვ. 500; მოჰამად ჰასან-ხან ეთემად ოს-სალთანე, მირათ ალ-ბულდანე ნასერი, ტ. II, გვ. 101); არასწორ ცნობას იძლევა აგრეთვე იმ პერიოდის ნახევრად ოფიციალური გაზეთი „რუზნამეიე ვაყაიეიე ეთეფაყიე“ (1268 წლის 23 რაბი ოლ-ავალის ნომერი). იხ. ხ ა ნ მ ა ლ ე ქ ს ა ს ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12, 13.

მირზა თაყი-ხანის მკვლელობის შემდეგ თანდათანობით დავიწყებას მიეცა მისი რეფორმები, კერძოდ, სამხედრო რეფორმა. ამირე ნეზამის თითქმის ერთადერთი სამხედრო ღონისძიება, რომელმაც მყარად მოიკიდა ფეხი ირანის არმიაში, „ბონიჩეს“ სარეკრუტო სისტემის შემოღება წარმოადგენდა. ამ სისტემამ, ერთგვარი სახეცვლილებით, ყაჯართა მმართველობის დასასრულამდე იარსება.

მოაკლდა რა ამირე ნეზამის მზრუნველი ხელი, ირანის არმია დაცემის გზას დაადგა. ამის ძირითადი მიზეზი, ისევე როგორც მთლიანად სამხედრო რეფორმის წარუმატებლობისა, იმაში მდგომარეობდა, რომ სამხედრო რეფორმა მირზა თაყი-ხანის პირადი ინიციატივის შედეგი იყო და არა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური ფაქტორებით გამოწვეული. მისი რეფორმების სოციალური საფუძველი (მემამულე-მიწათმფლობელთა და ვაჭართა კლასები) ჯერ კიდევ სუსტი და უუფლებო იყო.

# პ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

ჯემალ შარაშენიძე

## ურის III დინასტიის ეპოქის დროინდელი ერთი ლურსმული ფირფიტა

თბილისელი მოქალაქის ლევან მუჯირის კერძო კოლექციაში აღმოჩნდა ურის III დინასტიის (ძვ. წ. 2132—2024 წწ.) დროინდელი თიხის ფირფიტა შუმერულ ენაზე შესრულებული ლურსმული ტექსტით[1].

ფირფიტა დამზადებულია ღია ყავისფერი თიხისაგან. იგი გამომწვარია, რის გამოც ტექსტი თითქმის დაუზიანებლადაა მოღწეული: ამოტეხილია მხოლოდ წინა მხარის ქვედა მარჯვენა კუთხის მცირე სიდიდის ზედაპირი. დამარილიანების გამო ოდნავ დაზიანებულია აგრეთვე პირველი სტრიქონის შუა ნაწილიც. ზომები ასეთია: 107×48×26 მ. ფირფიტა, ჩანს, მომდინარეობს უმადან[2]. იგი დათარიღებულია მეფე ამარსუენას (ძვ. წ. 2064—2056 წწ.) ზეობის მეოთხე წლით.

ტექსტი, რომელიც შეიცავს 42 სტრიქონს, ნაწერია ურის III დინასტიის ეპოქისათვის დამახასიათებელი სუფთა, გარკვეული კალიგრაფიით. 26—28-ე სტრიქონების მეორე ნახევარი შევსებულია დიდი სიზუსტით შესრულებული მიკროსკოპიული ზომის ნიშნებით, რომელთა მსგავსიც შეიძლება შეგვხვდეს ამ ეპოქის დროინდელი დოკუმენტებიდან მხოლოდ ე. წ. „ელჩთა ქვითრების“ ტექსტებში[3].

თავისი შინაარსით დოკუმენტი წარმოადგენს შემოსავლის ანგარიშს[4]. მასში ლაპარაკია სახელმწიფო საწყობის მიერ სხვადასხვა პირებისაგან, უნდა ვიფიქროთ ვაჭრებისაგან, არომატული (šim) ნივთიერებების (substances odoriferantes) შესყიდვის შესახებ.

---

[1] ფირფიტის გამოქვეყნების უფლება თავაზიანად დაგვითმო მისმა მფლობელმა — ლ. მუჯირმა, რისთვისაც — ულრმეს მადლობას მოვახსენებთ.

აქვე გვინდა მადლიერების გრძნობით აღვნიშნოთ, რომ პირველი ცნობები ფირფიტის შესახებ მოგვაწოდა არქეოლოგმა ოთარ ლამბაშიძემ.

[2] ამ მხრივ საყურადღებოა ფირფიტის ფერი. ღია ყავისფერი თიხა, რომლისაგანაც დამზადებულია იგი, გვხვდება მხოლოდ ქალაქ უმასა და მის მიდამოებში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მისი ანალოგიური შინაარსის მქონე ყველა ტექსტი მომდინარეობს სწორედ უმადან, მათ შორის კი ერთ-ერთი, კერძოდ, TCL V, 6162, რომლის მოკლე ვარიანტს წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტი (ამ საკითხზე ვრცლად იხ. ქვემოთ), განეკუთვნება უმას არქივს. ყოველივე აღნიშნული უეჭველს უნდა ხდიდეს ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტის ქალაქ უმადან წარმომავლობას.

[3] თვალსაჩინოებისათვის იხ. Ник., II, 347—370.

[4] დასკვნით 41-ე სტრიქონში გვხვდება ასეთი ტერმინი: zi-ga bal-a „საშუალედო გასავალი“ (თარგმანის შესახებ დაწვრილებით იხ. ტექსტის კომენტარებში). მაგრამ ამ შემთხვევაში გასავლის ქვეშ იგულისხმება მხოლოდ ის ვერცხლი (სულ 1/3 მინა 5/6 სიკლი და 3 შე, სტრქ. 40), რომელიც საწყობმა გადაიხადა შემოსული საქონლის საფასურის სახით. ეს ვერცხლი დაწესებულებას, რა თქმა უნდა, გასავლის ანგარიშში შეაქვს.

არომატული ნივთიერებები შუმერულში აღინიშნებოდა ტერმინით šim აქადურად *riqqu* („სურნელოვნება, არომატული ნივთიერება, ესენცია")[5], რომლის ქვეშაც ძირითადად იგულისხმებოდა მცენარეული და ბალახოვანი სურნელოვანი ნივთიერებები[6]. ისინი ძირითადად გამოიყენებოდა საპარფიუმერიო[7] და სამედიცინო საქმეში[8]. მათზე დიდი მოთხოვნილება იყო აგრეთვე ტაძრების მხრივაც, სადაც სხვადასხვა სახის არომატული ნივთიერებისაგან ამზადებდნენ საკულტო რიტუალების დროს სახმარ სურნელოვან ნაზავებს[9].

არომატული ნივთიერებები შუამდინარეთისათვის საიმპორტო საქონელს წარმოადგენდა. იგი შემოჰქონდათ ძირითადად ზაგროსის მთიანეთიდან და მცი-

[5] ŠL 11,215:3; MEA, 215; MSL III, გვ. 102:68; AHw, გვ. 988.

[6] ეს ტერმინი, როგორც ირკვევა, იხმარებოდა აგრეთვე ველის სურნელოვანი მცენარეების (ალბათ, ვარდების—šim—gána, (იხ. UDTP, 41:14; TCL V, 6042, I 24, III 2; SETU, 282: 13; TCL V, 6162 II 16; წინამდებარე ტექსტი, სტრ. 8), არომატული მარადმწვანე ხე-მცენარეებისა და მათი ნაღვენთების აღმნიშვნელი სახელების დეტერმინატივის მნიშვნელობით (შეად. MSL V, გვ. 100:92—103—103:125).

[7] UDTP, 41; TCL V, 6042. მითითებული დოკუმენტები წარმოადგენენ სურნელოვანი ნაზავის დღეისათვის ცნობილ უძველეს შუმერულ რეცეპტებს (შეად. OrSP 15 (1925), გვ. 56; „Babyloniaca" VIII 1 (1924), გვ. 49). მათში ჩამოთვლილი სხვადასხვა სახის šim ნივთიერებების გარკვეული წონითი რაოდენობით ურთიერთ შერევის გზით მიიღებოდა „სურნელოვანი ნამზადი" (šim—dù-a). ძველბაბილონური და ასურული ხანის დროინდელი ანალოგიური საპარაფიუმერიო რეცეპტების შესახებ იხ. E. Ebeling, Parfümrezepte und kultische Texte aus Assur, Rom, 1950 (აღნიშნული გამოცემა ჩვენთვის, სამწუხაროდ, ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა).

[8] წამლების დასამზადებლად šim ნივთიერებათა გამოყენების შესახებ ძველ შუამდინარეთში ვრცლად იხ. DAB, გვ. 259 შმდ. დაახლოებით ძვ. წ. XXIII ს-ის დროინდელ ერთ შუმერულ ფარმაკოპიულ ტექსტში, რომელიც წარმოადგენს სამედიცინო რეცეპტების კრებულს, მითითებულია ამა თუ იმ სახის šim ნივთიერება šimsi—[...], სტრ. 83; šimmar-gu-zi „ზმირინი", სტრ. 95) როგორც ზოგიერთი შინაგანი და გარეგანი წამლის შემადგენელი აუცილებელი კომპონენტი (იხ. M. Civil, Prescriptions médicales sumériennes RA 54 (1960), გვ. 57—72). მოხსენიებული ტექსტის შესახებ ვრცლად იხ. С. Н. Крамер, История начинается в Шумере, М., 1965, გვ. 71—78.

[9] საკულტო-სარიტუალო საქმეში šim ნივთიერებათა გამოყენების ფაქტს გვიდასტურებს სათანადო წყაროები. ლაგაშის ენსის ურუინიმგინას (ძვ. წ. XXIV ს.) რეფორმების ტექსტში ერთ ადგილას ნათქვამია: „(წინათ) თუ ვინმე თავზე(?) წაისვამდა ზეთიან ŠIMxSIG₇-ს, ...აბგალი /იღებდა/ 1 სიკლ /ვერცხლს/". (იხ. E. Sollberger, Corpus inscriptions „royales" presargoniques de Lagaš, Genève, 1956, გვ. 53, Urg. 6. II, 11', 29'—30'; ტრანსლიტერაცია და თარგმანი იხ. SAKI, გვ. 55; OrSP 2, /1920/, გვ. 10; И. М. Дьяконов, Реформы Урукагины в Лагаше, ВДИ, № 1, გვ. 28 /II/, §14/. ტერმინი ŠI MxSIG₇ (იკითხება šembi, იხ. MSL, IX, გვ. 151:72), აქად. *egu*, ითარგმნება როგორც „სურმის პასტა" (იხ. HAM I, გვ. 123; AHw, გვ. 191 *egu* II; ბ. ლანდსბერგერი თარგმნის როგორც „მწვანე გრიმი, პასტა—grüne Schminke", იხ. MSL III, გვ. 102:72). მასში ერთ-ერთ კომპონენტად შედის სწორედ šim ნივთიერება. მოცემულ შემთხვევაში მითითებული ნაზავის საკულტო-სარიტუალო საქმეში გამოყენებაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ სათანადო გასამრჯელოს ამღებად აქ იხსენიება ქურუმთა წრის ერთ-ერთი წარმომადგენელი აბგალი (მისი პირდაპირი თარგმანია „მცოდნე", იხ. ŠL II, 87:54; MEA, 87; AHw, გვ 58; RA 50/1956/, გვ. 184).

ლაგაშის ცნობილი ენსი გუდეა (ძვ. წ. XXII ს-ის II ნახ.) თავის სააღმშენებლო წარწერებში გვამცნობს, რომ ღვთაება ნინგირსუსადმი აღვლენილი ლოცვის დროს ახლადაგებულ ენინუს ტაძარში საგანგებოდ წვავს კედრის ხის სურნელოვან ნაღვენთს (šim-erena) (იხ. Cyl. A VIII 11, XIII 27, XX 20; თარგმანი იხ. SAHG, გვ. 145, 151, 157). რელიგიურ ცერემონიალებში არომატული ნივთიერების გამოყენების შესახებ იხ. აგრეთვე: E. Dhorme, Les religions de Babylonie et d'Assyrie, Paris, 1949, გვ. 222.

რე აზიიდან. ამიტომაცაა, რომ ეს ნივთიერებები ყოველთვის ზუსტი წონითი რაოდენობით და ფასის მითითებითაა ფიქსირებული სახელმწიფოს სავაჭრო საქმიანობის აგენტების — თამქარებისაგან (dam-gàr-e-ne) მიღებული საქონლის საანგარიშო საბუთებში (ni-ka -ag)[10]. აქედან გამომდინარე სავსებით გასაგებია ის გარემოება, რომ წინამდებარე დოკუმენტშიც, როგორც საიმპორტო šim ნივთიერებების საშემოსავლო საბუთში, სკრუპულოზურადაა მითითებული ცალკეული ნივთიერების წონა და ფასი[11].

წინამდებარე დოკუმენტში გვხვდება შემდეგი სახის არომატული ნივთიერებები (ქვემოთ მათ განვიხილავთ ტექსტში მოხსენიების თანამიმდევრობით):

**1.** šim, *riqqu* (სტრ. 1). მისი ზოგადი მნიშვნელობა, როგორც აღვნიშნეთ, არის: „სურნელოვნება, არომატული ნივთიერება, ესენცია, ფისი“. კონკრეტულად თუ რა სახის ნივთიერება იგულისხმება ამ ტერმინის ქვეშ, ამის დადგენა ჭირს[12]. წინამდებარე დოკუმენტში იგი ნახმარია სხვადასხვა სახის მცენარეული არომატული ნივთიერების დეტერმინატივის მნიშვნელობითაც.

**2.** zi, zi(d), *imnu* (სტრ. 2) „კარგი; ნამდვილი“[13]. ეს ზედსართავი სახელი ზოგჯერ გვხვდება šim დეტერმინატივითაც[14]. ასეთ შემთხვევაში იგი ითარგმნება როგორც „კარგი (ხარისხის) ფისი, სურნელოვანი ნივთიერება, კარგი ესენცია“[15]. წინამდებარე დოკუმენტში, ისევე როგორც მისი ანალოგიური შინაარსის მქონე სხვა ტექსტებშიც[16] ეს ტერმინი გვხვდება დეტერმინატივის გარეშე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაგულისხმევ შემთხვევებშიც zi(d) ტერმინი არაა ნახმარი „კარგი (ხარისხის) ესენციის, ფისის, სურნელოვანი ნივთიერების“ მნიშვნელობით[17].

---

10 STA, 1,22,23; TCL V, 5680, 6037, 6162; YOS IV, 295; AOS XXXII, C 23, ტაბ. III; MOS XVI, 122.

11 ფასი ჩვეულებრივ ვერცხლზე გაანგარიშებითაა მითითებული, წონითი რაოდენობა კი გამოხატულია როგორც წონითი ერთეულებით (მინა, სიკლი, შე), ავრეთვე საწყაო ერთეულითაც (სილა). ეს გარემოება გარკვეული მნიშვნელობის მქონეა ამა თუ იმ ნივთიერების ნაირგვარობის დასადგენად.

12 ძველ შუმერულ-აქადურ სილაბარებში იგი შეტანილია ხის აღმნიშვნელი დეტერმინატივით — $^{giš}$-šim (იხ. MSL V, გვ. 103 : 125), რაც იმაზე მიუთითებს, რომ šim ტერმინის ქვეშ ნაგულისხმევი ნივთიერება, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ხე-მცენარეს. ამაზე, როგორც აღნიშნავს კ. თომპსონი, უნდა მიგვანიშნებდეს ის ფაქტიც, რომ giš-šim და šim ტერმინების აქადური შესატყვისი *riqqu* უკავშირდება არაბულ სიტყვას rawiϑaqa „დაწმენდა, გამჭვირვალედ გახდომა“ და მისგან ნაწარმოებ არსებით სახელებს rawuk „ფილტრი“ ანდა raiq „ამა თუ იმ ნივთიერების საუკეთესო ხარისხი“. თუ გავითვალისწინებთ ჩვენთვის საინტერესო ტერმინის giš დეტერმინატივით დაწერილობას, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ šim, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავდა იმ ნივთიერებას, რომელიც გარკვეული ჯიშის ხე მცენარეებიდან გამოიყოფებოდა, გამოიღვენთებოდა (შეად. DAB, გვ. 335—337). ამდენად, ვფიქრობთ, სწორი უნდა იყოს ასეთი თარგმანი: „(მცენარის) ნაღვენთი, ფისი“ (შეად. DAB, გვ. 336).

13 MEA, 8'; ŠL II, 84:119; SP, გვ. 433.

14 MOS XVI, 122 V 19, VII 9; 131 III 7. šim-zi (და არა šim-gi, როგორც წერს გ. რაისნერი) აღნიშნულ ტექსტში იხსენიება სხვა არომატულ ნივთიერებებთან ერთად.

15 Cyl. A XXII 5, XXVII 9,24 (ა. ფალკენშტეინი თარგმნის როგორც „rechte Wohlgeruch, gute Essenze“, იხ. SAHG, გვ. 159, 164).

16 SETU, 282:1; ITT I, 1433 : 4 (მითითებული ტექსტების ტრანსლიტერაციებში ავტორები აკეთებენ არაზუსტ ტრანსლიტერაციას — gi „ლერწამი“); YOS IV, 295:5; STA, 1 I:26; TCL V, 6162 II 12, 18.

17 რამდენადაც წინამდებარე დოკუმენტის პირველსავე სტრიქონში გვხვდება ტერმინი šim, მომდევნო ორ სტრიქონში მას მწერალი გრაფიკულად აღარ იმეორებს, რადგან გუ-

**8**. še-li, *kirkiranu* (სტრ. 3) „ფიჭვის თესლი"[18]. ტერმინი ზოგჯერ გვხვდება šim დეტერმინატივითაც[19]. როგორც სურნელოვანი ნამზადის (šim dù-a) ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, მითითებულია ზემოხსენებული



სურ. 1. წინა მხარე.

საპარფიუმერიო ნაწარმის რეცეპტებში[20]. გვიანდელი ცნობები მიუთითებენ, რომ თაფლში შენახულ ფიჭვის თესლს იყენებდნენ კულინარიაშიც ტკბილი დესერტების დასამზადებლად[21].

ლისხმობს, რომ იგი დეტერმინატივის მნიშვნელობით თავისთავად იგულისხმება სათანადო ადგილას. მსგავს შემთხვევებს ხშირად აქვს ადგილი შუმერულ სამეურნეო ტექსტებში.

[18] DAB, გვ. 261; AHw, გვ. 475; MEA, 367.

[19] DAB, გვ. 261; იხ. აგრეთვე: MEA, 215; MSL V, გვ. 101:100—101, გვ. 141:20.

[20] UDTP, 41:13; TCL V, 6012 I 15, III 3.

[21] DAB, გვ. 261. წინამდებარე დოკუმენტში მოხსენიებულია აგრეთვე თაფლიც — làl (იხ. სტრ. 14; შეად. TCL V, 6162 II 23). ფიჭვის თესლთან კავშირში ერთ და იმავე დოკუმენტში თაფლის მოხსენიებას შეიძლება გარკვეული მნიშვნელობაც კი ჰქონდეს.

**4.** šim-gam-gam-ma, *kukru* (სტრქ. 7). „ნაძვის ნალვენთი; სკიპიდარი“[22]. შუმერულ ტექსტებში დამოწმებულია მისი სხვანაირი დაწერილობა: šim-ku$_7$-ku$_7$, šim-gùg-gùg. და šim-gam-gam-ma//šim-gam-ma[23]. მას ძირითადად იყენებდნენ სამკურნალო საქმეში[24], ხმარობდნენ პარფიუმერიაშიც[25].

5. šim—gána (სტრქ. 8). მისი აქადური შესატყვისი დღემდე გამოვლენილ ძველ შუმერულ-აქადურ ლექსიკონებში დამოწმებული არაა. ამდენად შეიძლება




სურ. 2. უკანა მხარე

ზუსტი არ იქნეს ჩვენი ამგვარი თარგმანი: „ველის სურნელოვანი (მცენარე), ვარდი/?/“. თარგმანი ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ ტერმინის შემადგენელი მეორე

[22] MEA. 215; AHw. გვ. 501; SETU. 218:3; DAB. გვ. 262.

[23] DAB. გვ. 262; AOS XXXII, გვ. 138; MEA 215.

[24] დაწვრილებით იხ. DAB. გვ. 263—264.

[25] AOS XXXII, გვ. 255; TCL V, 6042 III 4.

ნაწილი — gána, *eqlu* — შეესატყვისება „ველი, მინდორი“[26]. აღნიშნული ნივთიერება ფართოდ გამოიყენებოდა საპარფიუმერიო საქმეში[27].

6. šim-gu-$_4$-ku-ru (სტრქ. 9). ტერმინის აქადური თარგმანი უცნობია. მის ქვეშ ნაგულისხმევი ნივთიერება იხსენიება საპარფიუმერიო ნაზავის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად[28].



სურ. 3. წინა მხარე.

7. šim-ḫá, *urû* (სტრქ. 19)[29]. მნიშვნელობა არაა ცნობილი. იგი რომელიღაც არომატული მცენარის ან მისი ნაყოფის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა იყოს[30].

[26] ŠL II,105 I 3; MEA, 105; MSL III, გვ. 123:307.

[27] UDTP, 41:14; TCL V, 6042 I 14, III 2; შეად. ŠL II, 215:41.

[28] UDTP, 41:15; TCL V, 6042 I 17, III 5; შეად. ŠL II, 297:119; AOS XXXII, გვ. 255. იგი გვხვდება šim დეტერმინატივის გარეშედაც (იხ. TCL V, 5680 II 29; 6042 I 17, III 5; 6162 IV 6; STA, 22 II 23; 23, II 9).

[29] ძველ შუმერულ-აქადურ სილაბარებში ეს ტერმინი გვხვდება giš დეტერმინატივით — $^{giš}$šim-ḫá (ვარ. $^{giš}$šim-UD-a, იხ. MSL V, გვ. 102. შნშ. 109), რომლის აქადური შესატყვისია *urû* (იხ. MSL V, გვ. 102:109). ამ უკანასკნელის მნიშვნელობა ჯერჯერობით უცნობია. ქ. თომპსონი ფიქრობს, რომ იგი შეიძლება მომდინარეობდეს ფუძიდან — *arû* „ტყორცნა, გასროლა; გამოყვანა“ (იხ. DAB, გვ. 336).

[30] შეად. TCA, 89:5, შნშ. 15.

წინამდებარე ტექსტის მონაცემები გვარწმუნებენ, რომ მასში მოხსენიებული კიდევ ერთი ჯგუფი ტერმინებისა (eren, li) ნახმარია შესაბამისი მცენარეების („კედარი“, „ფიჭვი“) სურნელოვანი ნალვენთის მნიშვნელობით.



სურ. 4. უკანა მხარე.

8. eren, *erenu*, *erennu* (სტრქ. 16) „კედარი“[31]. მოცემული ტერმინი ხის აღმნიშვნელი დეტერმინატივით (giš) ან მის გარეშე იხმარება როგორც კედრის ხე-მცენარის, ასევე მისი ნალვენთის აღსანიშნავად[32]. ყოველ კონკრე-

[31] SL II, 541:2; MEA. 541; CAD 4, გვ. 274; MSL III, გვ. 112:173; DAB, გვ. 258.

[32] შეად. TML, გვ. 1; A. Falkenstein, ZA 55 /1962/, გვ. 253. ა. ფალკენშტეინი სათანადო დოკუმენტის კონტექსტის მონაცემების გათვალისწინებით ტერმინს $^{giš}$eren თარგმნის როგორც „კედრის (ნალვენთი)“. მის მიერ გარჩეულ ტექსტში წერია: 22$^2/_3$ ma-na $^{giš}$eren „22$^2/_3$ მინა (დაახლ. 13 კგ) კედრის (ნალვენთი“). ჩვეულებრივ, ასეთი მცირე წონითი რაოდენობის შემთხვევაში გამორიცხულია, რომ ლაპარაკი იყოს კედრის ხე-მცენარეზე. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორი გრაფიკული გაფორმების მქონე ტერმინით იქნება გადმოცემული eren ნივთიერება—giš დეტერმინატივით თუ მის გარეშე.

ტულ შემთხვევაში ეს უნდა გაირკვეს კონტექსტის მონაცემებით. წინამდებარე დოკუმენტში, ეჭვს გარეშეა, eren ტერმინის ქვეშ იგულისხმება სწორედ „კედრის ნალვენთი, ტერპენტინი“[33], რაზედაც მიგვანიშნებს მითითებული ნივთიერების ძალზე მცირე წონითი რაოდენობა — სულ ერთი მინა.

**9.** li, *burāšu* (სტრქ. 21) „ფიჭვი“[34]. ტერმინი გვხვდება ორი სახის დეტერმინატივით giš-li, რაც უმთავრესად ფიჭვის ხე-მცენარეს გულისხმობს და šim-li, რომელიც საკუთრივ „ფიჭვის ნალვენთის, ტერპენტინის“ მნიშვნელობით იხმარებოდა. ეს უკანასკნელი ძველი შუამდინარეთის სამედიცინო ტექსტებში ხშირადაა მითითებული, როგორც სხვადასხვა ავადმყოფობის სამკურნალო საშუალება ანდა ასეთი საშუალების დასამზადებლად საჭირო ნივთიერება[35]. წინამდებარე დოკუმენტში რომ სწორედ ფიჭვის ნალვენთი იგულისხმება და არა თვით ფიჭვის ხე-მცენარე, მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ტექსტში მითითებულია მისი წონითი რაოდენობა და ისიც ძალზე მცირე — სულ ნახევარი მინა (დაახლ. 250 გრ).

როგორც უკვე იყო აღნიშნული, აქ განხილული არომატული ნივთიერებების წონით რაოდენობასთან ერთად წინამდებარე დოკუმენტში მითითებულია მათი ფასიც ვერცხლზე გაანგარიშებით. ანალოგიური შინაარსის მქონე დოკუმენტების მონაცემები ცხადყოფს, რომ ეს ფასი, როგორც მოსალოდნელია, მერყეობს გარკვეულ ფარგლებში, რაც, უეჭველია, აღნიშნულ საიმპორტო ნივთიერებებზე მოთხოვნა-მიწოდების ცვალებადობით იყო ძირითადში გაპირობებული. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ წარმოვადგენთ სათანადო მასალას დაახლოებით 25 წლის ფარგლებში დათარიღებული საბუთებიდან[36]:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| šim: | 1 | მინა[37] | ღირდა | 30-დან 90-მდე | შე ვერცხლი[38]. |
| eren: | 1 | „ | „ | 18-დან 175-მდე | „ „ [39] |
| zi (d): | 1 | „ | „ | 6-დან 35-მდე | „ „ [40] |

[33] ამ მნიშვნელობით eren ტერმინის ხმარებისას ზოგ შემთხვევაში მას უმატებდნენ šim დეტერმინატივსაც (šim-eren, იხ. Stat. B XI 7; Cyl. A VIII 11, XIII 27, XX 20; AOS XXXII, D 1).

[34] ŠL II, 59:2; MEA, 59; MSL V, გვ. 101:97; DAB, გვ. 258.

[35] დაწვრილებით იხ. DAB, გვ. 258—259.

[36] ჩვენ მიერ მოხმობილი დოკუმენტებიდან ყველაზე ადრეულია MOS XVI, 122, რომელიც თარიღდება შულგის მეფობის 38-ე წლით (ძვ. წ. 2074 წ.), ხოლო ყველაზე გვიანდელი — TCL V, 6037—შედგენილია შუსუენას მეფობის მე-6 წელს (ძვ. წ. 2049 წ.).

[37] აქ მოტანილ საილუსტრაციო მასალასა და წინამდებარე ტექსტში გვხვდება შუმერული წონისა და წყვის შემდეგი ერთეულები:

წონის ერთეულები:

| | |
|---|---|
| še, *še'u* | „(ქერის) მარცვალი“=46,75 მგ |
| gín, *šiqlu* | „სიკლი“=180 შე=8;4 გ |
| ma-na, *manu* | „მინა“=60 სიკლს=505 გ |

საწყაო ერთეულები:

| | |
|---|---|
| še, *še'u* | „(ქერის) „მარცვალი“=1/20 სიკლი |
| gín, *šiqlu* | „სიკლი“=1/60 სილა |
| sìla, qa | =0,842 ლ (იხ. HAM I, გვ. 290—291). |

[38] STA, 22 II 15—16; TCL V, 6162 III 14—15; 5680 II 7—8; MOS XVI, 122 VIII 3—4; YOS IV, 295:7—8.

[39] TCL V, 6162 III 16; 5680 V 27—28, I 21—22, IV 30—31; 6037 IX 6—7, IV 11—12; YOS IV, 295:1—2; STA, 1 I 18—19.

[40] MOS XVI, 122 V 13—VI 1, VII 6—7; STA, 1 I 26—27; 22 II 17—18; 23 II 7—8; TCL V, 6162 III 17—18; YOS IV, 295:5—6; TCL V, 5680 II 5—6.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| šе-li: | 1 | სილა | „ | 30-დან | 90-მდე | „ | „ [41] |
| šim-gána: | 1 | „ | „ | 12-დან | 24-მდე | „ | „ [42] |
| šim-ḫá: | 1 | „ | „ | 3-დან | 18-მდე | „ | „ [43] |
| šim-gam-gam-ma: | 1 | „ | „ | 2-დან | 6-მდე | „ | „ [44] |
| šim-gu$_4$-ku-ru: | 1 | „ | „ | 2-დან | 3-მდე | „ | „ [45] |
| li: | 3 გური[46] 120 სილა ღირდა 1 სიკლი ვერცხლი[47] | | | | | | |

ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტში წარმოდგენილი ფასები აქ ჩამოთვლილი ნივთიერებებისა ემთხვევა მისი ანალოგიური შინაარსის მქონე დოკუმენტების აქვე მოტანილ კალკულაციურ მონაცემებს იმდენად, რომ მათ შორის რაიმე არსებითი ხასიათის განსხვავება არ შეიმჩნევა. მისი მონაცემები, კერძოდ, ასეთია:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| šim: | $31^1/_2$ მინა ღირს 6 სიკლი 24 შე ვერცხლი | | | | (სტრ. 27) |
| | | | | | — 1 მინა ღირს≈35 შე |
| eren: | 1 | „ | | 18 „ „ | (სტრ. 26) |
| zi (d): | 8 | „ | 1/3 „ | 24 „ „ | (სტრ. 33) |
| | | | | | — 1 მინა ღირს 10,5 შე |
| šе-li: | 21 სილა და 10 სიკლი ღირს $4^1/_6$ სიკლი 12 შე ვერცხლი | | | | (სტრ. 28) |
| | | | | | — 1 სილა ღირს≈35 შე |
| šim-gána: | 6 სილა ღირს 1/2 სიკლი 18 შე ვერცხლი | | | | (სტრ. 31) |
| | | | | | — 1 სილა ღირს 18 შე |
| šim-ḫá: | 12 | „ | 1/6 | 6 „ „ | (სტრ. 36). |
| šim-gam-gam-ma: | 12 | „ | 1/6 | 6 „ „ | (სტრ. 32) |
| | | | | | — 1 სილა ღირს 3 შე |
| šim-gu$_4$-ku-ru | $10^2/_3$ „ | „ | 1/6 | „ 2 „ „ | (სტრ. 29—30) |
| | | | | | — 1 სილა ღირს 2,5 შე[48] |

დასასრულს რამდენიმე სიტყვით შევეხებით წინამდებარე დოკუმენტის TCL V, 6162-თან მიმართების საკითხს.

ეს ორი საბუთი ძალზე ჰგავს ერთმანეთს — მთელი რიგი სტრიქონები ემთხვევა ურთიერთს. ორივე დოკუმენტის მონაცემებით სათანადო სახელმწიფო დაწესებულება ერთი და იმავე პირებისაგან ყიდულობს არომატულ ნივთიერებებს, რომელთა წონითი რაოდენობა და ფასი ორივეგან ერთი და იგი-

[41] YOS IV, 293:9—10; TCL V, 5680 II 23—24; 6162 IV 1—2; STA, 1 II 12, III 23—24; 23 II 11—12.

[42] STA, 22 II 19—20; 1 II 14—15, III 21—22; TCL V, 6162 II 19—20; 5680 II 21—22.

[43] TCL V, 6162 IV 4—5; 5680 VII 10—11; V 5—6, VI 9—10, VII 3—4; 6037 VII 1—2, IX 28—29.

[44] TCL V, 6037 IX 20—21; 6162 III 8—9, IV 8—9; 5680 II 27—28; STA, I II 15—16; 22 II 21—22; 23 II 13—14.

[45] STA, 23 II 9—10; TCL, V, 6162 IV 6—7; STA, 22 II 23—24; TCL V, 6037 IX 22—23; 5680 II 29—30; MOS XVI, 122 VII 4—5.

[46] 1 გური=300 სილას.

[47] TCL V, 5680 II 25—26.

[48] II ნივთიერების ფასი წინამდებარე დოკუმენტში მითითებული არაა, რაც გამოწვეული უნდა იყოს მისი ძალზე მცირე რაოდენობით (სულ 1/2 სილა, სტრ. 21) და უკიდურესი სიიაფით (შეად. აქვე, გვ. 132).

* წინამდებარე სტატიის რუსულ ვარიანტში, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „Вестник древней истории"-ს 1976 წლის მესამე ნომერში (გვ. 108—120), 108-ე გვერდზე ზემოდან მე-17 სტრიქონში დაბეჭდილია შეცდომით: „счет расхода". უნდა იყოს: „счет дохода" (ჯ. შ.).

ვეა; ორივე დოკუმენტში გვხვდება ზუსტად ერთნაირი ტერმინოლოგია; ორივე საბუთი შედგენილია ამარსუენას მეფობის მეოთხე წელს (ძვ. წ. 2060 წ.). განსხვავება მათ შორის მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებშია, კერძოდ, TCL V, 6162 უფრო ვრცელია (სულ 90 სტრიქონი), ვიდრე ჩვენი დოკუმენტი. ამ უკანასკნელში არ გვხვდება TCL V, 6162-ში წარმოდგენილი შესავალი, რომელშიც ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის ნივთიერებების შესასყიდად საჭირო ვერცხლზე პასუხისმგებელი თანამდებობის (gìri) პირთა სახელები. ჩვენს დოკუმენტში არაა აგრეთვე მოხსენიებული ზოგიერთი ის ნივთიერება, რომელიც შეტანილია TCL V, 6162-ში (sum-si-è, šim-gaz, IM-babbar, ku-mul და ზოგიერთი სხვაც). TCL V, 6162 IV 22-ე სტრიქონში მითითებულია, რომ დოკუმენტი წარმოადგენს „ვაჭარ საგქუს ანგარიშს" (nì-$ka_9$-ag Šag-$ku_6$ dam-gàr). ეს ფრაზა ჩვენს დოკუმენტში არ გვხვდება. შეიმჩნევა სხვა უმნიშვნელო განსხვავებაც, მაგრამ გაცილებით მეტია მსგავსება, ურთიერთ დამთხვევა, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ჩვენი დოკუმენტი წარმოადგენს TCL V, 6162-ის მოკლე ვარიანტს (იხ. აქვე, ტექსტის კომენტარები, შენ. 29).

ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენი დოკუმენტის ტრანსლიტერაციასა და თარგმანს კომენტარებითურთ.

### წინა მხარე

| | |
|---|---|
| 1 ma-⌊na⌋ šim[1] | 1 მინა ფისი[2], |
| 1 ma-na zi[3] | 1 მინა კარგი ესენცია, |
| 1 sìla še-li | 1 სილა ფიჭვის თესლი[4], |
| é-uzù-ga | (სამსხვერპლო ცხოველების) სასუქი სახლისათვის[5] (განკუთვნილი)[6]. |
| 20 lal[7] 1 lú-šim | 19 პარფიუმერი[8], 1 1/2 მინა ფისი |
| $1\frac{1}{2}$ ma-na šim-ta | თითოეულზე[9], |
| $\frac{1}{2}$ sìla še-li-ta[10] | 1/2 სილა ფიჭვის თესლი თითოეულზე[11]. |
| 12 sìla šim-gam-gam-ma | 12 სილა ნაძვის ნალექნთი, |
| 6 sìla šim-gána | 6 სილა ვარდი (?), |
| $10\frac{2}{3}$ sìla šim-$gu_4$-ku-ru | 10 2/3 სილა .........., |
| 7 ma-na zi | 7 მინა კარგი ესენცია, |
| $9\frac{2}{3}$ sìla še-li | 9 2/3 სილა ფიჭვის თესლი, |
| ì a-KA-lugala[12] | მეფის კეფაზე წასასმელად (განკუთვნილი)[13], |
| 10 (sìla) geštin-babbar | 10 (სილა) თეთრი ღვინო[14], |
| 15 sìla làl | 15 სილა თაფლი[15], |
| ki[16] — Ur-$^d$Šakana[17] | ურ-შაქანასაგან; |
| 1 ma-na eren nì-dib[18] | 1 მინა კედრის (ნალექნთი), განკუთვნილი |
| maš-šu- [g]íd-gíd | მისნისათვის[19], |
| 2 ma-na ši [m...] | 2 მინა [. . . ფი]სი, |
| 1 sìla še-li nì [-dib ...] | 1 სილა ფიჭვის თესლი გან[კუთვნილი...] |
| 10 (sìla) šim-ḫá n[ì(?)-dib ...] | 10 (სილა) . . . გან[კუთვნილი. . .] |
| 2 sìla ši[m- ...] | 2 სილა [. . . ფი]სი, |

უკ. მხ.

| | |
|---|---|
| 1/2 sìla l[i][20] ki-Mur$_7$-te-lá-lí[21] | 1/2 სილა ფიჭვის (ნაღვენთი), მურთელალისაგან; |
| 5 sìla ì-nun 10 (sìla) zú-l[um] | 5 სილა კარაქი, 10 (სილა) ფინიკი, |
| 3 sìla ga-sag$_{xx}$(DU+*gunû*)[22] 2 sìla geštin-babbr | 3 სილა კარგი ხარისხის ყველი, 2 სილა თეთრი ღვინო, |
| ki-$^{d}$EN.ZU-( )[23] | სუენ-< >გან. |
| ŠU+NIGIN[24] 1 ma-na eren kù-bi 18 še | სულ: 1 მინა კედრის (ნაღვენთი), ვერცხლი მისი 18 შე, |
| ŠU+NIGIN 31 1/2 ma-na šim kù-bi 6 gín 24 še | სულ: 31 1/2 მინა ფისი, ვერცხლი მისი 6 სიკლი 24 შე, |
| ŠU+NIGIN 21 sìla 10 gín še-li kù-bi 4 gín igi-6-ğae[25] 12 še | სულ: 21 სილა 10 სიკლი ფიჭვის თესლი, ვერცხლი მისი 4 1/6 სიკლი 12 შე, |
| ŠU+NIGIN 10 2/3 sìla šim-gu$_4$-ku-ru | სულ: 10 2/3 სილა ..., |
| kù-bi igi-6-gál 2 še | ვერცხლი მისი 1/6 (სიკლი) 2 შე, |
| ŠU+NIGIN 6 sìla šim-gána kù-bi 1/2 gín 18 še | სულ: 6 სილა ვარდი (?), ვერცხლი მისი 1/2 სიკლი 18 შე, |
| ŠU+NIGIN 12 sìla šim-gam-gam-ma kù-bi igi-6-gál 6 še | სულ: 12 სილა ნაძვის ნაღვენთი ვერცხლი მისი 1/6 (სიკლი) 6 შე, |
| ŠU+NIGIN 8 ma-na zi kù-bi 1/3 gín 24 še | სულ: 8 მინა კარგი ესენცია, ვერცხლი მისი 1/3 მინა 24 შე, |
| ŠU+NIGIN 15 sìla làl kù-bi 7 1/2 gín | სულ: 15 სილა თაფლი, ვერცხლი მისი 7 1/2 სიკლი, |
| ŠU+NIGIN 12 sìla geštin-babbar kù-bi igi-6-gál 16 še | სულ: 12 სილა თეთრი ღვინო, ვერცხლი მისი 1/6 (სიკლი) 16 შე, |
| ŠU+NIGIN 12 sìla šim-ḫá kù-bi igi-6-gál 6 še | სულ: 12 სილა. . . , ვერცხლი მისი 1/6 (სიკლი) 6 შე, |
| ŠU+NIGIN 5 sìla ì-nun kù-bi 1/2 gín | სულ: 5 სილა კარაქი, ვერცხლი მისი 1/2 სიკლი[26], |
| ŠU+NIGIN 10 (sìla) zú-lum kù-bi 4 še | სულ: 10 (სილა) ფინიკი, ვერცხლი მისი 4 შე[27], |
| ŠU+NIGIN 3 sìla ga-sag$_{xx}$ (UD+*gunû*) kù-bi 3 še | სულ: 3 სილა კარგი ხარისხის ყველი, ვერცხლი მისი 3 შე, |
| Š[U+N]IGIN 1/3 ma-na 5/6 gín 3 še kù-babbar | მთ[ლი]ანად: 1/3 მინა 5/6 სიკლი 3 შე ვერცხლი, |
| zi-ga bal-a[28] | საშუალედო გასავალი[29]. |

მარცხენა გვერდზე:

| | |
|---|---|
| mu En-maḫ-gal-an-na[30] ba-ḫun | წელი, (როცა) ენმახგალანა ხელდასმულ იქნა. |

## ტექსტის კომენტარები

1 დამოწმებულია ამგვარი სილაბური დაწერილობა: še-im (იხ. ŠL II. 215:3; MSL III გვ. 102:68; IX. გვ. 151:68). (ცნობილია აგრეთვე ასეთი ვარიანტული დაწერილობაც: ši-im (იხ. MSL III. გვ. 102, შნშ. 68; IX. გვ. 153, შნშ. 68). ტრანსლიტერაციის დროს და ფონეტიკური წაკითხვისას ჩვენ ვარჩევთ šim ფორმას (შეად. MSL IX. გვ. 151:68; AOS XXXII. გვ. 255; NG III. გვ. 162; BTM გვ. 24 (III 3—4); CAD 4, გვ. 277. c; DAB. გვ. 336; BIN V. გვ. 16; SP. გვ. 413; SETU. 282:2—3; ITT I. 1433:1, (გვ. 28 და სხვები). მკვლევართა ერთი ნაწილი ხმარობს მეორე ფორმას—šem (იხ. MEA. 215; R. J e s t i n. La verbe sumérien I. Paris. 1943. გვ. 97; II. 1946. გვ. 241, 272).

2 მკვლევართა ერთი ნაწილი šim ტერმინს ყველა შემთხვევაში თარგმნის ზოგადად ასე: „კეთილსურნელოვნება; სურნელოვანი მცენარე; არომატი, სურნელოვნება" (იხ. ŠL II. 215:3; MEA. 215; MSL III. გვ. 102:68; შეად. AOS XXXII. გვ. 225). ვ. ზოდენი ტერმინის აქადურ შესატყვისს *riqqu* უკავშირებს ებრაულ სიტყვას reqah (იხ. AHw. გვ. 988) მნიშვნელობით; „არომატი; საცხი, პომადა". აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით იგი ტერმინს *riqqu* თარგმნის როგორც „სურნელოვანი ნივთიერება; არომატული მცენარე". ეს მნიშვნელობები šim ტერმინისათვის ერთობ ზოგადია, მით უმეტეს წინამდებარე ტექსტში, სადაც იგი ერთ-ერთი განსაზღვრული სახის არომატული ნივთიერების მნიშვნელობითაა ნახმარი. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი თარგმნა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ამგვარად: „ფისი, არომატული მცენარეების ნალევენთი" (შეად. DAB, გვ. 336, დაწერილებით იხ. აქვე, შნშ. 12).

3 ჩვენთვის ცნობილი დოკუმენტებიდან, სადაც კი ეს ნივთიერება იხსენიება (იხ. აქვე, შნშ. 14 და 40), ერთადერთ სწორ ტრანსლიტერაციასა (zi, (šem)-zid) და თარგმანს იძლევა მხოლოდ ა. ფალკენშტეინი (თარგმანის შესახებ იხ. აქვე, შნშ. 15; ტრანსლიტერაცია: Anor 28, გვ. 60).

Читатель может судить о том, что книга М. А. Дандамаева посвящена исследованию и характеристике нововавилонских рабов, как определенного, четко очерченного сословия. В IV главе (о зависимых социальных группах) мысль автора вращается опять-таки в рамках представлений о сословиях. И только в «Заключении», в самом конце, автор рецензируемого труда задается вопросом о классовой структуре нововавилонского общества и делает попытку соотнести классовую структуру с сословной. Оказывается, что они далеко не совпадают. Так, например, представители сословия рабов оказываются во всех трех классах, и в эксплуататорском, и в среднем, и в эксплуатируемом, правда, в основном в последнем, частично во втором, и лишь в малой степени — в первом, но все-таки во всех трех. И наоборот, сословие полноправных граждан также питает ряды всех трех классов. После такой констатации, по нашему мнению, совершенно естественной, правильно ли говорить, как это делает несколько раз автор, о «противоречии между юридическим и фактическим положением» части рабов? Противоречие было бы снято, если бы вместо слов «юридический» и «фактический» автор сказал бы «сословный» и «классовый». Ведь как бы ни различалось сословное и классовое положение одного и того же лица — это не может вызвать удивления вследствие поразительной способности сословий к самым причудливым формам развития и приспособления к классовому строю об-

щества. Нам кажется, что задавшись исключительно целью исследования сословия рабов, М. А. Дандамаев несколько позже, чем вопрос того заслуживает, обращается к классовой структуре общества.

Именно это обстоятельство приводит автора монографии к реальному противоречию в толковании понятия «раб». Как было отмечено выше, М. А. Дандамаев выступает против расширенного толкования этого термина. Однако анализируя данные письменных источников, он, фактически, часто придерживается именно расширенного значения указанного термина. Иначе нельзя понять его высказывания о том, что рабы были, например, рабовладельцами (стр. 219), и, что самое главное, эксплуататорами (стр. 387 и др.) — они эксплуатировали труд других, в том числе и свободных (стр. 388); «рабы действовали как свободные», пишет М. А. Дандамаев (стр. 387), по его мнению, они **свободно распоряжались** землей, домами и движимым имуществом (стр. 219) и т. д. (см. также выше).

Само собой разумеется, если человек **свободно распоряжался** движимым и недвижимым имуществом (а это означает, что он ими свободно и пользовался), если он действовал как свободное лицо, являясь и эксплуататором, то в отношении такого человека трудно сказать, что он был вещью и полной собственностью какого-либо хозяина (стр. 50, 381). По всей вероятности, в таких случаях мы имеем дело с людьми, находившимися в более легкой форме зависимости, чем рабство. Во всем этом явно сказывается недостаточное внимание автора монографии к соотношению понятий «сословие» и «класс».

Тут же следует остановиться на одном вопросе, как мы полагаем, не совсем точно поставленном в монографии. Согласно М. А. Дандамаеву, рабы и зависимые составляли разные категории людей. Зависимые люди, по его мнению, были лишены средств производства, находились в личной зависимости отдельных лиц, не считались рабами, они не были полной собственностью своих господ (стр. 381), составляя социальные группы между свободными и рабами. Однако до сих пор широко было известно, что рабство — это только одна из форм зависимости.

В поздневавилонских документах разного содержания употреблен, как отмечалось выше, целый ряд терминов, обозначающих людей, часто находившихся в рабском состоянии. Такими являются термины *ardu* (женск. *amtu*), т. е. „раб, слуга, подчиненный, подданный, несвободный"; *qallu* (женск. *qallatu*), обозначает „слугу, прислугу, служанку, раба"; *amelūtu*, термин собирательного значения—„люди; мужчины; рабы"; *aštapīru*—„челядь" (шум. и хетт. SAG. GEMÉ. $IR^{MEŠ}$ „головы рабынь и рабов"); *niš bīti* — дословно, „люди дома"; *mār bīti* —„сын дома"; *širku*, *lamūtānu*, *ṣaḫiru* и другие. В разных словарях ассиро-вавилонского языка интересующие нас термины объясняются по-разному.

Рассматривая поздневавилонские тексты, М. А. Дандамаев всегда и везде переводит эти термины только как «раб», что кажется нам не совсем оправданным. Полагаем, что было бы гораздо лучше, если бы М. А. Дандамаев все перечисленные выше термины перевел дословно, а в комментариях указал бы, что лицо, которое подразумевалось в том или ином термине, по известным причинам (купля-продажа, заклад и т. д.) находилось в рабском состоянии. Такое отношение к указанным выше терминам тем более необходимо при переводе, что многие из них (напр., *ardu*, *amelūtu*, *qallu* или *aštapīru*), как правильно замечает М. А. Дандамаев, применялись не только для обозначения рабов, но и для обозначения юридически свободных лиц (стр. 57—58, 60—63 и др.) и лиц, находящихся в форме зависимости, отличной от рабства. В основном они употреблены для обозначения зависимых людей разных категорий. Избранный же автором рецензируемой монографии путь стирает различия между этими категориями, существование которых столь важно для восстановления истинной социальной картины Вавилонии VII—IV вв. до н. э.

Проблема рабства тесно переплетается с проблемой выяснения социально-экономической структуры того или иного общества. Это — общеизвестно. Степень же развития рабства в какой-либо стране безусловно имеет важную роль для определения социально-экономического характера данного общества. Подводя итоги глубокого анализа письменных источников, М. А. Дан-

дамаев приходит к общим выводам, что: в поздней Вавилонии «в целом рабов насчитывалось в несколько раз меньше, чем свободных и зависимых» (стр. 381, см. также выше); нет данных о применении труда частновладельческих рабов в сельском хозяйстве или рабский труд находил здесь ограниченное применение; в храмовых хозяйствах рабы не могли удовлетворять все запросы экономики (стр. 383); нет сведений о применении рабского труда в царском земледельческом хозяйстве, так как царские земли сдавались в аренду; рабский труд не играл решающей роли в сельском хозяйстве (стр. 384); долговое рабство было незначительным (стр. 386); в латифундиях, или ремесленных мастерских, основанных на рабском труде, не было больших скоплений рабов (стр. 389); основой хозяйства в стране был труд свободных, а рабство стало изживать себя (стр. 390) и т. д. (см. выше).

По мнению М. А. Дандамаева, после всего отмеченного все же подлежит выяснению, оставалась ли поздняя Вавилония на ранней ступени развития рабовладельческой формации, «или надо считать, что социальная структура Вавилонии I тысячелетия должна рассматриваться просто как характерная для иного, особого пути развития **этой же самой формации** (разрядка наша, — Г. Г.), пути, на котором страна достигла достаточно высокого этапа эволюции» (стр. 390).

Учитывая многие моменты социально-экономического характера, успешно изучаемые М. А. Дандамаевым в других его работах, и исходя из вышеприведенного, автор конечно мог сделать соответствующие выводы о социально-экономической структуре вавилонского общества. Однако он этого не делает. Надеемся, что интересующая нас проблема в недалеком будущем будет решена самим М. А. Дандамаевым.

Нам кажутся не бесспорными следующие вопросы общетеоретического характера[1].

На стр. 27—28 М. А. Дандамаев пишет: «Если не считать специфики развития, характерного для капитализма с присущими ему непрерывным потрясением основ производства и их обновлением, в остальных отношениях вряд ли можно установить какие-либо закономерности, отличающие Восток от докапиталистических стран Запада».

Получается, что до эпохи капитализма развитие Востока и Запада шло одним путем, и только при капитализме появились определенные различия между ними.

Нам кажется, что дело обстояло как раз наоборот: именно до капиталистической эпохи между Востоком и Западом имелись существенные различия и, прежде всего, в социальной структуре общества, что определяло своеобразие путей развития и, в конечном итоге, привело к утверждению о существовании самостоятельных восточной и западной «цивилизаций». Именно эти различия и породнили термин Маркса — «азиатский способ производства». При этом хотелось бы указать, что в последнее время прав гражданства в науке начинает добиваться еще одно понятие — понятие об «африканском способе производства».

До тех пор, пока азиатские и африканские общества остаются не исследованными до конца, можно говорить лишь о негативном смысле этих понятий — речь, по-видимому, идет о социальном развитии, резко отличном от европейского.

Отсюда в какой-то мере оправдано существование таких понятий как «восточное рабство», «восточный феодализм», «восточный деспотизм» и т. д. Термины, рожденные в ходе изучения европейской цивилизации, переносятся на чуждую ей азиатскую почву. Факт, что Восток не всегда укладывался в схему равзития, характерную для европейских стран, и породил представление о застойном характере восточного общества. Кто знает, быть может, с точки зрения «восточного миропонимания» Европа также выглядела застойной, ибо до определенного момента пути развития ее резко отличались от восточных.

Таким образом, нам кажется, что до капиталистической эпохи пути развития Востока и Запада существенно отличались друг от друга, чем и объясняется появление марксистского понятия об «азиатском способе

[1] Я здесь оспариваю лишь те положения М. А. Дандамаева, на абсолютную истину которых ни он, ни я не можем претендовать. Как показали широкие дискуссии по рассмотренным ниже вопросам, все это спорно в современной науке вообще — Э. М.

производства». Только капитализм был первой общественно-экономической формацией, вызывавшей эти различия. Капитализм, несомненно, — первая глобальная общественно-экономическая формация, породившая представление об едином и неделимом мире.

В силу всего этого мы не можем согласиться с вышеприведенным положением автора рецензируемого исследования.

К предыдущему замечанию непосредственно примыкает и следующее. Речь идет о классовом составе вавилонского общества (и не только вавилонского).

Всем своим исследованием М. А. Дандамаев доказал, что социальная структура древневосточных обществ резко отличалась от общества античного. Более того, он ясно показывает, что социальное развитие на Востоке отнюдь не вело к возникновению здесь античных форм рабства, что здесь мы имеем дело со взаимным проникновением различных социальных структур в восточно-иерархическое общество. Вот, пожалуй, основная специфика «восточного общества»: здесь нет классов в «европейском» понимании этого термина. Здесь царит, так сказать, совершенно иная обстановка, которую Маркс и Энгельс определяли как состояние «поголовного рабства».

И тем не менее автор в конце книги воздает должное «европейской схеме» и совершенно бездоказательно говорит о наличии в вавилонском обществе трех классов (см. стр. 388—389).

Когда мы говорим о различии между Востоком и Западом, мы разумеется, имеем в виду, что и там и здесь люди имели одинаковые потребности, стремились получить блага от природы, приобрести собственность и т. д. При этом и там и здесь они вступали в производственные отношения, порождали состояние угнетения, эксплуатации и т. д. Природа человека и человеческого общества в основе своей едина, но когда мы идем дальше этого, скажем, в область классовой структуры и социальных взаимоотношений, то, несомненно, сталкиваемся с понятиями «Запад» и «Восток», которые приобретают различный социальный оттенок.

Все сказанное выше никак не затрагивает основных достоинств рецензируемой нами книги. В самом деле, после сделанной «на глазок» работы Мендельсона о рабстве на древнем Ближнем Востоке и некоторых других, построенных лишь на частичном использовании материала, появился труд М. А. Дандамаева, который заменяет наши отрывочные, во многом эпизодические и пунктирные представления о нововавилонском рабстве цельной и жизненной картиной, охватывающей все стороны быта рабов.

Научное значение большого труда М. А. Дандамаева далеко выходит за пределы изучения рабства собственно Вавилонии. Как итог важного этапа работы, он несомненно окажет влияние на исследовательскую мысль специалистов по другим странам древнего мира. Для ассириологов эта ценная монография будет служить солиднейшей основой дальнейших исследований.

Г. Г. ГИОРГАДЗЕ
Э. А. МЕНАБДЕ
Г. Х. САРКИСЯН

# ქრონიკა და ინფორმაცია

## ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავი

### საიუბილეო სხდომა

9 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ხსოვნის პატივსაცემად შეიკრიბნენ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები, სტუდენტი ახალგაზრდობა.

სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები პ. გილაშვილი, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ჟ. შარტავა, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი, მთავრობის საიუბილეო რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ი. ვეკუა, საიუბილეო კომისიის წევრები, მეცნიერთა დელეგაციების ხელმძღვანელები, უცხოელი სტუმრები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

მოხსენება ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა ივანე ჯავახიშვილის სახელოვანი ცხოვრების გზაზე, მის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ხელმძღვანელობით ქართული ისტორიოგრაფია მსოფლიო ისტორიული მეცნიერების დონემდე ამაღლდა.

სიტყვები წარმოთქვეს და ქართული კულტურისა და მეცნიერების წინაშე ივანე ჯავახიშვილის დიდ დამსახურებაზე ისაუბრეს უხუცესმა ქართველმა მეცნიერმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. შანიძემ, სახელმწიფო ერმიტაჟის დირექტორმა აკადემიკოსმა ბ. პიოტროვსკიმ, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. იოანისიანმა, ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქართველოლოგმა მ. იშტვანოვიჩმა, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსმა მდივანმა ს. სუმბათ-ზადემ, დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ა. აბილოვმა, ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. სართაევმა, ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. აშუროვმა, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. კურტანიძემ, თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა დ. ჩხიკვიშვილმა.

საიუბილეო სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი საქართველოს ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით.

### გაერთიანებული სამეცნიერო სესია

ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც 7—8 ოქტომბერს ჩატარდა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

ქართველ მკვლევრებთან ერთად სესიაზე მოხსენებები წარმოადგინეს მოსკოველმა, ლენინგრადელმა და ერევნელმა მეცნიერებმა.

მოხსენებათა ერთი ნაწილი ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს ეხებოდა. მათში ნაჩვენები იყო დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სრულიად განსაკუთრებული ღვაწლი ქართული ისტორიოგრაფიისა და, საერთოდ, ქართველოლოგიის განვითარების საქმეში. ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლისადმი მიძღვნილი მოხსენებები წაიკითხეს პროფ. მ. ლორთქიფანიძემ — „ივ. ჯავახიშვილი და ქართული ისტორიოგრაფია“, აკად. არნ. ჩიქობავამ — „ივ. ჯავახიშვილი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, აკა-

დემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. სურგულაძემ — „ივ. ჯავახიშვილის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. კიკნაძემ — „ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. ნოვოსელცევმა (მოსკოვი) — „ივ. ჯავახიშვილი და უძველესი წერილობითი წყაროების შესწავლის მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი“, პროფ. ზ. ანჩაბაძემ — „კავკასიის მთიელ ხალხთა ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი ივ. ჯავახიშვილის შრომებში“, პროფ. ო. ლორთქიფანიძემ — „ივ. ჯავახიშვილი და ახალი ქართული არქეოლოგია“, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. მეტრეველმა — „1902 წ. სინის მთის ექსპედიციის მნიშვნელობა ქართველოლოგიის განვითარებისათვის“, აკად. ა. ბარამიძემ — „ივ. ჯავახიშვილი — ქართული ლიტერატურის მკვლევარი“, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ქ. ლომთათიძემ — „ივ. ჯავახიშვილი ქართული ენის ლექსიკის ისტორიის საკითხები“.

სესიის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს აგრეთვე მოხსენებები აკად. ს. ერემიანისა (ერევანი), რომელშიც განხილული იყო ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობათა ისტორია სასანურ ირანთან III საუკუნეში, პროფ. აბაევის (მოსკოვი) — „სიტყვათა ისტორიიდან“, აკად. ბ. პიოტროვსკის (ლენინგრადი) — „კავკასიის და ხმელთაშუაზღვისპირეთის კავშირები ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში“, პროფ. ბ. პუტილოვის (ლენინგრადი) — „ქართველი ფოლკლორისტების წვლილი ფოლკლორის შედარებით შესწავლაში“, აკად. თ. გამყრელიძის — „დამატებითობის პრინციპი“ და ენობრივი ნიშნის პირობითობის პრობლემა“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის რ. ორბელისა (ლენინგრადი) — „ულუღბეგის თხზულების ქართული თარგმანი — XVIII ს-ის ქართული კულტურის ძეგლი“.

სესიას ესწრებოდნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან და უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები, გამოჩენილი ქართველი მეცნიერები.

საიუბილეო სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

## ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია

ა. წ. 16—18 ივნისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მოეწყო ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

მოხსენებათა ერთი ნაწილი უშუალოდ ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლას ეხებოდა, ხოლო სხვა დანარჩენ მოხსენებებში საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხი იყო გაშუქებული.

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა აკად. გ. მელიქიშვილმა.

პროფ. მ. დუმბაძემ წაიკითხა მოხსენება „ივანე ჯავახიშვილის ისტორიულ-ფილოსოფიურ შეხედულებათა შესახებ“. მომხსენებელმა დაახასიათა ივ. ჯავახიშვილის ისტორიულ-ფილოსოფიური შეხედულებანი მისი შემოქმედების პირველ პერიოდში (1898—1912 წწ.). მომხსენებლის აზრით, ივ. ჯავახიშვილმა იმპერიალიზმის ეპოქის საისტორიო სკოლებისა და მიმდინარეობათაგან კვლევის მოწინავე მეთოდები აითვისა, ის ძირითადად მატერიალისტური პოზიციებიდან ხსნიდა მოვლენებს. მეცნიერი ცნობდა კანონზომიერებას ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში და საისტორიო დისციპლინის მეცნიერულ ღირსებებს იცავდა. ივ. ჯავახიშვილი არ ეთანხმებოდა მათ, ვინც ისტორიის საგნად ფაქტოგრაფიას მიიჩნევდა და თვლიდა, რომ იგი ფილოსოფიური და სოციოლოგიური განზოგადების გარეშე ვერ წარმოიდგინებოდა. ივ. ჯავახიშვილი ისტორიოგრაფიაში პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელი იყო.

ისტ. მეცნ. კანდიდატმა გ. ჯამბურიამ წაიკითხა მოხსენება — „ივანე ჯავახიშვილი წოდებრივი ბრძოლის შესახებ“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ივ. ჯავახიშვილმა თავისი მეცნიერული შემოქმედების ერთ-ერთ ამოცანად დაისახა წოდებრივი და კლასობრივი ბრძოლის ისტორიის შესწავლა. აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილი წოდებრივ ბრძოლაში არა მარტო კლასობრივ, არამედ შინაკლასობრივ ბრძოლასაც გულისხმობდა. მისი აზრით, წოდებრივი და კლასობრივი ბრძო-

ლა ყველა ხალხისათვის დამახასიათებელია. ამ საკითხის შესწავლას ივ. ჯავახიშვილმა სამი სპეციალური ნაშრომი უძღვნა, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს და სომხეთის წოდებათა და წოდებრივი ბრძოლის ისტორიის შესწავლის საქმეში.

ისტ. მეცნ. კანდიდატის ლ. ტუხაშვილის მოხსენების თემა იყო „ივანე ჯავახიშვილი ქართული ფეოდალური მონარქიის დაცემის მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების შესახებ". მომხსენებელი ასაბუთებდა, რომ ივ. ჯავახიშვილი ქართული ფეოდალური მონარქიის აღზევება-განვითარებისა და დასუსტების საფუძვლების გარკვევისას სხვა ძირითადი მოვლენების პარალელურად ყურადღებას აქცევდა ე. წ. მორალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებსაც. ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოს აღმავლობის პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა მმართველი წრეების მორალურმა პასუხისმგებლობამ, რთული პოლიტიკური სიტუაციების დროს საერო-ეროვნული პრობლემების წინ წამოწევამ და ა. შ. სამაგიეროდ, მონარქიის დასუსტების ერთ-ერთ მიზეზად ივ. ჯავახიშვილი თვლიდა საპირისპირო მოვლენებს: ერთიანობის შეგნების შესუსტებას, მმართველი ფენების მორალურ დაქვეითებას, ეროვნული საკითხის მოუგვარებლობას, ხალხის ფართო მასების გულგრილობას, იმედგაცრუებას და ა. შ.

ისტ. მეცნ. კანდიდატმა დ. მუსხელიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიული გეოგრაფია". მოხსენებაში ნაჩვენები იყო ის დიდი წვლილი, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კვლევაში შეიტანა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ივ. ჯავახიშვილი სწავლობდა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ყველა ასპექტს და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მეცნიერი საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემების გარკვევისათვის ყურადღებას აქცევდა საქართველოს ისტორიულ-ეკონომიური გეოგრაფიის საკითხებს.

პროფ. მ. აბდუშელიშვილმა წარმოადგინა მოხსენება „ივანე ჯავახიშვილი და ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორიის საკითხები". მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილი ანთროპოლოგიას ეთნოგენეტიკური კვლევის საქმეში.

სამეცნიერო სესიამ მოისმინა აგრეთვე მოხსენებები პროფ. პ. რატიანის „აბუსერის ძე ტბელის ისტორიული თხზულება და მისი მნიშვნელობა ქართულ ისტორიოგრაფიაში", ისტ. მეცნ. დოქტორის თ. პაპუაშვილის „წანართა ვინაობის საკითხისათვის (ვარდან დიდის ერთი ცნობის კრიტიკული განხილვის ცდა)", ისტ. მეცნ. კანდიდატის ე. გუჩუას „პეტავიუსის ერას გამოყენების კვალი ქართულ ისტორიულ წყაროებში", ისტ. მეცნ. კანდიდატის რ. კიკნაძის „ეგარსლან ბაკურციხელი", ისტ. მეცნ. დოქტორის ნ. შენგელიას „მცირე აზიის სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში", ისტ. მეცნ. კანდიდატების ნ. ხაზარაძისა და გ. ცქიტიშვილის „მცირე აზიასთან იბერიის კულტურული ურთიერთობის საკითხისათვის ძვ. წ. IV საუკუნეში", ისტ. მეცნ. კანდიდატის თ. ენუქიძის „საელჩო" გამოსაღების საკითხისათვის XIV ს. საქართველოში", პროფ. ი. ანთელავას „ერეკლე II-ის 1765 წ. კანონი ტყვეყოფილთა შესახებ", ისტ. მეცნ. დოქტორის ა. ბენდიანიშვილის „ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან XIX ს. 80—90-იანი წლების მიჯნაზე", ისტ. მეცნ. კანდიდატის ე. ორჯონიკიძის „ფეოდალური რენტის ფორმები და მიწის იჯარა XIX ს. რეფორმამდელი ხანის საქართველოში".

სესიის მუშაობა შეაჯამა აკად. გ. მელიქიშვილმა.

**ილია ანთელავა**

## სამეცნიერო სესია ერევანში

30 სექტემბერს ერევანში ჩატარდა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელიც მოიწვიეს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებმა და მესროპ მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტმა — მატენადარანმა.

სესია გახსნა მატენადარანის დირექტორმა აკად. ლ. ხაჩიკიანმა, რომელმაც ხაზი გაუსვა ივ. ჯავახიშვილის დიდ წვლილს სომხეთის ისტორიისა და ძველი სომხური საისტორიო მწერლობის შესწავლის საქმეში.

მოხსენება ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა აკად. ს. ერემიანმა. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა პ. მურადიანმა თავისი მოხსენება მიუძღვნა ივ. ჯავახიშვილის ღვაწლს არმენისტიკის განვითარებაში. იურიდიულ მეცნერებათა კანდიდატმა

ხ. ტოროსიანმა ისაუბრა ივ. ჯავახიშვილზე როგორც სომხური სამართლისა და სოციალურ ურთიერთობათა ისტორიის მკვლევარზე. ქართველი მეცნიერის ფართო სამეცნიერო ინტერესებსა და ენციკლოპედიურ ცოდნაზე ილაპარაკა უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. მარქარიანმა.

სესიაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი პროფ. მ. დუმბაძე.

სამეცნიერო საიუბილეო სესიის მუშაობა შეაჯამა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსმა მდივანმა ც. აღაიანმა.

## საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

1976 წლის 12—20 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური სესია, მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი.

სესია გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა აკად. გ. მელიქიშვილმა. მან ილაპარაკა იმ დიდ წვლილზე, რომელიც მიუძღვის ივ. ჯავახიშვილს საქართველოს არქეოლოგიის განვითარებაში. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ალ. კალანდაძემ წაიკითხა მოხსენება: „ივ. ჯავახიშვილი მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კონსულტანტი". მან მოხსენებაში ფაქტიური მასალით დაასაბუთა თუ რაოდენ დიდი მუშაობა ჩაატარა ივ. ჯავახიშვილმა, როგორც მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა. ექსპერტთა კომისიის (საკონსულტაციო საბჭოს) თავმჯდომარემ და საგანგებოდ შექმნილი მთავრობის კომისიის წევრმა ივ. ჯავახიშვილმა თავისი მაღალკვალიფიციური რჩევადარიგებით ფასდაუდებელი სამსახური, გაუწია მცხეთა-სამთავროს გათხრა-შესწავლას, რამაც აქაური დიდძალი არქეოლოგიური მონაპოვარი ჩვენი ქვეყნის ძველი ისტორიის პირველხარისხოვან წყაროდ აქცია. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ჯაფარიძემ მოხსენება „ივ. ჯავახიშვილი და შუასაუკუნეების არქეოლოგია" მიუძღვნა ივ. ჯავახიშვილს, რომელმაც საქართველოში პირველმა ჩაუყარა საფუძველი შუასაუკუნეების არქეოლოგიას. მის სახელთან არის დაკავშირებული ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის დასაწყისი და განვითარება. შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის მუზეუმში დირექტორად მუშაობის დროს „ვეფხისტყაოსნის" საიუბილეო 750 წლისთავის მზადებისა და გამოფენის მოწყობის პერიოდში ივ. ჯავახიშვილმა დაგეგმა შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების, საერო მონუმენტური ნაგებობების, იმდროინდელი წყალსადენებისა და საირიგაციო ძეგლების არქეოლოგიური შესწავლა. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულმა ექსპედიციებმა ბოლნისში, დმანისში, გეგუთში, სხალტბა-შიომღვიმეში (1202 წ. წყალსადენის გათხრა-შესწავლისა), მეცნიერებას შესძინეს ამ ხანის მანამდე სრულიად უცნობი მასალები. ივ. ჯავახიშვილმა სულ მოკლე დროში გამოავლინა რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი და მათი შესწავლა მეცნიერების ყურადღების ცენტრში დააყენა. მისივე დახმარებით განხორციელდა გუდარეხის სამოსახლოსა და ძველი ანაგის ძეგლების გათხრები. ივ. ჯავახიშვილის დიდი მუშაობის შედეგად გაიზარდა ინტერესი ფეოდალური საქართველოს მდიდარი არქეოლოგიური ძეგლების და განათხარი მასალის შესწავლისადმი.

პროფ. ო. ლორთქიფანიძემ მოხსენებაში „არქეოლოგია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტში, ვრცლად ილაპარაკა ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის ძირითად შედეგებზე. მან სთქვა, რომ უკანასკნელ წლებში მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებები, აღმოჩენილია ნივთიერი კულტურის მრავალი პირველხარისხოვანი ძეგლი, რომელთა შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერის ისტორიისათვის.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ცქიტიშვილმა, თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ივ. ჯავახიშვილს თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „საქართველოს ეკონომიური ისტორია" გამოთქმული ჰქონდა მოსაზრება, რომლის თანახმად, ისეთი ვაზის ჯიშები, რომელთა სახელები გარეგნული ნიშანთვისებების გამომსახველია — ქართველ მეურნეს ჩვ. წ. აღრიცხვამდე რამოდენიმე საუკუნით ადრე უნდა მოეშენებინა. უკანასკნელ წლებში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილმა ყურძნის წიპწებმა ივ. ჯავახიშვილის მიერ ლინგვისტური ანალიზით მიღებული ეს დასკვნა დაადასტურა.

მოგონებით — „საქართველოს არქეოლოგიის საწყის ეტაპზე, რომლის სათავეში ივ. ჯავახიშვილი იდგა", გამოვიდა პროფ. გ. გოზალიშვილი. ამ სესიაზე არქეოლოგები წარსდგნენ 1975 წ. ჩატარებული საველე-არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშებით. მოხსენებით „არქეოლოგიური სამუშაოები მდ. წყალწითელას ხეობაში" გამოვიდა მ. ნიორაძე. საანგარიშო წელს სამუშაოები გაგრძელდა სოფ. გოდოგანში (თერჯოლის რაიონი), მდ. წყალწითელას ხეობის კარსტულ მღვიმეებში და საკაჟიას მღვიმეში. აქ გათხრები მიმდინარეობდა მღვიმის წინა მოედანზე. გამოვლენილ იქნა 4 ფენა. საკაჟიას მღვიმის ქვედაპალეოლითური ფენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს მუსტიეს ეპოქის ადამიანის ზედა ყბის დიდი ფრაგმენტი, კარგად შენახული კბილებით. აკად. ლ. გაბუნიას წინასწარი განსაზღვრით ნაშთები ნეანდერტალოიდს უნდა ეკუთვნოდეს. ამგვარად, აქ საქმე გვაქვს დიდმნიშვნელოვან პალეანთროპოლოგიურ მონაპოვართან.

დ. თუშაბრამიშვილის მოხსენება მიეძღვნა ყვირილისა და ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგებს. გაგრძელდა გათხრები ძუძუანის მღვიმეში. საძიებო სამუშაოები ჩატარდა ორთვალა კლდის მღვიმეში. აქ მოპოვებული ქვის მასალა, წინასწარულად, თარიღდება ტიპიური მუსტიეს განვითარებული და გვიანი საფეხურით. რაჭის ქედზე, ძირითადად ჭიათურის რაიონის ტერიტორიის ფარგლებში, ექსპედიციამ გამოავლინა აშელურ-მუსტიეური ხანის ღია ტიპის ათასამდე ძეგლი. აგრეთვე გაგრძელდა ცუცხვათის (ტყიბულის რაიონი) მრავალსართულიან მღვიმეთა კომპლექსის შესწავლა. სტრატიგრაფიულ ჭრილში ფიქსირებულია 23 ფენა. ჭრილში წარმოდგენილია გვიანი და ადრებრინჯაო ენეოლითური ხანის ფენები. ზედაპალეოლითური (?) ფენა და ხუთი მუსტიეური ფენა.

შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ნ. ბერძენიშვილი, ლ. წერეთელი) საანგარიშო წელს ძირითადი სამუშაოები ჩაატარა მდ. კოდორის ხეობაში აფიანჩას (კეპბალაზის) მღვიმეში. გაითხარა 40 მ² ფართობი; გამოვლენილია ორი კულტურული ფენა — ნეოლითური და მეზოლითური. თითოეულ კულტურულ ფენაში აღმოჩენილია ერთ დონეზე განლაგებული ორ-ორი კერა. არქეოლოგიური მასალა ძირითადად კერების გარშემოა თავმოყრილი.

ალ. კალანდაძის, კ. კალანდაძის, მოხსენება მიეძღვნა ქუთაისის მხარის ქვის ხანის შემსწავლელი ექსპედიციის წყალტუბოს რაზმის მუშაობის შედეგებს. ძირითადი ყურადღება დაეთმო წყალტუბოს რაიონის სოფ. ხომულთან გამოვლენილ თეთრი მღვიმის შემდგომ შესწავლას. გათხრილ იქნა 220 მ² ფართობი. დადგენილ იქნა პალეოლითისა და ენეოლითის ხანის ორი კულტურული ფენა. აღსანიშნავია ენეოლითურ ფენაში სხვა მასალებთან ერთად აღმოჩენილი სპილენძის ისრისპირი. აქვე პალეოლითურ ფენაში ნაპოვნია მღვიმური დათვის 7 თავის ქალა, რომლებიც, როგორც ჩანს, აქ საგანგებოდ ყოფილა მოტანილი.

სამეგრელოს ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ძირითადი შედეგები გაშუქებულ იქნა გ. გრიგოლიას მოხსენებაში. მან აღნიშნა, რომ საანგარიშო წელს გრძელდებოდა ცხაკაიას რაიონის ს. ხორშის ნეოლითური სადგომის შესწავლა. გამოვლენილ იქნა რამოდენიმე კერის ნაშთი.

ტ. ჩუბინიშვილის ანგარიში მიეძღვნა ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ძირითად შედეგებს. არუხლო I-ზე გავლებულ იქნა რამდენიმე თხრილი გამოვლენილ იქნა ენეოლითური ხანის ფენები და გეგმაში წრიული და ოთხკუთხა ნაგებობის ნაშთები, ნახევარმიწურები და სხვა.

სამოსახლო ბორცვების აღმოსავლეთით გაითხარა საგვარეულო სამაროვნის რამოდენიმე ქვაყრილიანი სამარხი.

გ. მირცხულავას მოხსენებაში „ღრმახევისთავის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის მოკლე ანგარიში", განხილული იყო დმანისის რაიონში, სოფ. ვარდისუბანთან მშენებლობის დროს გამოვლენილი ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნისა და ნამოსახლარის გათხრების ძირითადი შედეგები. გათხრილ იქნა მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდის ხუთი სამარხი, ძვ. წ. VIII—VI სს. და ძვ. წ. V—IV სს თარიღდება ექსპედიციის მიერ გათხრილი 19 ქვაყუთი.

ი. წვინარიამ თავის მოხსენებაში „არქეოლოგიური გათხრები გუდაუთის რაიონში ნასოფლარ გუანდრაზე და დაზვერვები სოფ. ოთხარაში", ილაპარაკა ზემოთ აღნიშნულ პუნქტებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ. გუანდრის ნასოფლარის შუა ჰორიზონტის კულტურული ფენები, აქ მოპოვებული მასალის მიხედვით, თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის შუა პერიოდით. გუდაუთის რაიონის სოფ. ოთხარაში აღმოჩნდა მეგალითური კულტურის მრავალფენოვანი ძეგლი. ერთ მიკრორაიონში თავმოყრილია დოლმენური, კრომლეხური და მენჰირისებური ნაგებობები და მრავალრიცხოვანი გორასამარხები.

ლ. წითლანაძემ სესიაზე გამოიტანა მოხსენება „ნარეკვავის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ძირითადი შედეგები". გათხრითი სამუშაოები ორ უბანზე ჩატარდა სოფ. გრემისხევთან და სოფ. მჭადიჯვარში. სოფ. გრემისხევთან გაითხარა ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით დათარიღებული 14 სამარხი.

მიმდინარე წელს კვლავ გაგრძელდა მუშაობა მჭადიჯვრის გორანამოსახლარზე, სადაც შესწავლილ იქნა ძვ. წ. IV ათასწლეულის და ძვ. წ. XIV—X სს კულტურული ფენები.

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში წარმოადგინა კ. ფიცხელაურმა. ექსპედიცია, რომელიც ახალმშენებლობათა ხაზით მუშაობს საველე სამუშაოებს აწარმოებდა შვიდ პუნქტში. ქვის ხანის ძეგლები მრავლად დადასტურდა სოფელ ნუკრიანის მინდვრებში. აქვე გაითხარა ოთხი გორა-სამარხი, რომელთა ნაწილი გაძარცული აღმოჩნდა. ქვაყრილიანი გორა-სამარხები კოლექტიურია და მტკვარ-არაქსის კულტურას განეკუთვნება. ექსპედიციამ ხანგრძლივად იმუშავა სოფელ ნუკრიანის სამხრეთით მდებარე ე. წ. ეაისწყლის ტერიტორიაზე, სადაც გამოვლენილია ბრინჯაო-რკინის ხანის სამი ნამოსახლარი, სამი სამაროვანი და ფეოდალური ხანის ნაქალაქარი.

საანგარიშო წელს დასრულდა ალაზნის ველის დიდი გორასამარხის (№ 1) გათხრა, რომელიც 1973 წელს დაიწყო. ყრილის ქვეშ მდებარე რიყის ქვის მრგვალი საკულტო ნაგებობა ცარიელი აღმოჩნდა. სამარხი ძველადვე იყო გაძარცული. გორასამარხის ხის ნაგებობის საძირკვლიდან აღებული ნიმუშების მიხედვით ამ სამარხის თარიღი ლოს-ანჯელოსის უნივერსიტეტის ოკეანოლოგიურ ლაბორატორიაში განისაზღვრა ძვ. წ. 2170 წლით.

კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიებას მიეძღვნა თ. მიქელაძის მოხსენება. გრძელდებოდა ანაკლიის დიხა-გუძუბა II-ის შესწავლა, რომელიც ერთ გარკვეულ პერიოდს მიეკუთვნება. სოფელ ასკანაში შესწავლილ იქნა, რკინის საწარმოო ნაშთები, რომლებიც ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. ლანჩხუთის რაიონში, სოფ. ნიგვზიანში დაზუსტდა ძვ. წ. VII—VI სამაროვნის საზღვრები, დასრულდა № 1 და № 2 სამარხი ორმოების შესწავლა.

კოლხეთის ექსპედიციის ერთ-ერთ მთავარ ობიექტად კვლავ რჩებოდა სიმაგრის ნამოსახლარი და რიონის მარცხენა ტერასა. აქ გამოვლენილია ძვ. წ. V ს-ის ძელური, თიხით შელესილი ნაგებობების კომპლექსი.

როგორც რ. აბრამიშვილმა აღნიშნა, დიღმის არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს ძირითადად აწარმოებდა დიღმის ველზე, სადაც ითხრებოდა მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ნამოსახლარის ნაშთები, გვიანბრინჯაოადრერკინის ხანის სამაროვანი და ადრეფეოდალური ხანის ნაშთები.

საანგარიშო წელს თრელის სამაროვანზე გაითხარა 21 სამარხი. აღსანიშნავია სამარხი № 115, რომელიც შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს ეკუთვნის. დაზვერვითი სამუშაოები და გათხრები ჩატარდა დიდგორისა და მის შემოგარენში, სადაც გათხრილ იქნა ოთხი გორა-სამარხი. ინვენტარი აღმოჩნდა მხოლოდ № 1 და № 2 ყორღანში. ეს უკანასკნელი მიეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულს, პირველი კი ძვ. წ. XIV ს. თარიღდება. დაზვერვების შედეგად მიკვლეულია ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარები და გორა-სამროვნები.

ო. ლამბაშიძის მოხსენება წარმოადგენდა მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის წინასწარ ანგარიშს. ექსპედიციამ დაასრულა ჩიტახევის სამაროვნის გათხრები. დამტკიცდა ქვედა ფენის სამარხებში დაკრძალვის ნაირგვარი წესის არსებობა. ქვედა ფენის სამარხების ზოგადი თარიღი გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით განისაზღვრა. ზედაფენის ორმოსამარხები კი ადრეანტიკური ხანის ბოლო ეტაპს მიეკუთვნება.

ასპინძის რაიონში, სოფ. ძველში გაითხარა გორა-სამარხი, რომლის ცენტრში აღმოჩნდა დიდრონი ლოდებისაგან, მშრალად ნაგები, სწორკუთხა მოყვანილობის ერთი აკლდამა. ქვედა ფენის სამარხეული ინვენტარი თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურას მიეკუთვნება. ამავე დროს აქ დადასტურებული დაკრძალვის წესი (კოლექტიური სამარხი) გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს შიდაქართლის გორა-სამარხებთან.

სვანეთში ჩატარებული სადაზვერვო არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითადი შედეგების შესახებ ისაუბრა შ. ჩართოლანმა. დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა მესტიის რაიონში, კალასა და ეცერის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე. კალაში, ე. წ. სკაარეშის გორაზე დადასტურდა გვიანბრინჯაოს ხანის, ანტიკური და ფეოდალური ეპოქის ნაგებობების ნაშთები და შესაბამისი კულტურული ფენები. ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებით თარიღდება სოფ. ეცერის დასავლეთ ნაწილში გამოვლენილი გორა-ნამოსახლარი. ნაცროვან ფენაში აღმოჩენილია მარცვლეულის ოთხი ნიმუში (ხორბალი, ჭვავი, ფეტვი და სხვ.).

ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში წარმოადგინა ნ.

თუშიშვილმა. ძირითადი სამუშაოები გრძელდებოდა გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღებულ პალის სამაროვანზე, სადაც გამოვლენილ იქნა 20-ზე მეტი სამარხი: შესწავლილ იქნა ქვის ფილებით გადახურული 8 ინჰუმაციური ორმოსამარხი. სამარხთა დამხრობაში კანონზომიერება არ დასტურდება. მამაკაცები დაკრძალულია მარჯვენა, ხოლო ქალები მარცხენა გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში.

ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი ითხრებოდა სოფ. ხოპისთან, სადაც სინქრონული ნამოსახლარიც არის მიკვლეული.

რ. რამიშვილმა წაიკითხა მოხსენება ჟინვალის კომპლექსური ექსპედიციის მუშაობის შედეგების შესახებ. აქ გრძელდებოდა ადრებრინჯაოს ხანის საკულტო ძეგლის შესწავლა წყალგადამყვანი გვირაბის სათავესთან. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შავპრიალა დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხი, რომელზეც მიძერწილია გველის გამოსახულება.

„მტკვარ-არაქსის“ პერიოდის საყურადღებო ძეგლი — დიდი ნამოსახლარი — აღმოჩნდა სოფ. ქვემო არანისში. სადაზვერვო თხრის შედეგად აღმოჩენილია თიხის მოზრდილი ჭურჭლები, სამფეხილიანი კერის ნაწილები, კაჟის ნამგლისპირები, ძვლის სახვრეტები და სხვა.

სოფ. ქვემო არანისის სამხრეთით ახალი ჟინვალის საშუალო სკოლის სიახლოვეს მიკვლეულია ელინისტური ხანის ნამოსახლარი. გაითხარა სამოსახლო კომპლექსის ერთი ნაწილი, რომელიც ხანძარს გაუნადგურებია. ნაგებობა, რომელსაც მოგრძო სწორკუთხედის ფორმა აქვს, აგებულია ალიზის აგურით რიყის ქვის საძირკველზე. კერამიკიდან აღსანიშნავია სამადლოს ტიპის წითელი საღებავით მოხატული მოზრდილი ქვევრების ფრაგმენტები, კეციისა და ცხენის თიხის ქანდაკებების ფრაგმენტები.

სოფ. არაგვისპირის სამაროვანზე გაითხარა 30 სამარხი, რომელთა დიდი უმეტესობა გვიანარმაზული ხანის ორმოსამარხები იყო. რამდენიმე სამარხი შედარებით მდიდრული აღმოჩნდა და შეიცავდა — ოქროს საყურეების, ოქროსა და ვერცხლის გემიან ბეჭდებს, მინის ჭურჭელს და სხვა.

დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა საკუთრივ ჟინვალის ტერიტორიაზე, სადაც გრძელდებოდა ძველი ნაქალაქარის სხვადასხვა უბნების შესწავლა. ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანზე გათხრილ იქნა XI—XVI სს. რამდენიმე სამარხი.

ჩაძირვის რაიონში, ჟინვალის შემოგარენში დაიწყო კვლევა-ძიება ნასოფლარ „მლევიმეზე“ და ხერთვისის ზონაში „დგვემანის“ დასავლეთით, რომელიც გვიანფეოდალურ ხანაზე ადრეული ჩანს. მათთვის დამახასიათებელია საწნახლების არსებობა, რაც სხვა მასალებთან ერთად („სავაზე“ დანები, ქვევრების ფრაგმენტები) ნათლად მიგვითითებს ჟინვალის მიდამოებში მევენახეობის განვითარებაზე.

ექსპედიციის მიერ შესწავლილ იქნა სამხედრო გზის ზონაში განლაგებული მთელი რიგი არქეოლოგიური ძეგლები.

კავთისხევის ექსპედიციის მუშაობის ანგარიში წაიკითხა გ. ცქიტიშვილმა. გრძელდებოდა „ციხია გორის“ გათხრები. აქ საველე სამუშაოების ძირითადი მიზანი იყო წინა წლებში გამოვლენილი ე. წ. „ტაძრისა“ და № 10 სათავსის გაწმენდის დამთავრება. გამოირკვა, რომ „ტაძრის“ იატაკად გამოყენებული იყო პადრაკულად განლაგებული ხის ძელები. „ტაძარს“ კარი სამხრეთ კედელში ჰქონია გაჭრილი და ზუსტად საკურთხევლის პირდაპირ გამოდიოდა. სათავსის იატაკი თიხის ფენით გადალესილი სიგრძივი ძელებისაგან შედგებოდა. პარალელურად წარმოებდა აღნიშნული ნაგებობების კონსერვაცია-გამაგრება.

„ციხია გორისაგან“, 300 მ დაშორებით, ადგილ „დაჭრილებში“ საანგარიშო წელს გაითხარა 12 ქვევრსამარხი, რომელიც წინასწარი მონაცემებით ძვ. წ. IV—III სს თარიღდება.

„ციხია გორისაგან“ 1 კმ დასავლეთით, ადგილ „ქარსაანთ მიწებში“, გაითხარა ქვის ფილებით გადახურული 5 ორმოსამარხი. სამარხები მცხეთა-გორის ავტომაგისტრალის მშენებლებს დაუზიანებიათ. სამარხეული ინვენტარი ძვ. წ. VI—V სს თარიღდება.

ექვსი ორმოსამარხი იქნა გათხრილი სოფ. რენეში ჯერ კიდევ გასულ წლებში აღმოჩენილ სამაროვანზე. სამარხეული კომპლექსების წინასწარული თარიღი ძვ. წ. IX—VIII სს განისაზღვრა.

ქარელის რაიონში, სოფ. აბანოსთან, ადგილ ციხიანასთან სამანქანო გზის გაგანიერებისას დაზიანდა ძველი სამაროვანი. ექსპედიციის მიერ გათხრილ იქნა 7 ორმოსამარხი. აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება.

„ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები“ ასეთი იყო ო. ლორთქიფანიძის მოხსენების თემა. საანგარიშო წელს ექსპედიცია განაგრძობდა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ვანის ნაქალაქარზე და მის შემოგარენში.

გრძელდებოდა ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე გამოვლენილ ძვ. წ. III—I სს სატაძრო კომპლექსის შესწავლა. არქიტექტურული კომპლექსის მთლიანი გამოვლენა არ მოხერხდა, რადგან მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი

ადგილობრივი მოსახლის ვენახს უჭირავს. კრამიტყრილის სისქე ზოგიერთ მონაკვეთზე 1,2 მ-ს აღწევდა. მისი აღების შემდეგ იატაკის დონეზე აღმოჩნდა ადგილზე დამტვრეული ქვევრების, ამფორების, დერგების, ქოთნების (სულ 27 ჭურჭელი) ფრაგმენტები. ზოგიერთ ჭურჭელში აღმოჩნდა მარცვლეული, სხვადასხვა ჯიშის ხორბალი და ღომი.

ცენტრალურ ტერასაზე დადასტურდა ძვ. წ. IV—III სს მძლავრი კულტურული ფენა განსაკუთრებით აღსანიშნაეია აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭურჭლის მედალიონი (?) — ქალღმერთის გამოსახულება, რომელსაც ხელში ფრინველი უჭირავს:

დამთავრდა ბორცვის თავზე მდებარე ძელებიანი ნაგებობის სამხრეთით მდებარე მონაკვეთის შესწავლა. აქ გამოვლინდა თირში ამოკვეთილი 15—20 სმ სიგანის ღარი.

1974 წელს გათხრილ № 12 სამარხის აღმოსავლეთი შავ ჰუმუსირებულ ფენაში აღმოჩნდა სირაკუზის ტირან ჰიერონ II-ის (ძვ. წ. 275—216 წწ.) ოქროს მონეტა და ოქროს წნული ძეწკვი — ყელსაბამი, რქოსანი ლომების გამოსახულებებით დაგეირგვინებული. ისინი ძველადვე გაძარცვულ № 12 სამარხიდან მომდინარეობდნენ.

№ 12 სამარხიდან 5 მ დაცილებით აღმოჩნდა სამარხი № 13, სადაც ცხენიც იყო დაკრძალული. სამარხი ძვ. წ. III ს არის დათარიღებული, № 13 სამარხისაგან დასავლეთით აღმოჩნდა მისი თანადროული, კიდევ ერთი № 14 სამარხი.

სულორის ნაციხარზე გაითხარა ციხის აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც რამდენიმე ქვევრი აღმოჩნდა.

საყანჩიას ველზე „საქსოფტექნიკის" ვანის განყოფილების ეზოში მიკვლეულია ელინისტური ხანის ფენა და რიყის ქვის საძირკვლიანი ალიზის ნაგებობების ნაშთები. ნაგებობა ბრტყელი და ღარისებური კრამიტით ყოფილა გადახურული.

საანგარიშო წელს ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა სოფ. მთისძირის მიდამოებში. ე წ ნეფერიძეების ნამოსახლარზე მიკვლეულია ძველი სამაროვნის ნაშთები. ადეიშვილების გორის თავზე დადასტურდა საშუალო საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები. ამ გორის აღმოსავლეთ ფერდზე გაჭრილ თხრილში აღმოჩნდა ძელური (თელა) შენობის კვალი და ნახანძრალი ფენა, რომლებიც ადრეანტიკურ ხანას განეკუთვნებიან.

მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა „დიდი მცხეთის" სხვადასხვა უბანზე. ა. აფაქიძის მოხსენებაში „მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია" აისახა კარსნისხევში, ბაგინეთსა, მუხათგვერდთან, ქ. მცხეთაში, მცხეთის გორაზე, ნარეკვავში, ფიქრის გორაზე და სამადლოზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიშები. ექსპედიცია უმთავრესად ახალმშენებლებს ემსახურებოდა.

კარსნისხევის ხეობის ბოლოში გაითხარა ახ. წ. I ს ხელოსანთა დასახლების საწარმოო უბანი და სამაროვანი. დასახლებას ტერასული დაგეგმარება აქვს. საწარმოო უბნის ძირითადი ნაწილი მშენებლების მიერ იყო დაზიანებული. აქ გამოვლინდა წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმის თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები. ძირითად, მიწაში გაჭრილი ქურების ნაწილი ორსართულიანია, პირველი სართული გადახურულია ალიზის დიდრონი აგურებისაგან შეკრული თაღებით.

სამროვანი ძირითადად ძვ. წ. I—III სს კრამიტსამარხებისაგან შედგება. აქ წარმოდგენილია ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი საკმაოდ მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარი.

ბაგინეთზე, „სვეტებიანი დარბაზის" დასავლეთით გამოვლენილია არმაზციხე III-ის პერიოდის შენობის ნაშთი. კედელში აღმოჩნდა გვიანელინისტური ხანის ნაგებობის კარნიზის ნაწილი — ლომის რელიეფური გამოსახულებით და რვაფურცლიანი ვარდულით.

მუხათგვერდთან, საქართველოს სამხედრო გზის პირას გაითხარა ადრეფეოდალური ხანის სამაროვნის ნაშთი — ბანურსახურავიანი ქვაყუთები.

ნარეკვავში, გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანის ნამოსახლარზე, საგანგებოდ შერჩეულ ძლიერ ეროზირებულ უბანზე ჩატარდა დაცვითი ხასიათის არქეოლოგიური გათხრები. ჩამონარეცხ ფენაში აღმოჩნდა იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, მძივები, თიხის საბეჭდავი და სხვ.

ფეოდალური ხანის ნამოსახლარის ნაშთები ითხრებოდა სვეტიცხოვლის ტაძრის მიდამოებში აქვე აღმოჩნდა ძვ. წ. I ს. ახ. წ. I—II სს სამი ქვევრსამარხი და სამი კრამიტსამარხი.

ადრეფეოდალური ხანის II ქვევრსამარხი და ფილებით გადახურული ორმოსამარხი გაითხარა სამთავროს სამაროვნის დასავლეთით, ფიქრის გორაზე.

სამადლოს რაზმმა საველე სამუშაოები ჩაატარა სამადლოს ნამოსახლარის ორ უბანზე. დადგინდა, რომ ტერასაზე მდგარ კონტრფორსებიან ნაგებობას ელინისტურ ხანაში კერძოდ, ძვ. წ. III ს. ორჯერ განუცდია ნგრევა, მეორე უბანზე აღმოჩნდა და გაითხარა უძველესი,

ბრინჯაოს ხანის დასახლების ნაშთი — შესაძლოა საკულტო ცენტრი, რომლის მემკვიდრე ჩანს სამადლოზე ადრეელინისტურ ხანაში აგებული ტაძარი.

მოხსენება თემაზე — „ნასტაკისის, მცხეთის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიცია" წაიკითხა ა. ბოხოჩაძემ. — ალაიანის მიდამოებში ექსპედიციამ მიაკვლია ბრინჯაოს ხანის გორანამოსახლარს; გამოვლენილია, რამდენიმე ათეული ჰექტარის მომცველი სამაროვანი. საანგარიშო წელს გაითხარა ძვ. წ. II ს. ახ. წ. VI დათარიღებული 28 სამარხი სამარხთა წამყვანი ტიპია ორმოსამარხები, გვხვდება თიხის სარკოფაგები და კრამიტსამარხები.

ექსპედიციამ ძირითადი კვლევა-ძიება გაშალა ნაქალაქარ ძალისას ტერიტორიაზე, სადაც გრძელდებოდა სასახლის კომპლექსის, აბანოსა და ტაძრის გათხრა-შესწავლა. გაითხარა ატრიუმის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, სადაც აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდისა და დანიშნულების ნაგებობის ნაშთები. გაითხარა კალორიფერებიანი ნაგებობა, რომელიც 0,8 მ-ის სისქის ალიზის კედლით არის გამოყოფილი ატრიუმისაგან და რომელსაც კარით უკავშირდება. ეს სათავსი აბანოს გასახდელს წარმოადგენს. აბანოს კომპლექსი ახ. წ. II—IV სს. თარიღდება. ატრიუმიანი ნაგებობა. რომელიც შემდგომ აბანოს კომპლექსის შემადგენლობაში შევიდა ახ. წ. I—II სს განეკუთვნება.

გათხრების დროს აღმოჩენილია: ორმაგი წყალსადენი. ერთი წყალსადენი აშენებულია რიყითა და ქვიშაქვით დუღაბზე. ხოლო მეორე — ტყვიის მილებით.

სასახლის კომპლექსში შედის ტაძარი. რომელიც დიონისეს სახელზე უნდა იყოს აგებული. აქ გამოვლენილია 48 მ$^2$ ფართობის მქონე მრავალფეროვანი მოზაიკა. რომელიც ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. მოზაიკის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია მევენახეობა-მეღვინეობის მფარველი ღმერთი დიონისე და მისი მეუღლე არიადნე. ბერძნული წარწერა იუწყება „გაიხსენე პრისკე, რომელმაც ეს გააკეთა". მოზაიკა ახ. წ. II ს. თარიღდება. სასახლის კომპლექსი არსებობას შემდგომ საუკუნეშიც განაგრძობს, თუმცა ტაძარს თავისი პირვანდელი ფუნქცია დაკარგული აქვს. განათხარი მასალების მიხედვით გამოიყოფა მომდევნო ხანის ორი საცხოვრებელი პერიოდი. IV ს. სასახლე, ისევე როგორც მთელი ძალისა ნადგურდება. ამის შედეგად მოზაიკის იატაკზე წარმოიშვა 0,5 მ-ის სისქის ნახანძრალი ფენა და ჩალეწილი კრამიტის ყრილი.

12. „მაცნე", ისტორიის სერია, 1976, № 3.

გარკვეული ხანის გავლის შემდეგ, როდესაც მოზაიკას უკვე ერთმეტრიანი მიწის ფენა ფარავდა და არავის აღარ ახსოვდა სასახლის არსებობა აქ ჩნდება ახალი დასახლება. აღმოჩენილი მარნის და სხვა ნაგებობების ნაშთები VI—VII სს თარიღდება. ექსპედიციის მიერ გათხრილ მარანში აღმოჩნდა 11 მოზრდილი ქვევრი. აქედან 5 აბანოს გასახდელის ფარგლებში. მარნის მოწყობის დროს მთლიანად დაუნგრევიათ გასახდელისა და ტაძრის ალიზის ჩრდილოეთი კედელი, ხოლო ქვევრებისათვის ორმოს ამოღებისას გაანადგურეს მოზაიკიანი იატაკი ტაძრის ჩრდილოაღმოსავლეთ კუთხეში. ერთი ქვევრი აღმოჩნდა მოზაიკის ცენტრალურ ნაწილში, ხოლო კიდევ ორი დიონისეს ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. ცხოვრების კვალი აქ ახ. წ. VIII ს. 30-იან წლებში წყდება და მურვან ყრუს ლაშქრობას უკავშირდება.

ი. გაგოშიძემ წაიკითხა მოხსენება — „დედოფლის მინდორზე ჩატარებული გათხრები". საანგარიშო წელს დედოფლის მინდორზე გრძელდებოდა გათხრები გვიან ელინისტური ხანის სატაძრო კომპლექსის ტერიტორიაზე. გათხრების უმთავრესი მიზანი იყო ტემენოსის ნაგებობათა მეთოდური გამოვლინება გეგმის დასადგენად და დასაზუსტებლად. დადგინდა, რომ ტემენოსის ცენტრალური ეზო სიმეტრიულია არა მარტო ჩრდილო-სამხრეთის ღერძის მიმართ, არამედ აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის მიმართაც, როგორც მთავარი, ისე მცირე ტაძარი ჩართულია სხვა ნაგებობათა ერთიან სისტემაში. მთავარი ტაძრის სამხრეთით, ორივე მხარეს მდგარა ფორპოსტირებულად წინწაწეული ნაგებობანი.

გ. შამბას მოხსენება მიეძღვნა სოხუმთან მდებარე ეშერის ნაქალაქარზე და მის შემოგარენში ჩატარებული გათხრითი და საძიებო სამუშაოების ძირითად შედეგებს. ექსპედიციის მიზანი იყო ნაქალაქარის ზედა მოედანზე გალავნის კედლის გამოვლენა. გაიწმინდა ერთი გეგმაში ოთხკუთხა კოშკი (№ 2). მასთან დაკავშირებული კულტურული ფენა გვიანელინისტურ ხანას განეკუთვნება. აქ აღმოჩენილია 4 სპილენძის მონეტა მითრიდატ ევპატორის ხანისა. 2,30 მ-ის სიღრმეზე დადასტურდა ძვ. წ. V—IV სს კულტურული ფენა ხოლო 10 სანტიმეტრით უფრო ღრმად ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევრის ფენა, რომელშიც შავფიგურიანი სკიფოსის ფრაგმენტი აღმოჩნდა.

ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე გავლებულ თხრილში დადასტურდა 1,20 მ-ის სისქის მძლავრი კულტურული ფენა, რომელიც ელინისტური ხანით დათარიღდა. ძვ. წ. III ს. განეკუთვნება ბრინჯაოს მასიური ფილის ფრა-

გმენტები ბერძნული წარწერით, რომელშიც საუბარია სამეფო ხელისუფლების რაღაც ღონისძიებებზე.

არკნეთის სამაროვნის გათხრების შედეგები სესიას მოახსენა ა. სლანოვმა. რომელიც განაგრძნობდა ჯერ კიდევ ო. ჯაფარიძის მიერ გამოვლენილი სამაროვნის შესწავლას (მდ. ჟორონეს მარცხენა ნაპირი ე. წ. „ვაჰის წყაროს“ მიდამოები) გაითხარა 8 ორმოსამარხი და 3 ქვევრსამარხი. ზოგიერთი ორმოსამარხი გადალესილი იყო თიხის ცეცხლში გამომწვარი თხელი ფენით. ორ შემთხვევაში დადასტურდა ცხენის დაკრძალვის ფაქტი. სამარხებში აღმოჩენილია ავგუსტეს ვერცხლის დინარები და პართიის მეფეების (ოროდ I, ფრაატ IV და სხვ.) ვერცხლის დრაქმები.

ბიჭვინთაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითად შედეგებზე ილაპარაკა გ. ლორთქიფანიძემ. მან აღნიშნა, რომ გამოვლენილია შიდა ციხის ახალი აღმოსავლეთი კედელი. 80 მ-ის სიგრძეზე გამოიკვეთა ნაქალაქარის აღმოსავლეთი კედელი, რომელიც № 1 კოშკს უერთდება. აქვე კრავს კვანძს შიდა ციხის აღმოსავლეთი კედლის ჩრდილოეთი ნაწილი, ამ სექტორში დადასტურდა, 1,10 მ სიგანის № 1 კოშკში შესასვლელი კარი, რომელიც ორ კონტრფორსს შორის არის მოთავსებული. რკინის ჰოკებით ქაობში ჩატარებულმა ზონდაჟმა გვიჩვენა, რომ № 1 და № 2 კოშკები ერთმანეთთან გალავნის კედლით იყო შეერთებული.

გვიანანტიკური სამაროვნების კვლევა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე — ასეთი იყო რ. გაგლოევის მოხსენების თემა. ცხინვალის რაიონის სოფ. დალაგ მონასტრიდან 1,2 კმ-ის დაშორებით, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმოჩნდა სამაროვანი. გაითხარა 3 ორმოსამარხი, რომლებიც ახ. წ. I—III სს თარიღდება. გაგრძელდა სამუშაოები სტირფაზის სამაროვანზე, სადაც გათხრილ იქნა 4 სამარხი. ახალი მონაცემების მიხედვით აქ სამაროვანი ახ. წ. VI—VIII სს არსებობდა.

ე. ჯაფარიძემ წაიკითხა მოხსენება „დმანისის ექსპედიციის შედეგები“. ექსპედიცია მუშაობდა ნაქალაქარის ტერიტორიაზე და პარალელურად თხრიდა ქალაქის სამაროვანს. განახლდა ე. წ. XIII ს. შენობის — ქვითა და დუღაბით ნაგები საცხოვრებელი სახლის, შესწავლა. გამოირკვა, რომ სახლი ორსართულიანი უნდა ყოფილიყო და მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელს ეკუთვნოდა.

მცირე გათხრები ჩატარდა დმანისის რაიონის სოფ. უკანგორაში, VI ს, ე. წ. ირკარიანი ეკლესიის შუა კედლის მიმართულების გარკვევისათვის. დაზუსტდა ქართული არქიტექტურის ამ ერთ-ერთი უძველესი ძეგლის გეგმა.

ნ. უგრელიძის მოხსენება „რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები“ ეხებოდა ნაციხვარზე ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებს. მიკვლეულია შუაფეოდალური ხანის წარჩინებული პირის სასახლის ნაშთები. შემორჩენილია სარდაფი და პირველი სართულის კედლები. ოთახები ხანძრისაგან გადამწვარია. მიუხედავად ამისა აქ მრავალი საყურადღებო ნივთი აღმოჩნდა, მათ შორის ბრინჯაოს „შტანდარტი“ — არაბული წარწერითა და მხედრის გამოსახულებით, რომლებიც XII—XIII სს თარიღდება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პირველად აქ აღმოჩნდა ამ ეპოქის საერთო კედლის მხატვრობის ფრაგმენტები.

სარდაფის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა მონეტების განძი. 79 მონეტიდან 75 რუსუდანის სახელით არის მოჭრილი.

1975 წლის გაზაფხულზე გლდანის საცხოვრებელ მასივში მშენებლობისას აღმოჩნდა ნამოსახლარი, რომლის გათხრა-შესწავლა ე. ართილაკვას დაევალა. გამოირკვა, რომ აქ დიდ ნასოფლართან გვაქვს საქმე. ვ. ართილაკვამ თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ აქ ანტიკური ხანის დასასრულიდან რამდენიმე სოფელი ყოფილა, რომელთაც თავისი არსებობა ადრეშუასაუკუნეებში შეუწყვეტიათ. გათხრილ იქნა რამდენიმე საცხოვრებელი კომპლექსი და ადრეფეოდალური ხანის რამდენიმე სამარხი.

მოხსენება „ცარციატის ძეგლების კვლევა-ძიება ლიახვის სათავეებში“, წაიკითხა რ. ჯატიევმა. ექსპედიციის მიერ შესწავლილ იქნა გვიანფეოდალური ხანის საგვარეულო აკლდამები.

ამ სესიაზე მოხსენებით გამოვიდა გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირე-

ქტორი გ. ელიავა. მან ილაპარაკა არგვეთი-არქეოპოლისის მაგისტრალზე კანლაგებულ ახლადაღმოჩენილ ძეგლებზე. განსაკუთრებით საინტერესოა ს. ფიჩხერთან „პეტრეს ნაკარზე“ მშენებლობის დროს გამოვლენილი სამარხეული ინვენტარი გვიანბრინჯაოს ხანისა.

ა. ინაიშვილმა წაიკითხა მოხსენება „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში“. გათხრები გრძელდებოდა ქობულეთის ნეოლითურ ნამოსახლარზე, მდინარე ჩოლოქის ხეობის რკინის მეტალურგიული კერის შესასწავლად ქობულეთ-ფიჭვნარის ანტიკური ნაქალაქარის ტერიტორიაზე. ნეოლითურ სამოსახლოზე გაითხარა ნამოსახლარის ძირითადი უბანი. აქ აღმოჩნდა ქვაში ამოჭრილი ბუდეები, წყალგაყვანილობის არხი, კაჟისაგან და ობსიდიანისაგან დამზადებული იარაღები. სამუშაოები აგრეთვე სწარმოებდა ქობულეთ-ფიჭვნარის ნაქალაქარის ნეკროპოლის უბანზე; გაგრძელდა გათხრები გვიანბრინჯაოს ხანის საკულტო ძეგლის აღმოსავლეთ მდებარე ტერიტორიისა და ამავე ტერიტორიაზე დაცული ელინისტური ხანის სამარხებისა. სამაროვანი ძვ. წ. IV — III სს. თარიღდება. „ნაპურვალას“ ბორცვზე გამოვლენილ იქნა 25 სამარხი. ისინი ძვ. წ. V ს. თარიღდებიან.

მ. აბდუშელიშვილისა და დ. ჯავახიშვილის მოხსენება მიეძღვნა ადრეფეოდალური ხანის კრანიოლოგიურ მასალებს და საქართველოს თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპის ჩამოყალიბების საკითხს.

სესიის დასკენით დღეს ჩატარდა დისკუსია-სემინარი ო. ლორთქიფანიძის, დ. კაჭარავას და გ. კვირკველიას მოხსენების „ძველი ბერძნული კოლონიზაცია და კოლხეთი“ გარშემო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა სესია, მოეწყო საქართველოს არქეოლოგების მიერ, როგორც ჩვენში ასევე უცხოეთში 1975—1976 წწ. გამოცემული ნაშრომების გამოფენა.

**ნინო კილურაძე**

## სახლ-მუზეუმის გახსნა

7 ოქტომბერს კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი — კასპის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის ფილიალი.

ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის კასპის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ისაკაძემ. სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. ა. ფრანგიშვილმა, აკად. ს. ყაუხჩიშვილმა, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა აკად. გ. მელიქიშვილმა, კასპის რაიონის მხარეთმცოდნეობთი მუზეუმის დირექტორმა გ. ხორგუაშვილმა, კოლმეურნე გ. კოშაძემ და მოსწავლე ლ. მიკუტაშვილმა. პოეტმა ი. ნონეშვილმა წაიკითხა ლექსი.

აკად. ა. ფრანგიშვილმა გახსნა მუზეუმი, რომელიც მოეწყო იმ სახლში, სადაც ბავშვობისა და ყრმობის წლები გაატარა ივანე ჯავახიშვილმა.

სახლ-მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილია დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მდიდარი დოკუმენტები, მისი პირადი ნივთები, ნაშრომების გამოცემები.

აქვე გამოფენილია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ხოვლეგორაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მასალები.

# საიუბილეო გამოცემები

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს.

ჩატარდა რამდენიმე საიუბილეო სამეცნიერო სესია, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიის ნამდვილი წევრები, წევრ-კორესპონდენტები, დიდი მეცნიერის მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები. მოხსენებებში გაშუქებული იყო ივ. ჯავახიშვილის შრომების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნებათმცოდნეობის, სამართლისა და სხვა დარგების კვლევაში.

22 სექტემბერს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ერცელ დარბაზში გაიხსნა საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის მხოლოდ უმნიშვნელოვანესი მასალები. გამოფენა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ის შესრულებულია სიფაქიზით და დიდი გემოვნებით...

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ არაერთი კარგი გამოცემა უძღვნა საიუბილეო თარიღს და ამით დაადასტურა ულრმესი მადლიერების და პატივისცემის გრძნობა ამ დიდი ადამიანის წინაშე, ადამიანისა, რომელსაც სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა, დიდმა ნიჭმა, ერუდიციამ და მეცნიერულმა ალღომ შეაძლებინა ეკვლია ყველაფერი, რაც შეეხებოდა საქართველოს ისტორიას, ქართველი ხალხის ყოფასა და კულტურას; ადამიანისა, რომელიც, როგორც გ. ლომთათიძის რუსულ ენაზე საიუბილეოდ გამოცემულ ბროშურაშია აღნიშნული, იყო თავისი კოლეგებისა და მოწაფეთა ყველა თაობის სინდისი, მიუკერძოებელი მსაჯული და ბრძენი, კეთილმოსურნე მოძღვარი, ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც იცოდა და ესმოდა ყველაფერი ყველაზე მეტად და უკეთ, ხედავდა ნათელ პერსპექტივას, მიილტვოდა მისკენ და მიუძღვებოდა სხვებსაც.

მკითხველებმა უკვე მიიღეს მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული სამეცნიერო წერილების საიუბილეო კრებული (რედაქტორი აკად. გ. მელიქიშვილი). კრებულში მოთავსებული რამდენიმე წერილი დიდი მეცნიერის კვლევითი მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს ეხება. აქვე გამოქვეყნებულ გამოკვლევებში ახლებურადაა განხილული საკითხები ქართული მეცნიერების ყველა იმ დარგიდან, რომელთაც ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა საფუძველი ან მისი კვლევის ობიექტად იქცა. ამ ნაშრომების ავტორები არიან აკადემიკოსი ლ. ჩერეპნინი (მოსკოვი), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ა. შანიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ს. ჯიქია, გ. მელიქიშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ე. მეტრეველი, ქ. ლომთათიძე, ე. გაბაშვილი, გ. წერეთელი და სხვა ცნობილი მეცნიერები.

საიუბილეოდ გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა „საისტორიო კრებულის“ VI ტომი (სარედაქციო კოლეგია: ა. აბდალაძე (რედაქტორი), გ. აფრასიძე, ჯ. კოპალიანი, ო. ჟორდანია), რომელშიც, ტრადიციისამებრ, ახალგაზრდა ისტორიკოსთა ნაშრომები იბეჭდება. ეს კრებული საინტერესოა განსაკუთრებით იმით, რომ მასში განხილული საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი პირველადაა დასმული.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ გამოსცა ივ. ჯავახიშვილის ბიობიბლიოგრაფია (შემდგენლები: ვ. გოგილაშვილი, ე. დოლიძე; რედაქტორები: ს. ხადური, ე. ხოშტარია, ბიბლიოგრაფიული რედაქცია თ. ნაკაშიძისა). იგი მოიცავს ქრონოლოგიური რიგის მიხედვით განლაგებულ 1895—1974 წლების მასალას: სამეცნიერო შრომებს, რეცენზიებს და გამოხმაურებებს ამ შრომებზე, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოცემულ შრომებს, აგრეთვე ლიტერატურას დიდი მეცნიერისა და მოქალაქის შესახებ და, საერთოდ, ყველაფერს, რაც შეეხება მის ბიოგრაფიას. ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა.

ივ. ჯავახიშვილის მდიდარი მემკვიდრეობის შესწავლისა და მისი მრავალმხრივი საქმიანობის გაცნობით დაინტერესებულ მკვლევართ და ფართო მკითხველ საზოგადოებას გამომცემლობა „მეცნიერება“ სთავაზობს „ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობას“ (აღწერილობა შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს ა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა; სარედაქციო კოლეგია: ე. მეტრეველი, ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია). აქ წარმოდგენილია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის მასალა, რომელიც შეიცავს საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის დოკუმენტების პირებსაც. აღწერილობაში თავმოყრილი 4 ათასზე მეტი საარქივო ერთეული, დალაგებული თემატიკურად და ქრონოლოგიურად, სრულ წარმოდგენას ქმნის დიდი მეცნიერის ბიოგრაფიის, მეცნიერული მემკვიდრეობის, სამეც-

ნიერო-ორგანიზაციული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. მკითხველს უდავოდ დააინტერესებს აღწერილობაში წარმოდგენილი ივ. ჯავახიშვილის მიმოწერა სხვადასხვა პირებთან.

ივ. ჯავახიშვილის საქმიანობის ამსახველ მასალებს შეიცავს აგრეთვე „მრავალთავის" V ტომი. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული პირადი არქივის მასალებს. კერძოდ, გამოქვეყნებულია ივ. ჯავახიშვილის მიმოწერა პროფ. მ. პოლიევქტოვთან, შეხედულებები ზოგიერთ ქართველ ისტორიკოსზე (მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი), რამდენიმე დოკუმენტი მისი ბიოგრაფიიდან. „მრავალთავში" დაბეჭდილია სხვადასხვა ავტორთა წერილები ძველი ქართული კულტურის ისტორიის, ქართული წყაროთმცოდნეობის, პალეოგრაფიის, დიპლომატიკის, ფილიგრანოლოგიის, ქრონოლოგიისა და გენეალოგიის საკითხებზე.

აქვე დამატების სახით გამოქვეყნებულია ივ. ჯავახიშვილის მოხსენება ქართული საისტორიო ძეგლების გამოცემის შესახებ, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის შედგენის, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ამოკრეფისა და გადმოწერის მის მიერ შედგენილი წესები. „მრავალთავის" მთავარი რედაქტორია ე. მეტრეველი, საიუბილეო ტომის რედაქტორი — ე. ხოშტარია.

7—8 ოქტომბერს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მიმდინარეობდა ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, ხოლო 9 ოქტომბერს, საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა საიუბილეო სხდომა.

გამომცემლობა „მეცნიერებამ" რუსულ ენაზე ცალკე ბროშურებად დაბეჭდა საიუბილეო სხდომაზე და სამეცნიერო სესიაზე ქართველ მეცნიერთა მიერ წარდგენილი მოხსენებები.

**ნელი ქავთარაძე**

# ვარლამ დონდუას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა

1976 წლის 27 იანვარს შედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, მიძღვნილი გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ვარლამ დონდუას დაბადების 80 წლისთავისადმი.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა აკად. გ. მელიქიშვილმა. მან აღნიშნა პროფ. ვ. დონდუას დიდი ღვაწლი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. მისი შესანიშნავი მეცნიერული გამოკვლევები დღესაც უაღრესად საყურადღებოა. ლენინგრადის ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლაში აღზრდილ ვ. დონდუას ჰქონდა მეცნიერული კვლევის დიდი კულტურა, ჭეშმარიტი მეცნიერისათვის დამახასიათებელი პირუთვნელობა და, გარდა ამისა, მომხიბლავი ადამიანური თვისებები. თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა ვ. დონდუამ უანდერძა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, სადაც გახსნილია მისი სახელობის კაბინეტი.

პროფ. ვ. დონდუას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელმა რ. კიკნაძემ. მისი მოხსენება მნიშვნელოვანწილად აგებული იყო ვ. დონდუას პირადი არქივის მასალებზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვ. დონდუა ფართო დიაპაზონის მკვლევარი იყო. მისი სამეცნიერო ინტერესები სწვდებოდა კავკასიის, განსაკუთრებით კი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის პრობლემებს ანტიკური ხანიდან მოყოლებული XVIII ს-ის დამლევამდე. დიდი ღვაწლი დასდო მეცნიერმა წყაროთმცოდნეობის, არქეოგრაფიის, ტექსტოლოგიის, ეპიგრაფიკის განვითარებას. მას ეკუთვნის არაერთი საყურადღებო მონოგრაფია და წერილი ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიიდან, აგრეთვე მაღალკვალიფიციური თარგმანები ქართული წყაროებისა

(ნარატიული, დოკუმენტური, სამართლის ძეგლთა) რუსულ ენაზე. საგანგებოდ აღსანიშნავია მისთვის დამახასიათებელი გულმოდგინება და დიდი სიფრთხილე საისტორიო წყაროების ტექსტოლოგიურ ძიებაში.

ვ. დონდუას ცხოვრების ერთი ნათელი ფურცელია მისი ურთიერთობა ივ. ჯავახიშვილთან, რომელთანაც მას აკავშირებდა მოწაფისა და მასწავლებლის შესანიშნავი მეგობრული, საქმიანი დამოკიდებულება, რაც საკმაოდ ვრცელ მიმოწერაში აისახა.

ქართულ-ბიზანტიური სოციალური ტერმინოლოგიის შესახებ მოხსენებით გამოვიდა უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მ. ბერძნიშვილი. მან აღნიშნა, რომ თანამედროვე ბიზანტინისტთა დიდი ნაწილის კვლევის საგანია ბიზანტიაში არსებული ვასალიტეტის ფორმები. დადგენილია, რომ X—XII სს. ბიზანტიაში არსებულა თავისუფალ ადამიანებს შორის ისეთი ურთიერთობა, რომელიც მსგავსია დასავლეთ ევროპაში გავრცელებული ვასალიტეტისა, და ვასალის აღმნიშვნელად ხმარებული ტერმინი **„ανθρωπος"**.

„ანთროპოსი", როგორც ვასალი, ნახსენებია გრიგოლ ბაკურიანის ტიპიკონის ბერძნულ ტექსტში. ამ ტიპიკონის ქართული ტექსტის შესაბამის ადგილებში „ანთროპოსის" ნაცვლად გვხვდება ორი სოციალური ტერმინი „ყმა" და „მსახური". ქართული ტექსტის „ყმა" თავისი თვისებებით სწორედ ის პირია, ბიზანტიურ სინამდვილეში „ანთროპოსის" — ვასალის ცნებით რომ აღინიშნება. „მსახური" ქართული ტექსტისა „ყმისაგან" განსხვავებული, სოციალურად უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი პირია.

მსახურის ბერძნულად „ანთროპოსად" გადმოცემა გამორიცხავს მსახურში გლეხის დანახვას (გლეხისათვის ტიპიკონის ბერძნული ტექსტი ხმარობს სიტყვა „პარიკს"), ქართულში „ყმისა" და „მსახურის" ერთდროული ხმარება კი გამორიცხავს მათ ერთი სოციალური კატეგორიისათვის მიკუთვნებას. „ყმისა" და „მსახურის" ბერძნულად „ანთროპოსის" ერთი ცნებით გამოხატვა ნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, ბიზანტიურ სინამდვილეში არ ყოფილა ტერმინოლოგიური განსხვავება ვასალური ურთიერთობის სხვადასხვა ხარისხში მყოფთა შორის და, მეორე, ყოფილა რაღაც საერთო, რითაც ეს ორი კატეგორია ბიზანტიელის წარმოდგენაში ერთიანდება. საერთო კი არის ის, რომ ყმაცა და მსახურიც პატრონის წინაშე ლაშქრობა-სამსახურის მოვალეა.

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ზ. ალექსიძის მოხსენებაში — „ქრისტიანული დოგმატიკისა და არქიტექტურის ურთიერთკავშირის შესახებ" — განხილული იყო ქრისტიანული ტაძრების საკურთხეველში სარკმელთა რაოდენობის სიმბოლიკა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამი სარკმელი აღმოსავლეთის (საკურთხევლის) აფსიდაში სიმბოლურად გამოხატავს სამების დოგმატს დიოფიზიტური რედაქციით და ეს ტრადიცია კონსტანტინოპოლის წმიდა სოფიის ტაძრიდან მომდინარეობს. მონოფიზიტური ძეგლებისათვის კი დამახასიათებელია ერთი სარკმელი აღმოსავლეთის აფსიდაში. ამ ნიშნის მიხედვით იმავე ლიტერატურაში მოცემულია სქემა ქრისტიანულ სამყაროში ერთი და სამსარკმლიანი ძეგლების განაწილებისა.

მომხსენებელმა განიხილა აია-სოფიის საკურთხევლის აგების შესახებ არსებული ბერძნული ლეგენდა, მისი ლათინური, სლავური და რუსული ვერსიები და დაასკვნა, რომ ლეგენდის უძველეს რედაქციაში საუბარი იყო არა საკურთხეველში სამი სარკმლის გაჭრის, არამედ სამი აფსიდის აგების შესახებ. ამიტომ სიმბოლური დატვირთვა, ლეგენდის მიხედვით, ენიჭებოდა არა სარკმლებს, არამედ საკურთხევლის აფსიდებს.

მომხსენებელმა მოიტანა დოკუმენტური მასალა, რომლის თანახმადაც სამების ინტერპრეტაციაში დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის არ არსებობს ისეთი განსხვავება, რომ პირველთათვის მისი სიმბოლო სამი სარკმელი გამხდარიყო, ხოლო მეორეთათვის — ერთი.

გარდა ამისა, მისი აზრით, ერთ და სამსარკმლიანი ძეგლების განაწილება ქრისტიანულ სამყაროში არ იძლევა ისეთ სურათს, როგორიც უნდა ყოფილიყო მაშინ, თუ სარკმლების რაოდენობის სიმბოლიკა განსხვავებული იქნებოდა მონოფიზიტებისა და დიოფიზიტებისათვის.

განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ ქართული ძეგლები, რომელთა დიდი ნაწილი ერთსარკმლიანია. პირველ ყოვლისა ერთსარკმლიანი მცხეთის სვეტიცხოველი, ქართული ქალკედონური საკათალიკოსო საყდარი, აგებული XI ს-ის პირველ ნახევარში მელქისედეკ კათალიკოსის მიერ.

მომხსენებლის დასკვნით, სარკმელთა რაოდენობის მიხედვით შეუძლებელია კავკასიაში ქრისტიანული საკულტო ტაძრების აგებისა და მასთან ერთად კავკასიის ქვეყნების რელიგიური კურსის ცვლილებების დათარიღება.

**მზია მარსაგიშვილი**

## ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა და ასპირანტთა სამეცნიერო სესია

ა. წ. 24 მაისიდან 2 ივნისამდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა დ ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჩატარდა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა და ასპირანტთა სამეცნიერო სესია.

სესიის არქეოლოგიის სექციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ: დ. გოგელია „დასახლების თავისებურება არუხლო I-ზე“, დ. გოცირიძე „აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების შესწავლის ისტორია“, გ. მინდიაშვილი „ადრებრინჯაოს ხანის სამარხი ნაომარი გორის ნამოსახლარიდან“, ს. წიქარიძე „მცენარეულ ჩანართებიანი კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებში“, მ. ღლონტი „ზოომორფული მოტივებით შემკული ჭურჭლები ჟინვალის საკულტო ძეგლიდან“, რ. რუსიშვილი „შეინდიანის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის კერამიკა“, კ. კახიანი „ღრმახევისათვის გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები“, ლ. აპრესოვი „საქართველოს ბრინჯაო-რკინის ხანის ძეგლების ქრონოლოგია კ. შეფერის ნაშრომში“ დასავლეთ აზიის შედარებითი სტრატიგრაფია და ქრონოლოგია“, ნ. გიგუაშვილი „ორნამენტი თრელის სამაროვანის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ჭურჭელზე (ლანგრები, ქოთნები)“, ი. სულთანიშვილი „საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მოჭიქული ჭურჭელი“, ლ. კილოსანიძე „თრელის სამაროვნის ზოომორფული ჭურჭელი“, გ. ყიფიანი „ადრეანტიკური ხანის ხის არქიტექტურა ვანის ნაქალაქარზე“, გ. კვირკველია „გუადიხუს სამაროვნის უფროსი ჯგუფის სამარხების დათარიღებისათვის“, ვ. ლიჩელი „ვანის ძვ. წ. V—VI სს. კერამიკის კლასიფიკაციის მეთოდისათვის“, გ. გამყრელიძე „არქეოლოგიური გათხრები მთისძირში 1975 წელს“, ნ. მირიანიშვილი „არქეოლოგიური ძეგლები ალაიანიდან“, ვ. ჩიხლაძე „დაკრძალვის წესი და სამარხთა აღნაგობა ჟინვალის სამაროვანზე“, მ რჩეულიშვილი „კვირაცხოვლის კომპლექსი“, ჯ. წიკლაური „ბეჭდები „ნაქალაქარის“ სამაროვნიდან“, ლ. ასლანიშვილი „ჟინვალის „ნაქალაქარის“ სამაროვნის კრანიოლოგიური სერია“, გ. კალანდაძე „ჟინვალის ზურგიანი კოშკი“. კ. წერეთელი „თვალავის საყდარი“. ს. მარგველაშვილი „შუაფეოდალური ხანის ჭურჭლის ხუფების შესწავლისათვის“, მ. გოჩიაშვილი „XI—XIII სს. მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი დმანისიდან“, მ. ვაჩნაძე „შუაფეოდალური ხანის სოფლური ხუროთმოძღვრების შესწავლისათვის არაგვის ხეობაში“, გ. რჩეულიშვილი „არაგვის ხეობის საწნახლები“, ი. წიკლაური „მიწისმფლობელობასთან დაკავშირებული ტერმინები ხევსურეთში“, გ. ჯავახიშვილი „ანანურის ხუროთმოძღვრული კომპლექსი“.

31 მაისიდან 2 ივნისამდე მუშაობდა სესიის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და სოციოლოგიის სექცია, რომელმაც მოისმინა მოხსენებები: გ. წულაძის „ძმობადობის შესახებ აზრის შესწავლის ზოგიერთი საკითხი“, ფ. კოჟიაშვილის „ერაზმ როტერდამელი ომისა და მშვიდობის შესახებ“, ა. გეთიაშვილი „ვალდსჰუტური რეფორმაციის საკითხისათვის“, რ. თოფჩიშვილი „აღმ. საქართველოს მთის, მთისწინეთისა და ბარის მოსახლეობის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობისათვის“, ნ. კერესელიძის „ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სტრუქტურის ცვლილებათა ტენდენციები“, ე. კუპატაძის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში სასწავლებლებისა და კულტურის დაწესებულებების ევაკუაციის საკითხისათვის“, რ. ქართველიშვილი „ამერიკის კოლონიების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და აშშ შექმნა“. ნ. აბაკელიას „რიტუალური დრამის ფუნქციების შესახებ პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოებაში“, ს. გაბუნიას „ერთი ქართული იდიომის ეტიმოლოგიზირების ცდა (ბასკურ წესჩვეულებათა სინათლეზე“), ვ. ჩიქოვანის „საცხოვრებელი ნაგებობები მთიულეთ-გუდამაყარში“.

სესიის სექციების მუშაობა შეაჯამეს პროფ. ოთ. ლორთქიფანიძემ, პროფ. ა რობაქიძემ და პროფ. მ. გეგეშიძემ.

**კახა კახაძე**

# VIII МЕЖДУНАРОДНЫЙ СЕМИНАР ЭТНОЛОГОВ

С 1 по 13 сентября 1975 г. в ПНР в местечке Юлин (близ г. Ланьцут в Жешувском воеводстве) кафедрами этнографии университетов городов Лодзь и Познань была организована работа VIII семинара этнологов. Соорганизаторами этого мероприятия были ЦЕПЕЛИА[1], научные общества студентов-этнографов упомянутых университетов и Областной музей г. Жешув.

Основа семинару этнологов была заложена в 1968 г. в Чехословакии, в г. Братислава доцентом Университета им. Вышинского, доктором Яном Подолаком. Первые семь семинаров проводились в Чехословакии при участии зарубежных, в том числе советских, специалистов. Начиная же с VIII семинара оргкомитет решил вынести это мероприятие за пределы Чехословакии и устраивать его ежегодно в различных странах, включая в оргкомитет страну-организатор каждого последующего семинара.

Семинар этнологов ставит перед собой следующие цели: 1. дидактическую — предоставить возможность молодым кадрам этнографов (начинающим научным работникам и студентам) в содружестве со старшими коллегами — педагогами и профессорами из разных стран — пройти практику полевой этнографической работы и в результате личных контактов и дискуссий освоить приемлемые методы сбора полевого этнографического материала, их обработки, исследований; 2. научную — собрать конкретные данные для науки, выявить изменения, происшедшие в быту и культуре народа изучаемого региона в результате социалистических преобразований; 3. культурно-общественную и политическую — участие в работе семинара представителей разных стран должно способствовать обмену мнениями и опытом в работе, более подробному ознакомлению с достижениями зарубежных коллег, упрочению научного сотрудничества.

В работе VIII семинара этнологов участвовали 34 этнографа (опытные специалисты и начинающие) и 37 студентов из Польши, Чехословакии, Болгарии и Венгрии. Среди участников были организаторы VIII семинара этнологов — зав. кафедрой этнографии Университета г. Лодзь, доктор Бронислава Копчинска-Янорска и Лауреат Гердеровской премии, зав. кафедрой этнографии Университета им. А. Мицкевича (г. Познань), проф. Иожеф Буршта; доцент той же кафедры, доктор Збигнев Яшевич, прошедший стажировку в СССР, автор книги об узбеках; доктор Владислав Барановский (г. Лодзь), стажировавшийся в СССР по изучению этнографии сибирских народов; доктор Анна Задружинска из Варшавского университета; директор Областного музея, доктор Кшиштоф Рушел из г. Жешув и сотрудники того же музея Анна Таргоньска, Анджей Корчмажевский и др. Зарубежные гости были представлены в следующем составе: основатель и бывший директор, ныне генеральный секретарь оргкомитета семинара этнологов, лауреат Гердеровской премии, доктор Ян Подолак и социолог доктор Катарина Подолакова (Чехословакия, Братислава); проф. Йон Влэдуциу, воспитанник московской школы этнографов (Румыния, Бухарест); проф. Бэла Гунда и доктор Ласло Дам (Венгрия, Дебрецен); проф. Белградского университета Петар Влахович (Югославия); проф. Нильс-Арвид Брингеус (Швеция, Лунд); доктор Хельмут Филхауер (Австрия, Вена), а также молодые этнографы из Болгарии, Чехословакии, Венгрии и Югославии. Советский Союз представляли канд. ист. наук Б. Аминов (Ташкент) и канд. ист. наук Н. А. Брегадзе (Тбилиси).

Тематика предыдущих семинаров охватывала различные вопросы народного быта и культуры, в том числе агроэтнографию, народную архитекутуру и др. Темой же VIII семинара было избрано народное ремесленное производство и связанные с ним вопросы социального быта и духовной культуры. Регионом для полевых этнографических работ были избраны 4 больше

[1] ЦЕПЕЛИА — Центральный союз кооперативов народных и художественных промыслов, который руководит производством и реализацией изделий народных художественных промыслов в ПНР и оказывает действенную помощь, финансовую поддержку польским этнографам.

селения в Жешувском воеводстве (Мединья, Бжуза Стадницка, Ракшава и Воля Зарчинска), где одним из основных занятий жителей является ремесленное производство, в том числе — гончарство, деревообработка, плетение домашней утвари.

Студенты-участники семинара были разделены на 4 тематические группы, изучающие: 1. народные способы изготовления керамических изделий; 2. деревообрабатывающее ремесло; 3. интерьеры жилых построек; 4. изготовление, пластику и назначение масок и игрушек, связанных с духовной культурой местного населения. Студентам, соответственно с тематикой, были розданы составленные специалистами вопросники. Руководствуясь ими они собирали полевой этнографический материал, который впоследствии переносили на унифицированные карточки. Собранный студентами полевой материал ляжет в основу их исследований и дипломных работ по этнографии. Перенесенные на карточки и проверенные руководителями данные будут сданы в архивы кафедр соответствующих университетов как вполне надежный первоисточник, документальный материал, которым можно будет пользоваться при этнографических исследованиях.

По программе семинара, участники ежедневно с утра выезжали на полевую этнографическую работу. А послеобеденные и вечерние часы были насыщены различными мероприятиями — заседания, на которых некоторые, в том числе и советские, этнографы выступили с сообщениями о состоянии этнографической науки у себя на родине, о проблематике и методах исследований; совещания со студентами — проверка их работы и консультации; показ этнографических и документальных фильмов из жизни поляков и румын (проф. Ион Влэдуциу привез из Румынии соответствующий материал для демонстрации); ознакомление с народным искусством и обычаями (инструментальная и песенная музыка и пляски в исполнении местных народных капелл, инсценировка свадьбы); экскурсии по достопримечательным местам Жешувского воеводства; прием у представителей местной власти; дружеская встреча участников семинара с жителями с. Воля Зарчинска; костер дружбы и др.

Следует отметить высокий уровень организации семинара. На протяжении всего времени пребывания в ПНР участники семинара не только были обеспечены всеми необходимыми, своевременными бытовыми услугами, транспортом и т. п., но и окружены беспрестанным вниманием организаторов этого мероприятия. Особая теплота и готовность помочь в работе чувствовались в отношении к советским коллегам. Нам они дали возможность не только ознакомиться с бытом и культурой современного польского села, но и собрать полевой этнографический материал. Выражаю свою искреннюю признательность всем организаторам, пригласившим нас на семинар этнологов, и коллегам, сопровождающим нас во время работы, — доктору Збигневу Яшевичу, магистрам Анне Таргоньской и Анджею Корчмажевскому — благодаря их помощи мною зафиксирован материал по отдельным вопросам агроэтнографии (земледельческие культуры, орудия труда, связанные с полеводством и скотоводством ритуалы и верования, обрядовые хлеба и др.), народной метеорологии и медицины, деревообработки и связанным с ней обычаям и обрядам. После соответствующей обработки, собранный материал найдет отражение в моей будущей работе.

Меня, не только как сотрудника научно-исследовательского института, но и как преподавателя кафедры этнографии ТГУ, интересовали также программы и системы обучения этнографов в других университетах. Поездка в ПНР дала возможность ознакомиться с программами, состоянием обучения и этнографических исследований в университетах и научных учреждениях стран — участников VIII семинара. Опыт других университетов в преподавании некоторых обязательных предметов будущим этнографам можно будет учесть при программировании курсов для студентов ТГУ, специализирующихся по этнографии.

В результате поездки в ПНР и ознакомления с работой семинара этнологов, в целях последующего развития научных контактов, возникают некоторые пожелания: 1. Было бы неплохо, если в работе семинара этнологов в будущем примут участие советские молодые научные работники и студенты. 2. Желательно, чтобы

наши этнографы впредь имели бы возможность демонстрировать участникам семинара документально-этнографические фильмы и диапозитивы, отображающие отдельные стороны быта и культуры Советского народа. 3. Советские этнографы могли бы стать и хозяевами одного из будущих семинаров этнологов и у себя ознакомить зарубежных коллег не только с методами полевых этнографических работ и исследований, но и с фиксируемыми в быту нашего народа эмпирическими знаниями и навыками, необычайным богатством и разнообразием элементов культуры, имеющих многовековую историю, а также, в сопоставлении со старым, показать результаты достижений нашего народа за годы Советской власти, преобразования, происшедшие в быту и культуре городского и сельского населения.

Н. А. БРЕГАДЗЕ

# აკადემიკოსი ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილი



საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 15 ივლისს 85 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, მეცნიერების ნიჭიერი ორგანიზატორი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, მისი პირველი და ოცდაათ წელზე მეტი ხნის ვანმავლობაში უცვლელი პრეზიდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილი.

ნ. ი. მუსხელიშვილი დაიბადა 1891 წლის 16 თებერვალს ქალაქ თბილისში, სამხედრო ინჟინრის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო თბილისში, უმაღლესი — პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომლის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა 1914 წელს „გამოყენებითი მათემატიკის" სპეციალობით. 1915 წელს სადიპლომო ნაშრომის წარდგენის შემდეგ ნ. ა. მუსხელიშვილი დატოვეს თეორიული მექანიკის კათედრაზე პროფესორის წოდებისათვის მოსამზადებლად.

1917 წელს ნ. ი. მუსხელიშვილი აირჩიეს პეტროგრადის უნივერსიტეტის მექანიკის კათედრის ასისტენტად, შემდეგ კი მასწავლებლად. 1915—1920 წლებში იგი ასწავლიდა აგრეთვე პეტროგრადის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

1920 წელს ნ. ი. მუსხელიშვილი დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში, რათა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა განეგრძო, როგორც ახლად დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის დოცენტს. აქ იგი მათემატიკოსთა პატარა ჯგუფთან ერთად საძირკველს უყრიდა უმაღლეს მათემატიკურ განათლებას საქართველოში. 1922 წელს ნ. ი. მუსხელიშვილმა პროფესორის წოდება მიიღო და დაუცხრომლად იღწვოდა მათემატიკისა და მომიჯნავე დისციპლინების სწავლების ორგანიზაციისათვის. 1926 წლიდან იგი ჯერ უნივერსიტეტის პოლიტექნიკური, შემდეგ კი ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტების დეკანი იყო. 1928—1930 წლებში იგი მუშაობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორად, რომელიც 1928 წელს გაიხსნა თბილისში მისი აქტიური მონაწილეობით. ამასთან ნ. ი. მუსხელიშვილი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა მის მიერ შექმნილ თეორიული მექანიკის კათედრას. 1933 წელს ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილის ინიციატივით თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა მათემატიკის ინსტიტუტი.

ოცდაათიანი წლების დამდეგს ნ. ი. მუსხელიშვილი დიდ ენერგიას ახმარს რესპუბლიკაში სამეცნიერო დაწესებულებათა ორგანიზაციას. 1933 წლიდან იგი მუშაობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილებაში, რომელიც 1935 წელს გარდაიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალად; აქტიურად მონაწილეობს გეოფიზიკისა და სხვა ინსტიტუტებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა ორგანიზაციაში. შემდეგ დაახლოებით 35 წლის განმავლობაში სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ნ. ი. მუსხელიშვილი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. მ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი.

1935—1938 წლებში ნ. ი. მუსხელიშვილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილეა, 1938—1941 წლებში — მისი თავმჯდომარე, ხოლო 1941 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების მომენტიდან, იგი აირჩიეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველ შემადგენლობაში და მის პირველ პრეზიდენტად. ამ პოსტზე იგი უცვლელად მუშაობდა 1972 წლამდე, როცა მადლიერმა მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ ნ. ი. მუსხელიშვილი აირჩია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტად.

1933 წელს ნ. ი. მუსხელიშვილი აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1939 წელს — ნამდვილ წევრად. ამასთან თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე იგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი იყო. მრავალი წლის მანძილზე იგი ლენინური პრემიების კომიტეტის წევრი, უმაღლესი საატესტაციო კომისიის წევრია, 1966 წელს იგი აირჩიეს სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

1956 წლიდან, როცა შეიქმნა სსრ კავშირის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ეროვნული კომიტეტი, ნ. ი. მუსხელიშვილი ამ კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მისი აქტიური სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და დიდი სამეცნიერო ავტორიტეტის აღიარება იყო აგრეთვე მისი არჩევა გამოყენებითი მექანიკის კონგრესების საერთაშორისო კომიტეტის წევრად 1956 წელს, თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირის ბიუროს წევრად 1960 წელს. ნ. ი. მუსხელიშვილი იყო ბულგარეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიების საზღვარგარეთელი წევრი და ბევრი სხვა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი.

ნ. ი. მუსხელიშვილის კალამს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომები დრეკადობის ბრტყელი თეორიის, არაერთგვაროვანი ძელების გრეხვისა და ღუნვის თეორიის, სინგულარული ინტეგრალური განტოლებების თეორიის, პოტენციალის თეორიისა და ანალიზური ფუნქციების სასაზღვრო ამოცანების და სხვა პრობლემებზე. ერთერთმა პირველმა მან გამოიყენა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია დრეკადობის თეორიის ამოცანების ამოსახსნელად. იმ მეთოდების უნიკალობამ, რომლებიც ნ. მუსხელიშვილმა განავითარა და ახლა ფართოდ იყენებენ თანამედროვე მექანიკასა და მათემატიკაში, მის მიერ მიღებულმა სრულყოფილმა ფუნდამენტურმა შედეგებმა, მისი შრომები კლასიკური გახადეს მისსავე სიცოცხლეში. სტუდენტთა ბევრი თაობა აღიზარდა თეორიული მექანიკისა და ანალიზური გეომეტრიის სახელმძღვანელოებით, რომელთა ავტორია ნ. ი. მუსხელიშვილი. ამ სახელმძღვანელოებში, რომლებიც გამოირჩევა აზრის

უაღრესად ნათელი და დასრულებული ჩამოყალიბებით, შეტანილია დრეკადობის თეორიისა და სინგულარული ინტეგრალური განტოლებების თეორიის ამოცანათა ამოხსნის ბევრი ფორმულა, რომლებიც ნ. ი. მუსხელიშვილმა შექმნა. მისი ფუნდამენტური მონოგრაფიები „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა" და „სინგულარული ინტეგრალური განტოლებები" რამდენჯერმე გამოიცა სსრ კავშირში და საზღვარგარეთ. მონოგრაფიები შეიცავენ ავტორის მიერ ზუსტი კვლევის შედეგად მიღებულ იმ ამოცანათა ეფექტიან ამოხსნას, რომლებსაც თავი ვერ გაართვა ბევრმა მათემატიკოსმა. უცხო ენებზე ნათარგმნი ეს ნაშრომები ფართოდ ცნობილია სპეციალისტებს შორის, როგორც ფასდაუდებელი დამხმარე სახელმძღვანელოები. ისინი მაგიდის წიგნებად იქცა უნივერსიტეტებში, სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში, გაანგარიშების ბიუროებში, ყველგან, სადაც მუშაობენ გამოყენებითი მატემატიკისა და მექანიკის დარგში.

ნ. ი. მუსხელიშვილის თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევები საბჭოთა მეცნიერების სიამაყეა. მის მეცნიერულ იდეებსა და მის მიერ შექმნილ მეცნიერულ მიმართულებებს ავითარებენ აკადემიკოსის მრავალრიცხოვანი მოწაფეები და მიმდევრები როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

უდიდესია ნ. ი. მუსხელიშვილის დამსახურება საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელის ორგანიზაციაში. მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. სამეცნიერო ინტერესების მრავალფეროვნებამ საშუალება მისცა მას წარმატებით ეხელმძღვანელა საქართველოში მთელი მეცნიერების განვითარებისათვის. მისი საგულდაგულო მეთვალყურეობით იქმნებოდა და ფართოვდებოდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და დაწესებულებები, იზრდებოდა ქართველ მათემატიკოსთა, ინჟინერთა და სხვა სპეციალისტთა თაობები. მან შექმნა ქართული მათემატიკური სკოლა, რომელიც ფართოდ ცნობილია მთელ მსოფლიოში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა დაარსების დღიდან ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, გადაიქცა დიდ სამეცნიერო ორგანიზაციად, რესპუბლიკის მეცნიერული აზროვნების ცენტრად, რომელმაც დიდი წარმატებანი მოიპოვა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

მექანიკის დარგში თვალსაჩინო მეცნიერული დამსახურებისათვის, მეცნიერთა კადრების მომზადებაში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის ნ. ი. მუსხელიშვილს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. იგი დაჯილდოებულია ლენინის ექვსი ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით და სხვა ორდენებითა და მედლებით. მათემატიკასა და მექანიკაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის მას მიენიჭა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში — მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედალი. მისი დამსახურება მსოფლიო მათემატიკის განვითარებაში აღინიშნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის I ხარისხის ორდენით, კირილესა და მეთოდეს ორდენით (ბულგარეთი), სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლით, მოდესტო პანეტის სახელობის საერთაშორისო პრემიით (იტალია) და სხვ.

დიდ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ნ. მუსხელიშვილი იყო ამიერკავკასიის სფსრ მეშვიდე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი (1935—1937 წლები), საქართველოს სსრ დელე-

გატი საბჭოების VIII საგანგებო სრულიად საკავშირო ყრილობაზე და სსრ კავშირის კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის შემმუშავებელი სარედაქციო კომისიის წევრი, სსრ კავშირის I—VIII მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მრავალგზის იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. მრავალი წლის მანძილზე იგი სათავეში ედგა რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნას“, იყო საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი.

ნ. ი. მუსხელიშვილს, რომელმაც ექვს ათწლეულში განვლო ესოდენ ბრწყინვალე სამეცნიერო გზა, სახელი გაუთქვა საბჭოთა მეცნიერებას, არასოდეს არ დაუკარგავს მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობა და სისადავე, უდიდესი ადამიანური მომხიბლაობა, გონებამახვილობა.

ჩვენგან წავიდა გამოჩენილი მეცნიერი, კომუნისტი, მგზნებარე პატრიოტი და მტკიცე ინტერნაციონალისტი, რომელმაც თავისი სიცოცხლე მოახმარა მეცნიერების, სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმის თავდადებულ სამსახურს.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, დიდი მოქალაქისა და შესანიშნავი, მაღალი კომუნისტური ზნეობისა და კრისტალური სისპეტაკის, პარტიისა და ხალხის საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანის — ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილის ნათელი სახე სამაგალითო იქნება საბჭოთა ადამიანების ბევრი თაობისათვის და სამუდამოდ დარჩება ჩვენი ხალხის მეხსიერებაში.

პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, პ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ა. პ. ალექსანდროვი, ვ. ა. კოტელნიკოვი, ა. ა. ლოგუნოვი, გ. ი. მარჩუკი, ი. ა. ოვჩინიკოვი, ა. ვ. სიდორენკო, პ. ნ. ფედოსეევი, გ. კ. სკრიაბინი, მ. ვ. კელდიში, ნ. ნ. ბოგოლუბოვი, ი. ნ. ვეკუა, ვ. ა. ამბარცუმიანი, ი. ი. არტობოლევსკი, ი. მ. ვინოგრადოვი, ა. ა. დოროდნიცინი, ა. ი. იშლინსკი, მ. ა. ლავრენტიევი, კ. კ. მარჯანიშვილი, მ. ა. მარკოვი, ი. ნ. რაბოტნოვი, ლ. ი. სედოვი, ს. ლ. სობოლევი, ს. ა. ხრისტიანოვიჩი, გ. ბ. აბდულაევი, ე. ა. სეხნიაშვილი, თ. ვ. ლაშქარაშვილი, ე. კ. ხარაძე, ს. ვ. დურმიშიძე, ა. ს. ფრანგიშვილი, ნ. ა. ლანდია, ი. ბ. აბაშიძე, ე. ლ. ანდრონიკაშვილი, ა. ვ. ბიწაძე, ნ. პ. ვეკუა, ლ. კ. გაბუნია, რ. ვ. გამყრელიძე, ი. გ. გვერდწითელი, თ. ფ. დავითაია, მ. კ. დარასელია, რ. რ. დვალი, გ. ნ. ჯიბლაძე, ა. ა. ძიძიგური, შ. ვ. ძიძიგური, კ. ს. ზავრიევი, ნ. ნ. კეცხოველი, ვ. დ. კუპრაძე, ბ. თ. ლობჟანიძე, გ. თ. მანჯავიძე, ვ. ვ. მახალდიანი, შ. ე. მიქელაძე, ვ. მ. ოკუჯავა, ა. ნ. თავხელიძე, ა. კ. ხარაძე, გ. ვ. ციციშვილი, ა. ს. ჩიქობავა, გ. ს. ჭოლოშვილი, დ. ი. ჩხიკვიშვილი, ა. გ. შანიძე.

# პროფესორი ილია მირცხულავა



ქართველ მეცნიერთა რიგებს გამოაკლდა ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სკკპ წევრი 1939 წლიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის დირექტორი, პროფესორი ილია იორდანეს ძე მირცხულავა.

ილია მირცხულავა დაიბადა 1913 წლის 21 მარტს, ს. ხორგაში (ხობის რაიონი). 1938 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აქვე გამოამჟღავნა მან სამეცნიერო და მეცნიერულ-ორგანიზატორული მუშაობისადმი მიდრეკილება.

1938—1939 წლებში ილია მირცხულავა ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზეა, ხოლო 1939 წლიდან იგი გადაჰყავთ ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის განყოფილების გამგედ.

1939—1940 წწ. ილია მირცხულავა სწავლობდა მოსკოვში, საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში.

1941 წლის ივლისში, ი. მირცხულავა ჩაირიცხა ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიასთან არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ კურსებზე. იმავე წლის სექტემბერში დაინიშნა ქ. გროზნოს სამხედრო სკოლის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილედ, 1942 წლის ივლისში კი გაიგზავნა სტალინგრადის ფრონტზე. იგი მამაცურად იბრძოდა საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ იგი მუშაობდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, სექტორის ხელმძღვანელად და დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში.

1954—58 წლებში ილია მირცხულავა ეწევა სალექციო-პედაგოგიურ მუშაობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლასა და თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო 1958—1964 წლებში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში. 1970 წლის იანვრიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის სექტორს.

ფართო იყო ი. მირცხულავას მეცნიერული ინტერესების სფერო. იგი წარმატებით იკვლევდა საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების, რევოლუციური მოძრაობის, საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიას და აგრარული ურთიერთობის პრობლემებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური გამოკვლევები აგრარული ურთიერთობის საკითხებზე, რომლებმაც ფართოდ გაუთქვეს სახელი მეცნიერს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. მისი მონოგრაფიები სამართლიანად ითვლება საბჭოთა ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად. პროფესორ ი. მირცხულავას თანაავტორობით გამოქვეყნდა ბევრი განზოგადებული ნაშრომი: „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები", „ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის

ნარკვევები" და სხვ. მის კალამს ეკუთვნის 120-ზე მეტი მეცნიერული გამოკვლევა.

იგი დაჯილდოებული იყო სსრ კავშირის ორდენებით, მედლებით და საპატიო სიგელებით.

ი. მირცხულავა იყო კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური ფრონტის მტკიცე და შეუდრეკელი ჯარისკაცი. ამ იდეოლოგიის ერთგულებას უნერგავდა იგი სტუდენტ ახალგაზრდობას სამი ათეული წლის მანძილზე. იგი ამასთანავე იყო ახალგაზრდა მეცნიერთა გულისხმიერი აღმზრდელი. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ი. მირცხულავა სამეცნიერო-პედაგოგიურ და ორგანიზატორულ მუშაობასთან ერთად ფართო და მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის საპრობლემო საბჭოს წევრი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საზღვარგარეთის იდეოლოგიურ მიმართულებათა პრობლემების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. იგი სისტემატურად გამოდიოდა მოხსენებებით საკავშირო და რეგიონულ სამეცნიერო სესიებზე, კონფერენციებზე და სიმპოზიუმებზე. იგი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შტატგარეშე ლექტორი, პარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის წევრი, რაიკომის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი, საზოგადოება „ცოდნის" საკადემიო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, „ფაზისის აკადემიის" ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პრორექტორი, რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი და ა. შ.

ჩვენგან წავიდა გამოჩენილი მეცნიერი და ჩინებული მოქალაქე, რომელიც ყველგან და ყველაფერში მისაბაძი პრინციპულობით, გულისხმიერებით, მორალური სისპეტაკით, დიდი შრომისმოყვარეობით, ორგანიზატორული უნარით, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის მაღალი თვისებებით გამოირჩეოდა.

დაუვიწყარი იქნება ამ შესანიშნავი ადამიანის ნათელი ხსოვნა მეგობრების, კოლეგების, თანამშრომლებისა და მისი აღზრდილების წრეში.